დომენტი (დიტო) ჩუბინიძე

ზვიად გამსახურდია ქართულ და საერთაშორისო პოლიტიკაში (დამხობა. წიგნი პირველი)

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2024

მამაჩემის, გივი დომენტის ძე ჩუბინიძის
ნათელ ხსოვნას ვუძღვნი...

წინამდებარე მონოგრაფია დიტო ჩუბინიძის პირველი სამეცნიერო ნაშრომია, რომელიც საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობის შესახებ მოგვითხრობს. წიგნში კონკრეტულ დოკუმენტურ მასალებსა და ფაქტებზე დაყრდნობით, გაცოცხლებულია იმ ავბედით დღეთა ქრონიკა, როცა საქართველოს დაშლასა და კვაზისახელმწიფოებად დანაწევრებას ჩაეყარა საფუძველი.

ვფიქრობთ, ეს ნაშრომი სტუდენტებს, საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებსა და მკითხველთა ფართო აუდიტორიას კარგ სამსახურს გაუწევს...

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იგორ კვესელავა

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ედიშერ გვენეტაძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი დიმიტრი შველიძე

ტექნიკური რედაქტორი: ნონა ცაბაძე

კორექტორი: მანანა პატარიძე

დიზაინი გიორგი ახლოურისა

© დ. ჩუბინიძე, 2024

გამომცემლობა „უნივერსალი", 2024

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E—mail:universal@internet.ge

ISBN 978-9941-33-750-5

რედაქტორისგან

მკითხველის წინაშეა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევრის, საერთაშორისო ურთიერთობათა დოქტორის, ცნობილი პუბლიცისტისა და ჟურნალისტის, ისტორიკოს დიტო ჩუბინიძის წიგნი „ზვიად გამსახურდია ქართულ და საერთაშორისო პოლიტიკაში (დამხობა. წიგნი პირველი)“.

მონოგრაფია განსჯისა და კამათისთვის დაიწერა და დარწმუნებული ვარ, დროის ყველა გამოცდას გაუძლებს, რადგან სიმართლეს ქადაგებს, რომელიც არ ბერდება და არ კვდება.

წიგნის ავტორი დავით გურამიშვილის გზაზე დგას და ასე გვახსენებს დიდ პოეტსა და მოაზროვნეს: „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად!“ წიგნი იმიტომ შეიქმნა, რომ მომავალმა თაობებმა თავიდან აიცილონ ქარტეხილები, რაც საქართველოს დაატყდა თავს და დღევანდელ, არც ისე ნათელ დღეებამდე მიგვიყვანა.

დიტო ჩუბინიძემ იცის, ვინ არის ის და რას ლაპარაკობს, განსხვავებით მედროვე მკვლევრებისაგან, რომლებიც ქვეყნის ჟამთა აღმწერლები კი არ იყვნენ და არიან, არამედ ხელისუფლებების ბელადების განდიდებისთვის იღვწოდნენ მუდამ გასამრჯელოს ფასად...

ყველა ერი თავის სრულყოფას და უმაღლეს გამოხატულებას გენიაში აღწევს, ასეთები ყოველთვის მშობლიური და ხალხურია და აქ არც საქართველო იყო გამონაკლისი: დავით აღმაშენებელი, გიორგი ჭყონდიდელი, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ივანე ჯავახიშვილი, ამბროსი ხელაია, მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია იყვნენ ის მოღვაწენი, რომელთაგან ყოველთვის მოისმოდა ხმა თუ შემოძახილი ეროვნული ცხოვრების სიღრმიდან.

დიტო ჩუბინიძე წერს, რომ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ერთსულად იყვნენ განივთებული ორ სხეულში და მათი

სულიც და სხეულიც დღეს მთაწმინდის სავანეთიდან მოგვიწოდებენ – „გიყვარდეთ საქართველო!“

დიტო ჩუბინიძე ის მოაზროვნე და მკვლევარია, რომელსაც კარგად ესმის ქართული ზღაპრების სიბრძნე: მარცხნივ წახვალ – დაიღუპები, მარჯვნივ წახვალ – მაინც დაიღუპები; ზვიად გამსახურდია ქადაგებდა, რომ ქვეყანა და ერი მხოლოდ წინ უნდა წასულიყო.

მკვლევარმა კარგად იცის, არც თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეს აკლია გადამრბენები, მემარცხენეები და მემარჯვენეები, რომლებიც წინ არ მოძრაობენ. ასეთ ვითარებაში ქვეყანა ერთ ადგილს ტკეპნის და ვერ გაურკვევია, რომელი გზა აირჩიოს. საქართველოს გზას ვერავინ შეურჩევს, მან თვითონ უნდა შექმნას საკუთარი გზა.

წიგნის ავტორი მკითხველს ესაუბრება იმის შესახებ, რომ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველომ დაკარგა საკუთარი კომპასი, მისი გემი ახლა უკომპასოდ დახეტიალობს გაშლილ ზღვაში და არ იცის, როდის მიაღწევს სასურველ ნაპირს...

დიტო ჩუბინიძე გამოყოფს ზვიად გამსახურდიას ანტიეროვნული დამხობის შედეგებს, რამაც განაპირობა:

1. ერის სიმდიდრის განიავება, ეროვნული ცნობიერებისა და კულტურის, განათლებისა და მეცნიერების დაქვეითება;
2. ქართული ისტორიული პროვინციების (აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) დაკარგვა;
3. ქვეყნის დემოგრაფიული პროცესების კატასტროფისკენ წასვლა და ერის ბიოლოგიური არსებობისათვის საფრთხის შექმნა;
4. ქართულ ეროვნულ და პოლიტიკურ სივრცეში „ორიანობის იდეის“ დამკვიდრება (აღმოსავლეთი, დასავლეთი, აშშ, ევროპა, რუსეთი);

5. საქართველოსთვის „დინების საწინააღმდეგო“ მოძრაობის აკრძალვა.

წიგნის ავტორი საქართველოს ახსენებს ზვიად გამსახურდიას წინასწარმეტყველურ სიტყვებს: „ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს სულ მცირე რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას, რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სახელმწიფოს მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, თბილისში“.

სამართლიანად წერს დიტო ჩუბინიძე: „ხელისუფლებები მიდიან და მოდიან; მთავრობები, პრეზიდენტები და პრემიერები ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ საქართველომ არ იცის, როგორ და რატომ აღმოჩნდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი სამეგრელოს ტყეში და რა ვითარებაში აღესრულა ზვიად გამსახურდია“.

მონოგრაფიის ავტორი სახელდახელოდ უსვამს ხაზს, რომ ადამიანისთვის არ არის ადვილი სათქმელი სიმართლე, თუმცა, საუკუნეების განმავლობაში კალამი ძლევამოსილი ფენომენია და ამის დამადასტურებლად უხმობს ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, რომელიც ამბობდა: „ჩემმა ცილისმწამებლებმა იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში კალამი იყო ძლევამოსილი. ისტორია იქნება ჩემი მოსამართლე, ისტორიკოსები იტყვიან საბოლოოდ სიმართლეს და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენენ!“

ქართველმა მემატიანეებმა უკვე დაიწყეს პირველი პრეზიდენტისათვის ადგილის მინიჭება ისტორიისა და პოლიტიკის სივრცეში. ამ მხრივ უკვე შეიქმნა პირველი მონოგრაფიები, მემუარები, მოგონებები, დისერტაციები, სტატიები (ი. კვესელავა, დ. შველიძე, ე. გვენეტაძე, ე. ჯაველიძე, კ. გამსახურდია, თ. ქორიძე, ლ. ცომაია, რ. სირაძე, ა. რცხილაძე და სხვ.).

მათ შორისაა დიტო ჩუბინიძეც – გულახდილი, მიუკერძოებელი და სამართლიანი ავტორი, რომლის მეცნიერული და პუბლიცისტური წონა უფრო მეტია, ვიდრე იმ მოსაუბრეების (თ. დუმბა-

ძე, ჯ. ჭუმბურიძე, თ. ეპიტაშვილი, ა. ბობოხიძე, გ. ბოკერია, ვ. ადამია, გ. მამულია, უ. ბლუაშვილი და სხვები), რომლებიც ძალიან შორს არიან სიმართლისაგან თავიანთი აშკარად მიკერძოებული და ბევრ შემთხვევაში ეროვნულობის აღქმის არარსებობის გამო.

გულწრფელი მადლობა დიტო ჩუბინიძეს მართალი წიგნისთვის!

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იგორ კვესელავა

შ ი ნ ა ა რ ს ი

რედაქტორისგან 3

რეზიუმე.....9

შესავალი.....13

1. სახელმწიფო გადატრიალების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული საფუძვლები

1.1. სახელმწიფო გადატრიალებების თეორიული ჩარჩო და საერთაშორისო გამოცდილება.....34

1.2. სახელმწიფო გადატრიალებების ქართული გამოცდილება.....42

1.3. ბიპოლარული სამყაროს დასასრული და საქართველოს ადგილი ახალ მსოფლიო წესრიგში.....56

2. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობები საქართველოში

2.1. ზვიად გამსახურდიას გზა ხელისუფლებისკენ, ხელისუფლებაში და ედუარდ შევარდნაძე როგორც ბარიერი.....63

2.2. ედუარდ შევარდნაძე და მისი მეტასტაზები ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ.....81

2.3. ქართული სახელოვნებო და პოლიტიკური ელიტა საქართველოს წინააღმდეგ.....91

2.4. რუსეთი და დასავლეთის რეაქციული წრეები საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და საქართველოს ეკლესიის პოზიცია.....99

2.5. სანქცია საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაწყების შესახებ.....115

3. ეროვნული ხელისუფლების დამხობა და საერთაშორისო-პოლიტიკური კონტექსტი

3.1. 1991 წლის 2 სექტემბერი, როგორც 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების ათვლის წერტილი და მისი წინაპირობები.....129

3.2. საერთაშორისო-პოლიტიკური შეთქმულება საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და შევარდნაძის ფაქტორი.....143

3.3. შევარდნაძე, როგორც დასავლეთისა და კრემლის საერთო ფავორიტი!.....160

3.4. ქართული ელიტური ინტელიგენცია შევარდნაძის სამსახურში.....166

3.5. შევარდნაძის მეტასტაზები ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.....172

3.6. საშემოდგომო გადატრიალების ჩაფუშვა, ზამთრის ომი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა..182

დასკვნა.....209

გამოყენებული ლიტერატურა.....212

რეზიუმე

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება, რასაც საქართველოში ხალხის მიერ დიდი უმრავლესობით არჩეული ეროვნული პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას და კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა მოჰყვა, რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა:

1. კრემლის პოლიტიკურმა ინტერესმა;
2. დასავლეთისა და კრემლის ინტერესთა თანხვედრამ;
3. ეროვნული ხელისუფლების გამოუცდელობამ;
4. ეროვნულმა ღალატმა;
5. ქართველი ხალხის ერთგვარმა უგერგილობამ და გაუბედაობამ.

საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი ფაქტორი ხშირად თვალთახედვის მიღმა რჩებათ, არადა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დევნილობისას ჩაწერილ ერთ-ერთ გახმაურებულ ვიდეომიმართვაში საგანგებოდ საუბრობს სწორედ იმის შესახებ, რომ ბრძოლაში მარტო დატოვეს! გამსახურდია სინანულს გამოთქვამს და ამბობს: „საქართველოში პროცესები ისე არ წარიმართა, როგორც ლიტვაში, სადაც ათასობით ადამიანმა თვეების განმავლობაში შიშველი ხელებით დაიცვა ვიტაუტას ლანდსბერგისის ეროვნული ხელისუფლება და კრემლსა და მის ადგილობრივ დამქაშებს საშუალება არ მისცა, მოეწყოთ ის, რაც თბილისში შეძლეს – იარაღით დაემხოთ ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება!“

წინამდებარე მონოგრაფიაში შესაბამის წყაროებზე, ლიტერატურასა და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით გაანალიზებული და განზოგადებულია ის უმძიმესი სისხლიანი პოლიტიკური პროცესი, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ტრაგიკული ბედი, შექმნილი საერთაშორისო-პოლიტიკუ-

რი ვითარებისა და კონტექსტის გათვალისწინებით, თავიდანვე გადაწყვეტილი და განსაზღვრული იყო. შეიარაღებული თუ შეუიარაღებელი ოპოზიციის, ე.წ. დემოკრატიული საერთაშორისო თანამეგობრობის თუ კრემლის რა კაპრიზიც გინდა შეესრულებინა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მაინც არავინ დატოვებდა, რადგან საქართველოს პირველი პრეზიდენტის პოლიტიკური მიზნები, ამოცანები და მისწრაფებები მაშინდელი მსოფლიო წესრიგის მამების გეგმებთან დიდ წინააღმდეგობაში მოდიოდა. აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსი) ცნობილი და გახმაურებული ფრაზა – „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“ – შემთხვევით არ თქმულა. რუსეთთან გარიგებული დასავლეთი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას ნაირგვარ სიურპრიზს რომ უმზადებდა, ეს კარგად გამოჩნდა 1991 წლის 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმის შემდეგ. ამ დღეს საქართველოში ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას პირისპირ შეხვდა. ზუსტად არავინ იცის, რაზე ისაუბრეს მათ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ შეხვედრის შემდეგ ამერიკული სპეცსამსახურების საკმაოდ მაღალი რანგის წარმომადგენლები, რომლებიც ზვიად გამსახურდიასთან ფინეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტ რენო სირაძის მეშვეობით კონტაქტობდნენ, სირაძეს, ფაქტობრივად, თვალცრემლიანი დაშორდნენ და უთხრეს, რომ თავიანთმა უფროსებმა ქართველებთან კონტაქტი აუკრძალეს.

არსებობს უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ, როცა მცხეთის ჯვრიდან ქართლის უძველესი დედაქალაქის უწმინდეს სანახებს გადაჰყურებდნენ და ზვიად გამსახურდია რიჩარდ ნიქსონს საქართველოს უძველესი კულტურისა და ქრისტიანული ცივილიზაციის შესახებ ესაუბრებოდა, ამ დროს ნიქსონი ტყისკენ იყურებოდა და გამსახურდიას მხოლოდ ზრდილობის გამო უსმენდა.

ნაშრომში დეტალურადაა ნაჩვენები საზოგადოებისთვის უცნობი ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ ჩაშალა ედუარდ შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტ ბუშის არაოფიციალური შეხვედრა, რომელიც ცნობილი ქართველი მხატვრისა და სკულპტორის, ზურაბ წერეთლის, მოსკოვურ სახელოსნოში უნდა გამართულიყო. ძალიან საინტერესოა ცნობები იმაზე, თუ როგორ მოხდა ეროვნულ მოძრაობაში სპეცსამსახურების მიერ აგენტების ჩანერგვა, ვინ იყვნენ ეს აგენტები და რას წარმოადგენდა ორგანიზაცია „მხედრიონი“, რომლის მთავარი დამფინანსებელიც ედუარდ შევარდნაძის უახლოესი გარემოცვის ცნობილი წევრი და საბჭოთა „ცეკას“ ყოფილი პარტიული ფუნქციონერი, აბაშის რაიკომის ყოფილი მდივანი გურამ მგელაძე იყო.

ზვიად გამსახურდია და ეროვნული ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდნენ ხელოვნურად თავსმოხვეული საერთაშორისო იზოლაციის გარღვევას, ელცინის რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, მაგრამ ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო, რადგან პრეზიდენტი ელცინი, ისევე როგორც გორბაჩოვი და შევარდნაძე, იმ გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი გახლდათ, რომელიც, ზვიად გამსახურდიას თქმით, საქართველოს დასაქცევად ოკეანის გაღმა დაიწერა და პრეზიდენტ ბუშის თანხმობითა და სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის ლოცვა-კურთხევით განხორციელდა. რაც შეეხება რუსეთს, რუსეთი გამოიყენეს, როგორც „შავი“ და ბინძური სამუშაოს შემსრულებელი ძალა, და სწორედ მისი უშუალო ჩარევით დაამხეს ეროვნული ხელისუფლება.

ნიშანდობლივია, რომ 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ედუარდ შევარდნაძემ მოაწყო შეხვედრა-ბანკეტი, რომელზეც მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსები და ბიზნესწრეების წარმომადგენლები მიიწვია. ამ შეხვედრაზე, რომლის მონაწილეთა სიაც არსებობს, გავლენიანი სტუმრები შევარდნაძეს უკვე უწოდებდნენ „საქართველოს პრეზიდენტს“. ალბათ, ამ გავლენიანი ადამიანების დამსახურება იყო, რომ საქართველოში კანონი-

ერი ხელისუფლების დამხობა დასავლეთის არცერთმა „დემოკრატიულმა“ სახელმწიფომ არ გააპროტესტა.

უფრო მეტიც, 1992 წლის 26 მაისს, როცა თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, ამერიკის მაშინდელი სახელმწიფო მდივანი და შევარდნაძის მეგობარი ჯეიმს ბეიკერი სიტყვით გამოდიოდა, იქვე, 200 მეტრში, „მხედრიონმა“ გიგა არველაძის ხელმძღვანელობით და იარაღის გამოყენებით სასტიკად დაარბია ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია. არც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, არც ბეიკერს და არც რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს მომხდარი არ გაუპროტესტებია. ე.წ. დასავლური დემოკრატია, რომელიც ედუარდ შევარდნაძესა და მის „ოპრიჩნიკებთან“ იყო წილნაყარი, სამარცხვინოდ დუმდა!

ნაშრომში დეტალურად არის მითითებული სისხლიანი გადატრიალების უცნობი ქრონიკების შესახებ და დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით გამოთქმულია ლოგიკური მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში ჩამოსაყვანად ედუარდ შევარდნაძეს გავლენიანი წრეები დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ.

ვფიქრობთ, ძალიან საყურადღებოა ის ცნობებიც, სადაც ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ გორბაჩოვის დასავლეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო და დანაშაულებრივ ალიანსზეა ლაპარაკი. მონოგრაფიაში შესაბამისი წყაროებისა და არგუმენტების მოშველიებით ნათლად იკვეთება უმძიმესი პოლიტიკური რეალობა, რომელიც შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა საქართველოს მიზანმიმართულად შეუქმნეს და კანონიერი ხელისუფლების დამხობით ქვეყანა ხანგრძლივი ქაოსისა და დაშლისთვის გაწირეს!

შესავალი

პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ათეულობით წლის განმავლობაში დამკვიდრებული ტერმინი – „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები“ – ეროვნული ხელისუფლების დამხობის ისტორიას ზუსტად არ ასასავს. მიგვაჩნია, რომ საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება 1991 წლის 22 დეკემბერს კი არა, 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში, „კინოს სახლთან“ განვითარებული სისსლიანი მოვლენებით დაიწყო. გადატრიალებას რამდენიმე ფაზა ჰქონდა.



საქართველოს პირველი პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

1991 წლის 22 დეკემბერს მთავრობის სასახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე დაწყებული ომი გადატრიალების მხოლოდ დასკვნითი და ფინალური ეტაპი იყო. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ, როცა ეროვნული ხელისუფლების დამხობაზე ვსაუბრობთ, ტერმინი – „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები“ – ამ ისტორიას არასათანადოდ და არასრულფასოვნად ასახავს. ამიტომ მის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ და დავამკვიდროთ ტერმინი – „1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები!“

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება იმ საერთაშორისო-პოლიტიკური კონტექსტის სისხლიანი

გამომახილია, რომელმაც საქართველოს უახლესი ისტორიის უკანასკნელი ოცდაათი წელი მთლიანად განსაზღვრა. გლობალურ პოლიტიკაში საქმეს ისეთი პირი უჩანს და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაც იმ ავბედითი სცენარით ვითარდება, რომ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების შედეგები კიდევ დიდხანს შეგვახსენებს თავს. ქართველების ხელით გადაბუგული და დანგრეული რუსთაველის პროსპექტი და დანარჩენი საქართველო იმ, მართლაცდა, უკუღმართი საერთაშორისო-პოლიტიკური შეთქმულებისა და კონტექსტის შედეგია, რომელმაც ქვეყანას წახდენის, ტერიტორიული რღვევის, დეზორიენტაციის, ეკონომიკური კოლაფსის, საზოგადოების მასობრივად გაღატაკების, ერის გახრწნა-გადაგვარების, სახელმწიფოს ძარცვისა და ქვეყნის პრესტიჟის მიწასთან გასწორების მეტი არაფერი მოუტანა.

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება საბჭოთა კავშირის დანგრევის პარალელურად მომზადდა. იმ პირობებში, როცა თვალუწვდენელი კომუნისტური იმპერიის დაშლა არავითარ ეჭვს არ იწვევდა, 1991 წლის მაისში ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ბუში კიევში სიტყვით გამოვიდა და უკრაინელებს „პერესტროიკის“ ბანგით გაბრუებული საბჭოთა კავშირის შენარჩუნებისკენ სამარცხვინოდ მოუწოდა. ეს იყო ნამდვილი ცივი შხაპი საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და იმ თავისუფლებისმოყვარე ერებისთვის, რომლებიც „ბოროტების იმპერიის“ მარწუხებში იტანჯებოდნენ. როგორც მოგვიანებით საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დაწერა – „პრეზიდენტმა ბუშმა გორბაჩოვთან „ფაუსტური ხელშეკრულება“ გააფორმა“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კრემლის კეთილგანწყობის მოპოვების სანაცვლოდ ამერიკის ადმინისტრაცია თვალს დახუჭავდა იმ სისაძაგლესა და ველურობაზე, რასაც მოსკოვი აბუნტებულ მოკავშირე რესპუბლიკებში ხალხის კანონიერი პროტესტის ჩასახშობად იჩენდა. დრომ დაადასტურა, რომ საქართველოში პოლიტიკური პროცესები სწორედ ზემოხსენებული „ფაუს-

ტური ხელშეკრულების“ მიხედვით გათამაშდა. უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიამ ბუშის კიევში გამოსვლა ასეთი სიტყვებით შეაფასა: „ჯორჯ ბუშმა – ვაშინგტონის, ჯეფერსონისა და ლინკოლნის მემკვიდრემ – მოუწოდა დაპყრობილ ხალხებს, ნებაყოფლობით ჩამოიცვან კისერზე იმპერიის ყულფი და შეურიგდნენ მონობას!“ [1]

აი, სწორედ ამ წინააღმდეგობებმა და დასავლეთისა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების ორმაგი სტანდარტის პოლიტიკამ საქართველო 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებამდე მიიყვანა. დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მიერ საქართველოში მომხდარი გადატრიალების მიყურისძირებამ, 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივ-პოლიტიკურად შეუფასებლობამ და იმ პირების სამართალში არმიცემამ, რომლებმაც ქვეყნის კანონიერ ხელისუფლებას რუსული საბჭოთა ჰაუბიცები და „კალაშნიკოვის“ ავტომატები დაუშინეს, საქართველოს უახლეს ისტორიაში შექმნა იმის საშიში პრეცედენტი, რომ ხალხის მიერ არჩეული კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობა სავსებით ბუნებრივი მოვლენაა, რომლის შემოქმედმაც შესაძლოა, არხეინად იცხოვროს და სიკვდილის შემდეგ სამუდამო განსასვენებელი ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ დიდუბის პანთეონში იპოვოს.

2010 წელს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) შუამდგომლობითა და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების არქივის მოთხოვნით, გასაჯაროვდა ის გასაიდუმლოებული დოკუმენტები და რელაციები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (CIA) თანამშრომლები 1991 წლის ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით საქართველოში ამზადებდნენ და ცენტრს გადასცემდნენ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ეს მოხსენებები თავისი სულისკვეთებითა და

[1] იგორ კვესელავა. „საქართველოს ისტორიის ქრონიკები, VI. საქართველო და მსოფლიო უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნი პირველი“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018 წელი.

განწყობით არაფრით განსხვავდება იმ მასალებისგან, რასაც საბჭოთა „სუკის“ მაღალჩინოსნები და აგენტები 1956 წლის 9 მარტს თბილისში მომხდარი საშინელი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ მოსკოვს უგზავნიდნენ. დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებში, რომლებიც, ძირითადად, ზვიად გამსახურდიას ოპონენტების მიერ გამოთქმულ შეფასებებს ეყრდნობა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ჩინური ზღაპრის გმირთან არის გაიგივებული, რომელმაც თურმე გველეშაპი დაამარცხა, მაგრამ თავადაც გველეშაპად იქცა. კერძოდ, დოკუმენტების თანახმად, ზვიად გამსახურდიამ ქვეყანაში შემოიღო აპარტეიდული კანონები, ჩაგრავს ეროვნულ უმცირესობებს, დიქტატის ქვეშ ამყოფებს პრესას და პრესკონფერენციიდან, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე დღეს გამართა, გამოაძევა რადიო „თავისუფლებისა“ და „უოლ სტრიტ ჯორნალის“ ჟურნალისტები, რომლებსაც „კრემლის აგენტები“ უწოდა! უფრო მეტიც, მასალების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ ამერიკული CIA ზვიად გამსახურდიას დისკრედიტაციის მიზნით, ფაქტობრივად, არაფერს ერიდებოდა. აი, რას ვკითხულობთ, მაგალითად, 1991 წლის 8 სექტემბრით დათარიღებულ „დანოსში“: „გამსახურდია გაეყარა პირველ ცოლს მას შემდეგ, რაც ის მისი და მისი მამის მოკვლის მიზნით სუკ-თან თანამშრომლობაში დაადანაშაულა. მისი მეორე მეუღლე პედიატრია. გამსახურდია უარყოფს ჭორებს, რომ მას მეუღლის მინისტრად დანიშვნა სურს“.[2]

ბედის ირონიით, 2003 წლის 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციაც“ სახელმწიფო გადატრიალება იყო, როცა ედუარდ შევარდნაძე თავისმა გამოზრდილმა თანამოსაგრეებმა – მიხეილ სააკაშვილმა, ზურაბ ჟვანიამ და ნინო ბურჯანაძემ დაამხეს. დიახ, რაც გინდა გასაკვირი იყოს, ქართველი ერის ზურგსუკან მიღწეული სა-

[2] საქართველო და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია CIA-ს დოკუმენტებში. https://idfi.ge/ge/documents_from_cia

ერთაშორისო-პოლიტიკური გარიგების შედეგად 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სისხლიანი მოვლენების მთავარი ორგანიზატორი ედუარდ შევარდნაძე ხელისუფლებას სწორედ სასახლის კარის ხავერდოვანი გადატრიალების გზით, ე.წ. ვარდების რევოლუციით ჩამოაცილეს.

ხელისუფლების დამხობასა და მოსალოდნელ გადატრიალებაზე მოწოდებები და განცხადებები საქართველოში არც ახლა წყდება. სოციალური ქსელები, ციფრული მედიასაშუალებები და ქართული პრესა უხვად ინახავს კანონიერად თუ უკანონოდ მოპოვებული იმ საუბრების ჩანაწერებს, სადაც საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი პირები ხელისუფლების იარაღით დამხობასა და ძალაუფლების შტურმით აღებაზე მუსაიფობენ. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები რომ თავის დროზე შეეფასებინათ და სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები და აღმსრულებლები კანონის ძალით დაესაჯათ, არც „ვარდების რევოლუცია“ მოხდებოდა და არც 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენები, რაც საქართველოს უახლეს ისტორიაში „გავრილოვის ღამის“ სახელწოდებით შევიდა. ცნობისათვის, ბნელ ძალებს საქართველოში მეოთხეჯერაც სურდათ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა, როცა 2023 წლის 7-8 მარტის ცნობილი მოვლენების დროს უცხოელების მიერ საგანგებოდ მომზადებული ახალგაზრდები რუსთაველის პროსპექტზე ე.წ. მოლოტოვის კოქტეილების გამოყენებით პოლიციელებისა და სპეცრაზმელების ცოცხლად დაწვას ცდილობდნენ. მაგრამ ძალოვანმა უწყებებმა და პატრიოტულად განწყობილმა პოლიტიკოსებმა ქვეყანას უდიდესი საფრთხე თავიდან ააცილეს და სახელმწიფო განსაცდელისგან იხსნეს.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იშვიათად მოიძებნება მოვლენა, რომელსაც იმდენი ნგრევა მოეტანოს ქვეყნისთვის, რამდენიც 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, გადატრიალებიდან სულ რაღაც წელიწად-ნახევარში საქართველომ კონტროლი

დაკარგა თავის ისტორიულ პროვინციებზე – აფხაზეთსა და შიდა ქართლის დიდ ნაწილზე. ძირძველი ქართული მიწების ჩაბარება-დაკარგვის წყევლაკრულვიანი პროცესი საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოში დასრულდა, როცა რუსეთმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა“ აღიარა და, საერთო ჯამში, ქართული მიწის 12 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტი, ფაქტობრივად, თავის უკიდეგანო მიწა-წყალს მიათვალა. საუკუნეთა წიაღში საქართველოს ამდენი მიწა ასე სწრაფად და უცერემონიოდ რომ დაეკარგა, ჩვენგან დიდი ხანია, ბუნდღაც არ დარჩებოდა.

ჩვენი ქვეყნისთვის მოურჩენელ სახადად და ჭირად იქცა ისიც, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების მთავარი აქტორები – ქვეყნის გადამტრიალებლები – ქართული პოლიტიკისა და მმართველობის სადავეებს ცოცხალი თავით არ ტოვებენ. აი, ახლაც, მასების ეიფორიისა და პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესად გამწვავების ჟამს, ყველაზე მეტად სწორედ ის სახელმწიფო დამნაშავეები აქტიურობენ და ცეცხლზე ნავთს ასხამენ, რომლებმაც საქართველო ერთხელ უკვე დაღუპეს! მაგალითად, აკაკი ბობოხიძემ, რომელიც იმ სისხლიანი მოვლენების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა გახლდათ, ამასწინათ ახალგაზრდებს ტელეეთერით პირდაპირ მოუწოდა – თქვენი ხნის რომ ვიყო, აუცილებლად სახელმწიფო გადატრიალებას მოვაწყობდიო!

საქართველოში არ არსებობს ადამიანი, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამხობის გამო ვინმემ სამართალში მისცა. არც თენგიზ კიტოვანი, არც ჯაბა იოსელიანი და არც სხვა ვინმე გადატრიალების მოწყობისა და ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობის ბრალდებით არ დაუპატიმრებიათ და გაუსამართლებიათ. ხელისუფლებები მიდიან და მოდიან, მთავრობები, პრეზიდენტები და პრემიერები ერთმანეთს ენაცვლებიან, მაგრამ ეს საკითხი ადგილიდან არ იძვრის. უფრო მეტიც, საქართველომ ისიც კი არ იცის, როგორ აღმოჩნდა მისი პირველი პრეზიდენტი სამეგრელოს ტყეში და რა ვითარებაში აღესრუ-

ლა ზვიად გამსახურდია კარლო ღურწკაიას ოჯახში. გამსახურდიას ტრაგიკული მკვლელობა ხომ პირდაპირი შედეგია საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილებისა?! ამდენად, 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის ტრაგიკული მოვლენების მეცნიერულ შესწავლასა და კვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რათა ქვეყანამ მომავალში მაინც აიცილოს თავიდან ის საფრთხეები, რომლებმაც ერთხელ უკვე წაგვლეკა და ქართველი ერის ბიოლოგიური არსებობა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ყველა ძირეული პრობლემა, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივ სხეულს დღეს კიბოს მეტასტაზებივით უტევს და ღრღნის, სათავეს სწორედ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებიდან იღებს. ამდენად, ქვეყნის დამანგრეველი იმ პროცესების ზუსტად შესწავლისა და გაანალიზების გარეშე საქართველოს აღდგენა-გადარჩენის გზა ვერ გამოჩნდება!

თუ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები სახელმწიფომ სამართლებრივ-პოლიტიკურად არ შეაფასა და იმ ხალხს, რომელმაც საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ტყვია ესროლა, პოლიტიკური საქმიანობა არ აუკრძალა, მაშინ შევეგუოთ იმ აზრს, რომ ქვეყანაში არასოდეს დაილევიან კიტოვანები, რომლებიც აუცილებლად გაიჭრებიან რკონის ტყეში, სადაც შეხვდებიან რუსეთის მომავალ თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუს, მერე შეცვივდებიან ტელევიზიაში, მერე იქიდან დაბანაკდებიან თბილისის ზღვაზე, სადაც თავიანთი მოკავშირეებისგან მიიღებენ დიდძალ ფულს და სულ ბოლოს ჰაუბიცების გრიალითა და ტანკების გამაყრუებელი გრუხუნით დაეშვებიან ქალაქში, რათა რუსის ჯარის დახმარებით მიწასთან გაასწორონ მთავრობის სასახლე და თბილისის ცენტრი.

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები ყველა ჩვენი თავისტკივილისა და პრობლემის საფუძველთა საფუძველია! რომ არა ეს უბედურება და კანონიერი ხელისუფლების დამხობა, შეიძლება, დაბეჯითებით ითქვას, რომ აფხაზეთის ომი არ იქნებო-

და და საქართველოს სხეულზე ორი კვაზისახელმწიფო არ წამოიზრდებოდა; არ მოხდებოდა მოსახლეობისა და სახელმწიფოს არნახული ძარცვა; ნარკომანიის, პროსტიტუციისა და ყოველგვარი მანკიერებისა და უზნეობის აღზევება, რომლებმაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ფენასა და სოციუმში, მათ შორის, ეკლესიაშიც შეაღწია!

მიგვაჩნია, რომ საქართველოში ყბადაღებული სამართლიანობის აღდგენა სწორედ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებიდან უნდა დაიწყოს და პოლიტიკურ კეთროვნად გამოცხადდეს ყველა, ვინც ეროვნულ ხელისუფლებასა და პრეზიდენტს ტყვიას ესროდა. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ: ასეთი ადამიანები თანამედროვე ქართული პოლიტიკის ავანგარდში მრავლად არიან და პროფესიონალი ქვეყნის გადამტრიალებლები არც ოპოზიციას აკლია და არც ხელისუფლებას! მიგვაჩნია, რომ მათი ადგილი პოლიტიკასა და საჯარო სექტორში არ არის, რადგან ისინი საზოგადოებისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენენ!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომში განხილული პრობლემები თანამედროვე ქართული პოლიტიკისთვის უაღრესად აქტუალური და საჭირბოროტოა!

დროა, ქართველი საზოგადოება ძილქუშიდან გამოვიდეს, გამოერკვეს და გაიგოს, რომ 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების დროს, როცა ქართველი ერის ბედი წყდებოდა, საერთაშორისო თანამეგობრობა და დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოები ხელმძღვანელობდნენ და მოქმედებდნენ არა ყბადაღებული საერთაშორისო სამართლის, ათასი ჯურის კონვენციებისა და ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის „უფლებების“ დაცვის პრინციპით, არამედ იმ პოლიტიკური დღის წესრიგის შესაბამისად, რასაც მათი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები მოითხოვდა.

წინამდებარე მონოგრაფიაზე მუშაობისას მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას გავეცანით როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

სპეციალური ლიტერატურის კვალდაკვალ, 90-იანი წლების უმძიმესი ეპოქის გასასიგრძეგანებლად უდიდესი დახმარება გაგვიწია როგორც იმდროინდელმა, ისე შემდგომი და ახლანდელი პერიოდის ქართულმა თუ უცხოურმა პრესამ.

ქრონოლოგიურად თუ გავყვებით, საქართველოს პირველ პრეზიდენტს საქართველოს დაქცევაში ბრალს სდებს მწერალი დავით მჭედლური, რომელმაც 1995 წელს გამოსცა წიგნი „თავისუფლების სახელით“. შეუძლებელია, ყური არ მოგჭრას მჭედლურის ერთმა ფრაზამ, რომელიც მთელ მის ნააზრევს წითელ ხაზად გასდევს: „ზვიადიზმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ნაციონალ-ფუნდამენტალიზმი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ!“ მჭედლური თავის ნაშრომში სხვა არაერთ აბსურდულ და როყიო განცხადებასაც ისვრის, რომელთაც ვერცერთ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ. მიგვაჩნია, რომ ზემოხსენებული წიგნი ერთ საბრალო პანეგირიკს წარმოადგენს, რომელიც ავტორმა ედუარდ შევარდნაძის საამებლად აღავლინა. ეს ერთი გაბმული წყევლაა, რომელიც ზვიად გამსახურდიას მისამართით საქართველოს დამაქცევრების ორღობიდან ისმის...

2002 წელს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთერთმა ლიდერმა ნოდარ ნათაძემ გამოსცა მემუარული ხასიათის ნაშრომი „რაც ვიცი“... ნათაძე პირველ პრეზიდენტსა და ეროვნულ ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იყო, მაგრამ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენების შეფასებისას პირუთვნელია და არ მალავს, რომ ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების ბედი რუსეთის იმპერიამ, ედუარდ შევარდნაძემ და საქართველოში მოქმედმა „მეხუთე კოლონამ“ ერთად გადაწყვიტეს. ნოდარ ნათაძე უფრო შორსაც წავიდა და სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში სამთელქვეყნოდ აღიარა, რომ ზვიად გამსახურდიასთან „კაცობაში ჩაიჭრა!“

2002 წელს საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადმა მძღოლმა გურამ ოქროცვარიძემ გამოსცა მოგო-

ნებათა ბროშურა „მძღოლის სარკიდან დანახული სინამდვილე“. ეს ბროშურა მაღალპოლიგრაფიულობით ვერ დაიკვეხნის, სამაგიეროდ, ისეთ ცნობებსა და განცდებს იტევს, გულგრილს არცერთი კატეგორიის მკითხველს არ დატოვებს. ოქროცვარიძე დღეს ცოცხალი აღარ არის... მისი მოგონებათა წიგნი ბევრი რამით არის საინტერესო და გამორჩეული, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ის ჩვენს ყურადღებას იმ ერთი, თითქოსდა ჩვეულებრივი საუბრის გახსენებით იპყრობს, რომელიც გროზნოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და გურამ ოქროცვარიძეს შორის რამდენიმე თანამოაზრის თანდასწრებით გაიმართა. ამ საუბარში, რომელიც ავტორს პირველყოფილი სიზუსტითა და ემოციით აქვს აღწერილი, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ქვეყანაში ხელისუფლების დამხობის მიზეზებს განმარტავს და აცხადებს, რომ კანონიერი ხელისუფლება საერთაშორისო მაფიამ, კერძოდ, მასონურმა ძალებმა, დაამხო, რომლის მიზანიც მთელი დედამიწის ბუნებრივი რესურსებისა და პლანეტის მოსახლეობის კონტროლია!

2006 წელს კონსტანტინე ზ. გამსახურდიამ გამოსცა ცნობილი წიგნი „დინების საწინააღმდეგოდ“, რომელშიც ავტორი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობის მიზეზებზე დაწვრილებით საუბრობს. გამსახურდიამ ამ ნაშრომში დეტალურად აღწერა ზვიად გამსახურდიას მიერ განვლილი ეკლიანი გზა, რომელიც 1993 წლის 31 დეკემბერს სამეგრელოში დასრულდა.

2007 წელს პროფესორმა იგორ კვესელავამ გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“. ეს ვრცელი მონოგრაფია უმდიდრეს დოკუმენტურ მასალებს ეფუძნება და სამაგიდო წიგნია საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და ზვიად გამსახურდიას ტრაგედიით დაინტერესებული ნებისმიერი მკვლევრისთვის. ავტორის ლაღი ქართული და ღრმა მეცნიერული ანალიზი, რომლითაც საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი საერთაშორისო შეთქმულების მთელი ანატომიაა გაშიფრული, მართლაც მრავლისმთქმელია!

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებსა და, ზოგადად, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას „საქართველოს რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ვახტანგ ძაბირაძემ 2007 წელს საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“ უძღვნა. სამწუხაროდ და საუბედუროდ, ძაბირაძის მოგონებებში, რომლებიც ძალიან მძიმე ენითაა დაწერილი და ცუდად იკითხება, ერთი მართალი სიტყვის პოვნა ჭირს. ყოველი მისი განცხადება და შეფასება, რომლებიც ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და სამშობლოდან ზვიად გამსახურდიას განდევნას უკავშირდება, ყალბი და უმწეოა. ბატონი ძაბირაძე იმაზეც კი ქილიკობს, აქაოდა, საქართველოს ტელევიზიის „პირველი არხი“ ზვიად გამსახურდიას პიროვნებას წამებულის მანტიით მოსავდა, როცა არარსებულ ტერაქტების საფრთხეზე ლაპარაკობდა და საზოგადოებას არწმუნებდა, თითქოს გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას ვიღაც გეგმავდაო! არ ვიცით, დღეს როგორ და რას ფიქრობს, მაგრამ, ალბათ, ვახტანგ ძაბირაძე ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულმა აღსასრულმა იმაში მაინც დაარწმუნა, რომ საქართველოს პირველ პრეზიდენტს მკვლელები მართლაც კვალში ედგნენ და მათ თავიანთი შავბნელი განზრახვა ბოლომდე აღასრულეს! ძაბირაძის „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“ მრუდე სარკიდან დანახული საქართველოს უახლესი ისტორიაა, რომელსაც, ცხადია, არსებობის უფლება აქვს, მაგრამ წიგნად და ნაშრომად არ ვარგა!

საგანგებო აღნიშვნის ღირსია პროფესორ დიმიტრი შველიძის ვრცელი და ფუნდამენტური ნაშრომი „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“, რომელიც 2008 წელს გამოიცა. ნაშრომში დეტალურად არის მოთხრობილი 80-იანი წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი, მისი განვითარების ეტაპები და წინააღმდეგობები, რაც მოძრაობას თან ახლდა და რა-

მაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა გამოიწვია. პროფესორ შველიძის აზრით, 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების მთავარი აქტორები საქართველოს „მეხუთე კოლონა“ და რუსეთის ხელისუფლება იყვნენ. მეცნიერის მიერ გამოტანილი ვერდიქტის თანახმად, „1991-1992 წლების გადატრიალება იყო ანტიეროვნული, ანტინაციონალური სახელმწიფო გადატრიალება. მან დაარღვია ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობა, მოპირდაპირე სოციალ-პოლიტიკურ ბანაკებად დაყო ქვეყნის მოსახლეობა და მათ შორის შეიარაღებული კონფრონტაცია გამოიწვია“. [1:483] დიმიტრი შველიძის ზემოაღნიშნული ნაშრომი ეპოქის ფუნდამენტურ კვლევას წარმოადგენს და მდიდარ და მრავალფეროვან წყაროებს ეყრდნობა. ეს ვრცელი მონოგრაფია, რომელსაც, ჩვენი აზრით, ობიექტურობისა და სამართლიანობის ბეჭედი აზის, უცილობლად შეასრულებს სამაგიდო წიგნის ფუნქციას ყველა იმ მკვლევრისა თუ დაინტერესებული პირის საქმიანობაში, ვინც 1991-1992 წლების ცნობილი და სისხლიანი მოვლენების მეცნიერულ შესწავლას განიზრახავს!

მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ისტორიის კვლევისას ვერცერთი მეცნიერი გვერდს ვერ აუვლის „მხედრიონის“ ექსცენტრულ ლიდერ ჯაბა იოსელიანის „სამ განზომილებას“, რომელიც უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში სამი სხვადასხვა რედაქციით გამოვიდა. მართალია, ყოველი ახალი გამოცემის დროს ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილების“ თავდაპირველი შინაარსი იცვლება და სახეზეა ავტორისეული ფიქრებისა და განცდების, ასევე, კონკრეტული ისტორიული ფაქტების უხეში რევიზია, მაგრამ ჯაბა იოსელიანის მემუარები ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორი თავგამოდებითა და სიძულვილით უტევდა 90-იანი წლების ე.წ. ქართული ელიტა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმიდათაწმიდა იდეას. ყველაზე მეტად ჯაბა იოსელიანის „სამი განზომილება“ ჩვენს ყურადღებას იმ მხრივ იპყრობს, რომ აქ აღწერილი ფაქტები და მოვლენები იმ ადამიანის

თვალით გახლავთ დანახული, რომელიც ბარიკადის მეორე მხარეს იდგა, პოლიტიკურ პროცესებს მართავდა და უამრავი თანაგუნდელის საქმიანობის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას ფლობდა. ასე, მაგალითად, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ მაშინდელი თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია ზვიად გამსახურდიას მომხრეებს რომ დაკითხვის დროს აწამებდა, ამას სწორედ ჯაბა იოსელიანი წერს. ჯაბა იოსელიანი, ასევე, ხელს ადებს გოგა ხაინდრავასა და მის რაზმს, რომ 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი თავის ამალასთან ერთად თბილისიდან გადიოდა, მეტეხის ხიდზე პრეზიდენტის კორტეჟს, კერძოდ, „იკარუსის“ მარკის ავტობუსს, რომელშიც უზენაესი საბჭოს დეპუტატები და მთავრობის სასახლის დამცველები ისხდნენ, ცეცხლი სწორედ გოგა ხაინდრავამ და მისმა რაზმმა გაუხსნეს. ამ თავდასხმას არაერთი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა, მათ შორის, გოგი გაბროშვილი, უმამაცესი ქართველი ვაჟკაცი სამაჩაბლოდან, რომლის თავიც ოს სეპარატისტებს 5 კილოგრამ ოქროდ ჰქონდათ შეფასებული.

ჯაბა იოსელიანმა ამ თხზულების სახით მომავლის საქართველოს დაუტოვა უდიდესი მამხილებელი დეკლარაცია და გვითხრა, რომ 90-იანი წლების დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოსთვის პოლიტიკური სამარე მხოლოდ მას და „მხედრიონს“ არ გაუჭრიათ და ამ საქმეში მათ ძალიან ბევრი ცნობილი თუ უცნობი ადამიანი „ეხმარებოდათ“.

ჩვენთვის საინტერესო ეპოქას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრმა და ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ არაერთი მონოგრაფია, პუბლიცისტური წერილი და გამოკვლევა უძღვნა. ჯაველიძის გახმაურებული წიგნი „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“, რომელიც 2009 წელს გამოვიდა, 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენების შესახებ უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ავტორი და უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას

დავალებით, უშუალოდ მონაწილეობდნენ რკონის ტყეში გაჭრილი კიტოვანისა და აჯანყებული გვარდიელების შემორიგების პროცესში. ელიზბარ ჯაველიძემ, ჯემალ გოლეთიანმა, ლერი გამრეკლიძემ და სხვა დეპუტატებმა, რომლებიც ეროვნულ პოზიციებზე იდგნენ, კიტოვანი თითქმის შემოირიგეს კიდეც, მაგრამ უკანასკნელ წამს, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, ამბოხებული სარდალი დეპუტატებს რუსული „უაზიდან" გადმოუხტათ, რადგან გზაში თენგიზ სიგუას მიერ გამოგზავნილი წერილი დააწიეს, სადაც აფრთხილებდნენ – ხაფანგია, გატყუებენ, დაგაპატიმრებენო!

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას საგანგებო ნაშრომი უძღვნა პროფესორმა ნოდარ ლომოურმაც. მისი წიგნი „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე" 2011 წელს გამოვიდა. პროფესორი ლომოური 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების დროს ავტომატით ხელში რუსთაველის პროსპექტზე იდგა და ისროდა. როცა ჰკითხეს – ვის ესროდითო, პროფესორმა უპასუხა – უბრალოდ, ჰაერში ვისროდიო! ნოდარ ლომოური ეროვნული ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის დამხობაში ედუარდ შევარდნაძის ბრალეულობას გამორიცხავს და აცხადებს, რომ „დიქტატორ" გამსახურდიას განაჩენი თავისუფლებისმოყვარე ქართველმა ხალხმა გამოუტანა! აქედან გამომდინარე, სიმბოლურია მისი ფრაზა, რომელიც მთელ წიგნს შლეიფად გასდევს: „არც თემურ-ლენგს, არც შაჰ-აბასს, არც სტალინს, არც ორჯონიკიძეს თუ ბერიას ისეთი საშინელი უბედურება ჩვენი ისტორიისთვის არ მოუტანიათ, როგორც გამსახურდიას რეჟიმს! ამის დავიწყება ერის წინაშე დანაშაული, მკრეხელობა იქნება!"[2:2]

2011 წელს პროფესორმა ედიშერ გვენეტაძემ და ზაზა კალანდიამ გამოსცეს უნიკალური ორტომეული „საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები". გამოცემა მოიცავს 1988-1991 წლების უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებულ ოფიციალურ დოკუმენტურ მასალებს. ყოველგვარი გადაჭარ-

ბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ამ მასალების გარეშე აღნიშნულ ეპოქაზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარება წარმოუდგენელია. ზემომითითებული გამოცემა მით უფრო ფასდაუდებელ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როცა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ საარქივო მასალები, ფაქტობრივად, განადგურებულია და არ არსებობს, ხოლო რაც არსებობს, ისიც რუსეთის სპეცარქივებშია გატანილი და გამოკეტილი.

2016 წელს დაიბეჭდა ცნობილი ლიტერატორისა და პოლიტიკური მოღვაწის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლ თემურ ქორიძის, წერილების, ჩანაწერებისა და პუბლიცისტურ ნაშრომთა კრებული სათაურით „კაცი არყველა სწორია“. აწ განსვენებული თემურ ქორიძე, როგორც მეცნიერი და მოაზროვნე, თავისთავად წარმოადგენდა ქართველი ინტელიგენციის ელიტას, მაგრამ არა იმ დაჯგუფებას, რომელმაც საქართველოს დანგრევა ტელევიზიის კიბიდან დაიწყო. თემურ ქორიძის აფორისტული აზროვნება, მის მიერ მოხმობილი საინტერესო ფაქტები, რომლებიც საქართველოს უახლესი ისტორიის უაღრესად საჭირბოროტო საკითხებს უკავშირდება, ჩვენთვის საყურადღებო ეპოქაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის.

აღნიშნულ თემატიკას ვრცელი და ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა ეროვნული მოძრაობის ცნობილმა აქტივისტმა და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლმა, ქალბატონმა ლეილა ცომაიამ. მისი სქელტანიანი ნაშრომი „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“, რომელიც 2018 წელს გამოიცა, პირდაპირ დახუნძლულია უმდიდრესი დოკუმენტური მასალით. ლეილა ცომაია, რომელიც საქართველოს უახლესი ისტორიის უკანასკნელი ორმოცწლიანი პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესის მონაწილეა, 1990-1993 წლებში დატრიალებულ ამბებს თითქმის პედანტური სიზუსტით აღწერს და საქართველოს შეიარაღებული ოპოზიციის მოღალატეობრივ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს ამხელს! ქალბატონი ცომაიას

ვრცელი მონოგრაფია ის წიგნია, რომლის გარეშეც 1991-1992 წლების ცნობილი მოვლენების ფუნდამენტური შესწავლა და გააზრება შეუძლებელია.

2008 წელს პროფესორმა იგორ კვესელავამ გამოსცა წიგნი „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“, ხოლო 2021 წელს იმავე ავტორმა ჩვენთვის საინტერესო ეპოქის კვლევას უაღრესად საინტერესო და სქელტანიან მონოგრაფიათა კიდევ ერთი სერიალი მიუძღვნა. მისი ბოლოდროინდელი გამოცემები – „დროისმეტყველება – ზვიად გამსახურდია“ და „სახისმეტყველება – ედუარდ-გიორგი შევარდნაძე“, ფაქტობრივად, წარმოადგენს ერთგვარ დასკვნით და შემაჯამებელ ნაშრომებს იმ მრავალწლიანი თავაუღებელი სამეცნიერო კვლევისა, რომელიც მეცნიერმა საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასა და პირველ პრეზიდენტზე შექმნა. იგორ კვესელავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდეგ ზვიად გამსახურდია ის იშვიათი გამონაკლისია, რომელიც პოლიტიკაში არა მფარველს, არამედ მოკავშირეს ეძებდა. პროფესორი ეყრდნობა უმდიდრეს წყაროებს, მრავალფეროვან მასალებს და ასკვნის, რომ 1991-1992 წლების სისხლიანი პროცესები და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა კრემლის გარეშე არ მომხდარა! უფრო მეტიც, ავტორი არაერთგზის მიმართავს ცნობილი რუსი პოლიტიკოსებისა და გავლენიანი პირების – მოსკოვის ყოფილი მერის – გავრილ პოპოვის, გენადი ბურბულისის, აფანასიევისა და სხვათა – მოგონებებს იმის შესახებ, რომ კრემლს საქართველოში გადატრიალება 65 მილიონი მანეთი დაუჯდა. იგორ კვესელავას დასკვნით, ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ შევარდნაძის ხელისუფლების სათავეში მოყვანა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, დიდად განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელ სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის პირადმა დამოკიდებულებამ და პოზიციამ შევარდნაძის პერსონისადმი. საქმე ისაა, რომ, როგორც კვესელავა გვარწმუნებს, ბეიკერი პირადად გახლდათ დავალებული

შევარდნაძისგან „ცივი ომის“ დასრულებაში გაწეული სამსახურისთვის, ამიტომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაიკავა საქართველოსთვის დამღუპველი პოზიცია და ხელი არ შეუშალა იმ პროცესს, რასაც ეროვნული ხელისუფლების დამხობა და საბოლოოდ პირველი პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია მოჰყვა!

ნაშრომზე მუშაობისას დიდი დახმარება გაგვიწია თენგიზ კიტოვანის „გენერლების“ – თამაზ დუმბაძისა და ჯემალ ჭუმბურიძის მოგონებებმაც. ერთიც და მეორეც, ფაქტობრივად, აღიარებით ჩვენებას იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ დაამხეს ზვიად გამსახურდია, როგორ იგეგმებოდა პირველი პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია და რა უბედურება მოუტანა საქართველოს იმ სისხლიანმა პროცესებმა, რომლებიც თბილისში 1991 წლის 2 სექტემბერს დაიწყო.

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენების შესახებ ფასდაუდებელ ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველი სამხედრო მოღვაწის, გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის, მოგონებები „მე – გენერალი ეპიტაშვილი“. ეს წიგნი, რომელიც ჟურნალისტმა რამინ ყურაშვილმა გამოსცა, დეტალებში მოგვითხრობს თბილისში განვითარებულ დრამატულ ამბებს და ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებაც, თუ როგორ და რა სიტუაციაში ჩამოფრინდა 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძე თბილისში. მიგვაჩნია, რომ საბჭოთა უშიშროების გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის მემუარების გარეშე ეროვნული ხელისუფლებისა და პირველი პრეზიდენტის დამხობის ისტორია ვერ დაიწერება. ეპიტაშვილი ამ მხრივ მართლაც განსაკუთრებული ავტორია...

ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თანამებრძოლმა ავთანდილ რცხილაძემ 2018 წელს გამოსცა სქელტანიანი მემუარები „მზე კავკასიისა“, რომელიც უნიკალურ ფაქტობრივ მასალებს მოიცავს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ასეთი ყოვლისმომცველი და ინფორმაციული მემუარები ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების შესახებ ჯერ არ და-

ბეჭდილა. ავთანდილ რცხილაძე ზვიად გამსახურდიასთან დაახლოებული პირი იყო და, აქედან გამომდინარე, ბევრ ისეთ რამეს შეესწრო, რაც სხვებისთვის და, მით უფრო, ფართო საზოგადოებისთვის, უცნობია. რცხილაძე ლოგიკურ ახსნას უძებნის 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პრეზიდენტის დამხობა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი სპეცოპერაცია იყო, რომელიც ედუარდ შევარდნაძის უშუალო მონაწილეობის გარეშე არ მომხდარა. მისი შეხვედრები ჯაბა იოსელიანთან, ჯაბა იოსელიანის მუქარა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მისამართით და საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა იმის ნათელი დასტურია, რომ გადატრიალების მოსურნეებმა ყველაფერი დიდი გეგმის მიხედვით წარმართეს. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ავთანდილ რცხილაძის „მზე კავკასიისა“ მეოცე საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ისტორიის შესასწავლად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ფასეული წყაროა.

ფასდაუდებელია პროფესორ ივანე თვალავაძის მემუარებიც „ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ“, რომელიც 2019 წელს გამოვიდა. ივანე თვალავაძე დეტალურად აღწერს იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც ეროვნულ მოძრაობაში თავიდანვე არსებობდა. ის აკაკი ბაქრაძის გუნდის წევრი იყო და, აქედან გამომდინარე, ბევრი იცის იმ დაპირისპირებაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და აკაკი ბაქრაძეს, ასევე, აკაკი ბაქრაძესა და ჯაბა იოსელიანს შორის არა და არ აღმოიფხვრა.

ზვიად გამსახურდიას კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და ეროვნულ ხელისუფლებას ყველა უბედურების მიზეზად ასახელებს პროფესორი უჩა ბლუაშვილი, რომელიც ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში პრეზიდენტის რწმუნებულის მთავარ მრჩევლად მუშაობდა. მისი მონოგრაფია „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკუ-

რი კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“, ჩვენი აზრით, უსუსური და ამაო მცდელობაა იმისა, რომ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვარში საქართველოში დატრიალებული უბედურება მხოლოდ „მრგვალი მაგიდის“, ანუ ხელისუფლების შიგნით ატეხილ დაპირისპირებად შემოგვასაღონ. ბლუაშვილის მტკიცებით, „ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება ყოველგვარი დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით თრგუნავდა დემოკრატიას, ფეხქვეშ თელავდა ადამიანის ელემენტარულ უფლებებს, რამაც მთელი დემოკრატიული მსოფლიოს თვალში გაუტეხა სახელი გამსახურდიას. მის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა ქართველმა ინტელიგენციამაც. მალე დაპირისპირებამ თავი იჩინა მმართველ ბლოკშიც. ხელისუფლება შუაზე გაიხლიჩა. 1991 წლის დეკემბერში ოპოზიციაში გადასულმა ყოფილმა პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლა მოაწყვეს, რაც 1992 წლის 6 იანვარს ქვეყნიდან პრეზიდენტის გაძევებით დასრულდა“. [3:296] ვფიქრობთ, საქართველოს უახლესი ისტორიის ამ მართლაცდა ყველაზე უფრო ტრაგიკული და მნიშვნელოვანი მონაკვეთის ასე გაბიაბრუება, გაყალბება და თავდაყირა დაყენება თვით ფაშისტური მესამე რაიხის პროპაგანდის შეფს, ავადსახსენებელ იოზეფ გებელსსაც კი შეშურდებოდა.

ზვიად გამსახურდიას საგარეო პოლიტიკური კავშირების შესახებ ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანმა, რომელიც 1991 წლის თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს სამთავრობო დელეგაციას ხელმძღვანელობდა და სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ჯო ბაიდენს პირისპირ შეხვდა. ასათიანის ინფორმაციით, იგეგმებოდა მისი შეხვედრა ვიცე-პრეზიდენტ კუეილთან, მაგრამ ეს ყველაფერი პრეზიდენტმა ბუშმა ჩაშალა, რადგან გორბაჩოვის განაწყენებას მოერიდა.

წინამდებარე ნაშრომის ხერხემალს წარმოადგენს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრის, აღმოსავლური

ბრძოლების ოსტატ ნოდარ მაისურაძის მიერ მოწოდებული უნიკალური ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ ჩაშალა ედუარდ შევარდნაძემ ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის არაოფიციალური შეხვედრა ზურაბ წერეთლის მოსკოვურ სახელოსნოში. არანაკლებ მნიშვნელოვანია რენო სირაძისეული უაღრესად საინტერესო ცნობები შევარდნაძის მიერ წარმოებული ძირგამომთხრელი საქმიანობის შესახებ, რასაც, საბოლოო ჯამში – საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისა და პირადად ზვიად გამსახურდიას საბედისწერო და მიზანმიმართული იზოლაცია, ხოლო შემდეგ დამხობა მოჰყვა.

უაღრესად საინტერესო წიგნი გამოსცა ამერიკელმა ჟურნალისტმა თომას გოლცმა, რომელმაც 1992-2008 წლებში თავიდან ბოლომდე გამოიარა ქართული ჯოჯოხეთი. მისი „საქართველო. ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“ დიდმპყრობელი ერის შვილის დაწერილია, რომელიც ამერიკელების თვალით დანახულ საქართველოზე მრუდე წარმოდგენას გვიქმნის... თომას გოლცი ჩვენი ქვეყნის გულშემატკივარი და მორალისტი არ გახლავთ, ის ტიპური ამერიკელია, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში სარგებელს ეძებს. ამავდროულად, გოლცი საშინელი ირონისტია, თუმცა, მისი შეხვედრები ედუარდ შევარდნაძესთან და, განსაკუთრებით, ინტერვიუების ის ნაწილი, სადაც შევარდნაძე ზვიად გამსახურდიას შესახებ საუბრობს, უაღრესად საინტერესო და ფასეულია.

შეუძლებელია, პროტესტის გარეშე გაეცნო ამერიკელ პროფესორ სტივენ ჯონსისა და „ბი-ბი-სის“ რუსული სამსახურის თანამშრომელ რობერტ პარსონსის მიერ გამოთქმულ იმ შეფასებებს, რომლებითაც მათ ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება შეამკეს თავიანთ გახმაურებულ ნაშრომში „საქართველო და ქართველები“. მიუხედავად ამისა, ამ წიგნშიც კი ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ საქართველოში რევოლუცია კი არა, სინამდვილეში გადატრიალება მოხდა!

ეროვნული ხელისუფლების დამხობის შესახებ საინტერესო მასალებს გვაწვდის რუსი ავტორი სპარტაკ ჟიდკოვიც. მისი წიგნი „Бросок малой империи“, რომელიც 1996 წელს მაიკოპში გამოიცა, მოიცავს უნიკალურ ცნობებს იმ მოსკოვური შეხვედრების შესახებ, რომელთაც თენგიზ კიტოვანი პავლე გრაჩოვსა და კრემლის სხვა მაღალჩინოსნებთან აწარმოებდა.

ნაშრომის მომზადების პროცესში დიდი დახმარება გაგვიწია ცნობილ კანადელ კინოდოკუმენტალისტ კრის ვერნერის მიერ გადაღებულმა დოკუმენტურმა ფილმმა „ნომენკლატურის შურისძიება“, რომელსაც თავის დროზე მსოფლიო მასშტაბის რეზონანსი მოჰყვა.

ნაშრომს ახალი სიცოცხლე შესძინა ამერიკის ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს მიერ შექმნილმა იმ დოკუმენტებმა, რომლებიც ზვიად გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს და რომლებსაც „გრიფით საიდუმლო“ ამ ბოლო წლებში მოეხსნა.

კვლევის პროცესში ჩვენი ინტერესის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი და სამიზნე ქართულ თუ უცხოურ პრესაში, ასევე, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული იმ მრავალფეროვანი მასალების მეცნიერული შესწავლაც გახლდათ, რომლებიც წინამდებარე ნაშრომში ფართოდ არის წარმოდგენილი.

1. სახელმწიფო გადატრიალების თეორიულ-მეთოდოლოგიური და ისტორიული საფუძვლები

1.1. სახელმწიფო გადატრიალებების თეორიული ჩარჩო და საერთაშორისო გამოცდილება

ამერიკელი პოლიტოლოგი და ისტორიკოსი ედვარდ ლიუტვაკი, რომლის მოძღვრებაც სახელმწიფო გადატრიალების შესახებ წინამდებარე ნაშრომის ერთგვარ თეორიულ ჩარჩოს წარმოადგენს, თავის გახმაურებულ ნაშრომში – „სახელმწიფო გადატრიალება – პრაქტიკული უზრუნველყოფა“ – გამოყოფს სამ პირობას, რომლებიც წარმატებული სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად აუცილებელია:

1. ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რადგან გაჭირვებულ და ღარიბ ქვეყნებში გადატრიალებები უფრო ხშირად ხდება, ვიდრე მდიდარ სახელმწიფოებში;

2. ქვეყნის დამოუკიდებლობა, რადგან შეუძლებელია სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა იმ ქვეყანაში, რომლის ხელისუფლების წყაროც სულ სხვაგან, სახელმწიფოს გარეთ არსებობს;

3. ცენტრალიზებული მმართველობა, რადგან რეგიონების თვითმყოფადობა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ძალიან ართულებს. [4:171]

როგორც გვარწმუნებენ, „სახელმწიფო გადატრიალება“ პირველად თავის ნაშრომში 1639 წელს დიდი ფრანგი სახელმწიფო მოღვაწისა და მეფე ლუი მეცამეტის მთავარ მინისტრს, კარდინალ რიშელიეს პირადმა ბიბლიოთეკარმა გაბრიელ ნოდემ ახსენა, რომელმაც ეს ტერმინი თავის ნაშრომში დაამკვიდრა. [1:459]

ცნობილი იტალიელი მწერლის, ჟურნალისტისა და კინორეჟისორ კურციო მალაკარტეს აზრით, „თანამედროვე სახელმწიფოს მიტაცებისა და დაცვის პრობლემა განეკუთვნება არა პოლიტიკის, არამედ ტექნიკის სფეროს!“ [5:3]

ანალიზი ამ ოცდაათი წლის წინათ საქართველოში განვითარებული დრამატული პოლიტიკური პროცესებისა, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ეროვნული ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობითა და ქვეყნიდან განდევნით დასრულდა, სულ უფრო და უფრო გვარწმუნებს, რომ სახელმწიფო გადატრიალების დაგეგმვისა და აღსრულების მთავარმა აქტორებმა საქართველოში მართლაც დიდი „ტექნიკური“ სამუშაო გასწიეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოში გადატრიალება ვერ მოხდებოდა; ხოლო თუ რა „ტექნიკა“ გამოიყენეს და რა ხერხს მიმართეს დაინტერესებულმა პირებმა საქართველოში ხელისუფლების იარაღის ძალით დასამხობად, ამის შესახებ წინამდებარე ნაშრომში დეტალურად მოგახსენებთ!

ედვარდ ლიუტვაკისა და კურციო მალაკარტეს თეორიები სახელმწიფო გადატრიალების შესახებ, სავარაუდოდ, საქართველოში გაცუდდებოდა, რომ არა კიდევ ერთი დამატებითი ფაქტორი, რომელმაც ეროვნული ხელისუფლების დამხობის მოსურნეთა ხელში დამანგრეველი იარაღის ძალმოსილება შეიძინა. ეს დამატებითი ფაქტორი გახლავთ ეროვნული ღალატი!

როგორც ცნობილი კრიტიკოსი და ერთა შორის საკითხებში საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მრჩეველი, აწ განსვენებული პროფესორი გოგი გაჩეჩილაძე შენიშნავს, „ზვიად გამსახურდიას წინ აღუდგა ის, ვისი იმედიც ყველაზე მეტად უნდა ჰქონოდა – ელიტა! ელიტამ გაყიდა თავისი ერი! ელიტა მხარში ამოუდგა საკუთარ ქვეყანაში დამპყრობი ქვეყნის ჯარის შემომყვან ხელისუფლებას და ამ ხელისუფლებამაც, ანუ შევარდნაძემ, მადლობა გადაუხადა ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში დემოკრატიის დასაცავად!“ [6:7-8]

თუ ამ სამარცხვინო ფაქტის ანალოგს კაცობრიობის ძველისძველი ისტორიის ლაბირინთებში დავუწყებთ ძებნას, აუცილებლად მივადგებით მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ უდიდეს სარდალ ჰანიბალის გმირულ, მაგრამ ტრაგიკულ თავგადასავალს,

რომელსაც კართაგენის ოლიგარქიამ, ანუ თავისი სამშობლოს ელიტამ, სამარცხვინოდ უღალატა და რომაელების წინააღმდეგ ბრძოლაზე უარი უთხრა. როგორც ცნობილია, ბითვინიაში რომაელების მიერ ალყაშემორტყმულმა ჰანიბალმა ბეჭდიდან საწამლავი დალია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რაც ისტორიკოსებისა და მკვლევრების მიერ შეფასებულია როგორც სამხედრო სიკვდილი! სხვათა შორის, ერთ-ერთი ვერსიით, მკვლელების მიერ ალყაშემორტყმულმა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმაც შეურაცხყოფასა და დამცირებას სამხედრო სიკვდილი არჩია, თუმცა, ჩვენ ამ ვერსიას არ ვიზიარებთ და ვამტკიცებთ, რომ ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძემ მოაკვლევინა!

ცნობილია, რომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე ახლად ფეხშედგმული ქვეყნებისთვის სახელმწიფო გადატრიალება და პოლიტიკური ქაოსი დამახასიათებელი და ნიშანდობლივი პროცესია. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობის თანახმად, 1825 წლიდან დღემდე, რაც კოლუმბიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ქვეყანაში 200 სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, ანუ ყოველ წელს მთავრობა ძალადობრივად ემხობოდა და იცვლებოდა.

საქართველოში მომხდარი 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება დიდ სულიერ ერთობას ამჟღავნებს 1953 წლის 19 აგვისტოს ირანში დაწყებულ ოპერაცია „აიაქსთან“, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სააგენტომ დაგეგმა. ოპერაციას შედეგად მოჰყვა ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკის ხელისუფლების დამხობა. მოსადიკი, რომელიც ხელისუფლებაში 1951 წლის აპრილში მოვიდა, ირანის ეროვნულ ინტერესებს განუხრელად იცავდა. მისი ეროვნული პოლიტიკის შედეგად ირანმა დიდ ბრიტანეთთან ურთიერთობა გაწყვიტა და ინგლისელი მენავთობეები ქვეყნიდან გააძევა. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ამერიკელებმა ირანში მოახერხეს გადატრიალების მოწყობა და მოსადიკის ეროვნული ხელისუფლების დამხობა, რაც ცენტრალურ სადაზვერ-

ვო სამმართველოს 18 მილიონი ამერიკული დოლარი დაუჯდა. [1:461]

პროფესორი დიმიტრი შველიძე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში (1987-1992 წწ.)“ პრეზიდენტ გამსახურდიასა და პრემიერ-მინისტრ მოსადიკის დამხობაში საერთო ნიშნებს სავსებით სამართლიანად პოულობს, თუმცა, დასკვნაში აცხადებს, რომ ირანის ლიდერის ჩამოსაგდებად „ოპერაცია „აიაქსი“ ქვეყნის გარეთ დაიგეგმა, სხვა ქვეყნების ფინანსურ-პოლიტიკური რესურსებით და ინიციატივით მომზადდა და, ძირითადად, გარედან ჩარევის გზით განხორციელდა. ჩვენ შემთხვევაშიც ჯობდა, ანალოგიურად მომხდარიყო, ყველაფერი მეტროპოლიის ფულით და სამხედრო ძალებით განხორციელებულიყო და ქართველი კაცი ყველაფერს გარე ძალას დააბრალებდა, მერე ხელებს გაასავსავებდა და იტყოდა – აბა, რა ვქნა, ჩემი ბრალი რა არის. ძალა აღმართს ხნავსო. ასე მოხდა სწორედ 1921 წელს“. [1:462]

ცხადია, პროფესორი შველიძე არ უარყოფს, რომ საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალება უცხოეთიდანაც იყო მხარდაჭერილი, თუმცა, ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივად შეცვლის მთავარ მიზეზს ის მაინც ქართველთა შორის არსებულ დაპირისპირებასა და შუღლში ხედავს, რომელიც მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს დაწყებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას იმთავითვე ავ ბედისწერად აედევნა. ჩვენ სხვაგვარად ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ, თუ არა საგარეო ფაქტორი და ქართველი ერის წინააღმდეგ შეთქმულება, რომელიც სწორედ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიგეგმა, საქართველოში ვერანაირი სახელმწიფო გადატრიალება ვერ მოხდებოდა! საქართველოში მთავარ პოლიტიკურ აქტორებს შორის კონსენსუსის მიღწევა ორი ფაქტორის გამო ვერ ხერხდებოდა: 1) არ არსებობდა საამისო პოლიტიკური კულტურა და გამოცდილება; 2) საქართველოს საშინაო საქმეებში სწორედ უცხო ძალები

ურევდნენ ხელს. მოკლედ, ეროვნული შუღლიც და ურთიერთქიშპიც, ძირითადად, იმით იყო განპირობებული, რომ ეროვნულ ხელისუფლებასთან რადიკალურად დაპირისპირებული და სახელმწიფო გადატრიალებაში აქტიურად ჩართული ძალების უკან სწორედ უცხო სახელმწიფოთა სპეცსამსახურები და უმაღლესი რანგის უცხოელი პოლიტიკური პირები იდგნენ. ეს გავლენიანი და ყოვლისშემძლე ადამიანები, რომლებმაც ზვიად გამსახურდია სრულ საერთაშორისო-პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქციეს, საქართველოს პირველ პრეზიდენტს ყველგან პრობლემებს უქმნიდნენ. ამის ნათელი დასტურია, თუნდაც, ის ისტორია, რომელიც საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ დევნილობაში მყოფი გამსახურდიას გარშემო გათამაშდა.

როგორც ცნობილია, 1992 წლის დეკემბერში ზვიად გამსახურდიამ ჩეჩნეთიდან ევროპაში იმოგზაურა. საქართველოს დევნილ პრეზიდენტს უნგრეთის მაშინდელი პრეზიდენტი არპად გენცი სამარცხვინოდ დაემალა. არადა, მანამდე გენცი ფინეთში მყოფ გამსახურდიას ტელეფონით ესაუბრა და თავისთან მიიპატიჟა. ავსტრიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამსახურდიას ვიზა არ გაუგრძელეს და რომ არა მისი უახლოესი მეგობარი და დიდი თაყვანისმცემელი, ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი და ავსტრიის კრონ-პრინცი, მისი უდიდებულესობა ოტო ფონ ჰაბსბურგი, კაცმა არ იცის, რით დასრულდებოდა პრეზიდენტის ვოიაჟი. გამსახურდიას ვიზას არ აძლევდნენ თურქეთისა და შვეიცარიის საკონსულოებშიც და ისე აწამეს, ლამის ჯვარს აცვეს. უფრო მეტიც, გერმანიაში გაურკვეველმა პირებმა ქუჩაში სცემეს ქართველ ემიგრანტ რუსუდან შმიდტის გერმანელ მეუღლე ერვინ შმიდტს, რომელსაც წიხლებით შესდგნენ და თან ზემოდან დაჰყვიროდნენ – შენი ცოლი სად წავიდაო?! საქმე ის გახლავთ, რომ რუსუდან შმიდტი ზვიად გამსახურდიას ევროპული მოგზაურობის დროს აეროპორტში დახვდა და დიდი დახმარებაც გაუწია. გამსახურდიასთან შეხვედრის შემდეგ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა თურქეთის

პრეზიდენტი თურქუთ ოზალი, რომელსაც ევროპიდან წამოსული საქართველოს დევნილი პრეზიდენტი ისევ უნდა შეხვედროდა და შეთანხმება ამის შესახებ მათ შორის უკვე მიღწეული იყო...

ყველა ზემოხსენებული ფაქტი და ისტორია თავის მოგონებებში აღწერა უზენაესი საბჭოს დეპუტატმა და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლმა მერაბ კიკნაძემ, რომელმაც საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ერთად ევროპაში იმოგზაურა და 2014 წლის 27 ივლისს ქართულ ციფრულ მედიაში გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო დოკუმენტური მასალა „ზვიად გამსახურდიას მოგზაურობა ევროპაში“. აი, რას ვკითხულობთ მერაბ კიკნაძის მოგონებებში: „გერმანიის საკონსულოს ჰელსინკში ვიზებისათვის განმეორებით მივმართეთ. კონსულმა აილა ნიინიმაას პრივატულად განუცხადა, რომ აპლიკაციების შეტანას აზრი არ აქვს, ოფიციალურ, წერილობით პასუხზე კი ცივი უარი განაცხადა. ამის პასუხად ზვიადმა კანცლერ კოლს ფაქსით წერილი გაუგზავნა – დაახლოებით ასეთი სულისკვეთების: „კომუნისტური რეჟიმის დროიდან ვცდილობ გერმანიაში მოხვედრას, სადაც მამაჩემმა – ქართული ლიტერატურის კლასიკოსმა – კონსტანტინე გამსახურდიამ განათლება მიიღო და რომელთანაც მეც, როგორც მკვლევარს, უამრავი რამ მაკავშირებს. კომუნისტები ჩემი ქვეყნიდან არ მიშვებდნენ, ახლა თქვენ თქვენს ქვეყანაში არ მიშვებთ. რამ შეგაშინათ, არანაირი პოლიტიკური, მით უმეტეს „დესტრუქციული“ მოქმედების გაშლას მანდ არ ვაპირებ. კერძო მოწვევით მსურს ჩამოსვლა!“ წერილი, რა თქმა უნდა, უპასუხოდ დარჩა, ამიტომ ვერ შევიტყვეთ, თუ რისი ეშინოდა კოლს. ეს ფაქტი გახმაურდა და სკანდალის ხასიათი შეიძინა, როცა უმსხვილესმა გერმანულმა გაზეთმა „Frankfurter Algemaine“-მ გამოაქვეყნა წერილი „მეტერნიხი ბონში“, დაახლოებით, ასეთი ხასიათის: „ზვიად გამსახურდიას თავის სიმართლე აქვს. მისაღებია ეს სიმართლე თუ არა, ჩვენი განსჯის საგანი არ არის. ცხადი ისაა, რომ ამ სიმართლეში რაღაც ძალზე უსიამოვნოა კანცლერ კოლისათვის. სხვანაირად რომ იყოს, რატომ შეეწინააღმდეგებოდა ერთი კაცის

ქვეყანაში შემოშვებას?“ ავტორს ეჭვიც არ შეჰპარვია იმაში, რომ ზიადის შეშვება-არშეშვების საკითხს კოლი წყვეტდა. მოგვიანებით გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უტიფრად განაცხადა: ვიზაზე უარი არ გვითქვამს, უბრალოდ აპლიკაცია არ შემოუტანიაო (!)“[7]

ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმული იმის უტყუარი მტკიცებულებაა, რომ საქართველოში 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება ოდენ თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანის, გიორგი ჭანტურიასა და რკონის ტყის დონეზე არ მომხდარა და ამ სისხლიანი პროცესების უკან როგორც ევროპელი, ისე ამერიკელი და რუსი გავლენიანი სამხედრო-პოლიტიკური ელიტის წევრები იდგნენ!

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება ძალიან ჰგავს 1993 წლის ზაფხულში აზერბაიჯანში განვითარებულ პროცესებს, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის კანონიერ პრეზიდენტ აბულფას ელჩიბეის დამხობით დასრულდა. როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანშიც გამოინახა იქაური „თენგიზ კიტოვანი“, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – პოლკოვნიკი სურაით ჰუსეინოვი, რომელიც ქალაქ განჯიდან დაძრეს, რუსეთის არმიის სამხედრო ნაწილში ახალთახალი სამხედრო ტექნიკით აღჭურვეს და ქვეყნის კანონიერი პრეზიდენტის წინააღმდეგ მარშიც უკურთხეს. სხვათა შორის, როგორც თენგიზ კიტოვანი აღმერთებდა ზვიად გამსახურდიას, რასაც თბილისის პირველი მერის, თამაზ ვაშაძის, სახლის ჭერზე კიტოვანის მიერ ნახშირით შესრულებული წარწერა მოწმობს *(კიტოვანი წერს: „დიდება ზვიადს!“ – ხაზი ჩვენია. დ. ჩუბინიძე)*, სწორედ ისე ერთგულებდა და აღმერთებდა პოლკოვნიკი ჰუსეინოვი პრეზიდენტ ელჩიბეის, რომელმაც მას „აზერბაიჯანის ეროვნული გმირისა“ და მთიან ყარაბაღში პრეზიდენტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ტიტული მიანიჭა. [8:4]

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა და თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ აზერბაიჯანში პრეზიდენტ ელჩიბეის კანონიერი ხელისუფლების დამხობა მკაცრად დაგმეს [9:1], რაც აზერბაიჯანში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებას 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვარში საქართველოში დატრიალებული სისხლიანი მოვლენებისგან რადიკალურად განასხვავებს. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ბაქოში ხელისუფლება მაინც შეიცვალა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, გადატრიალების ინიციატორები არა დასავლეთში, არამედ მხოლოდ კრემლში იყვნენ! საქმე ის გახლავთ, რომ ელჩიბეის, როგორც მგზნებარე პანთურქისტს, თავიდანვე გაცხადებული ჰქონდა, რომ პოლიტიკურ ბრძოლაში მისი მთავარი მოკავშირე სწორედ დასავლეთი იქნებოდა! ამან პრეზიდენტი ელცინი და რუსეთის გენერალიტეტი აზერბაიჯანის პრეზიდენტის დასამხობად მომართა. ელჩიბეიმ თავისი პოლიტიკური კურსი კიდევ უფრო დააკონკრეტა 1992 წლის დეკემბრის დასაწყისში, როცა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის მეორე ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა და ბეჭედი დასვა – საგარეო პოლიტიკაში აზერბაიჯანის მთავარი მოკავშირე იქნება ამერიკის შეერთებული შტატები, თურქეთი და დიდი ბრიტანეთი, ხოლო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის პრიორიტეტს ვანიჭებთ უკრაინასთან ურთიერთობასო! [10: 2]

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, გადატრიალება და კანონიერი ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა საქართველოშიც მოხდა და აზერბაიჯანშიც, მაგრამ გარკვეული განსხვავებებით. კერძოდ, თუ საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას რუსეთი და ამერიკა შეხმატკბილებული უთხრიდნენ ძირს, აზერბაიჯანში მათ შორის წინააღმდეგობები აშკარა იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, ხალხის ნება ორივეგან ფეხქვეშ გაითელა და აზერბაიჯანშიც ის მოხდა, რაც დიდ „დერჟავას“, ამ შემთხვევაში, რუსეთს სურდა!

დღევანდელი გადასახედიდან არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის რღვევის გარიჟრაჟზე, 1989 წლის 25 დეკემბერს, მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ხარისხის ნავთობით უმდიდრესი რუმინეთის ლიდერი ნიკოლაე ჩაუშესკუ, მეუღლესთან ერთად, შემთხვევით არ დაუხვრეტიათ. დიდი ალბათობით, ჩაუშესკუს რეჟიმიც იმ ტიპის სპეცოპერაციას ემსხვერპლა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური დაზვერვის სააგენტომ 1953 წელს ირანის პრემიერ-მინისტრ მოსადიკის დასამხობად წარმატებით განახორციელა. ჩაუშესკუ, რომელმაც გაისტუმრა ყველა ვალი, ატარებდა მკაცრ ეკონომიკურ კურსს და, საბჭოთა კავშირთან რიგი უთანხმოებების მიუხედავად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს არ სწყალობდა, იმპროვიზებულ სასამართლო პროცესზე სწორედ „უცხოეთის ბანკებში საიდუმლო ანგარიშების გახსნისა“ და „ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგების“ გამო დახვრიტეს! [11:510]

არადა, 1988 წლის მონაცემებით, რუმინეთმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად 5 მილიარდი დოლარით მეტი საქონელი გაყიდა, ვიდრე ქვეყანაში შემოიტანა. ერთ-ერთი ცნობით, შიდა ვალი, რომელიც ჩაუშესკუმ გაისტუმრა, 21 მილიარდ ამერიკულ დოლარს აღემატებოდა! [12]

1.2. სახელმწიფო გადატრიალებების ქართული გამოცდილება

საქართველოს ისტორია გაუნელებელი სამამულო ომებისა და სისხლიანი გადატრიალებების უწყვეტი და მრავალსაუკუნოვანი ქრონიკაა! ფეოდალური ხანის საქართველოში სამეფო კარის გადატრიალებებს გამორჩეულად სპეციფიკური ხასიათი ჰქონდა და მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში მომხდარი მსგავსი ძალადობრივი პრეცედენტებისგან აშკარად განსხვავდებოდა. კერძოდ, თუ რუსეთის მიერ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში საქართვე-

ლოში მოწყობილ იმ ხუთ სახელმწიფო გადატრიალებას უგულებელვყოფთ, რომლებსაც ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების გაუქმება, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ფიზიკური განადგურება და შევარდნაძის სააკაშვილით ჩანაცვლება მოჰყვა, ბაგრატიონების სამეფო დინასტიის მრავალსაუკუნოვანი მმართველობის ხანაში იშვიათად მოიძებნება ფაქტი, ძალადობითა და სისხლიანი გადატრიალებით დამხობილი რომელიმე ბაგრატიონი ტახტზე არაბაგრატიონს ჩაენაცვლებინოს! თვით ირანი და ოსმალეთიც კი ვერ ბედავდნენ საქართველოში დინასტიის შეცვლას და დაშლილ-დანაკუწებულ საქართველოს პროვინციებში არაბაგრატიონის გამეფებას. ე.წ. ვახტანგ „ჭუჭუნიაშვილიც“ კი, თეიმურაზ პირველისა და დედოფალ ხორეშანის გარყვნილი ქალიშვილის – ნესტან-დარეჯანის, მესამე ქმარი, რომელიც იმერეთის ნომინალური მმართველი და რამდენიმედღიანი მეფე გახლდათ, გვარად ბაგრატიონი იყო...

საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებათა ისტორიას ღრმა ფესვები აქვს. ფარსმან პირველის დროს, ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში და უფრო ადრეც, ქართლის, ანუ იმავე იბერიის სამეფოში მომხდარი ამბები, რასაც სახელოვანმა ქართველმა აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ საგანგებო კვლევა მიუძღვნა, სხვა არაფერი იყო, თუ არა სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებათა ან გადატრიალების მცდელობათა გაუთავებელი კასკადი. [13:62-63] გადატრიალებები საქართველოს არც შემდეგ დაჰკლებია, მაგრამ წინამდებარე ნაშრომში პრობლემის მეცნიერული მიმოხილვა მიზანმიმართულად დავიწყეთ სწორედ იმ ეპოქიდან, როცა დავით მესამე კურაპალატისა და მისი შვილობილის – ბაგრატ მესამის, ხელმძღვანელობით ერთიანი ქართული სახელმწიფო შედგა.

ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ 1054 წელს, როცა საქართველოს მეფე ბაგრატ მეოთხე ბიზანტიაში კეისართან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა, ლიპარიტ ბაღვაშმა, რომელიც

მეფეს ეურჩებოდა და არა მარტო მესხეთს, არამედ მთელ საქართველოს ეპოტინებოდა, მცირეწლოვანი უფლისწული გიორგი რუისის ტაძარში წაიყვანა და თვითნებურად მეფედ აკურთხა. ლიპარიტს, რომელმაც, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და მთელი ძალაუფლება ხელში ჩაიგდო, ცხადია, ბაგრატ მეოთხის შვილის – მომავალი გიორგი მეორე ბაგრატიონის – თუნდაც, ნომინალურად გამეფება ხელს არ აძლევდა, მაგრამ მან საქართველოს სამეფო ტახტზე არაბაგრატიონის აყვანა მაინც ვერ გაბედა! [14:327]

1089 წელს საქართველოში მომხდარი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენა, როცა მირონცხებული მეფე გიორგი მეორე ტახტიდან გადადგა და გვირგვინი და სკიპტრა დაუტევა თავის 16 წლის ვაჟს – დავითს, ხავერდოვან სახელმწიფო გადატრიალებად უნდა მივიჩნიოთ! 1089 წლით დათარიღებულ ისტორიულ ცვლილებას, რომელმაც არა მარტო საქართველოსა და კავკასიის, არამედ მთელი მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ბედი, სულ მცირე, 120 წლით მაინც განსაზღვრა, თამამი შეფასებებით ეხმაურება აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც თავის „საქართველოს ისტორიის საკითხებში“ ბაგრატ მესამიდან მოყოლებული, ყველა იმ აჯანყებულსა თუ გადატრიალების მოსურნეს ჩამოთვლის, რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ, ხაზგასმით აღნიშნავს: „ასეთ გამოსვლათაგან გამარჯვებით დამთავრდა დავით უფლისწულისა და მისი დასის გამოსვლა გიორგი მეორის წანააღმდეგ, რასაც დავითის გამეფება და საშინაო პოლიტიკის სრული შეცვლა მოჰყვა!“ [15:145]

როგორც ჩანს, 1089 წელს საქართველოში მომხდარი გადატრიალება აშკარად ხავერდოვანი იყო და ეს პროცესი რაღაც ზღვარს ისე არ გადასცდენია, რომ მამა-შვილს შორის სამუდამო სამდურავსა და მტრობას ეჩინა თავი. ეს რომ ასეა, ამას 1103 წელს გამართული რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „ძეგლისწერის“ სინოდიკონიც ადასტურებს, სადაც საგანგებოდ არის მითითებული,

რომ სხვა კეთილშობილ საერო თუ სასულიერო წოდების უმაღლეს პირთა შორის თავყრილობას ესწრებოდა დავით აღმაშენებლის მამა, „მეფეთ-მეფე“ გიორგი მეორე. [16:542]

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ დავით აღმაშენებელი და გიორგი მეორე ერთად არიან მოხსენიებული ალავერდის მონასტრის წარწერაში, როგორც მისი აღმდგენელნი. [17:26-28]

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში 1089 წელს მომხდარი ამბავი ერთადერთი თუ არა, ის იშვიათი და ბედნიერი შემთხვევაა, როცა ხავერდოვანი თუ არცთუ ისე ხავერდოვანი გადატრიალება ქვეყნის ტრიუმფალური აღმასვლისა და მანამდე არნახული წარმატების საფუძველი გახდა. ცნობილი ანალიტიკოსი და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იგორ კვესელავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავითისა და თამარის ეპოქაში „თვალსაჩინო იყო ეროვნული პოლიტიკური უნისონის კონცეფცია“. მეცნიერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „დავითისა და თამარის საქართველოს საშინაო და საგარეოპოლიტიკური დოქტრინა წონასწორობის პოლიტიკას ეფუძნებოდა და ქართულ პოლიტიკაში მოკავშირესა და პარტნიორზე კეთდებოდა მთავარი აქცენტი მაშინ, როცა შემდგომში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში გადამწყვეტ ფაქტორად იქცა დიდი მფარველის ძიება“. [18:216]

მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების სისხლიანი და ვერაგი აჩრდილი დამღად აზის დიდი ქართველი ხელმწიფის, დემეტრე პირველის, მეფობას, რომელმაც მამის, დიდი დავით აღმაშენებლის, ანდერძი ფეხქვეშ გათელა და თვალები დასთხარა თავის უმცროს ძმას – ვახტანგს. გელათის მონასტრისადმი მიძღვნილ ანდერძში, რომელიც, სავარაუდოდ, დიდი ხელმწიფის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე უნდა იყოს შედგენილი, დავით აღმაშენებელი უფროს ვაჟს, დემეტრეს, უბარებს, რომ „ძმა მისი გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ-იყოს ცუატა, შემდგომად მისსა, მეფე-ჰყოს მამულსა ზედა!“ [19:19]

თუ ეს ანდერძი ნამდვილად დავით აღმაშენებელს ეკუთვნის და გაყალბებული არ არის, რის შესახებაც სამეცნიერო საზოგადოებაში გარკვეული ეჭვები არსებობს, მაშინ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ საქართველოს უდიდესმა მეფემ სიკვდილის წინ მიუტევებელი პოლიტიკური შეცდომა დაუშვა და საქართველოში მეფის არჩევის წესის, საუკუნეების განმავლობაში ჩაკირული და შეუცვლელი მაიორატის პრინციპის შეცვლა სცადა – დემეტრეს დაუბარა, მეფობა შენ შემდეგ შენს უფროს ვაჟს კი არა, შენს უმცროს ძმას, ვახტანგს, გადაულოცეო!

მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში მსგავსი ანდერძი არცერთ ჭკუათმყოფელ ხელმწიფესა და მონარქს არ აღუსრულებია. ცხადია, გამონაკლისი არც დემეტრე პირველი აღმოჩნდა, რომელიც უმცროს ძმას, 12 წლის ვახტანგს, სასტიკად გაუსწორდა და თვალები დასთხარა მაშინ, როცა ნამდვილი მოღალატენი – აბულეთისძენი, ხელშეუხებელი დატოვა. ბედის ირონიით დემეტრე პირველი თავადაც გადატრიალების მსხვერპლი შეიქნა – 1154 წელს უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, მას კიდევ ერთხელ აუჯანყდა და მამა იძულებული გახადა, დამიანეს სახელით დავით გარეჯის ლავრაში ბერად აღკვეცილიყო! ექვსი თვე იმეფა დავით მეხუთემ და მოულოდნელად გარდაიცვალა, რის შემდეგაც დემეტრე პირველმა ბერის ჩოხა გაიხადა და კვლავ ქვეყნის მართვას შეუდგა...

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი დავით მეხუთის მკვლელობაში ხელს პირდაპირ მეფის ძმას, საქართველოს მომავალ ხელმწიფე გიორგი მესამეს – თამარის მამას, ადებს და წერს: „ზოგი ამბობს, რომ ის *(დავით მეხუთე. – დ.ჩ.)*, მოკლულ იქნა სუმბატ და იოანე ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ ადგილს დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებულნი იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ ის დანიშნავდა მათ მხედართმთავრებად!“ [20:165]

1154-1156 წლებში საქართველოში ერთმანეთის მიჯრით სამი სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. კერძოდ, ჯერ შვილმა – დავით მეხუთემ, აიძულა მამა – დემეტრე პირველი, ტახტიდან გადამდგარიყო და ბერად აღკვეცილიყო; მერე, სულ რაღაც ექვს თვეში, დავით მეხუთე მოულოდნელად გარდაიცვალა, რაც აშკარად იმას ნიშნავს, რომ სახელოვანი პაპის სეხნიას ამ ქვეყნიდან იმ ქვეყნად წასვლაში „დაეხმარნენ“ და მეფე მხოლოდ მამის წყევლას არ მოუკლავს; ყველაზე მთავარი – 1156 წელს დემეტრე პირველმა დაარღვია მაიორატის წესი და საქართველოს სამეფო ტახტზე თავადვე აიყვანა უმცროსი ვაჟი გიორგი მესამე – დიდი თამარის მომავალი მამა! ყველაფერი განსაზღვრა იმან, რომ, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფე დემეტრე პირველი იყო „მარჩევალი ძისა უმცროსისა“. [21:3]

არადა, ამ დროს აწ განსვენებულ მეფე დავით მეხუთეს უკვე ჰყავდა ვაჟიშვილი – მცირეწლოვანი დემნა ბატონიშვილი, რომელიც საქართველოს სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე გახლდათ. დემნა ბატონიშვილის „გამოსვლა“ ნამდვილად იყო კლასიკური სამხედრო გადატრიალების მცდელობა, რომელსაც „ოქროს ხანის“ საქართველო ბეწვზე გადაურჩა. ყველაფერი 1177 წელს დაიწყო, როცა დემნა ბატონიშვილის აღმზრდელმა და სიმამრმა, საქართველოს ამირსპასალარმა იოანე ორბელმა, რომელსაც სომეხი ისტორიკოსი ვარდან დიდი დემნა უფლისწულის მამის, მეფე დავით მეხუთე ბაგრატიონის მკვლელობაში ადებს ხელს, სიძის გამეფებისა და ანისის ხელში ჩაგდების მიზნით გიორგი მესამის წინააღმდეგ აჯანყების დროშა ააფრიალა. გიორგი მესამემ დიდი გაჭირვებით ჩაახშო ეს აჯანყება და მოღალატეები უმკაცრესად დასაჯა. დემნა ბატონიშვილს საყვარელმა ბიძამ ჯერ თვალები დასთხარა და მერე დაასაჭურისა, რასაც უფლისწული გადაჰყვა. თვალები დასთხარეს იოანე ორბელსაც, ხოლო მისი სახლეული ამოწყვიტეს და შეაჩვენეს. ორბელთა უძლიერესი გვარის გადარჩენილი წევრები სომხეთში გაიქცნენ და გასომხდნენ. ასე, მაგალითად, მეცამეტე

საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი სტეფანოზ ორბელიანი სწორედ გასომხებული ქართველია... დემნას რომც გაემარჯვა, იოანე ორბელთან მისი კონფლიქტი გარდაუვალი იყო, რადგან საქართველოს ამირსპასალარის პოლიტიკურ ამბიციებს საზღვარი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, იმ მომენტიდან, როცა იოანე ორბელმა გიორგი მესამეს დემნა უფლისწულთან ერთად სამეფოს გაყოფა შესთავაზა, [20:265] ის უკვე საქართველოს სახელმწიფო მტერი გახდა!

რაც შეეხება დემნა უფლისწულსა და მის პიროვნულ ტრაგედიას, ქართველი მკვლევარი, მწერალი და პუბლიცისტი როსტომ ჩხეიძე მიიჩნევს, რომ გენიალურმა შოთა რუსთველმა „ვეფხისტყაოსანში“ გმირთაგმირი ტარიელის ტიპაჟის შესაქმნელად სწორედ დემნა უფლისწულის პერსონით ისარგებლა, ანუ დემნა ბაგრატიონი ტარიელის პროტოტიპია! [22:24]

1178-1184 წლების საქართველოს სამეფო კარზე გათამაშებული ისტორიაც დიდწილად სწორედ მოსალოდნელი გადატრიალებით გამოწვეულმა შიშმა განაპირობა. ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს: „დემნას განდგომამ, თუმცა ძლეულმა და დათრგუნვილმა, ძლიერი გავლენა იქონია გიორგი მეფეზე. მომხდარმა ამბოხებამ შეარყია სამეფოს მყუდროება და თვით მეფეზეც ძალიან უმოქმედია. [14:243] იმის გამო, რომ გიორგი მესამე საქართველოს სამეფო ტახტზე მაიორატის პრინციპის დარღვევით იყო ასული და მეფობა განსვენებული დავით მეხუთის ვაჟს, დემნა ბატონიშვილს ეკუთვნოდა, რომელიც უძეო ბიძამ ჯერ დაასაჭურისა და მერე მოკლა, მეფის ხელისუფლებას დიდ კომპრომისზე წასვლა მოუწია. ამ კომპრომისის აშკარა გამოხატულება იყო ის, რომ 1178-1184 წლებში, ჯერ გამეფების, ხოლო შემდეგ მამის გარდაცვალების ჟამს, თამარ მეფეს დიდებულების წინაშე ერთგულების ფიცის დადება ორჯერ მოუხდა. პარალელურად თამარი, ასევე, იძულებული გახდა, დიდებულთა სხვა მკაცრი ულტიმატუმიც აღესრულებინა.

როგორც ცნობილია, დიდებულები თამარს პირდაპირ ეურჩებოდნენ და მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ მამის, მეფე გი-

ორგი მესამის, მიერ დაწინაურებული დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა, ანუ „უგვაროთა“ გადაყენებას და მათ ნაცვლად „გვარიანთა“, ანუ თავადთა დანიშვნას. აი, რას გვამცნობს თამარის პირველი ისტორიკოსი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ანონიმი ავტორი, როცა თავადებს ალაპარაკებს: „აღარ ვეგებით ძუელთა ხელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანს ქვეშე მყოფნი, ვინათგან მათგან დაძრცვილნი და უპატიოდ გასულნი ვართ, და გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასულნი ვართ უგუაროთა და უხმართაგან!“ [24:76]

1185 წელს საქართველოს მეჯურჭლეთუხუცეს ყუთლუ-არსლანის განდგომაც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად უნდა შეფასდეს. თამარმა, რომლის პირადი ცხოვრებაც მისდა დაუკითხავად ვიდოდა, [24:79] გონივრული პოლიტიკით, უსისხლოდ ჩაფუშა და ქვეყანას თავიდან დიდი შფოთი აარიდა. 1156 და 1177-1178 წლების სახელმწიფო გადატრიალებათა მთელმა წყებამ ის შედეგი მოიტანა, რომ თამარ მეფის გარდაცვალებასთან ერთად ბაგრატიონთა დინასტიის აღმავალმა შტომ, ფაქტობრივად, არსებობა შეწყვიტა. 1605 წლის 12 მარტს კახეთის სამეფო კარზე, ქალაქ ძეგამში, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. შაჰ-აბასის მიერ იდეურად მოწამლულმა, გამაჰმადიანებულმა და გაქეზებულმა უფლისწულმა კონსტანტინემ, რომელიც თოთხმეტი წლიდან სპარსეთში იზრდებოდა, ფაქტობრივად, რუსი ელჩების თვალწინ საშინელი სასაკლაო მოაწყო და ძმას – გიორგისა და 78 წლის მოხუც მამას – კახეთის მეფე ალექსანდრე მეორეს (1574-1605 წწ.), თავები დააყრევინა. როდესაც რუსი ელჩები სასახლეში ატეხილი ხმაურის მიზეზით დაინტერესდნენ და ამბის გასაგებად თავიანთი მოციქული კამენევი გაგზავნეს, რათა კონსტანტინე-მირზა გაეფრთხილებინათ – სისხლი არ დაღვაროო! – უკვე ყველაფერი დასრულებული იყო – „ალექსანდრე მეფე, გიორგი ბატონიშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი და მისი ძმა აბელ და ხუთი სხვა კახელი დარბაისელი დახოცი-

ლები ეყარნენ. კონსტანტინე მირზას წინ ყიზილბაშ მხედარს მეფე ალექსანდრეს მოკვეთილი თავი ეჭირა“. [25:485]

გადაგვარებულმა კონსტანტინე მირზამ დახოცილი მამისა და ძმის თავები თავის აღმზრდელსა და მამა-მასწავლებელს – ვერაგ შაჰ-აბასს, ძღვნად გაუგზავნა ისპაჰანში...

შეუძლებელია, არ გაიზიარო ის შეფასება, რომელსაც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი 1605 წლის 12 მარტს კახეთის სამეფო კარზე მომხდარი სისხლიანი გადატრიალებისა და მისი შედეგების მეცნიერული კვლევისას აკეთებს: „ალექსანდრე მეფისა და გიორგი ბატონიშვილის სიკვდილით ბუტურლინის ლაშქრობა და, საერთოდ, რუსეთის პოლიტიკა კავკასიაში, განსაკუთრებით კი, ამიერკავკასიაში, საფრთხეში ჩავარდა. შაჰ-აბასმა მოუშალა რუსეთს საიმედო დასაყრდენი, საიდანაც მოსკოვი ფართო და აქტიური პოლიტიკის წარმოებას აპირებდა“. [27:139]

თეიმურაზ პირველისა და როსტომ-ხანის ურთიერთობაც გადატრიალებათა და შეთქმულებათა დაუსრულებელი ისტორიაა, თუმცა, ერთი გამორჩეული ნიშნით – დაუნდობელი და შურისმაძიებელი როსტომ-ხანი გადამწყვეტ მომენტში თეიმურაზ პირველის განადგურებასა და ფიზიკურ ლიკვიდაციას ყოველთვის ერიდებოდა. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი იასე ციხცაძე ამ უცნაურ ფაქტს როსტომ-ხანის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით ხსნის და ამბობს: „თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა, დათმობაზე წასულიყო, და როსტომს საშუალება მისცა, მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა!“ [28:6-7]

მართლაც, „იმ შემთხვევაში, თუ თეიმურაზი აღარ იქნებოდა და კახეთშიც ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანი როსტომისაგან უფრო მეტს მოითხოვდა – ე.ი. ეცდებოდა, ქართლიც, კახეთის მსგავსად, სახანოდ გადაექცია და შესაძლოა, თვით როსტომიც ყიზილბაში ხანით შეეცვალათ!“ [29:325]

სახელოვან მეფე ერეკლეს გადატრიალებას ორჯერ უწყობდნენ: 1765 წელს – ქართველები, ხოლო 1770 წელს – რუსები!

ყველაფერი 1752 წელს დაიწყო, როცა რუსეთიდან საქართველოში გამოიქცა ვახტანგ მეექვსის უკანონო შვილი პაატა ბატონიშვილი, რომელსაც რუსეთსა და ევროპაში ხეტიალის დროს საარტილერიო საქმე და ზარბაზნების ჩამოსხმა კარგად შეესწავლა. ერეკლემ უახლოესი ნათესავი თბილად მიიღო და ზარბაზნების საქმეც ჩააბარა, მაგრამ ნელ-ნელა პაატა ბატონიშვილის ნამდვილი ზრახვები გამოაშკარავდა და მისი მეთაურობით შეთქმულებმა ვინმე მარკოზაშვილის დარბაზში დაიწყეს საიდუმლოდ შეკრება...

როგორც ცნობილია, მუხრან-ბატონები ერეკლე მეორეს ქართლის სამეფო ტახტის პყრობას ვერ პატიობდნენ. მოგეხსენებათ, ერეკლე კახთბატონი იყო და ქართლის მეფობა კანონით მას მართლაც არ ეკუთვნოდა. პაატა ბატონიშვილში სწორედ ამ თავკერძობამ და პარტიკულარიზმმა იძალა და თანამოაზრენიც მალე გაიჩინა. ესენი იყვნენ: ელიზბარ თაქთაქიშვილი, გლახა ციციშვილი, ერეკლეს ძველი მტერი დიმიტრი ამილახვარი და მისი თხუთმეტი წლის ვაჟი ალექსანდრე, რომელმაც შემდეგ „გეორგიანული ისტორია“ დაწერა. შეთქმულებას, ასევე, შემთხვევით შეესწრო ცნობილი აშუღი საიათნოვა... აშკარაა, რომ შეთქმულებს თბილისელი ვაჭარ-ხელოსნები, ძირითადად, სომხები გულშემატკივრობდნენ. აი, რას წერს „მარკოზაშვილის დარბაზელების“ შესახებ დავით ბატონიშვილი: „შეითქვნენ მეფესა ზედა ამილახვარის შვილი დიმიტრი, სახლთ-უხუცესი, და ეს იყო მძახალი მეფისა, რამეთუ დაი მეფისა, ელისაბედ ჰყვა ძესა მისსა გიორგის, და გლახა ციცის-შვილი, და თაქთაქიშვილი ელისბარ. ამათ მისცეს პირობაი პაატას ბატონის შვილსა, რომელიცა იყო ესე არა-რჯულიერი ძეი მეფისა ვახტანგისა, რომელიცა იმყოფებოდა მეფისა წინაშე დიდითა პატივითა, გარნა იყო კაცი ესე ფრიად მეცნიერ, რათამცა წარწყმიდონ მეფე. სცნა რა ესე მეფემან, შეიპყრა ესენი; შეიკრბენ ქართველნი და მოჰკვეთეს პაატას თავი და დაწვეს ცეცხლში თაქთაქისშვილი ელისბარ

და დიმიტრი პატიმარ-ჰყვეს და შეურაცხჰყვეს აღჯდომითა მისითა კარაულსა ზედა, და მოჰკვეთეს ძესა მისა ალექსანდრეს ცხვირი, და გლახა ციციშვილსაც მოჰკვეთეს ენა“. [30:9-10]

როგორც ცნობილია, ეს შეთქმულება სამშვილდელმა გლეხმა დათუნა ფეიქარმა გასცა. როგორც აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი წერს, „მეფემ კარგად იცოდა, რომ შეთქმულებს სხვა მომხრეებიც ჰყავდათ. მეფემ დარბაზის სხდომა მოიწვია, საქმე გასარჩევად მას გადასცა და თვითონ კი მოჩივარის როლში გამოვიდა. დარბაზმა საქმე განიხილა, დამნაშავეებს ქონება ჩამოართვა და მეფეს ნასისხლად მისცა, შეთქმულების მეთაურები კი კანონის თანახმად დასაჯეს“. [31:210]

რაც შეეხება ერეკლე მეფის წინააღმდეგ დაგეგმილი სახელმწიფო გადატრიალების მეორე მცდელობას, ეს ამბავი 1770 წლის აპრილში, ასპინძის ომის წინ დაიწყო და დროში გაიწელა. მოგეხსენებათ, გერმანული წარმოშობის რუსი გენერალი ტოტლებენი, რომელსაც რუსეთში სიკვდილი ჰქონდა მისჯილი, იმპერატრიცა ეკატერინე მეორემ დაინდო და საქართველოში დანაშაულის გამოსასყიდად გამოგზავნა. ტოტლებენმა რუსთხელმწიფის წინაშე ცოდვები იმით „გამოისყიდა“, რომ 1770 წლის 20 აპრილს ერეკლეს ასპინძასთან უღალატა და ქართველთა ჯარი თურქებისა და მათი მოკავშირე ლეკების პირისპირ მიატოვა. მოღალატე ტოტლებენი ქართლის მოსახლეობას იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ერთგულებაზე იარაღის ძალით აფიცებდა და ერეკლეს დასამხობად ძალ-ღონეს არ იშურებდა. ერეკლემ ტოტლებენს ხელ-ფეხი შეუკრა და გასაქანი აღარ მისცა, რითაც რუსეთის გეგმა ქართლ-კახეთში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობისა და ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდების შესახებ ჩაიფუშა. თუმცა, ეს დროებითი მოვლენა იყო... ამის დასტურია 1792 წლის მაისში ეკატერინე მეორის მიერ კავკასიის ხაზის მთავარსარდლის, გენერალ ივანე გუდოვიჩისადმი გაგზავნილი ერთი ტიპური წერილი, სადაც ვკითხულობთ: „ამჟამად საქართველოში ჯარის გაგზავნა მიზანშეწონილი არ არის,

უნდა დაველოდოთ უფრო ხელსაყრელ დროს, რომლის შესახებაც არ ღირს ახლა მსჯელობა!“ რუსეთმა თავის მიზანს ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ მაინც მიაღწია და ქვეყანა მართლაც გადაატრიალა... იმპერატორმა პავლე პირველმა 1800 წლის 19 ნოემბერს უკვე მიიღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გუბერნიად გადაკეთების შესახებ, ხოლო 18 დეკემბერს გამოაქვეყნა კიდეც მანიფესტი ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების თაობაზე. პროფესორი იგორ კვესელავა სავსებით სამართლიანად და საინტერესოდ შენიშნავს, რომ რუსთხელმწიფემ მანიფესტის გამოქვეყნება აშკარად იჩქარა. კერძოდ, პავლე პირველს, ალბათ, დიდი იმედი ჰქონდა, რომ ის სამსალა, რომლითაც პეტერბურგიდან თბილისს გარუსებული სომეხი გენერალი ივანე ლაზარევი ქართლ-კახეთის მეფის მოსაწამლად მოავლინეს, სწრაფად იმოქმედებდა და მანიფესტის გამოქვეყნების დროს მეფე გიორგი უკვე ცოცხალი აღარ იქნებოდა, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ – ხელმწიფემ რამდენიმე დღით, კერძოდ, ათი დღით, მეტხანს იცოცხლა და მხოლოდ 1800 წლის 28 დეკემბერს აღესრულა. არადა, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მიერ უკვე ათი დღის გაუქმებული იყო... [18:289-291]

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის თქმით, „1783 წლიდან ვიდრე 1800 წლამდე ქართლ-კახეთი თანდათან ეცემოდა. იშვიათად განუცდია აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ასეთი ხანა: თითქოს მთელი მსოფლიო მტრად აუტყდა სუსტ ქვეყანას... გიორგი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ რუსეთის მთავრობას მეფის სიკვდილის მოლოდინში უკვე მიეღო გადაწყვეტილება ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და ქვეყნის რუსეთთან შეერთების შესახებ. ეს იყო 22 დეკემბერს, 1800 წელს. ექვსი დღის შემდეგ გიორგი მეფე გარდაიცვალა. ადგილობრივი რუსის ჯარის სარდალს კარგა ხანია, საიდუმლო განკარგულება ჰქონდა მიღებული, რათა დავით ბატონიშვილის მეფედ გამოცხადება არ დაეშვა. მაგრამ ამასობაში იმპერატორი პავლე პირველი გარდაიცვალა (1801 წლის 3 მარტი) და საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის მოგვარება წილად

ხვდა ალექსანდრე პირველს, რომელმაც 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყნის რუსეთთან შეერთება საბოლოოდ გააფორმა“. [31:242]

1815 წელს სწორედ რუსეთის მიერ მოწყობილ სამხედრო-პოლიტიკურ გადატრიალებას შეეწირნენ იმერეთის დასავლეთქართული სახელმწიფო და გმირი მეფე სოლომონ მეორე, რომელიც 1815 წლის 15 თებერვალს ემიგრაციაში, კერძოდ, ტრაპიზონში, გარდაიცვალა. ქართველი ისტორიკოსი აბელ კიკვიძე აშკარად არაფერს აჭარბებს, როცა იმ საშინელ დღეთა ქრონიკას გადმოგვცემს: „მთელი ორი თვის განმავლობაში ტორმასოვის ჯარები ფეხით თელავდნენ იმერეთს. აჯანყებულთა გუნდებზე გამარჯვების ყოველ ცალკე შემთხვევაში მეფის სამხედრო და სამოქალაქო მოხელენი ჯარების თანხლებით იძულებით აფიცებდნენ რუსეთის მონარქის ერთგულებაზე იძულებით მორეკილ ხალხს!“ [32:78]

1832 წლის ე.წ. შეთქმულებას, რომელსაც ზოგიერთი ქართველი ისტორიკოსი და მათ შორის პროფესორი ავთანდილ სონღულაშვილი სავსებით სამართლიანად უწოდებს „აჯანყებას“, სახელმწიფოს სამსახურში მყოფი უცხოელებიც კი გულშემატკივრობდნენ. საფრანგეთის კონსულ ლეტელიეზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აჯანყების მიზნებს თავიდან ბოლომდე იზიარებდა თბილისის გენერალ-გუბერნატორი, ეროვნებით პოლონელი პეტრე ზავილეისკი, და თბილისის პოლიცმაისტერი, მელანია ერისთავის მეუღლე და თეკლა ბატონიშვილის სიძე, ეროვნებით რუსი ანდრია მელნიკოვი. აჯანყების დაწყება ძალიან დააჩქარა 1830 წლის პოლონეთის აჯანყებამ, რომელიც ლიტვას, დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინის უდიდეს ნაწილს მოედო. გარდა ამისა, მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ბუნებრივი ხდომილობა – 1832 წელს „დევდორაკის მყინვარმა, რომელიც თავისი მძლავრი ყინულოვანი ჩამოზვავებით არის ცნობილი, დარიალის ხეობაში მთელი რვა საათის განმავლობაში დააგუბა მდინარე თერგი... საბოლოოდ, როცა ჯებირი გაირღვა, წარმოქმნილმა ღვარცოფმა ქალაქი ვლადიკავკაზი მიწასთან გაასწორა,

ხოლო საქართველოს სამხედრო გზა გაანადგურა და ჩაკეტა“. [31:24]

აჯანყებულები მიზნად ისახავდნენ ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენას. მეფედ განიხილებოდა ერეკლე მეფის ღირსეული შთამომავლის, ალექსანდრე ბატონიშვილის კანდიდატურა, ხოლო საქართველოში ცხადდებოდა კონსტიტუციური მონარქია... ეს იყო კლასიკური აჯანყების მცდელობა, თავისი სამოქმედო პროგრამით – „აკტი გონიურით“, რომელიც მღვდელმა ფილადელფოს კიკნაძემ შეადგინა; მანვე შექმნა საიდუმლო ანბანი, რომლითაც თბილისის, სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის ცენტრებს შორის კომუნიკაცია მყარდებოდა; შეიქმნა ფარული შტაბი – ალექსანდრე ორბელიანის, ელიზბარ ერისთავისა და სოლომონ დოდაშვილის შემადგენლობით და, ასევე, ჩრდილოვანი მთავრობაც. შეთქმულებს გაწერილი ჰქონდათ აჯანყების კონკრეტული სამოქმედო გეგმა – „პირველი ღამის განკარგულება“. ამ დოკუმენტის თანახმად, აჯანყება 1832 წლის 20 ნოემბერს უნდა დაწყებულიყო. შეთქმულებს ჰქონდათ ჰიმნი, მოქარგეს დროშაც... როგორც ცნობილია, 1832 წლის 9 დეკემბერს იასე ფალავანდიშვილმა შეთქმულება გასცა და ხელისუფლებამ რეპრესიები დაიწყო.

1921 წლის 25 თებერვლის ტრაგედია, რომელსაც საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, ტერიტორიის ოკუპაცია და ანექსია მოჰყვა, სწორედ გლობალურ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. გარკვევით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის კოლაფსი დიდწილად დასავლეთის სახელმწიფოთა და, უპირველეს ყოვლისა, პირველ მსოფლიო ომში მეფის რუსეთის მოკავშირე დიდი ბრიტანეთის პოზიციამ განსაზღვრა. პროფესორი იგორ კვესელავა სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „1920 წლის მიწურულს დიდმა ბრიტანეთმა დატოვა საქართველო, ხოლო 1921 წლის დასაწყისში რუსეთთან ხელი მოაწერა შეთანხმებას სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ... 1921 წლის 25 თებერვლი-

დან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, რასაც, საქართველოს პოლიტიკური სელმძღვანელობის საწინააღმდეგოდ, საერთაშორისო რეზონანსი არ გამოუწვევია. ოფიციალურად, საქართველოს დაცვისა და საბჭოთა რუსეთთან ომის საკითხი არც წამოჭრილა. დასავლეთმა რუსეთის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი". [34:55]

საუბედუროდ, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ბედი გაიზიარა ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამაც, რომელიც რუსეთმა სწორედ დასავლეთის, უფრო კონკრეტულად კი, ამერიკის შეერთებული შტატების ლოცვა-კურთხევითა და აქტიური მხარდაჭერით გაანადგურა!

პროფესორი იგორ კვესელავა მიიჩნევს, რომ უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში რუსეთმა საქართველოში ხუთი ომი ატეხა და ოთხი გადატრიალება მოაწყო. კერძოდ, რუსეთ-საქართველოს პირველი ომი 1801-1832 წლებში გრძელდებოდა; მეორე – 1805-1810 წლებში; მესამე – 1921 წელს; მეოთხე – 1991-1993 წლებში, ხოლო მეხუთე – 2008 წელს. რაც შეეხება გადატრიალებებს, რუსეთმა საქართველოში სახელისუფლებო გადატრიალებები 1799, 1810, 1921 და 1991-1992 წლებში მოაწყო.

1.3. ბიპოლარული სამყაროს დასასრული და საქართველოს ადგილი ახალ მსოფლიო წესრიგში

ცნობილ ქართველ მეცნიერ მიხაკო წერეთლის განმარტებით, „ხალხი ინდივიდების უბრალო გაერთიანებაა, ანუ ის წარმოადგენს მასალას ერის ფორმირებისთვის". [35]

1648 წლის ვესტფალიის ზავის შემდეგ და საბოლოოდ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის გარიჟრაჟზე, რასაც აბსოლუტიზმმაც ხელი შეუწყო, ევროპაში ერი-სახელმწიფოების ეპოქა დადგა.

მიჩნეულია, რომ ერი-სახელმწიფოების დაკნინება დაიწყო მე-19 საუკუნიდან და ამ საქმეში ლომის წილი ითამაშეს ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა, ხოლო გლობალიზაციამ ერი-სახელმწიფოების კვდომისა და გადაგვარების პროცესი დააჩქარა. [36:351]



მიხეილ გორბაჩოვი, ჯორჯ ბუში (უფროსი), ედუარდ შევარდნაძე, ჯეიმს ბეიკერი

აი, სწორედ ამ ფონზე, როცა ცნება „გლობალიზაცია" პირველად მსოფლიოში 1983 წელს იქნა ნახსენები, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა ზვიად გამსახურდია, რომელიც ცდილობდა, აეშენებინა ერი-სახელმწიფო, რომლისგანაც ევროპასა და ამერიკაში, ფაქტობრივად, აღარაფერი იყო დარჩენილი! ცხადია, ეს რეალობა ზვიად გამსახურდიასა და დასავლეთს შორის უკვე ქმნიდა იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტი შეიწირა კიდეც.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ფრენსის ფუკუიამას გახმაურებულ წიგნში „ისტორიის დასასრული" ბიპოლარულ სამყაროში სუპერძალებისა და ზესახელმწიფოების ჭიდილში გამარჯვებულად

გამოცხადებულია დასავლეთი და ამერიკული ლიბერალური დემოკრატია, როგორც პერსპექტივისა და მომავლის მქონე პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის საფუძველი.

ბოლოდროინდელმა პროცესებმა და, განსაკუთრებით, ამერიკული დემოკრატიის კრიზისმა, რაც სენატის შენობაში ხალხის შევარდნით დასრულდა, დაადასტურა, რომ ფუკუიამას თეორია ყალბი და უსუსურია, ხოლო ლიბერალური დემოკრატიის მსოფლიო ტრიუმფს წინ დიდი და საშიში გამოცდა ელის.

„ცივი ომის" დასრულებამ მართლაც შექმნა იმის მოლოდინი, რომ ბიპოლარული სამყარო დაინგრეოდა და დაპირისპირებულ პოლუსებს შორის მტრული წინააღმდეგობა მოიშლებოდა, მაგრამ უკრაინაში ატეხილი უბედურება, 2008 წლის აგვისტოს ომი, სირიის კონფლიქტი და ავღანეთის ჩაფლავებული კამპანია, სადაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ოცი წლის განმავლობაში 3 ტრილიონ დოლარზე მეტი გადაყარა და უამრავი ადამიანი, მათ შორის, ქართველი ჯარისკაცებიც, დაიღუპა, გვარწმუნებს, რომ ხმები ბიპოლარული სამყაროს დანგრევის შესახებ სინამდვილეს არ შეესაბამება!

90-იანი წლების დასაწყისში ზვიად გამსახურდიასა და მისი თავისუფალი საქართველოს ტრაგედია, ძირითადად, იმ ფაქტორებმა განაპირობა, რომელთა წარმოდგენა და დაჯერებაც დღესაც და, მით უმეტეს, მაშინ, წარმოუდგენელი იყო! კერძოდ, დასავლეთს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, მისი მთავარი მტრის, საბჭოთა კავშირის, დაშლა სინამდვილეში არ სურდა! პირდაპირ თუ ირიბად, ალბათ, სწორედ ამას გულისხმობდა 1990 წელს თვით ირინა სარიშვილიც კი, რომელიც ამერიკული ტურნედან დაბრუნებული აცხადებდა: სენატორები და კონგრესმენები მხოლოდ პიროვნულ დონეზე თანაუგრძნობენ საბჭოთა კავშირში შემავალი სახელმწიფოების ეროვნულ მოძრაობებს, ხოლო ახლანდელი პრეზიდენტის გადამეტებული ლიბერალიზმი კრემ-


ლის მიმართ არა მხოლოდ რესპუბლიკელების, არამედ დემოკრატების გულისწყრომასაც იწვევსო! [37:2]

სწორედ ამიტომ იყო, რომ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) ბელოვეჟის 1991 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ მხოლოდ ბოლო მომენტში აღიარა. თეთრი სახლის მრჩეველი უშიშროების საკითხებში ჯ. სკოუკროფტი წლების შემდეგ არ მალავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო საბჭოთა კავშირის შენარჩუნებით, ოღონდ ის უნდა გამხდარიყო ამერიკის სატელიტი ქვეყანა! [18:608]

გორბაჩოვსა და ბუშს შორის დადებული საიდუმლო გარიგებაც, როგორც ჩანს, შეეხებოდა მხოლოდ ბალტიისპირეთის ქვეყნების გათავისუფლებას და ზვიად გამსახურდია და მისი თავისუფალი საქართველო ამ მართლაცდა „ფაუსტურ“ შეთანხმებაში არ მოიაზრებოდნენ. სწორედ ამიტომ იყო, ჯორჯ ბუშმა ზვიად გამსახურდიას მისამართით მფრინავი ფრაზა რომ გამოისროლა – „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“

1991 წლის 31 ივლისს, როცა ჯორჯ ბუში მოსკოვში იმყოფებოდა, პრეზიდენტმა გააკეთა განცხადება, რომლითაც ამერიკის პოლიტიკის რეალურ სახეს ნიღაბი ჩამოჰგლიჯა. ბუშმა თქვა – შეერთებული შტატები მოკავშირე რესპუბლიკებს ცენტრის ხარჯზე მხარს არ დაუჭერსო! უფრო მეტიც, კიევში ჩასულმა ბუშმა ფრჩხილები საბოლოოდ გახსნა და მთელი უკრაინა გაოგნებული დატოვა, როცა იქვე მდგომ გორბაჩოვს მიმართა: „ზოგიერთები მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს, არჩევანი გააკეთონ პრეზიდენტ გორბაჩოვსა და მთელ საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ლიდერებს შორის. მე მიმაჩნია, რომ ეს არასწორი არჩევანია!“ [38]

ამერიკელებს რომ „ბოროტების იმპერიის“ დაშლა არ უნდოდათ, ეს თვალნათლივ გამოჩნდა 1991 წლის თებერვალშიც, როცა შეერთებულ შტატებს აკაკი ასათიანის ხელმძღვანელობით საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ეწვია.



საქართველოს უსაფრთხოების საბჭოს თავმჯდომარე (1991-1992 წწ.)
აკაკი ასათიანი

აი, რას იხსენებს ასათიანი ამ ვიზიტის შესახებ: „1991 წლის თებერვალსა და მარტში მე, თედო პაატაშვილი, მერაბ ურიდია და აწ განსვენებული თამაზ გამყრელიძე მთელი ერთი თვის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიმყოფებოდით. რიჩარდ ნიქსონის საქართველოში ვიზიტი სწორედ მაშინ მომზადდა. სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ნასუყარზე მეტს შევსვდით, მაგალითად, სენატორ ბილ ბრედლის, ბობ დოულის, დამატოს და დღევანდელ პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, რომელიც მაშინ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე იყო. რესპუბლიკელები დემოკრატებს პატრიოტებად არ თვლიან და პატივს არ სცემენ, მაგრამ ბაიდენზე მითხრეს – ეს პატრიოტი კაცია და თქვენს დამოუკიდებლობას მხარს უჭერსო! ბაიდენმა მკითხა – კი, „პერესტროიკა“ კარგია, მაგრამ რუსეთზე რას ფიქრობთ? – მე ვუპასუხე – თუ თქვენ არ იმოქმედებთ, რუსეთი, რა თქმა უნდა, პრობლემად დარჩება-მეთქი! ეს რომ ვუთხარი, ბაიდენს გაუხარდა და მითხრა – მეც ასე ვფიქრობო! ბაიდენმა არ დამიმალა – დამოუკიდებლობის საქმეში მე მხარს გიჭერთ, მაგრამ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში თხუთმეტი კაციდან რვა საქართველოს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგება და რა ვქნათ, რა ვუთხრათო? – მოდი, ასეთი რამ ვთქვათ... ფეხბურთში პირველი ტაიმი ასით ნული რომ მოიგო, თუ მეორე ტაიმში სათამაშოდ არ გახვალ, მსაჯი რას იზამს? – რა თქმა უნდა, წაგებას ჩაგითვლის! – ჰოდა, ჩავთვალოთ, რომ სოციალისტური ქვეყნების გათავისუფლება პირველი ტაიმი იყო, ხოლო მეორე ტაიმი ჩვენი, ანუ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლი-

კების გათავისუფლების დროა-მეთქი! ჯო ბაიდენს გაეცინა და მითხრა – ძალიან გონებამახვილური შედარებააო! ბაიდენმა მაშინვე უხმო თავის ერთ თანაგუნდელს და ჰკითხა – ეს კაცი საქართველოს ვიცე-პრეზიდენტია, ასეთ რამეს ამბობს და ამაზე პასუხი გაქვთ? იმ კაცმა ვერაფერი უპასუხა. – მაშინ ჩავატაროთ კენჭისყრაო! ჩატარდა კენჭისყრა და საქართველოს მხარდამჭერმა რეზოლუციამ რვა ხმით შვიდის წინააღმდეგ გაიმარჯვა.

ბაიდენი საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი იყო თავიდანვე, მაგრამ სენატორი პელი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობდა, ნამდვილი დეგენერატი გახლდათ და საქართველოს დამოუკიდებლობას არ ემხრობოდა. როცა ვკითხე – რა დაგიშავეთ, მხარს რატომ არ გვიჭერთ-მეთქი, იცით, რა მიპასუხა? – ერთი საელჩო გვაქვს მოსკოვში და თხუთმეტი საელჩოს შენახვა დიდ თანხებს მოითხოვსო! – მსოფლიო ბიზნესისა და ეკონომიკის ნახევარი თქვენია და საელჩოების ხარჯებზე მელაპარაკებით-მეთქი? – ვკითხე. პელის შერცხვა, მაგრამ, მგონი, კიდევ უფრო გაბოროტდა და დაიბოღმა. ვაცლავ ჰაველის დავალებით ამერიკაში საზეიმო დახვედრა მოგვიწყო ჩეხეთის საელჩომ. პოლიტიკურ ცენტრ „ჰეინდიშ ფაუნდეიშენის“ ხელმძღვანელობით მზადდებოდა ჩემი შეხვედრა ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ დენ კუეილთან. კუეილი დიდად იყო მოწადინებული, ეს შეხვედრა შემდგარიყო, მაგრამ, როგორც თავად ამერიკელებმა მითხრეს, შეხვედრა პრეზიდენტმა ბუშმა ჩაშალა, რადგან გორბაჩოვის განაწყენებას მოერიდა. პირდაპირ განმიცხადეს – ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს ძალიან უნდა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ ეს უკვე ამერიკის მხრიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ნიშნავს, რასაც პრეზიდენტი ბუში ეწინააღმდეგებაო!“.[3]

[3] აკაკი ასათიანი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე 1991 წლის 18 აპრილიდან 1992 წლის 6 იანვრამდე. დაბადებული თბილისში, 1953 წლის 22 ოქტომბერს.

1991 წლის 7 სექტემბერს საქართველოში სტუმრად ჩამოვიდნენ ამერიკელი კონგრესმენები სტენ ჰოიერი და დენის დეკონსინი. ისინი შეხვდნენ ამბოხებულებსაც. ამერიკული დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ 12 სექტემბერს კონგრესმენებისა და ამბოხებულების შეხვედრის შესახებ სპეციალური ანგარიში მოამზადა, რომელიც ცენტრს გადაუგზავნა.

დოკუმენტში, რომელიც ახლახან გასაჯაროვდა, ვკითხულობთ: „ხოშტარიამ ურჩია გამსახურდიას, დაევიწყებინა წარსული წყენა და შეეთავაზებინა ედუარდ შევარდნაძისთვის საქართველოში დაბრუნება, რათა მისი საერთაშორისო ავტორიტეტით დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბებაში დახმარებოდა. როგორც მსოფლიო რეპუტაციის მქონე პიროვნება, ხოშტარიას აზრით, შევარდნაძე პოზიტიურ როლს ითამაშებდა ტრანზიციის პერიოდში. ხოშტარიას თქმით, გამსახურდია ეწინააღმდეგებოდა ნებისმიერ თანამშრომლობას შევარდნაძესთან!“ სხვათა შორის, იმავე დოკუმენტში ისიც საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ „მსგავსი, შევარდნაძის მხარდამჭერი განცხადებები, გაკეთდა 11 სექტემბერს მოსკოვში, ამერიკის საელჩოს თანამშრომელთან შეხვედრაზე, როდესაც ერთ-ერთმა პირმა (ვინაობა დაშიფრულია) განაცხადა, რომ ოპოზიციური ძალები საქართველოში აღიქვამენ შევარდნაძეს, როგორც დემოკრატიისა და დამოუკიდებლობის უდიდეს იმედს!“ [39]

დაკვირვებული თვალი აშკარად შეამჩნევს, რომ ამერიკული დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს მიერ მომზადებულ ზემოხსენებულ დოკუმენტში ედუარდ შევარდნაძე უკვე სარგებლობს ერის „უდიდესი იმედის“ თიკუნით. ისიც აშკარაა, რომ შევარდნაძეს ასეთ იმიჯს პირდაპირ თუ არაპირდაპირ სწორედ ამერიკული „ცერეუ“, ანუ იგივე დაზვერვის ცენტრალური სამმართველო უქმნის. ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა, თუ პროცესი მართული და კარგად დაგეგმილი იყო, ამ კითხვას სწორედ წინამდებარე ნაშრომი გასცემს პასუხს!

2. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობები საქართველოში

2.1 ზვიად გამსახურდიას გზა ხელისუფლებისაკენ, ხელისუფლებაში და ედუარდ შევარდნაძე როგორც ბარიერი

ზვიად გამსახურდიას, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საქვეყნოდ აღიარებული ლიდერისა და პოლიტიკური მოღვაწის დამხობა, დევნა და მკვლელობა ჯერ კიდევ მაშინ დაიგეგმა, ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა!

ზვიად გამსახურდია, როგორც დისიდენტი, ლიდერი და პოლიტიკოსი, რთული ფენომენია. მან მოღვაწეობა დაიწყო, როგორც რადიკალმა დისიდენტმა და „ფორუმელმა“, რომელიც „არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ სტრატეგიად ეროვნულ დაუმორჩილებლობას მიიჩნევდა, მაგრამ კომუნისტური ხელისუფლების მიერ 1990 წლის 25 მარტის არჩევნების ჩაშლის შემდეგ ზვიად გამსახურდიას ფრთამ „ეროვნული ფორუმი“ დატოვა და ტაქტიკური თვალსაზრისით ახალ არჩევნებში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოაცხადა...“ [18: 517-519]

საქართველოში ეროვნული ხელისუფლება არც არსებობდა და არც რკონის ტყესა თუ თბილისის ზღვაზე ჩასაფრებული ამბოხებულები ჩანდნენ სადმე, როცა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია რუსულ გაზეთ „მეგაპოლის-ექსპრესის“ 1990 წლის 9 სექტემბრის ნომერში წერდა: „ახლა გამსახურდიას მოცილება ყველაზე ცუდი ვარიანტი იქნება. მას მთაწმინდაზე დაკრძალავენ როგორც ეროვნულ გმირს. ჩვენ დაინტერესებული ვართ მისი პოლიტიკური და არა ფიზიკური განადგურებით!“[40:2]

ცოტა უფრო ადრე, კერძოდ, 1990 წლის 9 ივლისს, გიორგი ჭანტურიამ რადიო „თავისუფლებას“ ასეთი რამ განუცხადა: „ჩვენ საქართველოს დავტოვებთ უზენაესი საბჭოს გარეშე!“

მიუხედავად ამ კონკრეტული მუქარებისა, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და ხუნტისტური სახელმწიფო საბჭოს წევრი ვახტანგ ძაბირაძე იმავე 1990 წელს საქართველოს ტელევიზიით გავრცელებულ ცნობას ზვიად გამსახურდიაზე შესაძლო თავდასხმის ორგანიზების შესახებ დასცინოდა, აბუჩად იგდებდა და აბიაბრუებდა! როგორც ძაბირაძე წერდა, „ტელევიზიამ გადასცა სრულიად შეუმოწმებელი, დაინტერესებული მხრიდან მომდინარე ინფორმაცია. ვითომდაც იმ ქუჩაზე, სადაც ზვიად გამსახურდიას მანქანას უნდა გაევლო, დადგეს ასაფეთქებელი ნივთიერებით სავსე რძის ბალონი... ხელოვნურად შექმნილი მასიური ფსიქოზის საფუძველზე ეს ყველამ აღიქვა როგორც ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა საკოორდინაციო ცენტრში შეყრილი „ტერორისტების“ მიერ.

საკითხავია, რა საფუძველი არსებობდა იმის სათქმელად, რომ ეს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იყო მოწყობილი? განა იმ ქუჩაზე სხვისი მანქანები არ დადიან?

ასეთ ბრალდებას ხომ კვალიფიციური გამოძიება სჭირდებოდა! განა ტელევიზიის ამ უპასუხისმგებლო გადაცემამ, ამ ხელოვნურად შექმნილმა აჟიოტაჟმა და ფსიქოზმა უარესად არ დაძაბა ვითარება ეროვნულ მოძრაობაში?.. თუკი ხელისუფლება მართლა ასე „ებრძვის“ ზვიად გამსახურდიას (როგორც თვითონ აცხადებს) და მისი მოკვლა უნდა, რა ისეთი მოუხელთებელი ფანტომასია ზვიად გამსახურდია? სუკ-ს, რომლისთვისაც მკვლელობა და ყოველგვარი ბნელი საქმიანობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით უბრალო ანაბანაა, რა გაუხდა ერთი ხეირიანი ბომბის პოვნა, ან იმაზე ძლიერი მომწამვლელი გაზისა, რომელიც მხოლოდ ქათამსა და ძაღლზე მოქმედებს?“ [41:203]

ვიდრე ძაბირაძეს მივუბრუნდებით, მანამდე მოვიხმობთ ცნობილი გენერლის, აწ განსვენებულ თამაზ დუმბაძის სკანდალურ ჩვენებას იმის შესახებ, თუ როგორ აპირებდა საქართველოს მტრების სამსახურში ჩამდგარი ქართველების ერთი ჯგუფი ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ ლიკვიდაციას.

„ერთ დღეს ზურაბ ნაირაშვილმა განზე გამიხმო: საინტერესო ჩანაფიქრი და გეგმა მაქვს, მინდა, წამომყვე, რომ ყველაფერი თვალნათლივ გაჩვენო და ზოგი რამ აგიხსნაო! მანქანებში ჩავსხედით და ვაკის მიდამოებში ავედით. ავტომობილით ცოტათი გავუყევით ვერის უბნის მხარეს. გავჩერდით ქუჩაში, სადაც გზა გამსახურდიას „კოლხური კოშკისკენ“ მიდის. ნაირაშვილს ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი ზვიად გამსახურდიას ყოველდღიური მარშრუტი. ზუსტად, თითქმის წამების გათვლით ჰქონდა დადგენილი დრო. საკმაოდ დაწვრილებით ჰქონდა შედგენილი სქემაც. იგი ქუჩის განაპირას, მიწისქვეშა კომუნიკაციების ჭასთან მივიდა, სარქველი ახადა და მანიშნა, მომყევიო. ჩავედით ზვიადის სახლთან მდებარე ჭაში, საიდანაც ხელისგულივით ჩანდა ყველაფერი – ახლომახლო მოძრავი ტრანსპორტი, ცალკეული ადამიანები და, საერთოდ, ბრწყინვალე ხედვის არე იყო... ჩვენ ვერავინ გვამჩნევდა, ისე უმნიშვნელოდ და მოფარებულად იყო ეს ჭა. – წარმოიდგინე, თამაზ, აქედან რომ ერთი რიგიანად გავუშვა, როგორ ავაფრენ იმ შენს პრეზიდენტს თავისი სისულელეებით! ეს თქვა რუსულად, რადგან დიდხანს მსახურობდა საბჭოთა არმიაში და ამ ენაზე აზროვნებდა. სათქმელსაც ასე უფრო კარგად აყალიბებდა. წამოვედით. ყოველ შემთხვევაში, ერთი კონკრეტული ვარიანტი უკვე იყო შემუშავებული უკიდურესი შემთხვევისათვის!“[42:125-126]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა – თუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას აფეთქებას ზურაბ ნაირაშვილი, თამაზ დუმბაძე და მისთანები 1991 წელს გეგმავდნენ, იქნებ 1990 წელსაც ბლომად იყვნენ ისეთები, რომლებსაც 1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებში ზვიად გამსახურდი-

ას მონაწილეობა ხელს უშლიდათ და მის ფიზიკურ ლიკვიდაციას ან რბის ბალონში ჩადებული ბომბით აპირებდნენ, ანდა შხამითა და სამსალით?!

სატირალი და სავიშვიშო მთელ ამ ისტორიაში ის გახლავთ, ძველი დისიდენტი და სტაჟიანი მოღალატეების – „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი „მამა-დამფუძნებელი“ ვახტანგ ძაბირაძე საბჭოთა „კაგებეს“ რომ აკვალიანებს და ჭკუას ასწავლის, თუ როგორ და რა საშუალებით უნდა მოკლან ზვიად გამსახურდია!

ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოყვანა რომ იმაზე უფრო ადრე იყო დაგეგმილი, ვიდრე ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას რუსული ტანკებითა და ჰაუბიცებით დაამხობდნენ, ირიბი ცნობები ამის შესახებ შევარდნაძის მემუარებშიც კარგად ჩანს. შევარდნაძე პირდაპირ წერს: „დეკლარაციისგან თავს შევიკავებ. ჩემ მაგივრად შორეული მეგობარი იტყვის: „ადრე, საუბრების დროს, მე მრავალჯერ გკითხეთ თქვენ საქართველოს შესახებ, მის მიერ არჩეულ გზაზე. თქვენს სიტყვაძუნწ პასუხებში მე ვგრძნობდი დაფარულ ტკივილს. ახლა დადგა ისეთი მომენტი, როცა თქვენი პირადი პასუხისმგებლობა მისთვის და მის წინაშე მრავალჯერ გაიზარდა. თუ იგი გიხმობთ, თქვენ ვერ იტყვით – „არა!“ ეს მითხრა ჰანს დიტრიხ გენშერმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ჩვენ ვსაუბრობდით ვენაში, გერმანიის საელჩოში, 1992 წლის 21 თებერვალს – საქართველოში ჩემს დაბრუნებამდე ნახევარი თვით ადრე. გენშერი არ იყო ერთადერთი ადამიანი, ვისთანაც განვიხილე მიღებული გადაწყვეტილება. მაშინდელ ჩემს თანამოსაუბრეებს შორის იყვნენ ბორის ელცინი, ნურსულთან ნაზარბაევი, ლევონ ტერ-პეტროსიანი, ჯეიმს ბეიკერი, იასუშირო ნაკასონე, ჰენრი კისინჯერი, ჟაკ შირაკი, ბობ სტრაუსი, კოლეგები „დემოკრატიული რეფორმების მოძრაობიდან“. თავიდან რომ ავიცილო შინაური „პატრიოტების“ ბრალდება ქართული საზოგადოებრივი აზრის უგულებელყოფის გამო, ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ მომწიფდა, უპირველეს ყოვლისა, სწო-

რედ ქართული საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზემოქმედების შედეგად. ჩემთან მოდიოდნენ ჩვენებურები (ოთარ ლითანიშვილი, რამაზ ჩხიკვაძე, ირაკლი ბათიაშვილი და სხვანი); მათ შორის იყვნენ „მოღალატეებიც“ – გამსახურდიას ყოფილი მოკავშირეები და ჩემი გუშინდელი მომიტინგე-მლანძღველები“. [43:295]

ეროვნული ხელისუფლების დამხობის, ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციისა და საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანის ბნელითმოცული ისტორიის სისხლიან ლაბირინთებში დიდი სინათლე შეაქვს ფინეთსა და დასავლეთ ევროპაში საქართველოს პირველი პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენელ რენო სირაძის ერთ განცხადებას, რომელიც 2007 წლის აპრილში ქართულ პრესაში გამოქვეყნდა.

როგორც ბატონი სირაძის მიერ მოწოდებული ამ მეტად მნიშვნელოვანი ცნობიდან ირკვევა, საქართველოში ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა საბოლოოდ 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის „ერთ პატარა ქალაქში“ გამართულ საიდუმლო ბანკეტზე გადაწყდა, რომელსაც სწორედ შევარდნაძე მასპინძლობდა. ამ ბანკეტს მსოფლიო პოლიტიკისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების გრანდები ესწრებოდნენ – ადამიანები, რომლებიც პლანეტის ბედს განაგებენ. ბანკეტის ხარჯები, ცხადია, გაიღო მასპინძელმა – ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც მაშინ არავითარი თანამდებობა არ ეჭირა.

როგორც ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი რენო სირაძე იხსენებს, „დოკუმენტი ამ შეხვედრის შესახებ, სადაც შეხვედრის მონაწილეთა გვარ-სახელებიც არის დაფიქსირებული, ხელში ჩაუვარდა პუტჩის შემდგომ, თუმცა, შეხვედრა 1991 წლის ოქტომბერში გაიმართა. ბატონმა ჩარლზ ჩხოტუამ, ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელმა ლონდონში, მოიპოვა ეს დოკუმენტი და ფაქსით გამომიგზავნა. მაშინ ფაქსს ქაღალდზე კი არა, კომპიუტერით ვიღებდი და დღესდღეობით ეს უმნიშვნელოვანესი საბუთი დოკუმენტირებული მაქვს დიგიტალურად. როცა საჭირო იქნება, პროკურატურაში ამ დოკუმენტს აუცილებლად წარმოვადგენ. ერთი შე-

ხედვით, ეს არის ძალიან უწყინარი დოკუმენტი... აქ არის ადამიანთა რაღაც ჯგუფის საბანკეტო ანგარიში... ამ ბანკეტის მასპინძელი არის იმჟამად უმუშევარი მოქალაქე ედუარდ შევარდნაძე... ბანკეტი გაიმართა გერმანიის ერთ პატარა ქალაქში. დოკუმენტის მიხედვით ირკვევა, რომ ამ შეხვედრის, ანუ ბანკეტის, ხარჯები მთლიანად გაიღო შევარდნაძემ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ეს ბანკეტი არის გაგრძელება სხვა შეხვედრისა, რომელიც ბანკეტს წინ უსწრებდა... ამ ბანკეტის მონაწილეები იმ მეტად საჭირო და საიდუმლო შეხვედრის მონაწილეები არიან. ერთი სიტყვით, ეს არის რაღაც შეთანხმების საზეიმო აღნიშვნის ცერემონიალი. ბანკეტზე იმყოფებოდნენ მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანები, ოლიგარქები, ოღონდ არა რუსი ოლიგარქები... აქ არიან ქუვეითის შეიხები, ძალიან მდიდრები, ტრანსნაციონალური კომპანიების მეპატრონენი... იქ იყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ვითომ მიდიან, მაგრამ სინამდვილეში პოლიტიკიდან არასოდეს მიდიან... ყველაზე უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ შეხვედრის მასპინძელი ედუარდ შევარდნაძე დოკუმენტში მოხსენიებულია როგორც „საქართველოს პრეზიდენტი“... აქედან დასკვნა – იმ ბანკეტის წინა შეხვედრაზე, საიდუმლო სერობის დროს, როგორც ჩანს, გადაწყდა, რომ საქართველოში შევარდნაძე უნდა დაესვათ... მაშინვე გავაცანი პრეზიდენტს და, მგონი, გროზნოში ჩავუტანე მას კიდეც ეს დოკუმენტი. ზვიადს არაფერი გაჰკვირვებია, თქვა კიდეც, ეს მოსალოდნელი იყოო! საერთოდ, ზვიადს რამდენიმეჯერ აქვს ჩემთვის ნათქვამი – მე ამათ იქიდანაც დავამარცხებო! ე.ი. ზვიადი ფიქრობდა, რომ ის მკვდარიც კი მოუღებდა ამ საშინელ ძალას ბოლოს!“ [44:19]

კრემლის აგენტურა და დასავლეთის რეაქციული ძალები, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძის პირადი მსტოვრები – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურია და მისი მეუღლე ირინა სარიშვილი განასახიერებდნენ, იმდენად იყვნენ შეპყრობილი ზვიად გამსახურდიას როგორც პოლიტიკური, ისე ფიზიკური განადგურების სურვილით, ერთმნიშვნელოვნად

დაადგნენ კოლაბორაციის, მანქურთებისა და სამშობლოს ღალატის გზას. დასავლეთელი ვაიდემოკრატებისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ ზურგგამაგრებულმა გიორგი ჭანტურიამ, ირინა სარიშვილმა, ივლიანე ხაინდრავამ და ძმებმა ედუარდ და თენგიზ გუდავებმა 1990 წლის 4-6 ივლისს პრაღაში გამართულ საერთაშორისო კონფერენციას მიაღებინეს სამარცხვინო 24-ე რეზოლუცია. ამ რეზოლუციით საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც ჩეხეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ვაცლავ ჰაველმა ჩაატარა, დაგმო ზვიად გამსახურდია, რომელიც საქართველოში თურმე ეთნოკონფლიქტებს აჩაღებს და არაქართველების საქართველოდან გასახლებას გეგმავს! ამ რეზოლუციაზე თავად ვაცლავ ჰაველს ხელი არ მოუწერია, რასაც ზვიად გამსახურდია ძალიან აფასებდა; სამაგიეროდ, ოთხ ეთნიკურ ქართველთან ერთად დოკუმენტს ხელი მოაწერა საეჭვო წარმომავლობის რამდენიმე „დისიდენტმა“ და, მათ შორის, პარუირ აირიკიანმაც, რომელიც 1987 წელს ზვიად გამსახურდიას „კოლხურ კოშკში“ შეხვდა და ძმობა შეჰფიცა. [45:54-55]

ცნობილი ისტორიკოსი და მკვლევარი, პროფესორი დიმიტრი შველიძე პრაღის 24-ე რეზოლუციის შეფასებისას ე.წ. ოპოზიციის მისამართით „მოღალატისა“ და „სამშობლოს გამყიდველის“ იარლიყის მიწებებას ერიდება, თუმცა, ხაზგასმით აცხადებს: „პრაღის კონფერენციის რეზოლუციას რომ აწერდა ხელს, ჭანტურიამ კარგად იცოდა, რომ არც ზვიად გამსახურდია გახლდათ აგრესიულად განწყობილი საქართველოში ეროვნული უმცირესობების მიმართ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამსახურდიას ეროვნული უმცირესობებისადმი დამოკიდებულებას ნაციონალისტურად შევაფასებთ, აუცილებლად უნდა დავამატოთ და განვმარტოთ, რომ მისი ნაციონალიზმი თავდაცვითი გახლდათ და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესების დაცვით იყო განპირობებული, იმ ინტერესებით, რომელიც სამოცდაათწლიანი პერიოდის განმავლობაში ილახებოდა... კონგრესისტებმა გამსახურდიასა და მისი ბლოკის კრიტიკა საქართველოდან საერთაშორისო არენაზე გაიტანეს და ამით თავი-

სებური განაცხადიც გააკეთეს, რომ თავიანთი მოწინააღმდეგის დასამარცხებლად მზად იყვნენ, მოკავშირეები საქართველოს გარეთაც ეძებნათ“. [1:118]

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პროფესორ დიმიტრი შველიძისეული ეს შეფასება სხვა არაფერია, თუ არა მის მიერ აღწერილი პოლიტიკური პროცესისთვის სამშობლოს ღალატის მუხლის კვალიფიკაციის მინიჭება.

რაც შეეხება ირინა სარიშვილის „კაგებეშნიკობას“, ამ თემაზე ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ ყველაზე უფრო სარწმუნო, ალბათ, მაინც უნდა იყოს ცნობილი მწერლისა და პუბლიცისტის, ირაკლი კაკაბაძის, განცხადება: „ზვიადმა მაჩვენა მერაბ კოსტავას მიერ მისთვის მიწერილი ბოლო წერილი, სადაც ეუბნებოდა – ყველას უნდა შევურიგდეთ, მაგრამ ირინა სარიშვილი ნამდვილად „სუკის“ აგენტიაო!“ [46:4-6]

„საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე და ირინა სარიშვილის მეუღლე გიორგი ჭანტურია რომ შევარდნაძის სტაჟიანი მოკავშირე იყო, ამას სხვა უამრავ მტკიცებულებასთან ერთად შევარდნაძის ერთი საორშაბათო რადიოინტერვიუც ადასტურებს, რომელსაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი, პროფესორი ვანო თვალავაძე თავის „მოღაღადე ჩანაწერებში“ იხსენებს:

„1994 წლის 4 თებერვალს ნატო ონიანის კითხვაზე, თუ როგორ უყურებდა იგი გიორგი ჭანტურიას გამოწვევას ტელედებატებში, შევარდნაძემ უპასუხა: „რა საჭიროა დებატები, განა მისი პარტიის წარმომადგენლები არ არიან პარლამენტში? არ კამათობენ ჩემთან? ეს ხომ დებატებია...

საერთოდ, მე გია ჭანტურიასთან დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს და დიდ პატივს ვცემ მას. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს ჩემი მოსკოვში ყოფნის დროს და მრავალ საკითხზე გვისაუბრია...“ [47:312]

ედუარდ შევარდნაძეს მხოლოდ გია ჭანტურიასა და ჯაბა იოსელიანის „მოლარე“ გურამ მგელაძესთან არ ჰქონია ურთიერთობა. სწორედ ამ აზრს ემხრობა ზვიად გამსახურდიას ცნობილი თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს განათლებისა და მეცნიერების კომისიის თავმჯდომარე, აწ განსვენებული თემურ ქორიძე, რომელიც წერს: „მოგვიანებით განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება კარგა ხნით ადრე იყო ჩაფიქრებული და წინასწარგანზრახულ მიზნებს უკავშირდებოდა“. [48:44]

ზვიად გამსახურდიას დასამხობად და გასანადგურებლად ჯერ კიდევ მის ხელისუფლებაში მოსვლამდე ილესავდნენ კბილებს. „მხედრიონის“ ლიდერი ჯაბა იოსელიანი თავის „სამ განზომილებაში“ დეტალურად აღწერს, თუ როგორ შეიკრიბნენ გურამ მგელაძე, გიორგი ჭანტურია, ირაკლი წერეთელი და გენერალური პროკურორი ვახტანგ რაზმაძე მის სახლში და დაგეგმეს გივი გუმბარიძის გადაყენება, რომელიც „ზვიად გამსახურდიასთან შეუთანხმებლად ერთ ნაბიჯსაც არ დგამდა“. ამ მიზნით გურამ მგელაძე მოსკოვში შევარდნაძესთანაც კი მიავლინეს, ხოლო შემდეგ გუმბარიძის მოშორება ბიუროს საშუალებით სცადეს, მაგრამ ამ საქმიდან იმ ეტაპზე არაფერი გამოვიდა“... [50:22-23]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, დედამიწის ზურგზე არ მოიძებნება ადამიანი, რომელიც არ დაეთანხმება იმას, რაც ბორჯომში მყოფმა ზვიად გამსახურდიამ 1990 წლის აპრილის მიწურულს ავთანდილ რცხილაძეს განუცხადა: „ჯაბა იოსელიანი გურამ მგელაძის (საქართველოს კომპარტიის ცკ-სა და ბიუროს წევრი, საქართველოს აგრომრეწვის თავმჯდომარე) აგენტია, რომლის მითითებითა და დაფინანსებით „მხედრიონი“ შეიქმნა!“ [53:158]

ეროვნული ხელისუფლების დასამხობად წამოწყებულმა მოძრაობამ იმდენად ბინძური და ამაზრზენი იერსახე შეიძინა, საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას პირადი მტრები თავიანთ განზრახვას არც მალავდნენ. მოკეთეც და უკეთურიც გრძნობდა, რომ ზვიადი ადრე თუ გვიან აუცილებლად ილია ჭავჭავაძის ტრაგი-

კულ ბედს გაიზიარებდა და „ბერდენკისა“ თუ „სტეჩკინის“ ტყვია მისთვისაც გამოიძებნებოდა.

აი, რას იგონებს ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ცნობილი ლიტერატორი და პუბლიცისტი თემურ ქორიძე: „დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე ზვიადს ვუთხარი კიდეც – აუცილებლად ტყვიით მოკვდები-მეთქი! ამის მოწმენი დღეს ცოცხლები არიან და შეგიძლიათ, ჰკითხოთ. მაშინ არც ზვიადს და არც იქ მყოფთაგან პროტესტი არავის გამოუთქვამს“. [48:12]

ჯაბა იოსელიანი, რომელიც ედუარდ შევარდნაძემ დიდუბის პანთეონში მეცნიერების, მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეებისა და, ზოგადად, დიდი ქართველი კორიფეების გვერდით დაასაფლავებინა, ზვიად გამსახურდიას ფიზიკურ განადგურებას ჯერ კიდევ 1990 წლის გაზაფხულზე გეგმავდა. მაგალითად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაშინდელი დოცენტი, ხოლო დღეს უკვე პროფესორი, ბატონი ვანო თვალავაძე, იხსენებს 1990 წლის 27 მაისს, როცა აკაკი ბაქრაძეს შინ ჯაბა იოსელიანი ეწვია...

„საუბარში ვახსენე ზვიად გამსახურდია... ზვიადის ხსენებამ გააღიზიანა ჯაბა... შეუძლებელია, ადამიანმა დაივიწყოს, სიძულვილისა და გაბოროტების რა შხამი ამოანთხია ჯაბამ ზვიადის მიმართ – საშინელი, უწმაწური სიტყვებით აგინებდა მას... დაბოლოს, დაიხარა, სავარძლიდან ხელები მიიტანა თავის გაპრიალებულ ფეხსაცმელებთან და თქვა: „გამსახურდიას ხოხვით მოვათრევ ჩემს ფეხებთან, ფეხსაცმელებს ავალოკინებ და იქ წავაჭრი თავს, წავაჭრი გველივით...“ [47:248]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა – ბოლოს და ბოლოს, ვინ იყო ჯაბა იოსელიანი, რომელიც დღეს დიდუბის პანთეონში განისვენებს – „კანონიერი ქურდი“, პატრიოტი, პოლიტიკოსი, მებრძოლი, თუ „კაგებეს“ აგენტი?

ამ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხის გასაცემად, ალბათ, ყველაზე უკეთესია, გავეცნოთ ცნობილი კარდიოლოგის, პროფესორ ანზორ მელიას, ერთ ინტერვიუს, რომელიც ქართულ პრესაში გამოქვეყნდა. აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ბატონი მელია თავის დროზე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ შოთა კვირაიას მკურნალი ექიმი იყო და მის სახლში თვეობით ცხოვრობდა.

„ერთ მშვენიერ დღეს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა, გენერალმა ფეოდორ რეუტმა, შოთა კვირაია წყნეთში დაიბარა, სადაც ჯაბა იოსელიანი და თემურ ხაჩიშვილი დაახვედრა. ის დრო იყო, როცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია ჯაბა იოსელიანისა და ხაჩიშვილის დაჭერას გეგმავდა. რეუტმა შოთა კვირაიას შეაგინა – შენი კარგიც... ვერ გავიგე, რა თამაშს თამაშობ და ვის წისქვილზე ასხამ წყალს?! – ეს რა წესია, ან ესენი აქ რატომ დამახვედრე? – უპასუხა კვირაიამ. რეუტმა ბატონ შოთას ისევ შეაგინა და ჰკითხა – ბოლოს და ბოლოს, მითხარი, ვინ ხარ? – იცი, რას გეტყვი? პირველ რიგში, ვარ ქართველი, ქართულ ინტერესებს ვიცავ, რუსებს პატივს გცემთ, მაგრამ თქვენი მონა არ ვიქნები! ფეოდორ რეუტმა კვირაიას ისევ შეაგინა... ამის პასუხად შოთა კვირაიამ, რომელიც ძველი მოკრივე იყო, რეუტს ყბაში ატაკა მუშტი და გენერალი ნოკაუტში ჩააგდო... ატყდა ერთი ამბავი. შოთა დაცვამ სასწრაფოდ გამოარიდა იქაურობას და ატეხეს ჩემთან რეკვა – ბატონო ანზორ, სასწრაფოდ ბახტრიონზე ამოდით, ბატონ შოთას გულის შეტევა აქვს და იქნებ მოუსწროთო!“ [51:6-7]

მოკლედ, როგორც ამ ნაამბობიდან ირკვევა, ჯაბა იოსელიანი, რომელსაც შევარდნაძემ უამრავი სიბინძურე ჩაადენინა და ბოლოს მისი დაჭერა კვირაიას უბრძანა, თემურ ხაჩიშვილთან ერთად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან, გენერალ ფეოდორ რეუტთან, თავის გადასარჩენად ავიდა, რათა ამ უკანასკნელს შოთა კვირაიასთვის ყურები აექაჩა და გაეფრთხილებინა – ჯაბა ჩვენი კაცია და თითი არ დააკარო, თორემ ცუდად გექნება საქმეო! ეტყობა, კვირაიაში ქართულმა ღირსებამ ცხოვრებაში ერთ-

ხელ მაინც იმძლავრა, რუს გენერალს გინება არ აპატია და ჯერ ფეოდორ რეუტი ჩააგდო ნოკაუტში, ხოლო შემდეგ ჯაბა და ხაჩიშვილი – ციხეში!

ზვიად გამსახურდიას 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში მოპოვებული ტრიუმფალური გამარჯვების სიხარული ბოლომდე ვერც კი გაესიგრძეგანებინა, რომ 29 ოქტომბერს რუსთაველის პროსპექტზე გამართულ საზეიმო მიტინგზე მისი მოკვლა სცადეს. აი, რას იგონებს ცნობილი ქართველი მწერალი, მთარგმნელი და ირანისტი, პროფესორი ნომადი ბართაია: „ის იყო, ზვიადმა სიტყვა დაამთავრა, რომ მის ირგვლივ ჩოჩქოლი ატყდა. ხალხის ტალღა ირწეოდა... ხმაურმა იმატა. არეულობამდე არაფერი რჩებოდა. გასროლის ხმა გაისმა. ხალხი პანიკაში ჩავარდა. გაირკვა, რომ მოწინააღმდეგის ბანაკიდან ერთი ჯგუფი მიიწევდა ზვიადისკენ, რის საშუალებასაც მას ხალხი არ აძლევდა. ერთმა, რომელიც შემაღლებულზე იდგა, დიდი პროჟექტორი აიღო და ვიღაცას დაუმიზნა, მაგრამ გამოჰგლიჯეს ხელიდან. მერე სასწრაფოც მოვიდა... რამდენიმე ნაცემი ახალგაზრდა გამოიყვანეს ხალხიდან, რამდენიმე გაიქცა. ყველა ამბობს, რომ ზვიადის თავისუფლად გამოჩენა არ შეიძლება!“ [52:67]

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ზვიად გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური გუნდის ტრიუმფს რადიკალური თუ შეიარაღებული ოპოზიციის მცირერიცხოვანი ამქარი აპათიითა და ფსიქოზით შეხვდა. ასე, მაგალითად, მონარქისტი თემურ ჟორჟოლიანი ზვიად გამსახურდიას „სატანას“ ეძახდა... „ასევე, სატანად სახავდა ზვიადს ანზორ აბჟანდაძეც, რომელმაც ზვიადის „სატანიზმის“ რიცხვითი ფორმულაც კი გამოიყვანა; ხოლო გოგა ხაინდრავა – ტიპური წითელი სპეცაგენტი, აგრესიას ვერ მალავდა 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგების გამო და მეგაფონში ძარღვების დასკდომამდე გაჰყვიროდა: „პუტჩი დაიწყო საქართველოში 28 ოქტომბერს, გაიგეთ, ხალხო! ... ახლა მოქმედების დროა, ჩვენ ვიღუპებით!“ [45:54-55]

28 ოქტომბრის არჩევნებში გამსახურდიას ტრიუმფით გამარჯვებას ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი“ სხვა უკანონო ბანდფორმირებებთან ერთად იმით დაუპირისპირდა, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდა. 1990 წლის 14 ნოემბერს, როგორც კი უზენაესი საბჭოს პირველი სესია გაიხსნა, ჯაბა იოსელიანის „მხედრიონმა“ მთელი კახეთი მოითარეშა. კერძოდ, გურჯაანში, ყვარელში, ლაგოდეხში, თელავში შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ყველა ამ თავდასხმაზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და აღმოჩნდა, რომ დანაშაულს სჩადიოდა ერთი და იგივე ხალხი – „მხედრიონის“ კახეთის დაჯგუფება!

კერძოდ, 1990 წლის 14-15 ნოემბერს კახელმა „მხედრიონელებმა“ მილიციის განყოფილებებიდან გაიტაცეს „მაკაროვისა“ და „ტეტეს“ სისტემის პისტოლეტები, ჯავშანჟილეტები, ე.წ. რაკეტნიცები, მანქანები და გაათავისუფლეს არაერთხელ ნასამართლევი პატიმრები, რომელთაგან ერთ-ერთმა გაქცევის პერიოდში მკვლელობა ჩაიდინა. მხოლოდ 1990 წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ, რომელიც ტელევიზიით გამოვიდა, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების და, ძირითადად, „მხედრიონის“ მიერ ჩადენილი შემდეგი დანაშაულები ჩამოთვალა – 48 მკვლელობა, 76 სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, 47 ყაჩაღობა, 46 ძარცვა, 461 ქურდობა და ადამიანის გატაცების 5 ფაქტი. ეს ყველაფერი ორ თვეში იყო მომხდარი... [1:153-165]

1999 წლის ივნისში გაზეთმა „იბერია-სპექტრმა“ გამოაქვეყნა გიორგი ჭანტურიას ვრცელი „დოკლადი“ რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტ თენგიზ გუდავასადმი. ამ „დოკლადში“ ქართული პუტჩის მთელი ანატომია ხელისგულზე ძევს; კერძოდ, როგორ მიზანმიმართულად აბრალებდნენ ზვიად გამსახურდიას ეთნიკური უმცირესობების საქართველოდან გასახლებას, როგორ უქმნიდნენ ფაშისტისა და ჰომოფობის იმიჯს, როგორ არბევდა შეიარაღე-

ბული ოპოზიცია ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მშვიდობიან მიტინგებს და ა.შ.

ჩვენ ამ ვრცელი „დოკლადის“ მიმოხილვას არ შევუდგებით, მაგრამ რამდენიმე საინტერესო ამონარიდს მოვიყვანთ იმის დასტურად, თუ ვინ იყო სინამდვილეში ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში დასაფლავებული გიორგი ჭანტურია!

„თ. გუდავა: – გია, რა ხდება თქვენთან?

გ. ჭანტურია: – მანანა არჩვაძე რამდენიმე ქალთან ერთად შეიჭრა სტამბაში და დაარბიეს სტამბა, სადაც ჩვენი პარტიის გაზეთი „ქართული ქრონიკა“ იბეჭდება. ამის შესახებ მე და „ქართული ფილმის“ რედაქტორმა დავწერეთ სტატია, რომელმაც საქართველოში დიდი ბუმი გამოიწვია... როცა ჩვენმა ხალხმა პიკეტი მოაწყო სტამბის წინ, მილიცია მათ თავს დაესხა და დაარბია, მაგრამ ჩვენებმა ისინი კარგად მითეთქვეს... გამოქვეყნდა ნოდარ ნათაძის წერილი, რომელიც ამტკიცებდა – ზვიად გამსახურდიას არაფერი უთქვამს ეთნიკურ უმცირესობათა გასახლების შესახებ. იმ ეთნიკურ უმცირესობებზეა ლაპარაკი, რომლებიც გალის ქუჩაზე ცხოვრობენ. როგორც იცი, ამ ქუჩაზე ცხოვრობს თვით გამსახურდია – ისინი ზვიადს საერთოდ ანგელოზად თვლიან... ვიწყებთ დიდ აქციას – „კაგებეს“ პიკეტირებას! ამ აქციაში ჩვენ მხარს გვიჭერს „მხედრიონი“, „დემოკრატიული პარტია“, „საქართველოს მოქალაქეთა ლიგა“, „ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიამაც“ გამოთქვა ჩვენი მხარდაჭერის სურვილი...

ზვიადი თავის მიტინგებს ჩვენ წინააღმდეგ იყენებს. თითქოს ეთნიკური უმცირესობების გასახლების შესახებ არაფერი უთქვამს, მაგრამ ჩვენ ყველაფერი ჩაწერილი გვაქვს კასეტაზე. ამიტომ თქვენ შეგიძლიათ, თამამად დააწვეთ მას; იმ ჩანაწერებში იგი პირდაპირ ლაპარაკობს ოსებზე, სომხებზე, აზერბაიჯანელებზე, აფხაზებზე, მაგრამ ახლა ყოველივე ამას უარყოფს! ასე რომ, თქვენ თამამად შეგიძლიათ, დააწვეთ მას მაქედან...

ახლა აქ, თენგიზ, ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი ძალიან კარგად მიდის! მაგრამ ჩვენ ერთი ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით. რომ არა ეს შეცდომა და რომ არა ირაკლი წერეთლის ღალატი, დღეს ზვიადი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, არ იარსებებდა. ჩვენ ასეთი შეცდომა დავუშვით – როცა ზვიადი მიტინგს ატარებდა, ზუსტად არ მახსოვს რიცხვი, ჩვენმა „ბოევიკებმა“ ეს მიტინგი დაარბიეს და ზვიადსაც ყოფა უტირეს *(გ. ჭანტურია აქ ერთობ უცენზურო სიტყვას ხმარობს. ხაზი ჩვენია. – დ. ჩუბინიძე)*. ამან ჩვენ წინააღმდეგ უკურეაქცია გამოიწვია. მე რომ ხალხი გამსახურდიას მიტინგის დასარბევად გავგზავნე, ვუთხარი, რომ მათ უნდა ეყვირათ „ილიესკუ“, „მოღალატე“, „აბელი“ და ა.შ. ბიჭებმა კი, იქ ჩხუბი ატეხეს, დედის გინებაზე გადავიდნენ და სულ მიანგრ-მოანგრიეს იქაურობა. ამან ხალხის უკურეაქცია გამოიწვია. ეს ცუდად გამოგვივიდა... ინტელიგენციაც იღვიძებს ჩვენ სასარგებლოდ და ჩვენ გვერდით დგება. მოკლედ, ვფიქრობ, ზვიადის პრობლემას ჩვენ ძალიან მალე გადავწყვეტთ. ამისათვის, პრაქტიკულად, უკვე ყველაფერი გაკეთებულია. დაგვრჩა ბოლო დარტყმის მიყენება და სულ მალე ზვიადი, როგორც პრობლემა, აღარ იქნება!“ [49:2]

წინამდებარე ცნობაში, როგორც ვხედავთ, გიორგი ჭანტურია ზვიად გამსახურდიას ეთნიკური უმცირესობების სიძულვილსა და საქართველოდან მათი გასახლების მცდელობაში ადანაშაულებს და თენგიზ გუდავას აკვალიანებს – „თქვენ თამამად შეგიძლიათ, დააწვეთ მას მაქედან“!

ცოფიანი ქართული შურით განსივებული ეთნიკური ქართველები ზვიად გამსახურდიას სიძულვილით ისე იყვნენ გონებადახშული, საქართველოს ღალატის გზას აშკარად დაადგნენ. იმისათვის, რომ გამსახურდიას წინააღმდეგ მთელი მსოფლიო აემხედრებინათ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი იზოლაციაში მოექციათ, საქართველოს დაუძინებელმა მტრებმა ქვეყნის ასარევად და თავდაყირა დასაყენებლად უბინძურეს მეთოდებს მიმართეს და ზვიად გამსახურდიას ოსი ერის გენოციდში

დასდეს ბრალი! 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის გადატრიალების შემდეგ საქართველოდან განდევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხუნტის გენერალურმა პროკურორმა ვახტანგ რაზმაძემ „ოსი ხალხის გენოციდში“ „ბრალი“ ოფიციალურად დასდო! რაზმაძის მიერ წარდგენილი ამ „ბრალის“ შესახებ დაიბეჭდა ხუნტისტურ პრესაში და ითქვა ტელევიზიითაც. მოგვიანებით ვახტანგ რაზმაძემ ამ „ბრალდებაზე“ საგანგებოდ ისაუბრა და განაცხადა, რომ, თუ ზვიად გამსახურდიას ასეთ უმძიმეს ქმედებაში არ დაადანაშაულებდნენ, სომხეთის ხელისუფლებას მის გადმოცემას ვერ მოსთხოვდნენ. [1:2-3]

ამ ორიოდე წლის წინათ უზენაესი საბჭოს დეპუტატმა ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ასეთი რამ დაწერა: „1991 წელს გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა „ლე მონდმა“ დაბეჭდა – გამსახურდიამ საქართველოში მიიღო კანონი, რომელიც ოსი ეროვნების ადამიანებს ერთ შვილზე მეტის ყოლას უკრძალავსო! როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ ხსენებული გაზეთის რედაქტორს აღშფოთებულმა ქართველმა ემიგრანტებმა ჰკითხეს, რაზე დაყრდნობით განათავსა ეს აბსურდული ინფორმაცია, „ლე მონდის“ რედაქტორმა განაცხადა – ამის შესახებ ისეთმა პიროვნებამ მაცნობა, რომელსაც უყოყმანოდ ვენდობოდიო! ეს პიროვნება გახლდათ მერაბ მამარდაშვილი!“ ბატონ ბიმურზა აფრასიძე-დადეშქელიანს ამ საკითხზე პირადად დავურეკეთ და ველაპარაკეთ. აფრასიძემ დაგვიდასტურა, რომ ე.წ. ფეისბუქსტატუსი ნამდვილად მას ეკუთვნის! უფრო მეტიც, მან იმ ქართველი ემიგრანტის გვარ-სახელიც გვითხრა, რომელიც ფრანგული „ლე მონდის“ რედაქციაში მივიდა და ზემოხსენებული ბინძური და ცილისმწამებლური ცნობის გავრცელების გამო გაზეთის რედაქტორს ელაპარაკა. ეს პიროვნება აღმოჩნდა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, ქალბატონი მედეა თუშმალიშვილი.

შეიარაღებული ოპოზიციის ტოტალური შეტევა ზვიად გამსახურდიასა და მისი მხარდამჭერების, განსაკუთრებით, მებრძოლი ზვიადისტების, წინააღმდეგ მთელ საქართველოში გაიშალა. ამ თვალსაზრისით სამაგალითო გახლდათ სამაჩაბლოში, სოფელ ქემერტში მცხოვრები ვაჟკაცის – მერაბ მინდიაშვილის, ტრაგიკული და მოწამეობრივი აღსასრული. მერაბ მინდიაშვილი, რომელსაც თანასოფლელები და ნაცნობ-მეგობრები მეტსახელად „ვიროს“ ეძახდნენ, 1991 წლის 18 მარტს ერედვის გზაზე ოსმა კრიმინალებმა შეიპყრეს, ხის კუნძს გამოაბეს და ცეცხლში დაწვეს. ქართველი ვაჟკაცი სიკვდილის წინ „შავლეგოს“ მღეროდა. „მხედრიონის“ სკანდალური ლიდერი და ცნობილი „კანონიერი ქურდი“ ჯაბა იოსელიანი თავის წიგნში „სამი განზომილება“ ასეთ საშინელებას წერს: „1991 წელს სამაჩაბლოს გმირებს – მინდიაშვილებს, თბილისში ერთ-ერთ რესტორანში დამაძინებელს უყრიან ჭიქაში და შემდეგ მათ ცხინვალთან ოსები ხეზე მიბმულს წვავენ... გოგა ჩადის ცხინვალთან, მიდის, დამწვარ ქართველებს უღებს სურათებს, ოსების მეშვეობით მოძრაობს სამაჩაბლოში, შემდეგ ამ ფოტოებს აგზავნის საზღვარგარეთ, თითქოს ქართველებმა ოსები ცოცხლად დაწვეს. როგორც შემდგომ ვიგებთ, გოგას ამ საქმეში დიდი ფული აუღია!“ [50:360]

ამ ცნობაში მოხსენიებული „გოგა“ ყველასათვის კარგად ცნობილი კინორეჟისორი გოგა ხაინდრავა გახლავთ, რომელსაც ჯაბა იოსელიანი 1992 წლის 6 იანვარს მეტეხის ხიდთან უზენაესი საბჭოს დეპუტატების დახოცვაშიც ადებს ხელს, თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით! მოკლედ, საქართველოში ისეთი დრო იდგა, აწ განსვენებულმა აკადემიკოსმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა ერთხელ ხალხმრავალ მიტინგზე რომ ბრძანა – „არ შეიძლებოდა, მოგექნია ზვიად გამსახურდიასთვის და არ მოხვედროდა საქართველოს!“

ცნობილი მეცნიერისა და ანალიტიკოსის, პროფესორ იგორ კვესელავას დასკვნით, „საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება მოიცავს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქებს, ეროვნული

ხელისუფლების 1990-1991 წლების მონაკვეთს, როდესაც საქართველო ირჩევს სრული დამოუკიდებლობის გზას, არ ეძებს მფარველ სახელმწიფოს და, შესაბამისად, თავისუფალია ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ტრადიციული მოდელის ფორმისა და შინაარსისგან". [18:66]

მეცნიერს ზემოხსენებულ სამეცნიერო მონოგრაფიაში შემოაქვს მნიშვნელობითა და არსით ორი თანასწორი და თანაზიარი ტერმინი –„ზვიადიზმი" და აკაკი ბაქრაძისეული „დავითიზმი" – და მიიჩნევს, რომ საქართველოს „ოქროს ხანის" შემდეგ, თუ გიორგი ბრწყინვალის ეპოქას მხედველობაში არ მივიღებთ, ზვიად გამსახურდია არის ერთადერთი მმართველი, რომელიც მსოფლიოში არა მფარველს, არამედ პოლიტიკურ პარტნიორსა და მოკავშირეს ეძებდა. ალბათ, გამსახურდიას მკვლელობისა და ეროვნული ხელისუფლების ასე მოკლე დროში დამხობის მიზეზიც სწორედ ზვიადის „დავითიზმში" უნდა ვეძებოთ, რასაც სიტუაციის გაბიაბრუების მიზნით მისმა პირადმა მტრებმა და საქართველოს დაღუპვის მოსურნეებმა ბოღმით „ზვიადიზმი" უწოდეს...


თუმცა, ეს ხალხი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა, თუ რა დიდ საქმეს გაუკეთებდა საქართველოსა და ქართველობას, როცა თავისი ნების საწინააღმდეგოდ ამ ტერმინით სამუდამოდ უკვდავყოფდა როგორც ზვიად გამსახურდიას სახელს, ისე მის პოლიტიკურ ფენომენს.

ნაშრომში ჩვენ დავინახავთ, რომ ზვიად გამსახურდიასა და მისი პოლიტიკური კურსის – „დავითიზმის" – იდეური მტრები ერთი დიდი მფარველის ფრთებქვეშ იყვნენ შეყუჟული და კიდევ უფრო გავლენიან მფარველს ეძებდნენ.

მოკლედ, ყველას ჰყავდა პატრონი – ზოგს პრეზიდენტი ბუში, ზოგს – გორბაჩოვი, ზოგს – ელცინი, ზოგს – ედუარდ შევარდნაძე, ზოგს – გურამ მგელაძე, ზოგს – საბჭოთა „კაგებე", ზოგს – კომპარტია და ა.შ.

2.2. ედუარდ შევარდნაძე და მისი მეტასტაზები ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ

ზვიად გამსახურდიას ცნობილი თანამებრძოლისა და უზენაესი საბჭოს წევრ ავთანდილ რცხილაძის ცნობით, ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია ჯერ კიდევ 1990 წლის დასაწყისში დაიგეგმა, როცა „იმელის“ შენობაში „ეროვნული ფორუმის“ სხდომები იმართებოდა.



აგრომრეწვის თავმჯდომარე, შევარდნაძის მეგობარი და „კასირი“ გურამ მგელაძე

1990 წლის 24 აპრილს, ფორუმის სხდომის მიმდინარეობისას, „მხედრიონმა“ ყოვლად გაუმართლებელი სროლა აუტეხა „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრებს, რომლებიც თავდაპირველად „მხედრიონში“ ირიცხებოდნენ, შემდეგ კი, ავთანდილ მანაგაძის მეთაურობით, გაემიჯნენ ჯაბა იოსელიანს. ავთანდილ მანაგაძის განცხადებით, მიზეზი „მხედრიონიდან“ გასვლისა იყო ის, რომ ჯაბა იოსელიანმა მას დაავალა ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაცია, ანუ მკვლელობა (!), რასაც ავთანდილ მანაგაძე კატეგორიულად არ დაეთანხმა, ხოლო ჯაბა იოსელიანთან უმძაფრესი დაპირისპირების შემდეგ „მხედრიონიდან“ გამოსულმა თავის მომხრეებთან ერთად დააარსა „თეთრი გიორგის საზოგადოება“. [53:157]

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ „იმელის“ შენობასთან მომხდარი ინციდენტიდან ცოტა ხანში ავთანდილ მანაგაძე მოკლეს. კერძოდ, 1990 წლის ზაფხულში თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, მას ტერორისტული აქტი მოუწყვეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

როგორც აწ განსვენებული ავთანდილ რცხილაძე წერს, ეროვნული ფორუმის სხდომებზე „აშკარად შეიმჩნეოდა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ლიდერ გია ჭანტურიას ალიანსი ჯაბა იოსელიანის „მხედრიონთან“, რასაც ადასტურებს ფორუმის ერთერთ სხდომაზე ჯაბა იოსელიანის ინიციატივით „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან“ გაფორმებული პოლიტიკური თანამშრომლობა. აღსანიშნავია ჯაბა იოსელიანის სიტყვები, რომლებითაც მაშინ მან გია ჭანტურიას მიმართა: „გია, „მხედრიონი“ არის ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაცია, ამიტომ ჩვენ გვჭირდება პოლიტიკური ფარი. გთავაზობ თანამშრომლობას და მეგობრობას ჩვენს ორგანიზაციებს შორის. მე მჯერა, რომ ჩვენ დიდ საქმეებს გავაკეთებთ! ამ სიტყვების გამგონე გია ჭანტურიას სიხარულისგან სახე გაებადრა და მაშინვე, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე, დიდი აღტაცებით თანხმობა განაცხადა, რის შემდეგაც გია ჭანტურიამ და ჯაბა იოსელიანმა ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, გადაეხვივნენ ერთმანეთს ბეჭებზე ხელის ტყაპუნით...“ [53:155]

„იმელთან“ ატეხილმა სროლამ ბორჯომში ოჯახთან ერთად დასასვენებლად მყოფი ზვიად გამსახურდია საბოლოოდ მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ „ეროვნულ ფორუმს“ ერთხელ და სამუდამოდ გამოეჯვნოდა. 1990 წლის 26 აპრილს ასეც მოხდა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირმა“, წმინდა ილია მართლისა და მერაბ კოსტავას საზოგადოებებმა „ეროვნული ფორუმი“ ოფიციალურად დატოვეს. წინა დღით, 1990 წლის 25 აპრილს, ავთანდილ რცხილაძე ზვიად გამსახურდიასთან ბორჯომში ჩავიდა, რათა „ფორუმში“ არსებული ვითარების შესახებ მისთვის მოეთხრო. როგორც ავთანდილ რცხილაძე იგონებს, „ჯაბა იოსელიანისა და გია ჭანტურიას ალიანსზე ბატონმა ზვიადმა მოკლედ ბრძანა – ეგ მოსალოდნელი

იყო! მეორე შემთხვევაში კი – ჯაბა იოსელიანი გურამ მგელაძის (საქართველოს კომპარტიის ცკ-სა და ბიუროს წევრი, „საქართველოს აგრომრეწვის“ თავმჯდომარე) აგენტია, რომლის მითითებითა და დაფინანსებით „მხედრიონი“ შეიქმნა. ჯაბა იოსელიანის მიზანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განადგურება, აქედან გამომდინარე კი, სისხლისღვრის პროვოცირება, რაც კომუნისტურ ხელისუფლებას საშუალებას მისცემს, ჩვენ წინააღმდეგ უმკაცრესი რეპრესიები განახორციელოს. ამიტომ ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების ყოფნა „ეროვნულ ფორუმში“ ყოვლად დაუშვებელია, უფრო მეტიც, უზნეობად მიმაჩნია!“ [53:158]

1990 წლის 28 ოქტომბრის ისტორიულ არჩევნებამდე თითქმის ორი თვით ადრე ქართველი პატრიოტების ერთი ჯგუფის – ზაზა წიკლაურისა და ვანო თვალავაძის, ინიციატივით, დღის წესრიგში დადგა ზვიად გამსახურდიასა და აკაკი ბაქრაძის შეხვედრის საკითხი, რასაც როგორც გამსახურდია, ისე ბაქრაძე დიდი მოწონებით შეხვდნენ. საუბარი იყო იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდია და აკაკი ბაქრაძე არჩევნებზე ერთიანი სიით წარმდგარიყვნენ. ამ იდეას, რომელსაც მხოლოდ ირაკლი შენგელაია და მწვანეების ლიდერი ზურაბ ჟვანია ეწინააღმდეგებოდნენ, აკაკი ბაქრაძემ სიხარულით დაუჭირა მხარი. ზვიად გამსახურდია საერთოდ უარს ამბობდა პირველკაცობასა და არჩევნებში მონაწილეობაზე. ამით მას სურდა, „დაემტკიცებინა ყველა ოპონენტისა და ოპოზიციაში მდგომ პარტიათა ლიდერებისათვის, რომ მისთვის უპირველესი იყო სამშობლო და მისი თავისუფლება“. [47:237]

1990 წლის 14 სექტემბერს წყნეთში მყოფი აკაკი ბაქრაძე კიდევ ერთხელ ინახულეს ვანო თვალავაძემ და ზაზა წიკლაურმა. ეს შეხვედრა 15:00 საათზე შედგა და აკაკი ბაქრაძე ზვიად გამსახურდიასთან საერთო სიით არჩევნებში მონაწილეობას ისევ და ისევ ერთგულად უჭერდა მხარს. იმავე დღეს, 23:00 საათზე, აკაკი ბაქრაძეს წყნეთში ესტუმრნენ ზვიად გამსახურდია, ზაზა წიკლაური, დათო

უკლება, ნანა პატარიძე, რობერტ პეტრიაშვილი, თედო პაატაშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, ზაზა წიკლაური, ვანო თვალავაძე და სხვები, რათა ზვიადსა და აკაკი ბაქრაძეს შორის საბოლოო შეთანხმება მომხდარიყო! მაგრამ ჰოი, საკვირველებავ – ბაქრაძემ გამსახურდიას საერთო სიით არჩევნებში მონაწილეობაზე უარი სტკიცა და, უფრო მეტიც, სტუმრები შინაც კი არ შეიპატიჟა – შეხვედრა ეზოშივე დაასრულა. ბაქრაძის საქციელით სუყველა გაოგნებული იყო...

ბუნებრივად დაისმის კითხვა – რა მოხდა 8 საათის განმავლობაში ისეთი, რომ აკაკი ბაქრაძემ თავისი პოზიცია რადიკალურად შეცვალა და ზვიად გამსახურდიასთან მიღწეული შეთანხმება ასე სამარცხვინოდ დაარღვია? აღნიშნულ შეკითხვას ამ მოვლენების უშუალო მონაწილე და თვითმხილველი, პროფესორი ვანო თვალავაძე შემდეგნაირად უპასუხებს: 1995 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების შემდეგ „საუბარში ბატონმა აკაკი ბაქრაძემ მითხრა: 1990 წლის ოქტომბრის არჩევნებში გამსახურდიასთან ერთად საერთო სიით მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი იყო მუქარა, რომელიც არჩევნებში ჩვენი საერთო სიით მონაწილეობის შემთხვევაში განხორციელდებოდა... ბატონ აკაკის არ დაუკონკრეტებია არც მუქარის შინაარსი და არც ის პიროვნება დაუსახელებია, ვისგანაც მუქარა მოდიოდა“. [47:247]



აკაკი ბაქრაძე

რატომ არ შეიპატიჟა აკაკი ბაქრაძემ 1990 წლის 14 სექტემბერს ღამის 11 საათზე სტუმრად მისული ზვიად გამსახურდია შინ? და-

ვიჯეროთ, ამ ცნობილ ინტელექტუალს ქართულ სტუმარმასპინძლობაზე არაფერი გაეგო და წაეკითხა? ცხადია, ამის წარმოდგენაც კი, დიდი უსამართლობა იქნებოდა. ბატონმა ვანომ ამ ამოუხსნელ პოლიტიკურ რებუსსაც მოუძებნა ახსნა... მისი ინფორმაციით, რომელიც პირადად მითხრა, იმ საღამოს აკაკი ბაქრაძეს შინ სწორედ ჯაბა იოსელიანი სტუმრობდა და მასპინძელი ზვიად გამსახურდიასა და ჯაბას შორის უცილობელ კონფლიქტს მოერიდა, როცა ზვიადი ოჯახში არ შეიპატიჟა.

28 ოქტომბრის არჩევნების წინ დაპირისპირებამ „ეროვნული ფორუმის“ საკოორდინაციო საბჭოსა და ზვიად გამსახურდიას „მრგვალ მაგიდას“ შორის ძალიან საშიში სახე შეიძინა. ვითარების განმუსტვის მიზნით, ზვიად გამსახურდიას დავალებით, ავთანდილ რცხილაძე „აგრომრეწვის“ შენობაში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, გურამ მგელაძის, კაბინეტში ჯაბა იოსელიანს შეხვდა. შეხვედრას, რა თქმა უნდა, ესწრებოდნენ: თავად მგელაძე; ჯაბა იოსელიანი; გრიშა ონიანი, როგორც ჯაბას მეგობარი; ავთანდილ რცხილაძე და დილარ ხაბულიანი. შეხვედრა კორექტულ ვითარებაში ჩატარდა და მხარეები შეთანხმდნენ, რომ ერთმანეთს არჩევნების ჩატარებაში ხელს არ შეუშლიდნენ. მოგეხსენებათ, 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ჯაბა იოსელიანის, გიორგი ჭანტურიასა და ირაკლი წერეთლის ფრთას 1990 წლის 30 სექტემბერს ე.წ. ეროვნული კონგრესის არჩევნები ჰქონდა დანიშნული, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩაიშალა. სხვათა შორის, „კონგრესის“ არჩევნები რომ ჩაიშალა და ეს ყველაფერი რომ თავიდანვე ფიქცია იყო, ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა ე.წ. ეროვნული კონგრესის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორმა მერაბ ალექსიძემ, ხოლო „ნომერ პირველმა კონგრესმენმა“ და „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ თავმჯდომარე ირაკლი წერეთელმა, რომელიც ზვიად გამსახურდიასთან უკიდურესად დაპირისპირებული იყო, 2010 წლის აგვისტოში ტელეგადა-

ცემა „ისტორიაში“ აღიარა, რომ „კონგრესის არჩევნები პრაქტიკულად არ ჩატარდა. იმდენად ცოტა ხალხი მოვიდა არჩევნებზე, რომ კონგრესი არ არჩეულა“. [46:2-3]

მოკლედ, გურამ მგელაძის კაბინეტში დაგეგმილი შეხვედრა მშვიდობიანად დასრულდა, მხარეები ერთმანეთს გამოემშვიდობნენ, მაგრამ კარებში გამოსვლის დროს ჯაბა იოსელიანმა ავთანდილ რცხილაძე შეაჩერა და უთხრა: „ავთანდილ, მართალია, დღეს ჩვენ შევთანხმდით, რაც ჩემ მიერ უდავოდ შესრულებული იქნება, მაგრამ კარგად დაიმახსოვრეთ შენც და თქვენმა ზვიადმაც, რომ, საბოლოო ჯამში, მაინც გესვრით!“ [53:208]

ამ მუქარას ავთანდილ რცხილაძემ ასეთი პასუხი გასცა: „ბატონო ჯაბა, გულწრფელად გეტყვი, რომ მართლაც მჯერა შენი სიტყვებისა, მაგრამ იცოდე და კარგად დაიმახსოვრე, შენი პატრონი ბოლომდე გამოგიყენებს, ჩვენ მიმართაც გასროლინებს, რასაც დიდი მონდომებით შეასრულებ, მაგრამ როგორც კი მისთვის საჭირო აღარ იქნები, თავად გაგანადგურებს შენ და შენს „მხედრიონსაც!“ [53:208]

ავთანდილ რცხილაძე ამ შეხვედრიდან პირდაპირ „კოლხურ კოშკში“ ავიდა და ზვიად გამსახურდიას ყველაფერი დაწვრილებით უამბო, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჯაბა იოსელიანის მუქარაც არ დავიწყებია. როგორც თავად იგონებს, ზვიად გამსახურდიამ ასეთი რამ უთხრა: „კარგი პასუხი გაგიცია; ჯაბა იოსელიანის გამოყენებას დღეს ბევრი ცდილობს, უპირველესად კი, ედუარდ შევარდნაძე და გიორგი ჭანტურია. მეტად დამაფიქრებელია მისი თანხმობა არჩევნების პროცესში არჩარევის თაობაზე, ხოლო მისი სიტყვები – საბოლოო ჯამში, გესვრითო, მართლაც ამტკიცებს იმას, რომ შევარდნაძეს ჩვენ წინააღმდეგ უკვე აქვს სამოქმედო გეგმა. საკითხავია, რა სახით აამუშავებს ჩანაფიქრს – დაუყოვნებლივ, მთლიანობაში, თუ ეტაპობრივად? მე მგონია, მაინც მეორე ვარიანტს აირჩევს – ეტაპობრივს, ე.ი. ჩვენთვის ყველაზე უარესს. ასე რომ, შევარდნაძის გეგმაა ჭეშმარიტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მო-

ძრაობის ძირფესვიანად ამოძირკვა და საბოლოო განადგურება; აქედან გამომდინარე კი, დარწმუნებული ვარ, რომ შევარდნაძეს არ სურს უზენაეს საბჭოში ჩვენი უმცირესობაში ყოფნა, როგორც ძლიერი ოპოზიციური ფრაქციისა, რადგან ამას პლუს ხალხის უზარმაზარი მხარდაჭერა შევარდნაძეს უდიდეს ძალად მოევლინება, მაგრამ რატომ გვაძლევენ არჩევნების ნორმალურ პირობებში ჩატარების საშუალებას?“ [53:209]

ამ შეკითხვას, რომლითაც ზვიად გამსახურდიამ ავთანდილ რცხილაძეს მიმართა, ერთადერთი სწორი პასუხი ჰქონდა და აქვს – შევარდნაძე 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ასე თუ ისე ნორმალურ პირობებში ჩატარების შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ეგუებოდა, რომ მისი საქართველოში დაბრუნების შესახებ საბოლოო პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არსებობდა. შესაძლოა, რომელიმე მისი ცალკეული მეგობარი ამ ინიციატივით გამოდიოდა, მაგრამ ერთიანობაში მსოფლიოს მმართველ ფინანსურ და პოლიტიკურ ელიტას 1990 წლის ზაფხულში ედუარდ ამბროსოვიჩის „მეორედ მოსვლის“ შესახებ ერთიანი და ჩამოყალიბებული პოზიცია არ ჰქონდა. როგორც კი მსგავსი გადაწყვეტილება მიიღეს, რამდენიმე თვეში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაც ზარბაზნებით გარეკეს და საქართველოს დედაქალაქიც ნათურქალს დაამსგავსეს.

ეს რომ ასეა, ზვიად გამსახურდიას ცნობილი თანამებრძოლი რენო სირაძეც ადასტურებს, რომელიც არ მალავს, რომ ფინეთსა და შვედეთში ამერიკული ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მაღალჩინოსნებს ხვდებოდა...

„მთელი ნახევარი წლის განმავლობაში მე არ ვიცოდი, რომ პიროვნება, რომელიც ფინეთში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მუშაობდა და ვხვდებოდი, „ცსს“-ის ძალიან მაღალი რანგის ოფიცერი იყო. საქართველოში რეფერენდუმი რომ ჩატარდა და ზვიადმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ჩვენმა შტაბმა ფინეთში უცხოეთის დიპლომატიურ კორპუსებს დაუგზავნა საინფორმა-

ციო ბიულეტენები, სადაც მსოფლიოს ვამცნობდით საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ, რომ ჩვენ თავისუფლებისთვის ვიბრძოდით და ა.შ. აი, სწორედ მაშინ დამიკავშირდა ამერიკის საელჩოდან პიროვნება, რომელიც კულტურის ატაშედ გამეცნო და პერიოდულად მხვდებოდა. გერმანიის საელჩოდანაც იჩენდნენ ყურადღებას, მაგრამ ინტენსიურს არა... იმ ამერიკელის გვარს და სახლს არ გეტყვით, იმიტომ, რომ დღესაც იქ მუშაობს. მან მითხრა – თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოსთვის ერთად ვიმუშაოთ, თანაც ბევრ რამეში დაგეხმარებითო!.. – ამაზე კარგი რა უნდა იყოს-მეთქი! – ვუპასუხე... „მუშაობა“ იმას ნიშნავდა, რომ კვირაში ორჯერ მაინც ვხვდებოდით ერთმანეთს. როდესაც მათ პრეზიდენტისგან რაიმე აინტერესებდათ, იცოდნენ, რომ ზვიადთან პირდაპირი კონტაქტი მქონდა და მოდიოდნენ ჩემთან. ამერიკელებს აინტერესებდათ ყველაფერი... ისინი მაძლევდნენ სპეციალურ კითხვარებს, რომელიც პირდაპირ ვაშინგტონიდან მოდიოდა... კაცმა რომ თქვას, კითხვები რაიმე საიდუმლოს არ ეხებოდა... მახსოვს, ძალიან დიდ ინტერესს იჩენდნენ ამერიკელები ნავთობსადენისადმი და ა.შ. მე ის ქაღალდი, რომლითაც ჩვენთვის ექსკლუზიურ კითხვებს აგზავნიდნენ, რამდენიმეჯერ მინახავს ჩემი თვალით და დღემდე გაოგნებული ვარ... ეს იყო სულ სხვანაირი ქაღალდი... ტელეტაქსი არ იყო, არც ტელექსი იყო... ეს გახლდათ რაღაც სპეციფიკური რამ და გრიფი ჰქონდა ტოქსიკარტი. ერთხელ, როცა საქართველოში მოვფრინავდი, ამერიკელს ვთხოვე, რომ ეს ქაღალდი თან წამომეღო, რადგან კითხვების გადაწერა მეზარებოდა, რაზეც მიპასუხა – ამის უფლება არ მაქვს! 1991 წლის ივნისში ამერიკელი მეუბნება – სულ მალე ამერიკა საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობს და ეს ამბავი თქვენს პრეზიდენტს შეატყობინეთ, მაგრამ ისიც უთხარით, ამ ამბავს ჯერ ნუ გაახმაურებსო! ზვიადი მაშინვე ჩავაყენე საქმის კურსში და გაგიჟდა კაცი სიხარულით... მთელი ის ზაფხული აქ ვიყავი და 1991 წლის აგვისტოს ბოლოს წავედი ფინეთში!.. 1991 წლის 2 სექტემბერს „ეროვნულ-დემოკრატიულმა

პარტიამ“ ცნობილი პროვოკაცია მოაწყო... ერთი სიტყვით, 2 სექტემბრის პროვოკაცია უკვე მომხდარია, ჰელსინკში ვარ, ამერიკელს ვხვდები და ვხედავ, რომ ის ძალიან ცუდ ხასიათზეა... ამერიკელმა პირდაპირ მითხრა – პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ თქვენთან შეხვედრა ამიკრძალაო! უკვე მივხვდი, რომ ჩვენი საქმე ცუდად იყო... ამერიკელმა იქვე დაამატა – ამიკრძალეს თქვენთან შეხვედრები, მაგრამ მე ჩემი არხები მაქვს და ჩემი არხით ჩვენ გავაგრძელებთ მუშაობასო!.. ამერიკელი მალე ჟენევაში გადაიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ ვიდრე წავიდოდა, არ დაუმალავს და პირდაპირ მითხრა – ახლა მე თქვენ შეგახვედრებთ ჩემს შემცვლელსო! შემცვლელმა, რომელთანაც შეხვედრებს ვაგრძელებდი, პირდაპირ მითხრა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის გავრცელებას კურირებდა ედუარდ შევარდნაძე!“ [44:19]

სწორედ ედუარდ შევარდნაძის „ნამოღვაწარის“ გამო მოხდა ის, რომ ზვიად გამსახურდიას დასავლეთის პრესაში „ფაშისტისა“ და „სადამ ჰუსეინის“ თიკუნებით ამკობდნენ. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ჟურნალისტი თომას გოლცი, რომელიც საქართველოში 1992 წლიდან 2008 წლამდე მოღვაწეობდა და დიდი ალბათობით ამერიკული „ცსს“-ის საიდუმლო აგენტი იყო, პირდაპირ წერს, რომ 1992 წლის იანვარში, როცა მას ლონდონიდან „სანდი თაიმის“ რედაქტორმა მეთიუ კემპბელმა ბაქოს ოფისში დაურეკა და ექსკლუზიური ინტერვიუს ასაღებად ზუგდიდში წასვლა დააავალა, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, რომლის სახელი და გვარი ვერ გაიხსენა, ასეთი სიტყვებით შეამკო – „ფაშისტი რომ ჰყავდათ და ახლა რომ მოიშორეს“, აი, იმასთან ინტერვიუ მინდა, თუ რას გრძნობდა ხელისუფლებიდან ჩამოგდების დროს!“ [54:3]

თომას გოლცი ცინიკოსია, ის ქართველ ხალხს, თავისუფლებისთვის მებრძოლ უწესიერეს ადამიანებს ხშირად აბუჩად იგდებს, დასცინის, აბიაბრუებს, მასში წმინდა თითქოს არაფერია, მაგრამ 1994 წლის 28 თებერვალს ედუარდ შევარდნაძეს, რომელსაც საქართველოში მომხდარ გადატრიალებაში მისი როლის შესახებ ეკი-

თხება, ძალიან მნიშვნელოვან რამეს ათქმევინებს: „მე შემეცოდა იგი (ზვიად გამსახურდია). მისი სიკვდილი სამწუხარო იყო ჩემთვის, რადგან გამსახურდია, როგორც პოლიტიკური ფიგურა, უკვე მკვდარი იყო და მისი მოქმედებები აღარ უქმნიდა ქვეყანას სერიოზულ საფრთხეს... არის ხალხი, ვინც ფიქრობს, რომ გამსახურდია მოსკოვის მოყვანილი იყო – ეს სხვა თეორიაა. რაც შეეხება მოსკოვის მიერ ჩემი ჩამოყვანის იდეას, ეს შეურაცხმყოფელია. ეს იყო ხალხის მოთხოვნა, მათი სურვილის გამოხატულება. ასევე მოხდა აზერბაიჯანშიც. არ ვთვლი მე ამას რუსეთის მიერ ინსპირირებულად!“ [54:251-255]

კაცმა რომ თქვას, ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა შევარდნაძე ცამდე მართალია. ვფიქრობთ, რომ საქართველოში ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობასა და ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანაში რუსეთმა შეასრულა მხოლოდ სისხლიანი ჯალათის როლი, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა (უფროსი) – იმ გაპუდრული და მანტიამოსხმული მოსამართლისა, რომელმაც საქართველოს თავისუფლებას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და სახელმწიფო გადატრიალების დაწყებას მწვანე შუქი აუნთო, როცა ზვიად გამსახურდიას მისამართით განაცხადა: „ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში!“ [55:109-110]

მართლაც, თუ ამერიკული „ცსს“-ის მაღალჩინოსნების აღიარებით, დასავლეთში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დეზინფორმაციის გავრცელებას ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა და ამერიკა ამაზე თვალს ხუჭავდა; თუ გერმანიის პატარა ქალაქში 1991 წლის ოქტომბერში შევარდნაძემ ბანკეტი გამართა, სადაც მსოფლიოს უმდიდრესი და გავლენიანი ადამიანები მას „საქართველოს პრეზიდენტს“ უწოდებდნენ, ხოლო გამსახურდია „ფაშისტად“ ჰყავდათ შერაცხილი, ბუნებრივია, საქართველოში სისხლია-

ნი გადატრიალების ორგანიზატორი რუსეთი კი არა, დასავლეთი გამოდის!

სწორედ ამასვე ამტკიცებს თავის გახმაურებულ საგაზეთო ინტერვიუში ზვიად გამსახურდია, როცა დაუფარავად აცხადებს: „შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში იმართებოდა ოკეანის გაღმიდან აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის ლოცვა-კურთხევით. ბეიკერმა პირდაპირ მოუწოდა პუტჩისკენ საქართველოს ბანდიტურ-ოპოზიციურ დაჯგუფებებს (ამერიკაში ჩინებულად იცოდნენ, რომ ოპოზიცია საქართველოში კრიმინალური მაფიისა და ყოფილი პარტოკრატებისაგან შედგებოდა). ბეიკერმა მკაფიოდ მიანიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ უჭერდა მხარს საქართველოში არსებულ რეჟიმს და არაფრით დაეხმარებოდა მას. სცენარი გადატრიალებისა, რომელიც აშშ-მ მოაწყო საქართველოში, ადრეც არაერთგზის გამოუყენებია ამ ქვეყანას პლანეტის სხვა რეგიონებში“. [56:2]

2.3. ქართული სახელოვნებო და პოლიტიკური ელიტა საქართველოს წინააღმდეგ

ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ბრძოლაში ედუარდ შევარდნაძემ ყველა სიბინძურესა და სიბილწესთან ერთად ქართული საბჭოთა გეი-მაფიაც დაქოქა. შევარდნაძე სოდომისტებთან ახლო კავშირში იყო და არაერთ საკვანძო თანამდებობაზე გაცხადებული მამათმავალი თუ არა, მამათმავლობისკენ მიდრეკილი არსება მაინც ჰყავდა წამოსკუპებული. ჩვენ ამ გაუბედურებული და სიბილწეში ჩაყურყუმელავებული ხალხის სახელებისა და გვარების ჩამოთვლას გასაგები მიზეზების გამო არ ვიკადრებთ... არსებობს საკმაოდ სერიოზული ცნობები იმის შესახებაც, რომ ედუარდი თა-

ვადაც გარყვნილთა სექტას წარმოადგენდა და იმ გასაიდუმლოებულ კლუბში, სადაც ელიტური ქართველი სოდომისტები იყრიდნენ თავს, შევარდნაძეს „ედიტა“-თი მიმართავდნენ. ისიც ფაქტია, რომ შევარდნაძე „ცეკას“ მდივნობის დროს დაუმორჩილებელი და გაუტეხელი პატიმრების გასატეხად და „მოსარჯულებლად“ იყენებდა ვინმე ცირეკიძეს – მამათმავალ ჯალათსა და მწამებელს, რომელიც ციხეებში მამაკაცებს აუპატიურებდა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ციხეებში პატიმრების გაუპატიურების უბინძურესი პრაქტიკა მიხეილ სააკაშვილმა სწორედ თავისი პოლიტიკური მამობილის – შევარდნაძისგან ისწავლა. როგორც შევარდნაძემ „შვა“ სააკაშვილი, ისე „შვა“ ცირეკიძემ სააკაშვილის გარყვნილი რეჟიმის სამსახურში მყოფი ზონდერგამაუპატიურებლები და ცნობილი სოდომისტები – თემურ უბირია, კოხტა კოდუა, მეგის ქარდავა და სხვ.

ფსიქოლოგებმა, ფსიქიატრებმა, ზოოლოგებმა, კონფლიქტოლოგებმა, გენეტიკოსებმა, ისტორიკოსებმა და ფილოსოფოსებმა, ალბათ, ერთობლივად და დიდხანს უნდა იმუშაონ იმ ზიზღისა და ენით აუწერელი სიძულვილის მიზეზების ამოსახსნელად, რომლებითაც ზვიად გამსახურდიას მისამართით არა მარტო პოლიტიკურად, ზნეობრივად და ასაკობრივად უმწიფარი გიორგი ჭანტურია და მისი მსგავსნი, არამედ, ერთი შეხედვით, ჭკუასაკითხავი და თითით საჩვენებელი ხალხი – ქართული თეატრის, კინოს, მწერლობისა და, ზოგადად, სახელოვნებო სფეროს „გრანდები“ – განიმსჭვალა.

ცნობილმა ქართველმა მსახიობმა ავთანდილ დვალიშვილმა ასეთი ისტორია მიამბო: „1991 წლის 26 მაისი იდგა, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად ვირჩევდით. მარჯანიშვილის თეატრის წინ ვიდექით მე, ელდარ შენგელაია, ოთარ მეღვინეთუხუცესი და კიდევ რამდენიმე ცნობილი მსახიობი და რეჟისორი (*ყველას გვარსახელი არ მახსოვს. – დ. ჩუბინიძე).* მეღვინეთუხუცესი სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა... სიტუაცია ძალიან დაძაბული იყო, ყველანი

ვდუმდით. მოულოდნელად სიჩუმე ოთარმა დაარღვია, სიგარეტი ღრმად მოქაჩა და კბილებიდან გამოსცრა – კომუნისტები ყოველ მეორე წელიწადს ახალთახალ „გაზ-24“-ს მაძლევდნენ, ზვიადი რას მომცემს, მე მაგის მკვდარი და ცოცხალიო!“

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ტიპურია და მთელი მაშინდელი ქართული ელიტური ინტელიგენციის, ანუ ე.წ. ბნელიტის, ზნეობის, ცხოვრების წესისა და განწყობის გამომხატველია პროფესორ ნოდარ ლომოურის გასაოცარი აღიარებითი ჩვენება, რომელიც მან ჟურნალისტ ნატო ფოცხიშვილს საგაზეთო საუბრის დროს მისცა:

„ – ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენელი იბრძოდა, მათ შორის, მეც ვისროდი, ოღონდ ჰაერში, მიძნელდებოდა ადამიანის მოკვლა...

– როგორი რეაქცია გქონდათ, როცა ორიოდე წლის შემდეგ შეიტყვეთ, რომ ზვიად გამსახურდია გარდაიცვალა?

– გამიხარდა...

– რატომ, ბატონო ნოდარ?

– ყველა თვალსაზრისით უარყოფითი პიროვნება იყო!“ [57:2]

საქართველოს პირველი პრეზიდენტის სრულუფლებიანმა და საგანგებო წარმომადგენელმა დასავლეთ ევროპაში რენო სირაძემ ასეთი რამ მიამბო: „რობიკო სტურუამ ფინეთში გამომავალ ერთერთ ყველაზე უფრო გავლენიან გაზეთ „ჰელსინგის სანომათს“, ანუ „ჰელსინკის მოამბეს“ ვრცელი ინტერვიუ მისცა და ბრძანა: „ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა რუსთაველის თეატრი აგვიოხრესო!“ ამაზე გავჩერდებოდი? არ გავჩერდებოდი... იმავე გაზეთით გავეცი ამ სიბინძურეს პასუხი და ფინელ მკითხველს ვუთხარი – ნუ გგონიათ, რომ რობერტ სტურუა მხოლოდ რეჟისორია, ეს კაცი რუსთაველის თეატრის პარტკომის მდივანი იყო და ნუთუ თქვენ ეს ფაქტი არაფერს გეუბნებათ-მეთქი?“ [44:19]

პოეტ ჯანსულ ჩარკვიანს პირადად ვიცნობდი, ძალიან ხალისიანი და ენაკვიმატი კაცი იყო – შესანიშნავი თამადა და მოლექსე,

მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას – ბატონი ჯანსუღი თავიდანვე ხუნტისტების ავანგარდში იდგა, ხოლო 1992 წლის გაზაფხულზე, როცა შევარდნაძე საქართველოში ჩამოვიდა და ქვეყანაში ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა, ბატონმა ჯანსუღმა უკადრებელი იკადრა და განაცხადა: „თუ მეგრელები ჭკუით არ იქნებით, სუყველას გაგწყვეტთ!“ [58:2]

რაც შეეხება მურმან ლებანიძეს, ამ მართლაცდა დიდმა შემოქმედმა, მიუხედავად იმისა, რომ გვაფრთხილებდა და გვეხვეწებოდა – „არამც და არამც არ ჩაუჯდე ხელმწიფეს ნავში!“ – შევარდნაძეს არათუ ნავში ჩაუჯდა, არამედ წელშიც შეუხტა და კისერზეც ჩამოეკიდა. მურმანმა ბრწყინვალე ლექსები დაგვიტოვა, მისი პოეზიის პატრონი ნამდვილად იმსახურებს მთაწმინდის მიწას, მაგრამ შევარდნაძის ნავში მყოფმა მურმან ლებანიძემ საკუთარი თავი უკუნითი უკუნისამდე შეიჩვენა და როგორც პიროვნება და ქართველი მაშინვე დასამარდა, როცა სწორედ შევარდნაძისვე საამებლად ერთიანი საქართველოს განუყოფელი კუთხე, ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი სამეგრელო შეურაცხყო და დანარჩენი საქართველოსადმი ღალატში დაადანაშაულა.

ზემოთ „ცოფიანი ქართული შური“ ვახსენეთ და დაბეჯითებით ვამტკიცებთ, რომ ე.წ. ელიტურ ქართულ ინტელიგენციას თავიდან ბოლომდე სწორედ „ცოფიანი ქართული შურის“ სინდრომმა დარია ხელი. ამ მხრივ განსაკუთრებულია კინორეჟისორ ელდარ შენგელაიას სკანდალური და, ამავდროულად, ირიბი აღიარება მასზედ, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მათ მოკლეს! აი, ეს ცნობაც: „თქვენ ახალგაზრდები ხართ და თქვენ ვიღაც ძალიან ცუდ გზაზე გკრავთ ხელს, გამოდითო! სადაც ზვიადი გავუშვით, იქ გაგიშვებთ თქვენც... გამოდით ქუჩაში... გამოვალთ ქუჩაში – რომ ყვირით, გამოდით ქუჩაში, გვაშინებთ? [59:3]

პროფესორი ნოდარ ლომოური არ მალავდა, რომ ზვიადი მას ბავშვობიდანვე არ ეხატებოდა გულზე და საშინლად არ მოეწონა,

როცა პატარა ზვიად გამსახურდია ჩოხაში გამოწყობილი ნახა. აი, ამონარიდი მისი წიგნიდან: „პირველი პრეტენზიულობა, რაც მეც არ მომეწონა, იყო ის, რომ ეს პატარა ბიჭი ჩოხაში იყო გამოწყობილი; ამასთან, იყო საოცრად არაკომუნიკაბელური, ყოველთვის თითქოს გაბუტული და ჩვენს ეზოში მის ტოლ ბავშვებთან რომ გამყავდა, არ სურდა მათთან თამაში“. [60:19]

„ცოფიანმა ქართულმა შურმა“ პროფესორი ლომოური არ მოასვენა და ისიც ათქმევინა, რომ ქართველ კლასიკოს კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“ „მისთვის დამახასიათებელი პრეტენზიულობითაა დაწერილი და დიდი არაფერია“ [60:19], ხოლო ზვიად გამსახურდია იყო „ძალზე ამაყი, ქედმაღალი, თავის თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, ხშირად პირდაპირ უზრდელიც. ამასთან, არ გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული წარმატებებით არც სწავლაში, არც შემოქმედებაში და ამიტომ ის ქედმაღლობა მის მიმართ მხოლოდ გაღიზიანებას იწვევდა და არა მარტო მისი ლექტორების, არამედ მისი თანაკურსელების მხრიდანაც“. [60:21]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ პროფესორ ნოდარ ლომოურს, როგორც თავად აღიარა, რა გასაკვირია, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ხელში ავტომატი აეღო და რუსთაველზე „ჰაერში გაესროლა?“ ცხადია, იდიოტიც მიხვდება, რომ რუსთაველის პროსპექტზე მდგარ პროფესორს ავტომატი ხელში იმისთვის არ აუღია, რომ „ჰაერში გაესროლა“, ვაი რომ, ლომოური სხვა ვაიპროფესორებთან, კინორეჟისორებთან, მსახიობებთან, მწერლებთან, პოეტებსა თუ მხატვრებთან ერთად საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებას ესროდა!

ცხადია, ამ „წყევლაკრულვიან“ საქმეში ე.წ. ქართული ბნელიტისა და ედუარდ შევარდნაძის მონაწილეობას ნოდარ ლომოური საგულდაგულოდ ჩქმალავს, თუმცა, უშედეგოდ. ამიტომაა, რომ მწარე ღიმილის მომგვრელია მისი განცხადებები და დასკვნები: „ზვიად გამსახურდიას დამხობის მომზადება-განხორციელე-

ბაში ედუარდ შევარდნაძეს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია... ზვიად გამსახურდია ქართველმა ხალხმა, მისმა საუკეთესო, საღად მოაზროვნე და ეროვნული შეგნებით დამუხტულმა ნაწილმა დაამხო!“ [60:51]

ზვიად გამსახურდიასადმი ნოდარ ლომოურის ზოოლოგიურმა სიძულვილმა და ზიზღმა საბოლოოდ დასრულებული სახე მიიღო ამ მართლაცდა ვაიპროფესორისა და უიმეცნიერის განცხადებაში: „არც თემურ-ლენგს, არც შაჰ-აბასს, არც სტალინს, ორჯონიკიძეს თუ ბერიას ისეთი საშინელი უბედურება ჩვენი ისტორიისათვის არ მოუტანიათ, როგორც გამსახურდიას რეჟიმს. ამის დავიწყება ერის წინაშე დანაშაული, მკრეხელობა იქნება“. [60:2]

გამაოგნებელია საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრისა და „მხედრიონის“ ერთ-ერთი გამორჩეული თავკაცის, თემურ ხაჩიშვილის, მონანიება და აღიარება, რომელიც მან ცნობილ უფლებადამცველსა და პოლიტიკურ პატიმარ ზაზა დავითაიას საგაზეთო ინტერვიუს დროს საჯაროდ დაუფიქსირა! აი, რას ამბობს ხაჩიშვილი: „მხედრიონში“, რომლის ხელმძღვანელიც მე გახლდით, პირველ რიგში, ჩამოყალიბდნენ გიგა ბოკერია, ძმები რურუები, მამა-შვილი გაბაშვილები და სხვები. სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენდნენ „მხედრიონის“ იმ მანკიერ მხარეს, რასაც საზოგადოება გმობდა. მე არაფერი მსმენია პატიოსან და, იმავდროულად, ფულიან მხედრიონელსა და „ზვიადისტზე“. პირადად მე მრავალი წლის განმავლობაში მნიშვნელოვან თანამდებობებზე ვიმუშავე, თუმცა, როგორც ხედავთ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა უმწვავესია იმ ფონზე, როცა უღირსი „მხედრიონელები“ ფულის შოვნაზე იყვნენ ორიენტირებული და დღეს უზრუნველად ცხოვრობენ. პირველი პოლიტიკური წრთობა მათ ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ ქმედებებში ჩაიდინეს. მაგალითად, გიგა ბოკერია სასტიკად არბევდა „ზვიადისტებს“, მან პირადად დააპატიმრა თბილისში „ზვიადისტების“ მხარდასაჭერად ჩამოსული რუსი დისიდენტი ვალერია ნოვოდ-

ვორსკაია... ვაცნობიერებ, რომ მეც მეკისრება ამ დარბევის გამო პასუხისმგებლობა, როგორც „მხედრიონის“ ხელმძღვანელს“. [61:4-5]

საბჭოთა უშიშროების გენერალ თენგიზ ვასილის ძე ეპიტაშვილის პერსონა საქართველოში კარგად არის ცნობილი. ერთხანს ის საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეც იყო, ხოლო 1991 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დავალებით ქალაქ გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლად და ცხინვალის კომენდანტად დანიშნეს. თენგიზ ეპიტაშვილის მონათხრობზე დაყრდნობით, ჟურნალისტმა რამინ ყურაშვილმა გამოსცა წიგნი „მე – გენერალი ეპიტაშვილი“, რომელიც დახუნძლულია ამ მართლაცდა საინტერესო პიროვნების ავღანური ისტორიებით თუ იმ ამბების აღწერით, რაც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში განვითარდა. გენერალი ეპიტაშვილი ზვიად გამსახურდიას დაუნდობელი ოპონენტია, ის პრეზიდენტს ხშირად აბსოლუტურად დაუმსახურებლად აკრიტიკებს... თუმცა, ამ კრიტიკის მიღმა იმ მედროვეების გვარ-სახელებიც იკითხება, რომლებიც გამსახურდიას გუნდში ირიცხებოდნენ, მაგრამ ქვეყანაში სიტუაციას ურევდნენ და ერთი სული ჰქონდათ, ახალი პატრონის ნავში როდის გადასკუპდებოდნენ. სამწუხაროდ, ამ მედროვეების ვინაობას ეპიტაშვილი არ გვიმხელს, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან ჩვენთვის უკვე აშკარაა, როგორი საბედისწერო შეცდომები დაუშვა საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ, როცა შინაგან საქმეთა მინისტრად დილარ ხაბულიანი დანიშნა, ხოლო უზენაესი საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომისიის თავმჯდომარედ – ვაჟა ადამია. როგორც ცნობილია, ერთიც და მეორეც გამსახურდიას ბანაკიდან თვალის დახამხამებაში აორთქლდნენ... დილარ ხაბულიანმა, რომელიც დღეს უკვე სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ წევრი და ოფიციალური მულტიმილიონერია, თვალებში წიწაკის სპრეი შეისხა და სპექტაკლი დადგა – არიქა, ოპოზიციამ დამაბრმავაო! დარწმუნებული ვართ, ხაბულიანს წიწაკის ის სპრეი ახლაც შენახული აქვს, რადგან

არავინ იცის, თავის გადასარჩენად როდის გამოადგება... რაც შეეხება ვაჟა ადამიას, ადამია გამსახურდიას ბანაკიდან პირდაპირ ბანდიტებთან გადაბარგდა და თავის „მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან“ ერთად „თავისუფლების მოედანი“ დაიკავა. ვაჟა ადამიამ შეიარაღებულ ამბოხში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სისხლიანი როლი შეასრულა – უზენაესი საბჭოს დეპუტატ არკადი მარკოზიას დახვრეტა, დიდი ალბათობით, პირადად მისი და მისი შეიარაღებული ბანდის კისერზეა! არკადი მარკოზიას ქალიშვილმა, ქალბატონმა მერი მარკოზიამ, პირადად განგვიცხადა – თუ მამაჩემი ვაჟა ადამიასა და „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ ბიჭებს არ მოუკლავთ, მაშინ მათ მკვლელის ვინაობა უსათუოდ იციანო!

მივუბრუნდეთ გენერალ თენგიზ ეპიტაშვილის ერთ საინტერესო განცხადებას: „გამსახურდიამ პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ციხეში გამოკეტა, ხოლო თავად შეიარაღებული კონგლომერატის წინაშე აღმოჩნდა. ასეთ ხალხთან კი, მხოლოდ იარაღის ენაზე უნდა ილაპარაკო, რაც ვერ გაითვალისწინა და მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, გნებავთ, დააშვებინეს კიდეც... მათ მერე „სინდისის პატიმრები“ შეარქვეს, მაგრამ ვთვლი, რომ ისინი არანაირი „სინდისის პატიმრები“ არ იყვნენ. „ოპოზიციის“ ლიდერები მოსკოვში მყოფი ედუარდ შევარდნაძისგან იმართებოდნენ და სათანადო კონსულტაციებსაც მისგან იღებდნენ!“ [62:188]

ცხადია, თენგიზ ეპიტაშვილის შეფასებები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან გენერალი აშკარად საკუთარ თავს ეწინააღმდეგება! მართლაც, თუ გამსახურდიამ „პოლიტიკური მოწინააღმდეგეები“ ციხეში გამოკეტა, მაშინ რატომ არ იყვნენ ისინი „სინდისის პატიმრები“? აქ აშკარად ნონსენსთან გვაქვს საქმე, რადგან ყველა, ვინც სასჯელს პოლიტიკური შეხედულების გამო იხდის, სინდისის პატიმარია... საინტერესოა, საქართველოში რა მოხდა ასეთი, რომ ქვეყნის პირველმა პრეზიდენტმა დააპატიმრა „პოლიტიკური მოწინააღმდეგენი“, რომლებიც, გენერლისავე აღიარებით, „არავითარი სინდისის პატიმრები“ არ იყვნენ? საქმე ისაა, რომ

ზვიად გამსახურდიას „პოლიტიკური მოწინააღმდეგეები“ კი არ დაუპატიმრებია, ქვეყნის არჩეულმა პირველმა პრეზიდენტმა დაა-პატიმრა ბანდიტები და კრიმინალები, რომლებიც იმართებოდნენ სწორედ ედუარდ შევარდნაძისა და რუსეთის სპეცსამსახურების მიერ!

2.4. რუსეთი და დასავლეთის რეაქციული წრეები საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და საქართველოს ეკლესიის პოზიცია

რუსეთის სპეცსამსახურები რომ რუსთაველის პროსპექტზე გაჩაღებულ სისხლისღვრაში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდნენ და სამხედრო ოპერაციებს გეგმავდნენ, ამის შესახებ გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი თავის მოგონებებში დაწვრილებით საუბ-რობს.



შევარდნაძე, ილია მეორე, ბორის ელცინი

როცა უშუალოდ გადატრიალების დაწყების მიმოხილვასა და მეცნიერულ კვლევას შევუდგებით, ცხადია, ჩვენ ამ ცნობებს აუცილებლად გამოვიყენებთ, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია, მოვიყვანოთ გენერლის ერთი მეტად საყურადღებო და სკანდალური აღიარება!

აი, რას იგონებს ეპიტაშვილი: „ქვეყნის კანონიერი ხელისუფლების დაცვა კი მინდოდა, მაგრამ გორიდან გამოსვლამდე მოსკოვიდან ჩემი მეგობრები „შემეხმიანნენ“ და მირჩიეს, ამ კონფლიქტიდან თავი მაინც შორს დამეჭირა.

– თენგიზ ვასილიჩ, არ ჩაებათ ომში, მთელი რუსეთი იბრძვის შევარდნაძის მანდ ჩამოსაყვანად, იცოდეთ, ხალხი გაიჟლიტება, ქართველები ამოწყდებით! მოსკოველ „ინფორმატორს“ არც ის დაუმალავს ჩემთვის, რომ დედაქალაქში „ამბოხებულთა“ დასახმარებლად (საჭიროების შემთხვევაში) უკვე მზადყოფნაში იყვნენ რუსული სპეცსამსახურის სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფები, რომლებიც რუსულ გარნიზონებში იყვნენ დისლოცირებულები!“ [62:189-190]

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში რუსეთის რეგულარული არმიის სამხედრო ნაწილების მონაწილეობას ადასტურებს ეროვნული მოძრაობის აქტივისტი, აფხაზეთის ომის მონაწილე, სამაჩაბლოელი ვაჟკაცი სოფელ ქურთადან ლევან ხაჭაპურიძე, რომლის ერთი ძმა ჰამლეტ ხაჭაპურიძე ოსმა ბანდიტებმა წამებით მოკლეს. როგორც ლევანმა გვითხრა, 1992 წლის პირველ იანვარს, როკის გვირაბის გავლით, დიდი ლიახვის ხეობაში, 36 ერთეული რუსული „ჯავშანმანქანა“, „ბმპ“ და „ბრდმ“ შემოვიდა. რუსი ოფიცრები წყლის შესავსებად სოფელ ქურთაში გოდორას წყაროსთან შეჩერდნენ... როცა ვკითხეთ – საით მიდიხართ? – სიცილით და ღრეჭით გვიპასუხეს – „სპრასიტე ვაშემუ შევარდნადზე, იდიომ ვ გოსტი კ ზვიადუ გამსახურდია!“ რუსმა ოფიცრებმა არც ის დაგვიმალეს, რომ თუ საჭირო გახდებოდა, ქალაქ ალაგირში სამხედრო ესკადრილია გამზადებული იყო და „მი-24“-ებიც მიიღებდა

მონაწილეობას ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობაში. როგორც ვიცი, მაშინ ეს 36 ერთეული ჯავშანტექნიკა ცხინვალს არ გაშორებია... ერთი კვირის შემდეგ, 8 იანვარს, რუსებმა ისევ ჩამოგვიარეს, ამჯერად უკან, როკის გვირაბისკენ მიდიოდნენ და ჯავშანტრანსპორტიორებიდან, „ბეემპეებიდან“ და „ბერდეემებიდან“ დაგვძახოდნენ – თქვენი გამსახურდია დამთავრებულიაო! ამას რომ გვეუბნებოდნენ, რუსი ოფიცრები გადაჯვარედინებულ ხელებს გვიჩვენებდნენ და იცინოდნენ... ხალხი ტიროდა, ყველა გრძნობდა, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ სამაჩაბლოში ქართველების საქმე კარგად არ წავიდოდა. არც შემცდარან, მათი წინათგრძნობა გამართლდა...

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის საქმეში საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და ეკლესიის არაერთმა მაღალმა იერარქმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს. პატრიარქ ილია მეორესა და ზვიად გამსახურდიას შორის ურთიერთობა არასოდეს ყოფილა იდეალური. უფრო მეტიც, ილია მეორემ 1983 წლის 28 ივნისს ზვიად გამსახურდიას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან, „კაგებეშნიკ“ გივი მაისურაძესთანაც კი უჩივლა, რითაც ის საციხედ და, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, გადასახლებისთვის გაწირა. ილია მეორის მიერ შედგენილ ოფიციალურ საჩივარში ვკითხულობთ: „მოგახსენებთ, რომ მოქალაქე ზ.კ. გამსახურდია იდენს მოქმედებას, რომელიც არ შეეფერება საბჭოთა მოქალაქეს. იგი ლანძღავს სამღვდელოებასა და ეკლესიას, რაც დაუშვებელია სსრკ კონსტიტუციით. ამასთან ერთად წარმოგიდგენთ მის მიერ გამოგზავნილი დეპეშების ასლს. გთხოვთ, მიიღოთ შესაფერისი ზომები მსგავსი ბოროტმოქმედების აღსაკვეთად!“

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ზვიად გამსახურდია ეკლესიასა და მღვდლებს კი არა, არამედ იმ მამათმავლებს ლანძღავდა და ამხელდა, რომლებიც საქართველოს ეკლესიაში ჩაბუდდნენ და, სა-

უბედუროდ, დღესაც მრავლად არიან. არ გვინდა და შეგნებულად თავს ვიკავებთ, გავქექოთ ეს ბინძური და ბილწი ისტორია, თორემ საბოლოოდ ცნობილი ეკლესია-მონასტრების ეზოებში მიტროპოლიტის ან ეპისკოპოსის ხარისხში დაკრძალული იმ არაერთი საეკლესიო იერარქის ამოთხრამდე მივალთ, რომლებიც მამათმავლობის გამო ოფიციალურად არიან გასამართლებული!

ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ზუსტად იცოდნენ, თუ რა უბედურება ტრიალებდა საპატრიარქოში... ისინი ნანახით თუ გაგონილით გაოგნებული იყვნენ და აღშფოთებას ვერ მალავდნენ. მათი ამ პოზიციის შესახებ, ცხადია, პატრიარქმაც იცოდა და ამიტომაც არ დააყოვნა მისმა რეაქციამ, როცა გამსახურდიას, ფაქტობრივად, „სუკში“ უჩივლა. აქედან გამომდინარე, საეჭვო ავტოკატასტროფაში მერაბ კოსტავას გარდაცვალების შემდეგ საპატრიარქოსთვის ზვიად გამსახურდია, როგორც მამხილებელი, იყო დილემა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია ის, რის შესახებაც ჯაბა იოსელიანი შესაშური გულწრფელობით წერს თავის მემუარებში: „ჩემი შიმშილობა 41 დღეს გაგრძელდა. სპეციალურად მეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. მომიტანა ნაკურთხი კვერი, სანთლები, ხატი; მთხოვა, მიმეღო საჭმელი და, რაც მთავარია, შთამაგონებლად მითხრა: „თქვენ სჭირდებით საქართველოს, იფიქრეთ ამაზე!“ სიკვდილის პირას ვიყავი მისული. დავთანხმდი“. [50:25]

შეგახსენებთ, ეს ის დროა, როცა ზვიად გამსახურდიამ საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა, ე.წ. ოპოზიციას არავითარი ძალა არ აქვს, ქუჩაში ხალხს ვერ კრებს, მაგრამ ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, სავარაუდოდ, უკვე არსებობს დიდი შეთქმულების გეგმა, რომლის შესახებაც, ალბათ, პატრიარქმაც იცოდა. სწორედ ამიტომ მიეახლა ილია მეორე ჯაბას, სხვანაირად პატრიარქის ვიზიტი „მხედრიონის“ ლიდერთან ვერ და არ შედგებოდა.

ილია მეორე 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ეროვნული ძალების ტრიუმფს საგანგებო ბრძანებულებითა და ე.წ. შავი წიგნის გამოცემით შეხვდა. პატრიარქის განკარგულებით, „დღეიდან ყოველი ქართველი ადამიანის მკვლელი, მიუხედავად მსხვერპლის (მოკლულის) დანაშაულისა ან უდანაშაულობისა, გამოცხადდეს ქართველი ერის მტრად. მკვლელის სახელი და გვარი შეტანილ იქნეს საპატრიარქოს სპეციალურ წიგნში და გადაეცეს თაობიდან თაობას, როგორც სამარცხვინო და დასაგმობი“... [63:2]

ცხადია, პატრიარქის ინიციატივა დროული და საჭირო იყო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ე.წ. შავი წიგნის შექმნის იდეა თავიდანვე მკვდრადშობილი გახლდათ და ის უფრო პიარს ემსახურებოდა. უფრო მეტიც, ამ ყველაფერმა ანეკდოტური და ტრაგიკომიკური სახე შეიძინა, რადგან იმ ნაძირალებსა და ქვეყნის მაოხრებლებს, რომელთა განკარგულებითაც ადამიანებს კლავდნენ, ცოცხლად ატყავებდნენ, ბარცვავდნენ, დევნიდნენ და ციხეში აწამებდნენ, უწმიდესი ან გულში იხუტებდა, ანდა სვეტიცხოვლის წმინდა ტაძარში აბრიალებული კელაპტრებით ლოცავდა. იმ „შავ წიგნში“ არც ედუარდ შევარდნაძე მოხვედრილა, არ ჯაბა იოსელიანი, არც თენგიზ კიტოვანი, არც თენგიზ სიგუა და არც ხუნტისტური რეჟიმის სამსახურში მყოფი სხვა ინკვიზიტორები, რომელთა ბრძანებითაც საქართველოში მშვიდობიანი მიტინგები იხვრიტებოდა.

1990 წლის 14 ნოემბერს უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე ნათლად გამოჩნდა, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოში „ველური, უზნეო და იმპერიული კაპიტალიზმის“ [34:33] გაფეტიშებას არ აპირებდა. გამსახურდია სამართლებრივი სახელმწიფოს ასაშენებლად იღვწოდა და ეკონომიკურ ურთიერთობაში შერეული ფორმის მომხრე იყო. მას არც ველური კაპიტალიზმი იზიდავდა და არც ყბადაღებული სოციალიზმი!

ეროვნული ხელისუფლება საქართველოში წესრიგის დასამყარებლადაც იბრძოდა. სწორედ ამ მიზნით 1990 წლის 20 და 28 დეკემბერს მიღებულ იქნა ორი უმნიშვნელოვანესი კანონი. პირვე-

ლით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარები – ეროვნული გვარდია. გვარდიას უნდა დაეცვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და საზოგადოებრივი წესრიგი. ანუ გვარდიას თავიდანვე ჰქონდა ორი ფუნქცია – საარმიო და საპოლიციო! რაც შეეხება 1990 წლის 28 დეკემბერს მიღებულ კანონს „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“, იგი ანტიკონსტიტუციურად აცხადებდა „მხედრიონსაც“, „იმედსაც“, „თეთრ გიორგისაც“ და „მერაბ კოსტავას საზოგადოებასთან“ არსებულ შეიარაღებულ სტრუქტურასაც. ყველა, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებდა იარაღს, ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეული ფორმირების მიმართ დაიწყებოდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

„მხედრიონის“ ლიდერი თავიდანვე აგრესიით შეხვდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონის გამოცემას და ჯაბა იოსელიანმა გაზეთ „7 დღეს“ ასეთი რამ განუცხადა: „ეროვნული გვარდია – ეს არის ნამდვილი ბლეფი. არავითარი გვარდია საქართველოში არ არსებობს. ეს არის იგივე მოსკოვის შინაგანი ჯარების გაძლიერების პროცესი... ჩვენ დავემორჩილებით მხოლოდ ისეთ ორგანოს, რომელიც იქნება მთელი ქართველი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველი. პირადად ვინმეს, თუნდაც, ზვიად გამსახურდიას, ან სხვას ჩვენ არ დავემორჩილებით. ჩვენ ისე დავრჩებით, როგორც შევიქმენით. თუ ვინმე ჩვენს დაშლას მოინდომებს, ვურჩევ, ილუზიებს თავი გაანებოს. მართალია, სისხლი დაიღვრება, მაგრამ ყველამ იცოდეს – ჩვენი მოწინააღმდეგის იარაღი ჩვენს ხელში გადმოვა... სხვა გამოსავალი არ არის! თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ჩვენ ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ!“ [64:3]

აი, ასეთ დროსა და სიტუაციაში, როცა ეროვნული ხელისუფლება კრემლის მიერ გაქეზებულ ოს სეპარატისტებსა და მათ საშიშ მეტასტაზს – ე.წ. დამოუკიდებელ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურ რეპუბლიკას – ებრძოდა, როგორც ვხედავთ, ჯაბა და

მისი რაზმი, თავიანთ პატრონებთან ერთად, სისხლისღვრისთვის ემზადებოდნენ და არც მალავდნენ, რომ, თუ ხელისუფლება რუსეთს დაიხმარდა, ტყეში გაიჭრებოდნენ... ცხადია, სულ მალე მთელმა საქართველომ და მსოფლიომ დაინახეს, თუ ვის მხარეს დადგა რუსი თავისი სამხედრო ტექნიკით, ჯარისკაცებითა და ოფიცრებით. იმის შესახებ აღარაფერს ვამბობთ, თავად ჯაბა იოსელიანი და თემურ ხაჩიშვილი ვისთან გაიქცნენ და შველა ვის სთხოვეს, როცა შოთა კვირაიამ „მხედრიონის“ ლიდერებს დაპატიმრება დაუპირა!

1991 წლის იანვრის დასაწყისში საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი ზვიად გამსახურდიას ტელეფონით დაუკავშირდა და ჰკითხა – მოაწერდა თუ არა ხელს საქართველო ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებას. ზვიად გამსახურდიამ გორბაჩოვს ცივი უარი სტკიცა, რამაც გორბაჩოვი წონასწორობიდან გამოიყვანა და პირდაპირ მუქარაზე გადავიდა: „არ მოაწერთ, ხომ? თქვენ შეგექმნებათ უდიდესი შიდა პრობლემა ცხინვალში. თქვენ უკვე ვერ გაქვთ საქმე კარგად, ასეა, არა?“ [53:254]

ჯაბა იოსელიანის ზემოხსენებული ინტერვიუს გამოქვეყნებიდან სულ რაღაც თვე-ნახევარში, კერძოდ, 1991 წლის 17-18 თებერვლის ღამეს, თბილისში, შავნაბადაზე მოხდა სწორედ ის, რაზეც „მხედრიონის“ ლიდერი ვანგასეული წინასწარმეტყველებით და თან საეჭვოდ საუბრობდა – ჩვენ წინააღმდეგ „თუ რუსის ჯარს მოიშველიებენ, ტყეში გავალთ და იქიდან ვიბრძოლებთ!“

1991 წლის 17-18 თებერვლის ღამეს შავნაბადაზე, სადაც „მხედრიონელები“ იყვნენ დაბანაკებული, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საჯარისო ნაწილები შეიჭრნენ და იქაურობა ბანდიტებისგან გაწმინდეს. ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრა და დაშავდა რამდენიმე პიროვნება – ოთარ ბურჭულაძე, ვაჟა კარანაძე და მალხაზ რაზმაძე. რუსმა სამხედროებმა ამოიღეს დიდძალი უკანონო იარაღი, ტყვია-წამალი და ათეულობით მსუბუქი და სატვირთო მანქანა, რომლებიც „მხედრიონელებს“ გაეტაცებინათ. ხელი-

სუფლებამ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და ოფიციალურ კრიმინალურ ქრონიკაში არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ შეტაკება რუს სამხედროებსა და „მხედრიონელებს“ შორის მოხდა. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა – ზვიად გამსახურდია აშკარად გაურბოდა ახალი სკანდალისა და ბინძური ცილისწამების ნიაღვარს იმის შესახებ, რომ თითქოს ის ქართველების ამოსახოცად რუსებს შეეკრა და ა.შ. თუმცა, გამსახურდია ამ ცილისწამებას მაინც ვერ ასცდა – „სახალხო ფრონტის“ ლიდერმა ნოდარ ნათაძემ, რომელიც თბილისის ქუჩებში მიკროფონით ხელში დარბოდა, ქვეყანა გადააყრუა – გამოდით, ხალხო, ზვიად გამსახურდიამ შავნაბადაზე უდანაშაულო ბიჭები რუსის ჯარს ამოახოცვინაო!

ცნობილია, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა შავნაბადაზე მომხდარი ფაქტის გამო მიხეილ გორბაჩოვსა და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს, მარშალ დიმიტრი იაზოვს, საპროტესტო წერილი გაუგზავნა, რაც გამსახურდიასა და რუს სამხედროებს შორის ფარულ ალიანსს გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, ბუნებაში არ არსებობს დოკუმენტი და იმის დამადასტურებელი ნივთმტკიცება, რომ 1991 წლის 18 თებერვალს შავნაბადაზე „მხედრიონის“ შტაბში შეჭრილი რუსის ჯარი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დირექტივით მოქმედებდა! პირიქით, რუსის ჯარი ზვიად გამსახურდიას არაფერს ეკითხებოდა. ამის ნათელი დასტურია, თუნდაც, ის ფაქტი, რომ იმავე 1991 წლის თებერვალში საბჭოთა კავშირის სამხედრო ხელმძღვანელობამ ბაბუშერის აეროპორტში 250 ჯარისკაცისგან შემდგარი საარმიო ნაწილი ისე შეიყვანა, რომ საქართველოს ხელისუფლებისთვის არაფერი უკითხავს... უფრო საფიქრებელია, რომ შავნაბადაზე „მხედრიონელებს“ განკითხვის დღე რუსებმა არა წესრიგის დამყარების მიზნით, არამედ იმიტომ მოუწყვეს, რომ ამ ნაბიჯით ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და მის მოწინააღმდეგეებს შორის „ჩორტის ჩაგდება“ სურდათ. კაცმა რომ თქვას, რუსებმა ამას მიაღწიეს კიდეც, რადგან 1991 წლის 18 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თეატრთან

ჯაბა იოსელიანმა და გიორგი ჭანტურიამ საქართველოს უზენაეს საბჭოსა და მის თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიას რუს ოკუპანტებთან ალიანსში დასდეს ბრალი. უფრო მეტიც, იმავე მიტინგზე გიორგი ჭანტურიამ ასეთი რამ თქვა: „ეს სამხედრო აქცია „მხედრიონის“ წინააღმდეგ განხორციელდა საქართველოს უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით, რომელიც მიზნად ისახავდა გორბაჩოვ-გამსახურდიას გეგმის რეალიზაციას“. [65:3]

გიორგი ჭანტურიას მიერ მიტინგზე გაჟღერებული „გორბაჩოვ-გამსახურდიას გეგმა“ ისეთივე აბსურდი და ყურით მოთრეული ცილისწამება იყო, როგორც „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისეული“ მეორე, ცოტა უფრო მოგვიანებით შეთითხნილი „ნოუ-ჰაუ“ – „ძირს გამსახურდია-შევარდნაძის ალიანსი!“ დრომ დაადასტურა და შევარდნაძემაც არაერთგზის აღიარა, რომ არავითარი „ალიანსი“ ზვიად გამსახურდიასა და მას შორის არ ყოფილა და ქართველ პროტესტანტთაგან თუ შევარდნაძე ვინმესთან ალიანსში იმყოფებოდა, მათ შორის ყველაზე უფრო გამორჩეული სწორედ გიორგი ჭანტურია და მისი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ იყვნენ!

პარალელურად, პარლამენტის შენობის წინ გამართულ მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ, თემურ ქორიძემ, მანანა ძოძუა-შვილმა და გოგი ხოშტარიამ „მხედრიონისკენ“ გაიშვირეს და ხელი და განაცხადეს, რომ შავნაბადას ინციდენტი სწორედ „მხედრიონისა“ და რუსის ჯარის ერთობლივი აქცია იყო, რაც საქართველოში საოკუპაციო ძალების დამატებითი კონტინგენტის შემოყვანას ისახავდა მიზნად. ამ ინციდენტის შეფასებისას სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფესორი დიმიტრი შველიძე, როცა წერს: „კრემლის ხელმძღვანელობამ და შესაბამისმა სტრუქტურებმა შესანიშნავად იცოდნენ – შავნაბადას აქცია „კონგრესის“ მომხრეთა და უზენაეს საბჭოს შორის ურთიერთობის გამწვავების დამატებით ფაქტორად გადაიქცეოდა“. [1:160]

ასე იყო თუ ისე, 1991 წლის 18 თებერვალს შავნაბადაზე მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ ხელისუფლებას რაღაც უნდა ეღონა, რადიკალური ნაბიჯები გადაედგა და ბანდფორმირებების პროვოკაციებისთვის, რომლებიც საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებდა, პასუხი გაეცა. გამსახურდიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა და საკმარისზე მეტი დრო გაფლანგა... კერძოდ, მთელი თვე-ნახევრის განმავლობაში ხელისუფლება ელოდებოდა, როდის ჩააბარებდნენ უკანონო იარაღს ის ბანდიტები, რომელთა „ატამანიც“ ჯაბა იოსელიანი არ მალავდა და პირდაპირ აცხადებდა – ზვიად გამსახურდიას აუცილებლად ვესვრითო!

დიახ, როგორც კი 1990 წლის 28 დეკემბრის საგანგებო დადგენილებით ყველა ბანდფორმირება კანონგარეშედ გამოცხადდა, ხელისუფლება მაშინვე რადიკალურ მოქმედებაზე უნდა გადასულიყო, და ვინც უკანონო იარაღს საკუთარი ნებით არ ჩააბარებდა, დაეპატიმრებინა. სამწუხაროდ, ეს არ გაკეთდა, რამაც ხელისუფლების ავტორიტეტი შეარყია და ყველა პოტენციურ გადამტრიალებელსა და ბანდიტს გაუჩინა იმის ცდუნება, რომ დანაშაულისთვის ახალი დანაშაული დაემატებინათ.

მიუხედავად უმოქმედობისა, შავნაბადას ინციდენტის შემდეგ ხელისუფლება მაინც გახდა იძულებული, რადიკალურ ქმედებაზე გადასულიყო. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1991 წლის 19 თებერვალს ჯაბა იოსელიანითა და ზაზა ვეფხვაძით დაწყებული, შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისსა და მთელ საქართველოში „მხედრიონის“ „ელიტა“ დააპატიმრა.

ცხადია, „კონგრესისტებმა“, რომელთა ავანგარდშიც სხვებთან ერთად „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც“ იდგა, ამის გამო დიდი ალიაქოთი ატეხეს. თამარ ჩხეიძეს, რომელსაც ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავას მკვლელობაში ადანაშაულებდა და ამის შესახებ საგანგებოდ ესაუბრა კიდეც მიუნხენში თენგიზ გუდავას, მიზეზი მიეცა, ეროვნულ ხელისუფლებას უღირსი მეთოდებით დაპირისპირებოდა.

დიახ, გამსახურდია თენგიზ გუდავას თამარ ჩხეიძის შესახებ სატელეფონო საუბარში ეუბნებოდა: „შვიდჯერ მოუწყო მას ავარია *(თამარ ჩხეიძემ მერაბ კოსტავას. – დ.ჩ.)*. ეს მერვეჯერ იყო, გესმის?! დიახ. მან ეს ყველაფერი განზრახ გააკეთა. ის იყო მიგზავნილი და ეს ნაძირალა ჭავჭავაძე, გესმის?! სანამ არ დაღუპეს, მანამდე არ შეეშვნენ... თამარა და ზურაბი მალე ასიათასიან მიტინგზე გამოცხადდებიან ქართველი ხალხის მოღალატეებად, გესმის, და მავნებლებად და, საერთოდ, მათი ადგილი არ იქნება ქართულ მიწაზე, რადგანაც მათ დაღუპეს მერაბ კოსტავა. ისინი მკვლელები არიან, გესმის?“ [66:3]

სხვათა შორის, თამარ ჩხეიძე მერაბ კოსტავას მკვლელობაში ჭაბუა ამირეჯიბმაც დაადანაშაულა, როცა მან ამის შესახებ პარლამენტის ტრიბუნიდან საქვეყნოდ განაცხადა...

ეროვნული ხელისუფლების პოზიციები ერთგვარად გამყარდა 1991 წლის მარტსა და აპრილში, როცა უზენაესმა საბჭომ 17 მარტს გორბაჩოვის მიერ დანიშნული რეფერენდუმი საქართველოს ტერიტორიაზე აკრძალა და, სამაგიეროდ, 31 მარტი ისტორიული რეფერენდუმის დღედ გამოაცხადა. 1991 წლის 31 მარტს საქართველოს მოსახლეობას პასუხი უნდა გაეცა ერთადერთ შეკითხვაზე – „თანახმა ხართ თუ არა, აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის საფუძველზე?“

ამ რეფერენდუმში საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ შორის, აფხაზეთის მცხოვრებთა 60 პროცენტზე მეტმა, საქართველოს დამოუკიდებლობას მისცა ხმა. გასაკვირი იყო, რომ არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რაიონებში – ახალქალაქში, ნინოწმინდაში, ბოლნისში, მარნეულში, წალკასა და გარდაბანში – დამოუკიდებლობის მსურველთა რაოდენობა 96 პროცენტზე ნაკლები არ ყოფილა.

იმ დროისათვის საქართველოში 3 მილიონ 657 ათას 477 ამომრჩეველი იყო. აქედან 3 მილიონ 307 ათას 572-მა კაცმა, ანუ ამომრ-

ჩეველთა 90,3-მა პროცენტმა, რეფერენდუმში მიიღო მონაწილეობა და 98,9 პროცენტმა საქართველოს დამოუკიდებლობას დაუჭირა მხარი.

საინტერესოა, რას იქმოდა 31 მარტის რეფერენდუმის დღეს ედუარდ შევარდნაძე და ხმა მისცა თუ არა მან მოსკოვში საქართველოს თავისუფლებას? ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გვაძლევს 1992 წლის 19 აპრილით დათარიღებული ზვიად გამსახურდიას წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი, სადაც ვკითხულობთ: „...შემდეგ მე მოვითხოვე თქვენგან, დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში საბჭოთა კავშირიდან, თანაც, შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე. – დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც შემიძლია!“ – ასეთი იყო თქვენი პასუხი. მე გკითხეთ, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე, რაზეც დუმილით მიპასუხეთ. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ მხოლოდ 17 მარტის ე.წ. სამოკავშირეო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას“. [67:3]

31 მარტის რეფერენდუმამდე საქართველოში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – 23 მარტს დაბა ყაზბეგში ჩამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომელმაც ოფიციალურ დოკუმენტში ხელმოწერით დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და 1990 წლის 11 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკის გაუქმების ფაქტი.

საქვეყნოდ ცნობილი ამბავია, რომ ზვიად გამსახურდიამ ბორის ელცინი ყაზბეგში დაათრო... ელცინი მანქანაში ჩადეს და ისე წაიყვანეს მაშინ, როცა საქართველოს პირველი პრეზიდენტი იდეალურად გამოიყურებოდა და გონებაც ალმასივით უჭრიდა. ელცინთან განშორების შემდეგ გამსახურდიამ ვიწრო გარემოცვაში ასეთი

სიტყვა თქვა – ვითომ ხომ ყველაფერზე დავითანხმეთ და ხელი მოვაწერინეთ, მაგრამ არცერთი წუთით არ შეიძლება ელცინის ნდობა!

ზვიად გამსახურდიას მიერ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მთელი ქართველი ერი უდიდესი პატრიოტული აღმაფრენითა და სიყვარულით შეხვდა, მაგრამ „კონგრესისტები“ და, განსაკუთრებით, გიორგი ჭანტურიას „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ აქაც ვირეშმაკობდა და უცნაურ განცხადებებს ავრცელებდა. ჭანტურია, რომელიც 31 მარტის რეფერენდუმის გამართვას ეწინააღმდეგებოდა, პარტიის მთავარი კომიტეტის პირით 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ასე ეხმიანებოდა: „ჩვენ ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება ე.წ. ლიტვური გზის მიმართ და ამჯერად აღარ გავიმეორებთ, თუ რატომ მიგვაჩნია „დამოუკიდებლობის დეკლარაციები“ მიზანშეუწონლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის!“ [1:206]

ანუ პარტია, რომელიც ვითომდა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა, სინამდვილეში დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგი იყო! ცხადია, ასეთ ხალხს გამსახურდია „კრემლის აგენტებსა“ და „მოღალატეებს“ ეძახდა, რაც ცუდი მოსასმენი იყო, მაგრამ სიმართლეს ასახავდა...

ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციას შორის პრობლემა ვერც 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულმა საპრეზიდენტო არჩევნებმა გადაჭრა... პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ტრიუმფით ჩატარებულმა საპრეზიდენტო მარათონმა, რომელშიც გამსახურდიამ ხმათა 87 პროცენტი მიიღო, საქართველოში ხელისუფლების იარაღით დამხობის გეგმის შემუშავება დააჩქარა. მაგალითად, ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი ავთანდილ რცხილაძე პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას თავკერძობის ნიშნებს ჯერ კიდევ მაისის დასაწყისში ამჩნევდა. რცხილაძემ ამის შესახებ ზვიად გამსახურდიას მაშინვე მოახსენა, მაგრამ პრეზიდენტმა არ დაუჯერა – „შენ, მგონი, ეჭვიანობის სენი შეგეყარა!“ [53:297]

1991 წლის აგვისტოს პირველ დეკადაში ფოთში, მალთაყვაში, წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალზე თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა არ დარჩნენ და ბანკეტიდან წამოვიდნენ; არადა, ამ ბანკეტზე სიგუამ ზვიადის სადღეგრძელო ყანწით შესვა. 12 აგვისტოს სიგუამ უზენაესი საბჭოს სხდომაზე ზვიად გამსახურდიას შემდეგი მინისტრების – დილარ ხაბულიანის, მანანა ძოძუაშვილის, კოპალიანის, იგორ ჩხეიძისა და კვანტალიანის – მოხსნა-გათავისუფლება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანამდებობიდან წასვლით დაიმუქრა. გამსახურდიამ მცირე პაუზის შემდეგ სიგუას უარით უპასუხა, რამაც პრემიერი გააცეცხლა და დემონსტრაციულად გავარდა სხდომათა დარბაზიდან. ეს იმდენად მოულოდნელად მოხდა, რომ, ავთანდილ რცხილაძის განცხადებით, ყველა გაოგნებული დარჩა. სამი თუ ოთხი დღის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ სიგუას სთხოვა, დაბრუნებოდა თავის პოსტს, მაგრამ უარი მიიღო. ამის შემდეგ პრეზიდენტი იძულებული გახდა, თენგიზ სიგუას შემცვლელი ეპოვა და მის ნაცვლად პრემიერ-მინისტრად ბესარიონ გუგუშვილი დაემტკიცებინა. [53:298-299]

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რა მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ისეთი და რა პროცესები განვითარდა ივნისში, ივლისსა და აგვისტოში საერთაშორისო ასპარეზზე, რასაც საქართველოში სიტუაციის არევა მოჰყვა? ვფიქრობთ, ამის მიზეზები ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსი) მოსკოვსა და კიევში ვიზიტსა და იქ გაკეთებულ განცხადებებში უნდა ვეძიოთ!

ზვიად გამსახურდია 1991 წლის 6 ივლისს პრეზიდენტ ბუშს ამერიკის დამოუკიდებლობის დღისადმი მისალოც გულთბილ წერილში წერდა: „იმედი გვაქვს, რომ საქართველო მალე მიაღწევს სრულ დამოუკიდებლობას, მსოფლიო ერთა თანამეგობრობის, დემოკრატიული წრეების, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და პირადად თქვენი მხარდაჭერით, ბატონო პრეზიდენტო!“ [68:89]

ამის მიუხედავად, 1991 წლის 31 ივლისს მოსკოვში ჩასულმა პრეზიდენტმა ბუშმა, რომელმაც უმნიშვნელოვანეს შეთანხმებას – სტრატეგიული შეიარაღების შემცირებას, მიაღწია, ჯერ მოსკოვში და შემდეგ კიევში პირველმა „გაუხსნა ცეცხლი“ ზვიად გამსახურდიას. მართალია, მას არც საქართველო და არც მისი პირველი პრეზიდენტი უხსენებია, მაგრამ მსოფლიოს ზესახელმწიფოს ლიდერის განცხადება ძალიან საშიშ ქვეტექსტებს შეიცავდა: „უკრაინაში, რუსეთში, სომხეთსა და ბალტიაში ყვავის თავისუფლების სული... ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, რომელნიც დამოუკიდებლობისთვის იმიტომ იბრძვიან, რომ შორიდან თავსმოხვეული ტირანია შეცვალონ ადგილობრივი დესპოტიზმით. ისინი არ დაეხმარებიან მათ, ვინც აღვივებს ეროვნებათა შორის სიძულვილზე დამყარებულ თვითმკვლელ ნაციონალიზმს!“ [69:3]

ცხადია, ძნელი მისახვედრი არ იყო, პრეზიდენტი ბუში სადაც უკაკუნებდა და კენჭებს ვის ბოსტანშიც ისროდა... არაერთგზის გვითქვამს, რომ ქართველი „დემოკრატების“ – გოგა ხაინდრავას, ლანა ღოღობერიძის, ირინა სარიშვილის, გიორგი ჭანტურიას, ძმები ბერძენიშვილებისა და სხვათა – აქტიური მეცადინეობით, რომლებიც ცხინვალში ოსი სეპარატისტების მიერ დამწვარ ქართველებს სურათებს უღებდნენ და ოსებად ასაღებდნენ, ზვიად გამსახურდიას დასავლეთში უკვე შექმნილი ჰქონდა „ოსების მჩაგვრელის“ ყალბი და ცილისმწამებლური იმიჯი...[45:25]

გარდა ამისა, დასავლეთის გარკვეული წრეები უკიდურესად უარყოფითად შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას მოწოდებას სპარსეთის ყურეში დაწყებული ომის დროს, როცა საქართველოს პრეზიდენტმა ბრძანა: „საქართველომ უნდა იკისროს ტრადიციული შუამავლის როლი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ქრისტიანულ და მუსლიმანურ სამყაროს შორის“. ჯორჯ ჯეიერმა, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ეს მოწოდება საშინლად გააკრიტიკა, გამოაცხო წერილი „ტომის იდეის აღორძინება“, რომელიც 1991

წლის 3 აპრილს დიდი ხალისით გადმობეჭდა რუსულმა „რაბოჩაია ტრიბუნამ“. [18:610]

ამერიკელი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი ამაოდ არწმუნებდა ამერიკის ადმინისტრაციასა და დასავლეთს, რომ ზვიად გამსახურდიას მისამართით გავრცელებული „ვერცერთი ეს ბრალდება ვერ უძლებდა კრიტიკას და მათი ძირითადი წყარო საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია იყო, რომელიც გამიზნული იყო იმისათვის, რომ უცხოეთის თვალში ჩირქი მოეცხო ქართველთა დამოუკიდებლობისათვის და შეენარჩუნებინა ძალაუფლება კავკასიაში“. [18:618]

პარალელურად, ბუშმა უკრაინაში ვიზიტის დროს განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკებს ცენტრის, ანუ კრემლის, ხარჯზე მხარს არ დაუჭერდა. [69:3]

ბუშის ამ განცხადებებმა საქართველოში სიტუაცია აჭრა. საქართველოს ეროვნული ხელისუფლება, რომელსაც ოთხივ კუთხივ შემოჯარულ შინაურ თუ გარეულ მტრებთან გაცხადებულ ომში იყო, ამერიკის ადმინისტრაციასთანაც ღია კონფრონტაციაში შევიდა და ოფიციალურ სამთავრობო პრესაში, მაგალითად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1991 წლის 3 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ჯორჯ ბუში მხარს უჭერს სამოკავშირეო ხელშეკრულებას?“ უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიამ ამერიკის პრეზიდენტის მიმართ ასეთი რამ განაცხადა: „ჯორჯ ბუშმა – ვაშინგტონის, ჯეფერსონისა და ლინკოლნის მემკვიდრემ – მოუწოდა დაპყრობილ ხალხებს, ნებაყოფლობით ჩამოიცვან კისერზე იმპერიის ყულფი და შეურიგდნენ მონობას!“

უფრო მკაცრი იყო საქართველოს მთავრობის მიერ 9 აგვისტოს გაკეთებული განცხადება, სადაც პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ბრალი დასდეს სამოკავშირეო ხელშეკრულების აგიტაციაში! ამ გართულებული ურთიერთობის ფონზე ჯორჯ ბუშს საქართველოსა და მისი პრეზიდენტის მხარდაჭერას სთხოვდა საქართველოს დიდი

მეგობარი და ლობისტი, დოქტორი ესაია გოლშტეინი, რომელიც ამერიკის პრეზიდენტს ურჩევდა – კომუნიზმს მხარს ნუ უჭერ და ზვიად გამსახურდია ამერიკაში ოფიციალური ვიზიტით მიიწვიეთო! [70:2]

ცხადია, ესაია გოლშტეინის ვედრება, ისევე როგორც რიჩარდ პაიფსის შეგონება, ამერიკის ადმინისტრაციის მიერ არ იქნა გაზიარებული...

2.5. სანქცია საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების დაწყების შესახებ

საფიქრებელია, რომ საქართველოში ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების დამხობა და ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა საბოლოოდ სწორედ 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე გადაწყდა, როცა პრეზიდენტი ბუში და გორბაჩოვი მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ. ამ შეხვედრის არაოფიციალურ ნაწილს დიდი ალბათობით აუცილებლად დაესწრებოდა ედუარდ შევარდნაძეც...

სწორედ ამით უნდა აიხსნას პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას უცნაური ქცევა და გამსახურდიასადმი წაყენებული ულტიმატუმი, რომლის დაუკმაყოფილებლობის შემდეგაც პრემიერი უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზიდან ბზიკის ნაკბენივით გაიქცა. არადა, 1991 წლის 31 ივლისს, გადადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე, სიგუა ტელეჟურნალისტ თენგიზ ბერიძეს უმტკიცებდა, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა სრულიადაც არ იყო უიმედო და „შემოდგომისთვის სრულად თუ არა, ნაწილობრივ ყველაფერი გამოსწორდებოდა!“ [1:206]

ისიც საინტერესოა, რატომ ერიდებოდა პრეზიდენტი ბუში 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე საქართველოსა და ზვიად გამსახურდიას პირდაპირ ხსენებას... ზოგიერთი ფიქრობს, რომ

ამით ბუშის ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტს აფრთხილებდა და მოსაფიქრებლად დროს აძლევდა. მაინც რა უნდა მოეფიქრებინა ზვიად გამსახურდიას და რას უწუნებდა მას დასავლეთი ისეთს, რის გამოც, მაგალითად, სომხეთში „თავისუფლების სული ყვაოდა“, ხოლო საქართველოში – არა?

ვფიქრობთ, ამ კითხვებზე პასუხს გვაძლევს ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის საქართველოში ჩამოსვლა 1991 წლის 31 მარტის ისტორიული რეფერენდუმის დღეს და მისი პირისპირ შესვედრა ზვიად გამსახურდიასთან, რომელიც რამდენიმე საათს გაგრძელდა.



ზვიად გამსახურდია და რიჩარდ ნიქსონი

როგორც ცნობილია, ამ შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს, როგორც სატრანსპორტო დერეფნის, როლს, სადაც ზვიად გამსახურდიამ საქართველოს ეროვნული ინტერესები წინა პლანზე წამოსწია. ზვიად გამსახურდიას საქართველოსა და კავკასიაში

თავისუფლების დროშა იმიტომ არ აუფრიალებია, რომ რუსული იმპერიული უღლიდან ამერიკულ ყულფში გაეყო თავი. გამსახურდია ყოველთვის იმეორებდა: „მე პრეზიდენტი მქვია, თორემ იმპერიული ცენტრის მიმართ ისევ დისიდენტი ვარ. საქართველოში რუსის ჯარის გასვლამდე ჩვენ ისევ ეროვნული მოძრაობა ვართ და არა დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება!“ [34:609]

ცხადია, „ახალი მსოფლიო წესრიგის“ ავტორებსა და, პირველ რიგში, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს, საქართველოს პრეზიდენტის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური მოთამაშის, სტატუსი ხელს არ აძლევდათ. პლანეტის ბედის გამგებლებს საქართველოში სჭირდებოდათ ისეთი ლიდერი, რომლის ხელისუფლებაში მოყვანის შემდეგაც საქართველოში სომხეთის, უკრაინისა და ბელარუსის მსგავსად „თავისუფლების სული აყვავდებოდა!“

ვფიქრობთ, ასეთი კაცის – ედუარდ შევარდნაძის – შერჩევა სწორედ 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე მოხდა, როცა პრეზიდენტი ბუში მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა.

გავიხსენოთ, რა უთხრა 1991 წლის სექტემბრის დასაწყისში საქართველოდან ფინეთში დაბრუნებულ რენო სირაძეს მეგობარმა ამერიკელმა, რომელიც „ცერეუს“ ძალიან მაღალი რანგის ოფიცერი იყო – ხელმძღვანელობამ თქვენთან შეხვედრა ამიკრძალაო!

ანუ როცა ეს სიტყვები ითქვა, საქართველოს პირველ პრეზიდენტს განაჩენი უკვე გამოტანილი ჰქონდა!

ყველაფერი კი ისევ და ისევ „სხვის ქვეყანაში ატეხილი ჭირით“ დაიწყო, როცა 1991 წლის 19 აგვისტოს შეთქმულებმა ყირიმში მყოფი გორბაჩოვი გადაყენებულად გამოაცხადეს და შექმნეს „გეკაჩეპე“ იური იანაევის, „კაგებეს“ მინისტრ კრიუჩკოვის, თავდაცვის მინისტრ იაზოვისა და პრემიერ-მინისტრ პავლოვის მეთაურობით. შეთქმულებმა აკრძალეს მიტინგები, პოლიტიკური პარტიები, გაზეთები... აჯანყებულებმა მოსკოვში ტანკები და მძიმე ტექნიკა შეიყვანეს და ქუჩები გადაკეტეს. მთელი მსოფლიო შიშის ქარმა აიტანა, საქართველოს ხელისუფლება დილემის წინაშე აღ-

მოჩნდა. გამსახურდიამ „გეკაჩეპეს“ მიმართ თავისი დამოკიდებულება ასე გამოხატა – „პოლიტიკური შეფასება მომხდარი გადატრიალებისა მეტად რთულია, ვინაიდან ჯერჯერობით არ არის ნათელი, ნამდვილი გადატრიალებაა ეს, თუ მხოლოდ გარიგება ან შოუ...“ [45:59]

მოსკოველმა პუტჩისტებმა თბილისში მაშინვე მოავლინეს თავიანთი ემისარი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენადი შურავლიოვი, რომელმაც საქართველოს ხელისუფლებას სამხედრო ფორმირებების დაუყოვნებლივ დაშლა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიმუქრა, რომ ეროვნული გვარდიის განადგურების შესახებ ბრძანება უკვე გაცემული იყო. აი, ასეთ სიტუაციაში, როცა საფრთხე რეალური გახლდათ, 1991 წლის 19 აგვისტოს ზვიად გამსახურდიამ გამოსცა ბრძანებულება ეროვნული გვარდიის „რეორგანიზაციის“ შესახებ, რომლის თანახმადაც, გვარდიას მიენიჭა „განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის ქვეგანაყოფის“ სტატუსი, გაუქმდა მისი სარდლის ფუნქცია და ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა დაევალა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს.

ფაქტობრივად, ზვიადმა გვარდია შეინარჩუნა, მაგრამ მას ის სტატუსი გაუმლიერა, რაც თავიდანვე დაკისრებული ჰქონდა – საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა!

გაოგნებას იწვევს ის ფაქტი, რომ წერა-კითხვის მცირედ მცოდნე თენგიზ კიტოვანი ზვიად გამსახურდიას ამ გადაწყვეტილებას მიესალმა და 1991 წლის 25 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს გვარდიელში“ გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „გვარდია რკონში“. კიტოვანი წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს გვარდია არ გაუუქმებია და რომ გვარდიის რკონში გასვლა წინასწარ შეთანხმებული სვლა იყო. [71:2]

უფრო მეტიც, კიტოვანმა ასევე ამხილა გიორგი ჭანტურიას მიერ რკონში მიგზავნილი პროვოკატორები, რომლებიც გვარდიელებს შორის პროკლამაციებს ავრცელებდნენ და ახალგაზრდებს


მოუწოდებდნენ, „დღესვე გაეკეთებინათ არჩევანი და გამიჯვნოდნენ ბოროტ გამსახურდიას, რომელიც ატყუებდა გვარდიელებს და მათ ქართველი და-ძმების დასახოცად ამზადებდა!“

ხელისუფლებისადმი გამოჩენილი ამ „ლოიალობის“ მიუხედავად, თენგიზ კიტოვანი 1991 წლის 19 აგვისტოდან გვარდიის სარდალი უკვე აღარ იყო და რკონში მისი ყოფნა ვერცერთ კანონში ვერ ჯდებოდა...

როცა „გეკაჩეპეს“ საფრთხემ ჩაიარა და პუტჩისტები დააპატიმრეს, 1991 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით ზვიად გამსახურდიამ გვარდიას განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის სტატუსი უმალ მოუხსნა და გვარდიელებს მოუწოდა, დაბრუნებოდნენ თავიანთ დისლოკაციის ადგილებს ქალაქებისა და რაიონების მიხედვით. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა და თენგიზ კიტოვანი, რომელიც 25 აგვისტოს წერდა – გამსახურდიას გვარდია არ გაუუქმებიაო! – ხელისუფლების კონტროლიდან გავიდა!

არსებობს ერთი ძალიან საინტერესო ფოტო, რომელიც 1991 წლის ზაფხულში რკონის ტყეშია გადაღებული. მასზე გამოსახული არიან თენგიზ კიტოვანი და რუსეთის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ.

კიტოვანს რომ სახელმწიფო გადატრიალების დღეებში გენერალ სუფიან ბეპაევის კაბინეტში ეძინა, ეს ცნობილი ფაქტია და ამის შესახებ ჩვენ მოგვიანებით უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ, მაგრამ, როგორც ჩანს, შოიგუ 1991 წლის ზაფხულში რკონში შემთხვევით არ ჩასულა. რუსეთის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბში თენგიზ კიტოვანისთვის საძინებლის მოწყობა, როგორც ჩანს, რუსებმა მაშინ სწორედ შოიგუს დაავალეს და ეს უკანასკნელიც რკონში კიტოვანთან მისი სხეულის გაბარიტების შესამოწმებლად და ზომების ასაღებად ჩავიდა.



ამბოხებული **თენგიზ კიტოვანი**
და რუსეთის დღევანდელი თავდაცვის მინისტრი,
მაშინ ძალიან ახალგაზრდა **სერგეი შოიგუ**
რკონის ტყეში (1991 წლის აგვისტო)

ფაქტია, რომ 1991 წლის 19-21 აგვისტოს მოსკოვის პუტჩმა საქართველოზე დამანგრეველი ზეგავლენა იქონია და ზვიად გამსახურდია ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა – თუ „გეკაჩეპეს“ მიმართ კომპრომისზე არ წავიდოდა, საქართველოს დაბომბვისა და მიწასთან გასწორების საფრთხე რეალური იყო, კომპრომისზე წავიდა და – ჩასაფრებულმა შიდა ოპოზიციამ მაშინვე ქვეყანა გადააყრუა – გამსახურდია „გეკაჩეპეს“ შეეკრაო!

არადა, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 20 აგვისტოს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და

მთელ ცივილიზებულ სამყაროს მოუწოდა, „სასწრაფოდ და გადაუდებლად დე ფაქტო და დე იურე ცნონ რესპუბლიკების, მათ შორის, საქართველოს, დამოუკიდებლობა, და დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მათთან!“ [72:2]

ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი და ზვიად გამსახურდიას სიყრმის მეგობარი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, თავის გახმაურებულ წიგნში „დღეთა კარებთან ვდგავარ წუსილით“ დეტალურად აღწერს რკონში გახიზნულებთან სტუმრობას, როცა ის ზვიად გამსახურდიას თანხმობით რამდენიმე მეგობართან ერთად კიტოვანს ტყეში ეწვია...

ელიზბარ ჯაველიძის მოგონებებიდან აშკარად იკვეთება, რომ კიტოვანი საქართველოს ეროვნულ ხელისუფლებასთან შესარიგებლად მზად იყო, მაგრამ მას ვიღაცის ხილული თუ უხილავი ხელი მართავდა და ტყეში გაჭრილ „სარდალს“ გადამწყვეტ სიტუაციაში დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა. აი, რა დასკვნას აკეთებს ელიზბარ ჯაველიძე რკონში კიტოვანთან სტუმრობის შემდეგ: „ჩვენ უკან ვბრუნდებოდით ღრმად დარწმუნებულნი, რომ ამ ამბოხს ვიღაც მძლავრი ხელი მართავდა, ამიტომაც კიტოვანის მორჯულება შეუძლებელი იყო. აკი არც მორჯულდა. ყოველივე ამას თან ერთოდა ანტიეროვნული იდეოლოგიის გაღვივება, საზოგადოებრივი აზრის მოწამვლა, რომელსაც დიდი ძალისხმევით ცდილობდა ინტელიგენციის ის ნაწილი, საბჭოთა კავშირის ბრძმედში რომ იყო გამოწრთობილი და სავსებით დაეკარგა ღვთის რწმენა და მამულის სიყვარული. ისინი თავს იწონებდნენ უაზრო კოსმოპოლიტური იდეებით და აბუჩად იგდებდნენ იმ უბადლო გრძნობას, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია და რაც არა მარტო „რჩეულს“, არამედ უბრალო მოკვდავსაც გენში უნდა ჰქონდეს გამჯდარი“. [73: 380-384]

კიტოვანს შუამავლები და მომლაპარაკებლები არც თბილისის ზღვაზე აკლდა. უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიამ მას კაცური სიტყვა მისცა, რომ, თუ თბილისში ჩამოვიდოდა და პირისპირ

შეხვდებოდა, ხელს არ ახლებდა. ჯემალ ჭუმბურიძესთან ერთად კიტოვანი მართლაც ჩამოვიდა და ზვიად გამსახურდიას კაბინეტში შეხვდა. ზვიად გამსახურდიამ პირობა ვაჟკაცურად შეასრულა და შეხვედრის დასრულების შემდეგ კიტოვანი თბილისიდან აბსოლუტურად უვნებლად გაუშვა!

ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანის ცნობით, „ზვიადის ნებართვით, თბილისის ზღვაზე კიტოვანთან ორჯერ იყო ასული... ირაკლი მელაშვილი იყო შუაში. კიტოვანი ავტოდრომთან უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ არ ჩამოვიდა, შეეშინდა და მე ავედი მასთან. შენ და ზვიადი ერთმანეთს თითქმის ბავშვობიდან იცნობთ და მე უნდა ვიყო თქვენ შორის შუამავალი-მეთქი? – ვკითხე კიტოვანს. კიტოვანი თავიდან არ იყო აგრესიულად განწყობილი, ეტყობოდა, რომ თავის თავს ებრძოდა და დიდ ზეწოლასაც განიცდიდა. – ზვიადმა რაღაც სტატუსი მოგვცეს და მე და ჩემი ბიჭები სამხრეთ საქართველოში, საზღვართან ჩავდგებითო! – მითხრა. ეს ამბავი ზვიადს ჩამოვუტანე და მაშინვე დათანხმდა – კი, ბატონო, ეგრე იყოსო! ავედი ისევ კიტოვანთან და ვუთხარი – პრეზიდენტი თანახმაა-მეთქი! ამას არ ელოდნენ და კიტოვანმა ამის შემდეგ კიდევ ორი პირობა წამოაყენა – სიგუა ისე ხომ არ დარჩება?! ზვიადმა სიგუა თბილისის მერად დანიშნოს, ხოლო ჩვენი გვარდიის ნაწილი მხოლოდ და მხოლოდ პარლამენტს დაუქვემდებაროსო! ამაზე ვუპასუხე – სიგუას ქალაქის მერად როგორ დანიშნავს?! ჩვენ ვაპირებთ, რომ მერის თანამდებობა არჩევითი გავხადოთ და თუ სიგუას მერობა სურს, იყაროს კენჭი-მეთქი! მერე სხვა ადამიანები ჩაერივნენ ამ საუბარში და სხვა თემაზე გადავიდა ლაპარაკი. სხვათა შორის, ბევრმა არ იცის, რომ კიტოვანი ზღვიდან ჩამოვიდა და ერთი ერთზე შეხვდა ზვიადს კაბინეტში. ჯემალ ჭუმბურიძე ახლდა მხოლოდ... ნახევარი საათი ილაპარაკეს... მერე მე და ცხონებული ჯემალ გოლეთიანი შევედით ზვიადთან. პრეზიდენტმა კიტოვანზე მითხრა – მგონი, ეგ ცოტა ჭკუაზე მოდისო! კიტოვანსაც ეტყობოდა, რომ კარგ ხასიათზე იყო,

როცა პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოვიდა... ზვიად გამსახურდიამ კიტოვანს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვიდა. მართალია, ისეთებიც მრავლად იყვნენ, რომლებიც ზვიადს აქეზებდნენ – კიტოვანი შეიპყარიო! მაგრამ ზვიადი სიტყვის კაცი იყო და ეგეთი ვერაგობა არ იკადრა".[4]

არანაკლებ გასაოცარია „სახალხო ფრონტის" ლიდერ ნოდარ ნათაძის მოგონება, რომელიც მან თავის მემუარებში დაწერა... „რა შეცდომებზე შემიძლია ლაპარაკი?.. რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას არ ჰქონდა გამოცდილება, მაგრამ ზვიადს ჰქონდა გადაწყვეტილების მიღების უნარი. დღევანდელი გადასახედიდან ზვიადის ყველა გადაწყვეტილება სწორი იყო. მოსკოვში რომ პუტჩი მოხდა, ზვიადი ყაზბეგში იყო. თბილისი დაბნეულობამ მოიცვა, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი შეიკრიბა და ამ დროს ზვიადიც ჩამოვიდა. ძალიან მძიმე ვითარება იყო, პუტჩისტებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის გაძლიერება უნდოდათ. ეს კი, ნიშნავდა სისხლსა და ნგრევას საქართველოში და ჩვენს ისევ დამონებას. ზვიადმა მშვიდად თქვა – პუტჩი უნდა დავგმოთ, მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ის სხვა სახელმწიფოში მოხდა და ვერ ჩავერევითო. ბოლოს კი, დასძინა, ერთხელ მაინც მოვიქცეთ ისე, ჩვენი ქვეყანა სხვის ნანგრევებში არ მოჰყვესო. ასეც გავაკეთეთ. ოპოზიცია კი, მოითხოვდა, ხელჩართულ ბრძოლაში ჩავრთულიყავით. იყო მიტინგები და გამოსვლები. განსაკუთრებით, „ედპ" და გიორგი ჭანტურია აქტიურობდნენ. ბრალად გვდებდნენ, სამშობლოს უღალატეთო! მახსოვს, როდესაც პუტჩისტების თავკაცმა იანაევმა დაურეკა ზვიადს, გვერდით ვედექი. იანაევმა მხარდაჭერა მოითხოვა. ზვიადმა კი, უპასუხა – მე ჩემი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ვიბრძვიო. – მაშინ თბილისს ისე დავბომბავ, მისგან მტვერიც არ დარჩებაო... – ამას ვერ შეძლებო, – უთხრა ზვიადმა.

---

[4] აკაკი ასათიანი, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე 1991 წლის 18 აპრილიდან 1992 წლის 6 იანვრამდე.

როდესაც ეროვნულმა მოძრაობამ პიკს მიაღწია, მაშინ საბჭოთა კავშირის შსს-მ საქართველოს შს მინისტრ გორგოძისგან მოითხოვა, მილიციაში არსებული შეიარაღება მოსკოვში გადაეგზავნათ. დაახლოებით, 20 ათასი ერთეული ავტომატური იარაღი გაიგზავნა მოსკოვში. გორგოძე არც შეწინააღმდეგებია რუსებს. გასაგებია, ისიც მოსკოვს ემორჩილებოდა, მაგრამ ასეთ მზაკვრულ ბრძანებას „ხუთიანზე" მაინც ნუ შეასრულებ... ხელისუფლებაში რომ მოვედით და ქვეყნის მშენებლობას ვიწყებდით, ერთი ცალი ავტომატური იარაღი არ გვქონდა, არადა, ისეთი არმიის შექმნა გვინდოდა, რომელიც სამშობლოს დაიცავდა. ამიტომ სკოლებსა და ინსტიტუტებში არსებული სასწავლო იარაღების გადაკეთება დავიწყეთ. როდესაც იანაევმა დაგვირეკა და დაგვემუქრა, ზვიადმა უპასუხა – შენი არ მეშინია, ამას ვერ გააკეთებო! ამას ამბობდა კაცი, რომელსაც ზურგს 100 ცალი გადაკეთებული სასწავლო იარაღი უმაგრებდა. ოდნავი შიში და უპრინციპობა რომ გამოეჩინა მაშინ გამსახურდიას, ჩანასახშივე მოკვდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა". [79:178]

მიუხედავად ამისა, პუტჩისტური ოპოზიცია ავრცელებდა ბინძურ ცნობებს ზვიად გამსახურდიას მიერ ვითომდა იანაევისადმი გაგზავნილი „დასახვრეტთა სიის" შესახებ. თენგიზ სიგუა კი, თავისი ნაზრახი სიცოცხლის ბოლომდე ამაოდ ელოდებოდა „იანაევის დაკითხვის ოქმებს", სადაც თითქოსდა ზვიად გამსახურდიას კავშირი „გეკაჩეპესთან" დადასტურდებოდა. ისტორიის ქარბორიამ ეს ნაგავი და სიბილწე ნელ-ნელა გაფანტა და ზვიად გამსახურდიას სახელი, როგორც მოსალოდნელი იყო, აქაც შეუბღალავი დარჩა.

უფროსმა მეცნიერმა ექსპერტმა თ. ანდრიაშვილმა შეისწავლა „დასახვრეტთა სია" და დაასკვნა, რომ „დოკუმენტზე" ზვიად გამსახურდიას ხელმოწერა გაყალბებული იყო.

ამის შესახებ ძალიან საინტერესო ამბავს იხსენებს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი:

„ზვიადმა პირადად მაჩვენა ე.წ. დასახვრეტი ხალხის სია, რომელში მეც ვეწერე და მკითხა – რას იტყვით? – დავხედე ქაღალდს და ღიმილით ვუთხარი – ვერ მიუმსგავსებიათ თქვენი ხელმოწერა-მეთქი! – კიდევ კარგი, თქვენ მაინც არ გეპარებათ ჩემში ეჭვი! – რას ბრძანებთ, როგორ გეკადრებათ-მეთქი! ამ პროვოკაციით უნდოდათ, ხელისუფლების შიგნით აერიათ მონასტერი, რასაც საბოლოოდ მიაღწიეს კიდეც. გახსოვთ, ალბათ, თენგიზ სიგუამ იანაევისა და „გეკაჩეპეს“ დაკითხვის ოქმები რომ ამოიჩემა და „ამტკიცებდა“, ზვიად გამსახურდია მოსკოვის პუტჩის მოთავეებთან შეკრული იყოო! არავითარი ამის მსგავსი ბუნებაში არ მომხდარა და იანაევისა და „გეკაჩეპეს“ ლიდერების დაკითხვის ოქმებში, რომლებიც გამოქვეყნებული და გამომზეურებულია, ზვიადის გვარი არსად ფიგურირებს! ცხადია, ესეც იყო ბინძური პროვოკაცია და ცილისწამება. ზვიადის უდანაშაულობაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ამის შესახებ საგანგებოდ მაინც ვკითხე ერთ კომპეტენტურ პირს, რომელიც მაშინ მოსკოველი პუტჩისტების ადვოკატებთან ტრიალებდა. მან დაბეჯითებით მითხრა, რომ ზვიად გამსახურდია ამ მასალებში არსად ფიგურირებს, ერთადერთი, რაც საქართველოს უკავშირდება, ის გახლავთ, რომ იანაევისა და მისი გუნდის გეგმით, სადაც გვარდია და პრეფექტურები იყო, იქაურობა ცეცხლითა და მახვილით უნდა გაენადგურებინათო!“

ამერიკელი ჟურნალისტისა და დიდი ალბათობით ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს თანამშრომელ თომას გოლცის აზრით, „საქართველოს სახელმწიფოებრივი თვითმკვლელობა“ 1991 წლის 19 აგვისტოს დაიწყო, როდესაც მოსკოვში „გეკაჩეპე“ შეიკრიბა. „ზვიადის დახასიათებით, ეს გადატრიალება გახლდათ რუსეთის მორიგი თაღლითობა. ამ სიტყვების შემდეგ გამსახურდიას შესახებ საუბრობდნენ როგორც შეშლილზე. ზოგიერთები უფრო შორს წავიდნენ, როცა იგი ამ პუტჩის მხარდამჭერადაც გამოაცხადეს. „OH, MAN!“ – სახე დაელმიჭა ჯორჯ ბუშს (უფროსს), როცა CNN-ის რეპორტიორმა ამ სამდღიანი მოსკოვური გადატრიალების

გამსახურდიასეული აღქმის შესახებ ჰკითხა. „მას ურჩევნია, თავი ექიმს გაასინჯოს!“ – იყო ბუშის პასუხი“. [54:73]

ამ ფაქტს სულ სხვაგვარად იხსენებდა ცნობილი ლიტერატორი და ზვიად გამსახურდიას მრჩეველი გიორგი გაჩეჩილაძე, რომელიც მოსკოვის პუტჩის დღეებში ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა და გამსახურდიას დავალებით ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ძმას, ოთარ შალიკაშვილს, ხვდებოდა. გაჩეჩილაძემ მაღაზიაში სიგარეტის შესაძენად შეიარა და იხილა დაზაფრული ხალხი, რომელიც მაღაზიაში ტელევიზორს უყურებდა. ტელევიზია პირდაპირ ეთერში უჩვენებდა მოსკოვში არსებულ სიტუაციას – ტანკებს ქალაქის ქუჩებში... პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა პრეზიდენტ ბუშის პრესკონფერენციის ტრანსლაცია. ერთერთმა ჟურნალისტმა ბუშს ჰკითხა – საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა გამსახურდიამ, განაცხადა, რომ შესაძლოა, მოსკოვში მომხდარი ამბები გორბაჩოვის მიერ იყოს მოწყობილი და თქვენ რას ფიქრობთ? ამაზე ბუშის პასუხი ასეთი იყო: „მე ვფიქრობ, რომ ამ კაცმა (გამსახურდიამ) ცოტათი მაინც უნდა დაამუშაოს ის განცხადებები, რომელთა გაკეთებასაც აპირებს. ეს არის კაცი, რომელიც მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ. ის უნდა მიჰყვეს დინებას და გაიგოს, რა ხდება მსოფლიოში“. [55:109-110]

გიორგი გაჩეჩილაძემ მაშინვე დაურეკა ზვიად გამსახურდიას და გააფრთხილა – ბუშმა ასეთი და ასეთი განცხადება გააკეთა და შეფასებებში უფრო ფრთხილი იყავითო! ამაზე ზვიად გამსახურდიამ გაჩეჩილაძეს ზუსტად ასეთი რამ უთხრა – „მაგათ უთხარი, მდინარის დინებას მკვდარი თევზები მიჰყვებიანო!“ [74:3-4]

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის პუტჩის დღეებში, 1991 წლის 20 აგვისტოს, ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მიერ გაკეთებული საბედისწერო განცხადება – „გამსახურდია მიცურავს დინების საწინააღმდეგოდ!“ – საქართველოს უახლეს ისტორიაში ავბედითი ტეხილია, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული სვე-ბედი ათეულობით წლის განმავლობაში განსაზღვრა! კერ-

ძოდ, პრეზიდენტ ბუშის განცხადება – „გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს!“ – იყო სანქცია და ნებართვა პუტჩზე, რომელიც პერმანენტული შეიარაღებული დაპირისპირების სახით 1991 წლის სექტემბერში დაიწყო და 1991 წლის 22 დეკემბერს ე.წ. ზამთრის ომში გადაიზარდა.

დიახ, ვფიქრობთ და მიგვაჩნია, რომ საქართველოში სამხედრო კრიმინალური გადატრიალების ათვლის წერტილად მიჩნეულ უნდა იქნეს არა 1991 წლის 22 დეკემბერი, არამედ 1991 წლის 2 სექტემბერი, როცა „კინოს სახლთან“ პირველი ტყვია გავარდა. აღარაფერს ვამბობთ იმავე წლის 25 სექტემბერზე... იმ დღეს დიდუბეში მდებარე „თელასის“ შენობას თენგიზ კიტოვანის გვარდიელები დაესხნენ. „თელასს“ მილიცია იცავდა... თავდასხმის შედეგად დაიღუპა მილიციის სამი თანამშრომელი და კიტოვანის ორი გვარდიელი. „თელასის“ პარალელურად, ამბოხებულებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეტაკებები მოხდა ცირკთან და სხვა ადგილებშიც...

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 25 სექტემბერს წინ უსწრებდა 2 სექტემბერი – ავბედითი თარიღი საქართველოს უახლეს ისტორიაში, როცა საქართველოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრაზე იმყოფებოდა ამერიკელ კონგრესმენთა ჯგუფი სემ გიბონსის ხელმძღვანელობით. სწორედ ასეთ სიტუაციაში „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წევრებმა წინა ღამით „კინოს სახლში“ რიყის ქვები შეზიდეს და მეორე დღეს, ტრადიციულ საორშაბათო მიტინგზე, დაახლოებით, 16:00 საათზე, ინციდენტმაც არ დააყოვნა. კერძოდ, შეხლა-შემოხლა მოჰყვა ჭანტურიას თანაპარტიელების მცდელობას, „კინოს სახლთან“ დაედგათ ხმის გამაძლიერებელი აპარატურა. ე.წ. ომონისა თუ ღმერთმა უწყის, ვისი რიგებიდან მოხდა გასროლა, რომლის ექომ ჯერ საქართველოს პრეზიდენტთან სტუმრად მყოფი ამერიკელი კონგრესმენები „შეაშფოთა“, ხოლო შემდეგ – როგორც ამერიკის ადმინისტრაცია, ისე შავრაზმული რუსული პოლიტიკური ელიტა. 2 სექტემბერს

დაჭრილი არავის უნახავს, მაგრამ ოპოზიცია ამტკიცებდა, რომ „ხელისუფლებამ ხალხს ესროლა“.

პროვოკაციულ გასროლას „ედეპეშნიკებმა“ იმით უპასუხეს, რომ „კინოს სახლში“ წინდაწინ მომარაგებული რიყის ქვები მილიციის განსაკუთრებულ ძალებს დაუშინეს...

„ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ცნობილმა წევრმა მამუკა გიორგაძემ ჩვენთან საგაზეთო საუბარში აღიარა, რომ 1991 წლის 2 სექტემბრის ღამეს „ედპ“-მ რესტორან „სამადლოში“ დიდი ბანკეტი გადაიხადა და „გამარჯვება“ იზეიმა! როგორც ჩანს, ნოდარ ნათაძის აღიარებას – „პატრიოტმა და გამოკვეთილმა დისიდენტმა მითხრა, სექტემბერში ზვიადის წასვლის პროცესი დაიწყებაო!“ – რეალური საფუძველი ჰქონდა... [45:68]

3 სექტემბერს კიტოვანის „გვარდია“, რომელიც უკვე წვევამდელებისგან დაცლილი იყო და, ძირითადად, კრიმინალებისა და თავგაცხელებული ავანტიურისტებისგან შედგებოდა, თბილისში შემოვიდა და შავნაბადაზე დადგა. კიტოვანმა განაცხადა, რომ, თუ ხელისუფლება მომიტინგეებს კვლავ დაარბევდა, გვარდია მათ დაიცავდა! [1:336]

მთელი შემდგომი პროცესები – 16 სექტემბერს ტელევიზიის შენობის წინ კიბეზე ჟურნალისტებისა და ცნობილი ელიტარების წამოწოლა; იმავე დღეს გიორგი ჭანტურიასა და ირინა სარიშვილის დაპატიმრება, რომლებიც შევარდნაძესთან მიფრინავდნენ ანგარიშის ჩასაბარებლად და 22-24 სექტემბერს შეიარაღებული ოპოზიციისა და კიტოვანის გვარდიელებისა და მხედრიონელების მიერ ტელევიზიის, ვარაზისხევისა და ცირკის მიმდებარედ ტელევიზიის შენობის დაკავება, ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ ერთადერთ მიზანს – 1991 წლის 25 სექტემბერს თბილისში „ოპოზიციად“ წოდებულმა ბანდებმა საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება დაიწყეს!

3. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა და საერთაშორისო-პოლიტიკური კონტექსტი

3.1. 2 სექტემბერი, როგორც 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალების ათვლის წერტილი და მისი წინაპირობები

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ბედი მხოლოდ კიტოვანის, სიგუასა და ჯაბა იოსელიანის ბანდებს არ გადაუწყვეტიათ, ამ საქმეში თავიდან ბოლომდე მონაწილეობდნენ როგორც რუსეთის, ისე ამერიკის შეერთებული შტატებისა და, ზოგადად, დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტები და მათი სპეცსამსახურები.



სახელმწიფო გადატრიალების დასაწყისი. სიგუა და მისი „რაზმი" ტელევიზიის შენობასთან. 1991 წლის სექტემბერი

საქართველოს დევნილი პრეზიდენტი კანონიერი ხელისუფლების დამხობაში დასავლეთს იმთავითვე ადანაშაულებდა და გადატრიალების შემდეგ წერდა: „დემოკრატია გადაიქცა ცარიელ სიტყვებად, რომელსაც თვითნებურად სმარობენ დასავლეთის ამა თუ იმ პოლიტიკური ინტერესების შესანიღბავად. როცა დასავლეთის მთავრობებს სურთ რომელიმე რეგიონში თავიანთი გავლენის ან სამხედრო ყოფნის გაძლიერება, მაშინ ისინი პირველ რიგში ამ ქვეყნის მთავრობის მოსყიდვას შეეცდებიან, ხოლო თუ წინააღმდეგობას წააწყდებიან, მაშინ უბრალოდ ჩამოაგდებენ ხოლმე კანონიერ ხელისუფლებას. დღეს სხვა ქვეყნებისადმი ასეთი მტაცებლური მიდგომა საბო-

ლოოდ დამკვიდრდა ნატო-ს წევრ ქვეყნებში. საგულისხმოა, რომ დასავლეთის, განსაკუთრებით, ძლიერი სახელმწიფოების მთავრობები უკვე აღარც თვითონ თვლიან საჭიროდ თავიანთი მიზნების შენიღბვას, ისინი ღიად და ცინიკურად თელავენ სხვა სახელმწიფოების ნებას და სწორედ ასე მოხდა საქართველოში". [75:3]

თანამედროვე მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური კონტექსტი და საქართველოს სახელმწიფოს რეალური სტატუსი ნატო-სა და ევროკავშირის სახელმწიფოებთან მიმართებით იმ ფონზე, როცა ევროსაბჭოს პრეზიდენტი ქვეყნის ხელისუფლებას საარჩევნო ბარიერს უწესებს, ხოლო ამერიკის ელჩი მოსამართლეების დანიშვნის პროცესში ერევა და ხელისუფლებას მოუწოდებს, საქართველოში სოდომისტთა გარყვნილი პარადი ჩაატაროს, ერთადერთ რამეზე მეტყველებს – ზვიად გამსახურდია ზემოხსენებულ შეფასებებში არ შემცდარა და მის მიერ ე.წ. დასავლური დემოკრატიისთვის გამოტანილი ვერდიქტი უზუსტესია!

ზვიად გამსახურდია ეროვნული სახელმწიფოს ასაშენებლად იღვწოდა, რაც უცხოა დღევანდელი ლიბერალური ფაშიზმისთვის, რომლის კონტურებიც მეოცე საუკუნის 80-იან წლებში საბოლოოდ გამოიკვეთა. თავის წერილში – „1988 – ჩვენი განცალკევების წელი" – საინტერესო ფაქტს იხსენებს ცნობილი მწერალი და პუბლიცისტი ირაკლი კაკაბაძე, რომელიც წერს: „ზვიად გამსახურდიამ ერთხელ ფრანგ ჟურნალისტს ჩემი თანდასწრებით კარგად უთხრა – „ჩვენი ნაციონალიზმი არაფრით განსხვავდება საფრანგეთის რევოლუციის იდეალებისგანო!" რეალობაში, ის, რასაც გამსახურდიას უკიჟინებდნენ 1980-იანი წლების დასასრულს, იყო ფრანგული Patria – ნაციონალიზმის ერთ-ერთი რიგითი ვერსია. მასში არ იყო განსაკუთრებული ქართული ელემენტები. უფრო მეტიც, ყველა „ეროვნულ-განმათავისუფლებელი" მოძრაობა სწორედაც რომ ფრანგულ მოდელზე მოიჭრა და ეს იყო ძალიან საინტერესო ფენომენი". [76:4]

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რა ასაზრდოებს ზვიადიზმს, როგორც იდეას, რომელიც, ზვიად გამსახურდიას ფიზი-

კური ლიკვიდაციის, ეროვნული ხელისუფლების დამხობისა და საშინელი რეპრესიების მიუხედავად, საქართველოს არ შორდება და გამუდმებით თავს ახსენებს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ცნობილ პროფესორ და მკვლევარ იგორ კვესელავას შეფასება უნდა მოვიხმოთ, რომელიც ასე ჟღერს: „გამსახურდიას პოლიტიკურ სიცოცხლისუნარიანობას ის განაპირობებს, რომ ეს არის წმინდა ქართული მოვლენა, ეროვნული ღირებულება, ზეპიროვნული სახე. იგი თავისი არსითა და მოწოდებით ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საფუძველს ეხმიანება. ეს არის უდავო ჭეშმარიტება, რამეთუ შეუძლებელია, მომავალი არ გააჩნდეს იმას, რაც ნამდვილი და ეროვნულია“. [77:208]

კიდევ ერთხელ ერთმნიშვნელოვნად და კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ტერმინი – „1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება“ – მცდარია და იგი უნდა ჩანაცვლდეს უფრო სამართლიანი და მართებული ტერმინით – „1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება!“ ხოლო თუ როგორი იყო ეს გადატრიალება თავისი არსით – „არტისტული“, კრიმინალური, სამხედრო-კრიმინალური თუ მასონური, ეს შესაძლოა, ცალკე მსჯელობის საგანი იყოს!

დიახ, ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა 1991 წლის 2 სექტემბრის პროვოკაციით დაიწყო, 4-5 ოქტომბრის მოვლენებით გაგრძელდა, 22 დეკემბერს რუსთაველზე ატეხილი ბათქაბუთქით გაცხადდა, ხოლო 1992 წლის 6 იანვარს დასრულდა, როცა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა, მთავრობამ და პარლამენტმა იძულებით დატოვეს სამშობლო!

1991 წლის 2 სექტემბერს თბილისის ცენტრში, „კინოს სახლთან“ განვითარებული დრამატული მოვლენები რომ უცხო ძალების მიერ იყო პროვოცირებული, ამას „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის“ ცნობილი თავმჯდომარე და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელიც ადასტურებს. როგორც წერეთელი აცხადებს, „2 სექტემბრის დარბევა

მოხდა თუ არა, იმავე საღამოს საქართველოს ტელევიზიით მოსკოვიდან გამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც „გაიკვირვა“ – ზვიად გამსახურდია ოპოზიციას რატომ არ ელაპარაკებაო?! შევარდნაძის ასე სასწრაფოდ გამოჩენა გარკვეულ ეჭვებს ნამდვილად აღძრავს და ვფიქრობ, რომ 1991 წლის 2 სექტემბრამდე შევარდნაძესთან ვიღაცებს ნამდვილად ჰქონდათ შეხვედრა და რაღაც-რაღაცები მოითათბირეს! ამიტომ იყო, რომ 1991 წლის 21 სექტემბერს, როცა თენგიზ სიგუამ ხალხი პარლამენტისკენ დაძრა, მე იმ პროცესს გამოვეთიშე და მაშინვე განვაცხადე – აქ შევარდნაძის აჩრდილი დადის-მეთქი!“ [78:18-20]

სხვათა შორის, ირაკლი წერეთელმა წლების შემდეგ ისიც აღიარა, რომ „რუსთაველზე რკინები და ქვები არ უნდა დაეყარა“ და იმავე 2 სექტემბერს „გია ჭანტურიას მიტინგის დარბევის გამო კუჭი არ უნდა აეშალა!“ [78:19]

1991 წლის 2 სექტემბერს მარტყოფში იმყოფებოდა ეროვნული მოძრაობის ცნობილი „შვეიკი“, „სახალხო ფრონტის“ ლიდერი ნოდარ ნათაძე, რომელიც „კინოს სახლთან“ ატეხილ გაწევ-გამოწევასა და ბორიაყს არ შესწრებია, მაგრამ ამის მიუხედავად, ერთმნიშვნელოვნად დაიჭირა პროვოკატორებისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ მოღორებული ე.წ. ოპოზიციის მხარე და თბილისში დაბრუნდა თუ არა, მაშინვე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გადადგომა მოითხოვა. წლების შემდეგ ნოდარ ნათაძემ გამოაქვეყნა მემუარები „რაც ვიცი (ფაქტები და ანალიზი)“, სადაც დაწერა: „ჩემთვის და ჩემი სულისთვის (იმ შემთხვევაში, თუ საიქიო ნაცვალგება არსებობს, და იმ შემთხვევაშიც, თუ იგი არ არსებობს) ჯობდა არა თუ ის, რომ მარტყოფში ფეხი მომტეხოდა, არამედ ისიც, რომ იმ დღით ინსულტი ან ინფარქტი მომსვლოდა“. [79:233]

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ნოდარ ნათაძის აღიარება-მონანიება ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში, სადაც მან სიტყვა სიტყვით ასეთი რამ განაცხადა: „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ დარაზმული იყო ძალიან დიდი აგენტურა და მათ

პროვოცირება შეძლეს. მაშინ მე ვთქვი – როცა პრეზიდენტს ასეთი შეცდომა მოუვა, იგი უნდა გადადგეს-მეთქი! აი, ეს ვთქვი და არ უნდა მეთქვა. ამას მე ვთვლი პირადად ჩემი, როგორც პოლიტიკოსის, როგორც პიროვნებისა და როგორც კაცის, ჩაჭრად! აი, ეს მე ცხოვრებაში სანანებლად მაქვს!" [80]

2 სექტემბრის მიტინგი და „კინოს სახლთან" დატრიალებული ბაკქანალია რომ კრემლიდან იმართებოდა, ზვიად გამსახურდიამ ყველაზე უკეთ იცოდა. კაცმა რომ თქვას, ამის მიხვედრას დიდი გულთმისნობა არც სჭირდებოდა. საკმარისი იყო, ტელევიზორი რუსეთის ცენტრალურ ტელეარხზე გადაგერთოთ, რომ მაშინვე ნათელი გახდებოდა ყველაფერი. დასტურ, რუსეთის ტელევიზიის ეთერში საინფორმაციო პროგრამა „ვესტიმ" პირადად ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ უბინძურესი და ცილისმწამებლური კამპანია გააჩაღა. ბორის ელცინი, რომელიც 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში გამსახურდიას ძმობას ეფიცებოდა, ხოლო თავისი საპრეზიდენტო ინაუგურაციის შემდეგ გამართულ უზარმაზარ ბანკეტზე ზვიად გამსახურდია თამადად დანიშნა, ამ ყველაფერს თვალს მშვიდად ადევნებდა და საეჭვოდ გალურსული იყო.


ზვიად გამსახურდია ელცინს თავიდანვე არ ენდობოდა, მაგრამ მასთან საერთო ენის გამონახვას ცდილობდა. აი, რას იხსენებს 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში ზვიად გამსახურდიასა და ელცინის შეხვედრის შესახებ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი ნოდარ მაისურაძე: „ყაზბეგში სუფრა გაშლილი იყო „ინტურისტში". გვითხრეს, რომ დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონიალსა და სადილს დაესწრებოდა დაცვის თითო-თითო წევრი. გამიმართლა და დაცვის სხვა წევრთაგან ბატონი ზვიადის გვერდით ყოფნის პატივი მე მერგო. ბატონმა ზვიადმა და ბორის ელცინმა მოილაპარაკეს – სანამ სუფრას მივუსხდებით, აი, იმ პატარა აგურის შენობაში მოვაწეროთ ხელი დოკუმენტებსო! შევედით ოთახში და დაიწყო დოკუმენტებზე ხელმოწერის ცერემონიალი... ელცინმა ჰკითხა ზვიადს – ზვიად კონსტანტინოვიჩ, კაკ ნადო

პისატ „სამაჩაბლო“? მოჟეტ, ნაპიშიმ „ბივშაია იუჟნაია ოსეტია“! – ნეტ, ნი ვკოემ სლუჩიი! – უპასუხა ზვიადმა და ელცინს ასო-ასო და მარცვალ-მარცვალ უკარნახა – „სა-მა-ჩაბ-ლო“, რომელიც დოკუმენტში ჩაიწერა კიდეც. ამის შემდეგ გადავინაცვლეთ სუფრასთან, რომელსაც ოსებიც უსხდნენ. ახლაც მახსოვს, სუფრაზე 5-ლიტრიანი ბერძნული კონიაკი „მეტაქსა“ იდგა, რომელსაც პატარა „კრანტიკი“ ჰქონდა... „კრანტიკის“ მოშვების მიუხედავად, ჭურჭლიდან კონიაკი მანამ არ წამოვიდოდა, სანამ სახურავსაც არ ახდიდი. ამ ყველაფერს ძალიან ფრთხილად ვაკეთებდი, რათა კონიაკი არ დამეღვარა. ელცინს დალევა ისე უნდოდა, ლამის თვალებით შეჭამა კონიაკი. ამიტომ ხუმრობით მითხრა – ბიჭო, რას ჯახიროზ, სახურავი ლურსმნით გახვრიტე, ან რაღაც ქენი, რომ კონიაკი „კრანტიკის“ მოშვებაზე მაშინვე წამოვიდესო! ბატონმა ზვიადმა ჩუმად სიცილით მითხრა – ნოდარ, დროზე ქენი ეგ საქმე, ხომ ხედავ, ველარ ითმენსო! „მაკაროვის“ შომპოლი ამოვიღე, ჩავხვრიტე სახურავი და მოვიკიდე ელცინის მადლი. დალიეს მაგრად... ზვიადს არაფერი ეტყობოდა, ხოლო ელცინი, რომელიც ჩემსა და ზვიადზე ერთი თავით მაღალი იყო, ისე დათვრა, მე და ალექსანდრე კორჟაკოვმა – დაცვის უფროსმა, მანქანაში ძლივს ჩავდეთ. თბილისში რომ ჩამოვედით და „კოლხურ კოშკში“ ავედით, ცხონებულმა ზვიადმა მითხრა – ნოდარ, იცოდე, ელცინის ნდობა ერთი წუთითაც არ შეიძლებაო!“ [5]

2 სექტემბრის მიტინგი რომ სწორედ შევარდნაძის მიერ იმართებოდა და აშკარა სპეცოპერაცია იყო საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ, ამას თვით 2 სექტემბრის მიტინგის მონაწილეთა უმრავლესობა აღიარებს და ინანიებს, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია ამ ტრაგიკული მოვლენის რამდენიმე დეტალი, რაც გვაფიქრებინებს, რომ 1991 წლის 2 სექ-

[5] ნოდარ მაისურაძე. ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი, აღმოსავლური ბრძოლების ოსტატი.

ტემბრის პროვოკაციაში გარე ძალებთან ერთად დიდი ალბათობით ჩართული იყვნენ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ოფიციალური სტრუქტურებიც.



1991 წლის 2 სექტემბერი. კინოს სახლი



გიორგი ჭანტურია

ამ დასკვნის გაკეთების საფუძველს გვაძლევს თბილისის მაშინდელი პოლიციმაისტერის, გენერალ ალეკო მიქაბერიძის, განცხადება და გამოძიების პროცესში ჩართული კიდევ ერთი პიროვნების აღიარება. ჩვენს არქივში ინახება გენერალ ალექსანდრე მიქაბერიძის აუდიოჩვენება, სადაც დედაქალაქის ყოფილი პოლიციმაისტერი ძალიან საინტერესო ისტორიებს იხსენებს. კერძოდ, როგორც გენერალ მიქაბერიძის მიერ მოწოდებული ცნობებით ირკვევა, ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა ხელისუფლებამ „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ თავმჯდომარე გიორგი ჭანტურიასთან გენერალ ალეკო მიქაბერიძის ხელმძღვანელობით წინა დღეს გაგზავნა დელაგაცია, რათა „ედეპეშნიკებს“ თუ „კაგებეშნიკებს“ 2 სექტემბრის მიტინგი ამერიკელი კონგრესმენების საქართველოში ვიზიტისთვის არ დაემთხვიათ და თბილისის ცენტრში სტუმრების დასანახად და გასაგონად აყალმაყალს მორიდებოდნენ! ამ თხოვნისა და გაფრთხილების მიუხედავად, როგორც გენერალი

მიქაბერიძე იგონებს, ჭანტურია მას პირდაპირ დაემუქრა – თუ პოლიცია გზას გადაგვიღობავს, პოლიციას დავარბევთო! ანუ ე.წ. ოპოზიცია თავიდანვე ორიენტირებული იყო დარბევასა და სისხლისღვრაზე.[6]

ცნობისათვის, ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატის მუდმივი საბიუჯეტო კომისიის ვაჭრობის ქვეკომისიის თავმჯდომარე სემ გიბონსი. 2 სექტემბერს დატრიალებული ამბების გამოძიების პროცესში ჩართული ერთ-ერთი ანონიმი ფიგურანტის განცხადებით, შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა გამოძიებას წარუდგინა პოლიციის რამდენიმე ჯავშანჟილეტი, რომლებსაც ორივე მხარეს ე.წ. გამჭოლი ნატყვიარები აღენიშნებოდა. ამან მაშინვე გააჩინა ეჭვი... კერძოდ, თუ პოლიციელის ჯავშანჟილეტში ტყვიამ გაიარა, მაშინ მას ავტომატურად უნდა გაევლო პოლიციელის სხეულშიც. ანუ სახეზე უნდა ყოფილიყო ან გვამი, ანდა ყველაზე უკეთეს შემთხვევაში – დაჭრილი სამართალდამცველი. რაკი არც ერთი და არც მეორე სადმე არ იძებნებოდა, ე.ი. შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი საქმეს უსიჭოდ „კერავდა“ და აყალბებდა, რაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების წისქვილზე წყალს ნამდვილად არ ასხამდა!

როგორც აღმოჩნდა, ზვიად გამსახურდიამ 2 სექტემბერს მოწყობილ პროვოკაციასაც უზუსტესი პოლიტიკური შეფასება მისცა და მან სწორად გამოიცნო, თუ რა პოლიტიკური შეჭამანდი მოუმზადეს შინაურმა თუ გარეულმა მტრებმა საქართველოს. დიახ, ზვიად გამსახურდია ცამდე მართალი იყო, როცა 1991 წლის 15 სექტემბერს პარლამენტის პლენარულ სესიაზე აცხადებდა – „ეს ხომ ჩვენ მიმართ იყო ნასროლი ტყვია, მეგობრებო, ჩვენი პრესტიჟის ასაფეთქებლად. ამის მიხვედრა განა ძნელია? მე, მაგალითად,

---

[6] ალექსანდრე მიქაბერიძე, პოლიციის გენერალი, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი

იმ დღეს, იმავე დღეს, ძალიან ტენდენციური ინფორმაცია მომაწოდეს ყოველივე მომხდარზე და, მართალი გითხრათ, იმ საღამოს გამოვედი ტელევიზიით და მე თვითონ არ მომწონს ის გამოსვლა იმიტომ, რომ არ მქონდა სრული ინფორმაცია. ვერ მივეცი ამას ჯეროვანი შეფასება მაშინ, მაგრამ ახლა ვხედავ, მეგობრებო, რაც მოხდა, ამ ანალიზის შემდეგ. მაქვს კიდევ ფაქტები, რომლებსაც აქ ჯერ ვერ გამოვამზეურებ, თავის დროზე ეს გამომზეურდება და გაირკვევა, რომ ეს იყო შეგნებული პროვოკაცია ჩემ წინააღმდეგ ორივე მხრიდან, რომელიც, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერთი ცენტრიდან იმართებოდა და ერთი ავტორი ჰყავს ყოველივე ამას. აი, ასეთი არის ჩემი შეფასება, მეგობრებო!“ [81:2]

ქართველ პოლიტიკოსებს შორის გიორგი ჭანტურია პირველი იყო, რომელმაც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჯუზეპე მაძინის სახელი შემოიტანა. ედუარდ შევარდნაძის მეგობარი ჭანტურია ყინჩად აცხადებდა: „ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის ქართველი მაძინისტები, ვიცით, რომ ვივლით მხოლოდ პოლიტიკური გზით და შეცდომას ვერ დავუშვებთ, იმიტომ, რომ მართალნი ვართ ღვთისა და ერის წინაშე. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ არ თამაშობს ხალხის გრძნობებზე. ჩვენ ბრბოს ვაქცევთ ხალხად“...[82:3]

ვფიქრობთ, სწორედ გიორგი ჭანტურიასა და მისთანების დიდზე დიდი დამსახურებაა ის ამბავი, რომ სინამდვილეში საქართველოში ბრბო კი არ იქცა ხალხად, არამედ პირიქით – ხალხი იქცა ბრბოდ! არანაკლებ საინტერესოა კიდევ ერთი საკითხიც! კერძოდ, გიორგი ჭანტურიას, რომელსაც ზვიად გამსახურდიამ არაერთხელ უწოდა „უწიგნური“, ეტყობა, განათლებასთან გარკვეული პრობლემები მართლაც ჰქონდა, თორემ პატრიარქის სტიქაროსანი საკუთარ თავს არავითარ შემთხვევაში არ გამოაცხადებდა იმ ჯუზეპე მაძინის (1805-1872 წწ.) მიმდევრად, რომელიც მასონთა საიდუმლო ორდენ კარბონერიას წევრი ჯერ კიდევ გენუის უნივერსიტეტში სწავლის დროს გახდა. [83].

სხვათა შორის, დღემდე არსად გახმაურებულა და არავის უსაუბრია იმ ისტორიის შესახებ, რომელიც გიორგი ჭანტურიას მკვლელობას წინ უსწრებდა. ეს ამბავი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ძველთაძველმა და ყოფილმა წევრმა კობა აბრამიშვილმა გაიხსენა, რომელიც 1994 წლის 2 დეკემბერს, ანუ ჭანტურიას მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ შტაბში გამართულ საგანგებო სხდომას ესწრებოდა!

„1994 წლის 2 დეკემბერს გია ჭანტურიამ მთელი პარტიის აქტივი პარტიის ცენტრალურ შტაბში შეგვკრიბა და ირინა სარიშვილი, ვანო ხუხუნაიშვილი და გიორგი კობახიძე შევარდნაძესთან ულტიმატუმით გაგზავნა. ჭანტურია შევარდნაძისგან სელისუფლების დაუყოვნებლივ გადმობარებას მოითხოვდა... ირინა სარიშვილის, ვანო ხუხუნაიშვილისა და გიორგი კობახიძის დაბრუნებას მთელი პარტია გვიან ღამემდე გულისფანცქალით ველოდით. როგორც იქნა, მოვიდნენ...



ნანული ცაგარეიშვილი, ილია მეორე, ედუარდ შევარდნაძე, გიორგი ჭანტურია, ჯაბა იოსელიანი, ზურაბ წერეთელი
1992 წლის 7 მარტი

ირინა სარიშვილი ჯერ კიდევ კარში იდგა და დიდ ოთახში, სადაც ჩვენ ყველანი ვისხედით, შემოსული არ იყო, როცა გია ჭანტურიამ გასძახა – რაო, რა გითხრა, თანახმაა? მთელი პარტაქტივი სულგანაბული შევცქეროდით ირიწა სარიშვილს და ერთი სული გვქონდა, რას იტყოდა. სარიშვილმა ჭანტურიას ჩვენი თანდასწრებით უთხრა, რომ შევარდნაძეს შეხვდა, ყველაფერი გადასცა და ედუარდმა ღიმილით და დიდი დაპირებებით გამოისტუმრა – ხვალ ვიზიტით თურქმენეთში მივდივარ, ჩამოვალ და ეს საკითხი დეტალურად განვიხილოთ! თქვენ თუ არა, ხელისუფლებას, აბა, სხვას ვის გადავულოცავო?! ირინა სარიშვილმა ეს თქვა თუ არა, გია ჭანტურიამ იქვე, ოთახის კუთხეში დადებულ უზარმაზარ საყვავილეს ხელი წამოავლო და ირინას ესროლა... კიდევ კარგი, ის საყვავილე ირინას ასცდა, თორემ იქვე მოკლავდა. გია ჭანტურია ირინა სარიშვილსა და შევარდნაძეს უკანასკნელი სიტყვებით აგინებდა და ყვიროდა – ვერ ხვდებით, რომ შევარდნაძე დროს გვიწელავს? ეგ რისი დამთმობია, მე მაგის მკვდარი და ცოცხალიო!.. მომხდარი ინციდენტის შემდეგ მალევე დავიშალეთ და შინ უსიამოვნო შეგრძნებით წავედი... მეორე დღეს, 1994 წლის 3 დეკემბერს, დილაადრიან ტელევიზორი ჩავრთე და თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე – გია ჭანტურია საკუთარი სახლის წინ სადარბაზოსთან ჩაუცხრილავთ და მოუკლავთ!“ [7]

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ, რა თქმა უნდა, ეჭვი არ გვეპარება, რომ გიორგი ჭანტურია სწორედ ედუარდ შევარდნაძის ბრძანებით მოკლეს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი უტყუარი დოკუმენტები ხელთ არ გვაქვს!

1991 წლის 2 სექტემბრის პროვოკაციის მეორე დღეს ტყეში გასულმა თენგიზ კიტოვანმა რკონი დატოვა და 3 სექტემბერს შავნაბადაზე დაიდო ბინა, რაც აშკარად იმის უტყუარი დასტურია, რომ,

[7] კობა აბრამიშვილი, მშენებელი, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ ყოფილი წევრი.

ერთხანს გიორგი ჭანტურიასა და თენგიზ კიტოვანს შორის არსებული დაპირისპირების მიუხედავად, ტყეში გასულები და რუსთაველის ძეგლის წინ, „კინოს სახლთან“, ამბოხებულები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. როგორც ცნობილია, 2 სექტემბრის სისხლიანი პროვოკაციიდან ორ კვირაში, 1991 წლის 16 სექტემბერს, თვითმფრინავი, რომელსაც გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი მოსკოვში შევარდნაძესთან უნდა ჩაეყვანა, უკან მოატრიალეს, თბილისში დასვეს და ჭანტურია, სარიშვილი და ვახტანგ ტალახაძე დააპატიმრეს. გენერალი ალექსანდრე მიქაბერიძე ირწმუნება, რომ ხომალდის გაფრენის წინ შინაგან საქმეთა მინისტრმა დილარ ხაბულიანმა თვითმფრინავში თავისი კაცი აგზავნა და დაავალა – ნახე, გიორგი ჭანტურია და ირინა სარიშვილი თვითმფრინავში თუ არიანო! ის კაცი, რომლის გვარ-სახელიც გენერალმა მიქაბერიძემ ცოცხალი თავით არ გაგვიმხილა, უკან მალე დაბრუნდა და მინისტრ ხაბულიანს მოახსენა – ჭანტურია და სარიშვილი თვითმფრინავში არ არიანო! [8]

სიმართლე გაირკვა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მიქაბერიძის დაჟინებული მოთხოვნით, აეროპორტის ჟურნალი გადაფურცლეს და ნახეს, რომ მგზავრებს შორის ჭანტურია და სარიშვილი ნამდვილად იყვნენ. ხაბულიანი იძულებული გახდა, ბრძანება გაეცა და 20 წუთის წინ გაფრენილი თვითმფრინავი უკან მოეტრიალებინა. გენერალ ალექსანდრე მიქაბერიძის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პირადად დილარ ხაბულიანს რომ მოენდომებინათ, ძალიან ადვილად მოხერხდებოდა იმ პიროვნების იდენტიფიცირება და დაკავება, რომელმაც მიტინგზე „TT“-ს სისტემის პისტოლეტიდან გაისროლა. ცნობისათვის, პისტოლეტი „TT“ მაშინდელი მილიციის შეიარაღებაში არ იყო, რაც

[8] ალექსანდრე მიქაბერიძე, პოლიციის გენერალი, თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი.

იმას ნიშნავს, რომ გასროლა მილიციის რიგებიდან კი არა, ე.წ. მშვიდობიან მომიტინგეთა მხრიდან მოხდა.


შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ზვიად გამსახურდიამ ელცინს თბილი წერილი გაუგზავნა და შეაგონა: „ბატონო პრეზიდენტო! თქვენ იცნობთ ჩვენს პოზიციას, ჩვენ ერთმორწმუნე რუსეთთან ნამდვილი კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარების მომხრენი ვართ... საქართველოს რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებისა და შესაძლებლობების კვალობაზე, გავლენა მოახდინოთ ანტიქართულ ძალებზე, რომლებიც ცდილობენ, განხეთქილება ჩამოაგდონ ჩვენსა და დემოკრატიულ რუსეთს შორის!“ [84:2]

ზვიად გამსახურდია დროის გაწელვას ცდილობდა და პრეზიდენტ ელცინს რევერანსებით იმიტომაც ელაპარაკებოდა, თორემ მან ძალიან კარგად იცოდა, რომ ელცინის ნდობა ერთ ნაბიჯზე არ შეიძლებოდა. ელცინის ნამდვილი სახე ძალიან კარგად გამოჩნდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელ სუფიან ბეპაევის ინტერვიუში, რომელიც მან ერთერთ რუსულ გაზეთს მისცა. ბეპაევი პირდაპირ და ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე აცხადებს: „1991 წლის 24-28 დეკემბერს, როცა შეიარაღებული ოპოზიცია კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი იარაღითა და ცოცხალი ძალით დაეხმარა გადატრიალების ორგანიზატორებს!“ [85:2] ხოლო იმის გასარკვევად, თუ ვისი ბრძანებით მოქმედებდა გენერალი სუფიან ბეპაევი, ფასდაუდებელია უზენაესი საბჭოს დეპუტატისა და ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლის, ვიქტორ დომუხოვსკის, წერილი, რომელიც მან პოლონეთიდან სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე გამოაგზავნა. წერილში ვკითხულობთ: „1991 წლის 27 დეკემბერს ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში ხანძარი გაჩნდა. იმავე საღამოს ოპოზიციამ შეძლო ციხიდან ჯაბა იოსელიანისა და სხვა პატიმრების გათავისუფლება. პოლიტიკოსებთან ერთად იზოლატორი ასამდე „მხედრიონელმა“ და სხვა-

დასხვა ჯურის დამნაშავემაც დატოვა. 27 დეკემბერს შეიარაღებული ოპოზიციის რიგებში რუსი ჯარისკაცები და სამხედრო ტექნიკა გამოჩნდა, ხოლო „მხედრიონი“ 28 დეკემბრიდან ჩაერთო კონფლიქტში. 1991 წლის 27 დეკემბერს მთავრობის სახლის წინ რამდენიმე რუსი ჯარისკაცი ტყვედ აიყვანეს. მე და ჯონი ფირცხალაიშვილი წავედით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელთან, გენერალ ბეპაევთან (გენერალი პატრიკეევი მაშინ შვებულებაში იყო). ბეპაევს პროტესტი განვუცხადეთ რუსი სამხედრო მოსამსახურეების „პუტჩში“ მონაწილეობის გამო და რუსეთს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა მოვთხოვეთ. ბეპაევი ყურადღებით გვისმენდა, შემდეგ მშვიდად გვიპასუხა – ეს გადაწყვეტილება ჩემი მთავარსარდლის, ბორის ელცინის, მიერ არის მიღებული. მესმის, რომ ესენი *(ამბოხებულები. – ავტ.)* კრიმინალური ბანდები არიან (ზუსტად მაშინ შეატყობინეს, რომ ერთ-ერთი დივიზიის მეთაური ყაჩაღური თავდასხმის მსხვერპლი გახდა და მძიმედ იყო დაჭრილი), მაგრამ მე მაქვს ბრძანება, დავეხმარო „პუტჩისტებს“, როგორც თქვენ ეძახითო! ბეპაევმა თან ერთი კეთილი რჩევაც „მოგვცა“ – ეს საკითხი პირდაპირ ელცინთან მოაგვარეთო! უკან რომ ვბრუნდებოდით, ერთი შემთხვევა გამახსენდა: დეკემბრის შუა რიცხვებში მოხუცმა მანდილოსანმა გამაჩერა ქუჩაში და მითხრა – შვილო, ზვიადს გადაეცი, რომ მთავრობის სახლის წინ ერთი დიდი სკამი გააკეთოს და ე.წ. ოპოზიცია დასვას, მათ ხომ სკამის გარდა, არაფერი უნდათ, თორემ დაღუპავენ საქართველოსო! რა ბრძენი ყოფილა ის მოხუცი“. [86:4]

3.2 საერთაშორისო-პოლიტიკური შეთქმულება საქართველოს ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ და შევარდნაძის ფაქტორი

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რატომ იყო ასეთი ანტიქართული ისტერია გაჩაღებული რუსულ ტელევიზიებში და რატომ ებრძოდნენ რუსი ჟურნალისტები ზვიად გამსახურდიას ზიზღით? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩვენ მოგვიწევს ორი ფაქტორის – რუსული ჟურნალისტიკის ეთნიკური იერსახისა და რუსული იმპერიული სულის – გააზრება.



ოპოზიციის მიერ დაყრილი ნაგავი რუსთაველზე...
სახელმწიფო გადატრიალების დასაწყისი

საქმე ის გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდიამ თავისი წერილებითა და გამოსვლებით „რუსი" ჟურნალისტებიც გააწიწმატა და რუსული იმპერიული სულიც შეაშფოთა. როგორც პროფესორი იგორ კვესელავა სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, „გამსახურ-

დიამ გაბედა, გამოსულიყო რუსეთის სიონისტური და პროსიონისტური წრეების კერპის – საბჭოთა „წყალბადის ბომბის მამის“, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის წინააღმდეგ“. უფრო მეტიც, საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა თავის წერილში, რომელიც 1991 წლის 19 სექტემბერს გაზეთმა „იზვესტიამაც“ გამოაქვეყნა, აწყენინა ელენე ბონერს – ანდრეი სახაროვის მეუღლეს, რომელსაც „სახაროვზე განუსაზღვრელი ძალაუფლება ჰქონდა და მის ყოველ ქმედებასა და საქციელს წარმართავდა!“ [77:146]

დავიწყოთ იმით, რომ საბჭოთა „წყალბადის ბომბის მამა“ აკადემიკოსი ანდრეი სახაროვი კი არა, სინამდვილეში ოლეგ ალექსანდრეს ძე ლავრენტიევი იყო, რომლის სახელიც მიჩქმალულია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ლავრენტიევი ლავრენტი ბერიას აღმოჩენა გახლდათ. მეორე და ყველაზე მთავარი – ელენე ბონერი, რომლის ქალიშვილობის გვარიც ქოჩარიანია, ებრაული და სომხური ლობის წყალობით საერთაშორისო მედიაში დიდად მფარველობდა და მხარს უჭერდა კრემლის მიერ შექმნილ სტრუქტურას – „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციას“, რომელიც 1989 წლის 25-26 აგვისტოს სოხუმში შეიქმნა. „კონფედერაციის“ პრეზიდენტად და პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს საბჭოთა „კაგებეს“ ნომრიანი აგენტები – მუსა შანიბოვი და იუსუპ სოსლამბეკოვი. „კონფედერატთა“ ერთ-ერთ ელიტურ შეკრებაზე ანდრეი სახაროვის მეუღლემ, ელენე ქოჩარიან-ბონერმა, ნამდვილი ისტერიკა მოაწყო და წივილ-კივილი ატეხა – ზვიად გამსახურდია რუსეთს მარტო საქართველოს კი არა, მთელ კავკასიას აკარგვინებსო! ელენე ქოჩარიან-ბონერი არც ცდებოდა, რადგან ზვიად გამსახურდიამ და ჯოჰარ დუდაევმა კრემლის მიერ შეთითხნილ „მთიელ ხალხთა კონფედერაციას“ „კავკასიური სახლისა“ და „ერთიანი კავკასიის“ იდეა დაუპირისპირეს, რამაც მოსკოვი დიდად შეაშფოთა.

ზვიად გამსახურდია ანდრეი სახაროვსა და ელენე ქოჩარიან-ბონერს სამართლიანად არ აპატიებდა იმ ფრაზას, რომელიც აშკარად კრემლის სპეცსამსახურების ჯურღმულებში დამუშავდა და

ანდრეი სახაროვის პირით გახმაურდა: „საქართველო მცირე იმპერიაა და ის უნდა დაიშალოს!“ ბუნებრივია, ამის პატიება შეუძლებელიც იყო...

გარდა ამისა, ზვიად გამსახურდიასთვის მიუღებელი იყო ის გეგმა, რომელიც აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა და მისმა თანამოაზრე გალინა სტაროვოიტოვამ მოკავშირე რესპუბლიკებისა და ავტონომიური წარმონაქმნების „თანასწორუფლებიანობის“ შესახებ შეიმუშავეს. სინამდვილეში ეს იდეა ეკუთვნოდათ პრეზიდენტ ბუშსა და მიხეილ გორბაჩოვს და იგი მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ტრანსფორმაციას 20 შტატად. ანდრეი სახაროვი სწორედ ბუში-გორბაჩოვის გეგმის გამხმოვანებელი იყო... როგორც ზვიად გამსახურდია მოგვიანებით შენიშნავდა, სახაროვმა და სტაროვოიტოვამ ამერიკის დავალება „გადაჭარბებით შეასრულეს“ და წარმოადგინეს გეგმა, რომლის თანახმადაც, საბჭოთა კავშირი არა 20, არამედ 53 ნაწილად, ანუ შტატად უნდა დაშლილიყო! [87:3]

ამერიკასა და პრეზიდენტ ბუშს საბჭოთა კავშირის არა როგორც „ბოროტების იმპერიის“ დაშლა, არამედ მისი ტრანსფორმაცია და კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანა სურდათ. იმპერიის ერთიანობა, თუ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს სათვალავში არ ჩავთვლით, უნდა შენარჩუნებულიყო. მაგრამ გორბაჩოვს, იაკოვლევს, შევარდნაძესა და ე.წ. პერესტროიკის სხვა მამებს უკიდეგანო საბჭოთა „დერჟავის“ მართვის სადავეები ხელიდან გაექცათ და როგორც დასავლეთი, ისე დასავლეთის აგენტები – გორბაჩოვი, შევარდნაძე და იაკოვლევი – ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ – საბჭოთა კავშირი დაიშალა!

წინამდებარე კვლევაში ჩვენ ამ საკითხს და, განსაკუთრებით, გორბაჩოვისა და შევარდნაძის აგენტობის თემას უფრო დაწვრილებით შევეხებით, მაგრამ მანამ გვსურს, გაგაცნოთ ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგულმა თანამებრძოლმა, ქალაქ ზესტაფონის პრეფექტის ყოფილმა მოადგილე გია ფერაძემ გვიამბო!

„1991 წლის ივლისის დასაწყისი იქნებოდა, როცა შევიტყვე, რომ გერმანიამ საქართველოს საჩუქრად გამოუგზავნა ასფალტის დასამზადებელი სამი მინი-ქარხანა. ჩემმა თანამშრომლებმა მაშინვე შემაგულიანეს – ჩადი ზვიადთან, ხომ იცი, როგორ პატივს გცემს და იქნებ ასფალტის ერთი ქარხანა ზესტაფონსაც გადმოსცესო! ძალიან მერიდებოდა, მაგრამ მაინც ჩავედი თბილისში და პრეზიდენტთან აუდიენცია ვითხოვე. ხაზგასმით ვამბობ: ის დრო იყო, როცა ჭანტურია, წერეთელი და მთელი ე.წ. ოპოზიცია ას კაცსაც კი ვერ აგროვებდნენ ქუჩაში. პრეზიდენტს ჩემი ჩამოსვლის შესახებ რომ მოახსენეს, მაშინვე მიმიღო და გახარებული გადამეხვია. კაბინეტში მხოლოდ ჩვენ ვისხედით – ბატონი ზვიადი და მე. მორიდებით დავიწყე ლაპარაკი ზესტაფონის პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორი სტრატეგიული მდებარეობა აქვს ჩვენს ქალაქს და თუ ასფალტის ერთი ქარხანაც გვექნებოდა, არა მარტო ზესტაფონს, არამედ, თერჯოლას, საჩხერე-ჭიათურასა და ტყიბულსაც მოვემსახურებოდით... ზვიადი მისმენდა და ულვაშებში ეღიმებოდა. საუბარი რომ დავასრულე, სიცილით მითხრა – გია, მინი-ქარხანას გაძლევთ, ამდენი ახსნა-განმარტება რაში გჭირდებაო! ამის შემდეგ პრეზიდენტმა შინაურულად მომიკითხა... უცბად ტელეფონის ზარი გაისმა. პრეზიდენტის მაგიდაზე ბევრი ტელეფონი იყო... ზვიადმა ტელეფონს დახედა თუ არა, მაშინვე თქვა – მოსკოვიდან რეკავენო! ახლაც მახსოვს, პრეზიდენტმა მარცხენა ხელით აიღო ტელეფონის ყურმილი და ქართულად უპასუხა – „ბატონო!“ დაახლოებით, ათი წამის განმავლობაში ეჭირა ზვიად გამსახურდიას ტელეფონის ყურმილი, რომელიც ისე დაკიდა, რომ ხმა საერთოდ არ ამოუღია. მეც გაჩუმებული ვიყავი და ერთი სული მქონდა, რას მეტყოდა... პრეზიდენტმა ნელა და უხასიათოდ დაიწყო – გია, იცი, ახლა ვინ დამირეკა? – მე საიდან უნდა ვიცოდე, ბატონო ზვიად? – გავიკვირვე. – შევარდნაძემ დამირეკა მოსკოვიდან! ეს რომ გავიგონე, გამიხარდა და გულუბრყვილოდ ჩემთვის გავიფიქრე – რა კარგია, თუ შევარდნაძემ დაურეკა, იქნებ საქართველოზე ამ სიბე-

რეში გული მოუბრუნდა და პრეზიდენტს რამეში დახმარებას სთავაზობს-მეთქი! მაგრამ თქვენს მტერს, რაც ზვიადმა ამის შემდეგ მითხრა... – ხო, შევარდნაძე იყო და არ გაინტერესებს, რა თქვა? – ბატონო ზვიად, სულ მალე შენ და შენს თავისუფალ საქართველოს სისხლში ჩაგახრჩობთო! [9]

გია ფერაძე დღესაც ცოცხალია, თვალიც უჭრის, ჭკუა-გონებაც, მკლავის გამამაცურებაც შეუძლია და ამ ფაქტს ყველგან და ყველას წინაშე დაადასტურებს!

ეს ფრიად საყურადღებო ცნობა ყველაფერთან ერთად იმიტომაც მოვიხმეთ, რომ ედუარდ შევარდნაძის, როგორც სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების მთავარი შემოქმედისა და სამშობლო ქვეყნის დამაქცევარი კონდოტიერის, რეალური სახისთვის ნიღაბი ჩამოგვეხსნა. საქმე ის გახლავთ, რომ შევარდნაძის პერსონას საზოგადოების გარკვეულ თუ გაურკვეველ ნაწილში დღემდე აქვს შექმნილი ცრუ იმიჯი იმის შესახებ, რომ თითქოს შევარდნაძე თავის მზაკვრულ გეგმებს საგულდაგულოდ მალავდა, ტონს არასოდეს უწევდა, ზვიად გამსახურდიას მსგავსად ცუდად არავის არასოდეს ახსენებდა და ა.შ.

ზემოხსენებული ცნობით დასტურდება, რომ შევარდნაძე საქართველოში სისხლიანი გადატრიალების მოწყობისა და ძალაუფლების დაბრუნების სურვილით ისე იყო აღტყინებული და როლებში შეჭრილი, რომ 1991 წლის ივლისში უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა და საქართველოს პირველ პრეზიდენტს მოსკოვიდან დაემუქრა – „შენ და შენს თავისუფალ საქართველოს სისხლში ჩავაბრჩობო!"

მსგავსი სახის მეორე პოლიტიკური შეცდომა-„წამოცდენა", ანუ ფროიდისეული Versprechen, ედუარდ შევარდნაძეს თავისი ცოლის დაბადების დღეს, 1992 წლის 7 მარტს, თბილისის აერო-

[9] გია ფერაძე, დაბადებული 1950 წელს, ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში, მცხოვრები თბილისში, ზესტაფონის რაიონის პრეფექტის ყოფილი მოადგილე.

პორტში მოუვიდა, როცა ის მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა. შევარდნაძეს სიხარულმა შეუსწრო, სიფრთხილე დაკარგა და თვითმფრინავის ტრაპიდანვე განაცხადა – „მინდა, მადლობა გადავუხადო ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში და დაამხო გამსახურდიას ფაშიზმი!“

ცნობილი რუსი ჟურნალისტი, პუბლიცისტი და ისტორიკოსი სპარტაკ ჟიდკოვი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების სიყვარულს ვერავინ დასწამებს, თავის წიგნში „მცირე იმპერიის ნახტომი“ შავით თეთრზე წერს: „28 დეკემბერს კიტოვანს ამიერკავკასიის სამხედრო შტაბიდან დაეხმარნენ, ამჯერად ტელეანძის ასაღებად. ბრძოლაში მონაწილეობდა რამდენიმე ათეული საბჭოთა ჯარისკაცი. საერთოდ, თბილისის ომი შეიძლება ჩაითვალოს საბჭოთა არმიის უკანასკნელ ოპერაციად, რადგან 31 დეკემბერს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საბჭოთა ჯარები რუსეთის ჯარებად გადაკეთდა“. [88: 163]

ამავე ავტორს თავის წიგნში მოჰყავს რუსეთში მოღვაწე ქართული წარმოშობის ჟურნალისტ აკაკი მიქაძის ერთი მეტად საინტერესო ცნობა, რომელიც მსოფლიოში აღიარებული მხატვრისა და მოქანდაკის, ზურაბ წერეთლის, მოსკოვის სახელოსნოში გამართულ ერთ ძალზე საყურადღებო შეხვედრას ეხება. სპარტაკ ჟიდკოვი წერს: „თავის სტატიაში „უცნობი სკულპტორი“ ქართველი ჟურნალისტი აკაკი მიქაძე ძალიან საინტერესო ცნობას გვაწვდის თენგიზ კიტოვანის საქმიანობის შესახებ მაშინ, როცა მისი გვარდია თბილისის ზღვაზე დაბანაკდა. როგორც მიქაძე წერს, „1991 წლის ოქტომბერში მოსკოვში, ტვერის ბულვარში, ცნობილი მხატვრისა და სკულპტორის ზურაბ წერეთლის სახელოსნოში ერთმანეთს შეხვდნენ თენგიზ კიტოვანი და გენერალი პავლე გრაჩოვი, რომელიც უკვე რუსეთის ფედერაციის მომავალ თავდაცვის მინისტრად მოიაზრებოდა. ზვიად გამსახურდიას ბედი სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა!“ [88:155]

ალბათ, დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდება იმის გარკვევას, თუ ვისი კავშირებითა და დახმარებით შეძლებდა კიტოვანი ავღანეთის ომის გმირთან, გენერალ პავლე გრაჩოვთან, შეხვედრას. ცხადია, ეს შეხვედრა შევარდნაძემ და მისმა ცნობილმა ხელისბიჭმა ნუგზარ ფოფხაძემ დაგეგმეს და მოაკვარახჭინეს. ფოფხაძე იმხანად სწორედ მოსკოვში გახლდათ გადაბარგებული და, ზვიად გამსახურდიას ცნობილი განცხადების თანახმად, თავის ხროვასთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა.

შევარდნაძეს, ნუგზარ ფოფხაძესა და გურამ მგელაძეს რომ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დასამხობად რევკომი ჰქონდათ შექმნილი, ამის შესახებ ზვიად გამსახურდია ყოველთვის ღიად მიანიშნებდა, მაგრამ 1991 წლის 2 სექტემბერს მოწყობილი ცნობილი პროვოკაციის შემდეგ საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა კარტი ბოლომდე გახსნა და უზენაესი საბჭოს სესიაზე პირდაპირ დაასახელა ის მიზეზი, რაც საქართველოს დე იურე და დე ფაქტო აღიარების პროცესს ხელს უშლიდა. ზვიად გამსახურდიამ მთელ საქართველოს, პოზიციასაც და ოპოზიციასაც, მოუწოდა:

„ახლა, მოდი, მე მინდა, ვისურვო დიდი კონსოლიდაცია ჩვენ შორის, მეგობრებო! დიდი კონსოლიდაცია... მიუხედავად ჩვენი სიმპათია-ანტიპათიებისა, დავა-კამათისა, შეჯახებებისა, დადგა დრო, როდესაც უნდა ვიყოთ ძალიან ერთიანნი. არ დაგიმალავთ, რომ ცოტა არის ხელისშემშლელი ფაქტორები იქ, უცხოეთში. მწუხარებით უნდა ვთქვა, რომ ერთი ჩვენი თანამემამულე ძალიან განაწყენებულია ჩვენზე და ყოველნაირად ხელს უშლის საქართველოს, რომ ის აღიარონ უცხოეთის ქვეყნებმა. მე გთხოვთ, აი, ვისაც მიგიწვდებათ ხელი, ნათესაობა, ახლობლობა, ამ კაცს როგორმე მივუსიოთ, რომ როგორმე აი, ამ ღალატის გზიდან... მე მგონი, აი, ამის მიხვედრა არ არის ახლა ძნელი... ვისაც აქვს ნაცნობობა ბუშთან, ტეტჩერთან, მიტერანსა და მთელ მსოფლიოსთან... აი, ეს თანამემამულე, განაწყენებული პირადად ჩემზე, ჩვენს ხელისუფლებაზე, ყოველნაირად ძირს უთხრის საქართველოს დე იურე და დე

ფაქტო ცნობის საკითხს და ძალიან გთხოვთ, თუ მიგვიწვდება ხელი ჩვენ... მე არ მინდა, რომ... არ მინდა... არც ეს კაცი მინდა, გავწირო, გესმით? ჰოდა, რაღაცნაირად ვიმოქმედოთ ამ ადამიანზე, მეგობრებო, რადგან ძალიან ბევრი... აი, ბუშის ვიზიტის შემდეგ ძალიან ბევრი ხელისშემშლელი... იქ შემოიკრიბა ფოფხაძე, ეს მოღალატეები, ეს რენეგატები, მგელაძე, ესენი, შექმნა რაღაცა შტაბი, რომელიც გეგმავს იქ რაღაც ღონისძიებებს ჩვენ წინააღმდეგ, გესმით? ეს ყველაფერი... კი, ბატონო, მე ცუდი ვარ, მაგრამ საქართველომ რა დააშავა, გესმით? და ყველაფერი საქართველოს წინააღმდეგ ძალიან ცუდად... ე.ი. მიდის საშინელი ინფორმაციები ბუშის აპარატში, რომ ჩვენ ვართ ე.ი. ფაშისტები, ოსების მტრები, აფხაზების მტრები, მჩაგვრელები, რაღაც საშინელი სადამ ჰუსეინები... აი, როგორმე ეს უნდა, როგორმე უნდა ვიმოქმედოთ ამ კაცზე. მე არა მჯერა, რომ საქართველომ რომ მოინდომოს, არ მოახდინოს ამ კაცზე ზემოქმედება! ე.ი. კი, ბატონო, კარგია, მოსკოვში ახლა იქ გამოდიხარ, იცავ რუსეთის პარლამენტს, ჩვენც დავიცავდით, მაგრამ ჩვენი გვყავს ჯერ დასაცავი, კაცო! გავიქცეოდი მე, არა ვარ მე მშიშარა კაცი, წავიდოდი იმ მიტინგზე, მაგრამ ჩემმა პარლამენტმა რა დამიშავა, მეგობრებო... რომ იტყვიან, აკაკისა არ იყოს – „მამის სული გაუშვია, ფიცავს მამინაცვლის მზესაო!“ ცოტა ამ შენ უბედურ ქვეყანასაც გადმოხედე. აი, ეს ცოტა გვიშლის ხელს, გვიშლის ძალიან, მეგობრებო! და მე მინდა, რომ საერთო გზა მოვძებნოთ... რაღაცა უნდა მოხდეს, მეგობრებო! საქართველოს ჟურნალისტები არ მიიღო. მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებს ელაპარაკება, ყველას აძლევს ინტერვიუებს, საქართველოს ჟურნალისტებს ბოიკოტი გამოუცხადა, შეკითხვები გაუგზავნეს წერილობით, პასუხს არ იძლევა. რაღაც ზემოქმედებაა საჭირო. არადა, აქვს მსოფლიო ავტორიტეტი და იცნობს მსოფლიო, კაცო, და ძალიან ცუდი ხელისშემშლელი ფაქტორი გამოდის. რაღაცით უნდა გავანეიტრალოთ ჩვენ ამ კაცის მოქმედება, მეგობრებო! აი, ეს არ შემეძლო, რომ არ მეთქვა, მეგობრებო! უნდა იცოდეთ, საქართველოს რა უშლის ხელს

და როგორ! ნუ ახლა მოსკოვში რომ კამპანიას ეწევიან, ახლაც, პუტჩის დამარცხების შემდეგაც, განაგრძობენ კამპანიას ეს ფოფხაძე და ეს ხალხი, რადგან დიდი გავლენა აქვთ ჟურნალისტურ წრეებზე. აი, ისევ „კომსომოლსკაია პრავდა“ მესხმის მე, ათასი ცილისწამება, ათასი ინფორმაცია, ხომ წაიკითხეთ, არა? აი, ასეთი მდგომარეობაა, აი, ეს ხელისშემშლელი ფაქტორებია!“ [89]

ის, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებასა და საქართველოს უმძიმესი განსაცდელი ელოდა, ამაზე საქართველოს პირველ პრეზიდენტს არა მარტო ედუარდ შევარდნაძე, არამედ კრემლის მიერ გამოგზავნილი გენერლებიც ემუქრებოდნენ და საგანგებოდ აფრთხილებდნენ. აი, რა გაიხსენა ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრმა ნოდარ მაისურაძემ: „გენერლები კაბინეტში მოკალათდნენ თუ არა, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დაიწყეს – ზვიად კონსტანტინოვიჩ, როგორც კი საქართველოს დამოუკიდებლობას გამოაცხადებთ, თქვენ დაგეწყებათ ძალიან სერიოზული პრობლემები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში! ეგ არაფერი, თქვენ რომ გგონიათ, მარგანეცით, ციტრუსებითა და „ბორჯომით“ გახვალთ ფონს, აქაც არაფერი გამოგივათ, რადგან არცერთ ბიზნესს არ გაგავითარებინებთ, ყველა ბიზნესს დაგიბლოკავთ და იქამდე მიგიყვანთ, რომ ჩვენამდე მუცელზე ხოხვით მოხვიდეთო! იმის შემდეგ ამდენი ხანი გავიდა და ერთ რამეს მივხვდი – რაც რუსის გენერლებმა ზვიად გამსახურდიას კაბინეტში უთხრეს, საქართველოს საქმე დღემდე სწორედ იმ სცენარით მიდის! ამაზე ზვიადმა გენერლებს უპასუხა – რუსეთთან ურთიერთობას სუფთა ფურცლიდან ვიწყებ და პირველი შეხვედრა სწორედ ელცინთან მაქვს ჩანიშნულიო! რუსეთი და საქართველო მართლმადიდებელი ქვეყნებია, ჩვენ ჯარიც ერთი უნდა გვყავდეს, რათა საზღვრები ერთობლივად დავიცვათ და ჩვენს ჯარისკაცებს ღირსეული ხელფასები დავუნიშნოთო! ერთი სიტყვით, ზვიადმა მათ დაუყვავა, მაგრამ გენერლებმა პირდაპირ უთხრეს – როგორც კი დამოუკიდებლობას

გამოაცხადებთ, პრობლემები დაგეწყებათო! აი, ეს შეხვედრა და იმ გენერლების სახეები დღემდე ჩემი მეხსიერებიდან არ ამოდის!" [10]

კიდევ უფრო საინტერესო და მრავლისმთქმელი აღმოჩნდა მასონების ვიზიტი ზვიად გამსახურდიას საპრეზიდენტო კაბინეტში. დიახ, როგორც პირველი პრეზიდენტის დაცვის ყოფილი წევრი ნოდარ მაისურაძე აცხადებს, საქართველოს პრეზიდენტს ებრაელ მასონთა ექვსკაციანი დელეგაცია ესტუმრა. ეს შეხვედრა კონფლიქტით დასრულდა. აი, რას იხსენებს მაისურაძე: „ზვიად გამსახურდია ისეთი დაბნეული არასოდეს მინახავს, როგორც მაშინ, იმ მასონებთან შეხვედრისას... სულ ექვსი კაცი შევიყვანე პრეზიდენტის კაბინეტში, აქედან ხუთი ძალიან დინჯი და გაწონასწორებული კაცი იყო, მაგრამ ერთი, რომელიც რუსულადაც ლაპარაკობდა, ძალიან აგრესიულად გახლდათ ზვიადის მიმართ განწყობილი. მასონები, ძირითადად, ინგლისურად და ფრანგულად ლაპარაკობდნენ. მოგეხსენებათ, რუსულზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ბატონმა ზვიადმა ინგლისურიც მშვენივრად იცოდა, ფრანგულიც და გერმანულიც... იქიდან გამომდინარე, რომ ინგლისურად და ფრანგულად ლაპარაკობდნენ, ვერაფერი გავიგე, მაგრამ კარგად მახსოვს ერთი მომენტი – ცხონებულმა ზვიადმა ხელები მაგიდაზე დააწყო, მერე ცალი ხელით თავის სავარძელზე დააკაკუნა, რომელზედაც იჯდა, და იმ რუსულად მოლაპარაკე ებრაელ მასონს უთხრა – თქვენ მე მთავაზობთ არჩევანს აი, ამ სკამსა და პირად კეთილდღეობას და ჩემს სამშობლოსა და მართლმადიდებლობას შორის, ამ საქმეში, ბატონებო, მე თქვენი თანამზრახველი ვერ ვიქნები და ჩვენი შეხვედრაც დამთავრებულია, მიბრძანდითო! ხომ გეუბნებით, არ ვიცი, რა უთხრეს ბატონ ზვიადს, რაზე იყო ლაპარაკი, წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ ბატონმა ზვიადმა იმ რუსულად მოლაპარაკე ებრაელ მასონს ასე უთხრა. როგორც კი პრეზიდენტმა ეს განაცხადა, ყველანი

[10] ნოდარ მაისურაძე, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი, აღმოსავლური ბრძოლების ოსტატი.

წამოიშალნენ და კარისკენ გაემართნენ. ახლაც მახსოვს, ის რუსულად მოლაპარაკე, რომელიც ძალიან აგრესიულად იქცეოდა, ფაქტობრივად, გაიქცა, მაგრამ გასასვლელ კართან რომ მივიდა, მოულოდნელად შემოტრიალდა, ზვიად გამსახურდიასკენ ზიზღით გამოიშვირა თითი და პრეზიდენტს ზუსტად ამ სიტყვებით მიმართა – ზვიად, სეიჩას ვოტ სამ სებე ტი პოდპისალ პრიგოვორ! ანუ ზვიად, ახლა შენს თავს შენივე ხელით გამოუტანე განაჩენიო! ძალიან გამიკვირდა ეს ყველაფერი და გავიფიქრე – საქართველოს პრეზიდენტს ამას როგორ უბედავს, ამ ნაბირალას ახლავე ვასწავლი ჭკუას და ერთ-ორს წამოვარტყამ-მეთქი! მაგრამ პრეზიდენტის მშვიდი მზერა რომ ვიგრძენი, მაშინვე თავი შევიკავე და გავჩერდი... ვაცხადებ პირდაპირ და იცოდეს მთელმა საქართველომ – აი, ეს ექვსი მასონი რომ ზვიად გამსახურდიას კაბინეტიდან გამოვიდა, იმის შემდეგ დაიწყო და დაიწყო და ოცდაათი წელიწადია, ქვეყანა ვერ წყნარდება. როგორც კი ესენი საქართველოდან წავიდნენ, მაშინვე გააქტიურდა ჭანტურია, მოსკოვში მოხდა „გეკაჩეპეს“ პუტჩი და მონასტერი უცბად აირია...“ [11]

ახლა კი, ისევ მივუბრუნდეთ ზურაბ წერეთელსა და მის სახელოსნოს, სადაც, ჟურნალისტ აკაკი მიქაძის ინფორმაციით, 1991 წლის ოქტომბერში თენგიზ კიტოვანი გენერალ პავლე გრაჩოვს შეხვდა. ეს არ ყოფილა ერთადერთი შეხვედრა, რომელიც ზურაბ წერეთლის სახელოსნოში გაიმართა...


როგორც უკვე მოგახსენეთ, 1991 წლის 31 ივლისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯორჯ ბუში (უფროსი). სწორედ წერეთლის სახელოსნოში უნდა მომხდარიყო ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უფროსი) არაოფიციალური, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რის დაგეგმვაშიც ლომის წვლილი შეიტანა თავად

[11] ნოდარ მაისურაძე, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი, აღმოსავლური ბრძოლების ოსტატი.

ზურაბ წერეთელმა, რომელიც მაშინ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო. თითქოს ყველაფერი გარკვეული და შეთანხმებული გახლდათ, მაგრამ, როგორც იტყვიან, „იუდა ჟამს ეძიებდა“ და ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის არაოფიციალური შეხვედრა ჩაიფუშა. ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს, თუ ვინ და რომელმა ქართველმა „შეძლო“ და „მოახერხა“ ეს ამბავი... თუმცა, ჯობს, ისევ ამ საზარელი და საბედისწერო ისტორიის უშუალო თვითმხილველს, აღმოსავლური ორთაბრძოლების დიდოსტატს, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრ ნოდარ მაისურაძეს მოვუსმინოთ, რომელმაც ეს ამბავი ჩვენთან საუბრისას დეტალურად გაიხსენა! აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ ნოდარ მაისურაძეს პრესასთან არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია და ეს ისტორია მან პირველად ჩვენთან საუბრისას გაახმაურა!

„ზურაბ წერეთელს ამერიკელებისგან შეკვეთა ჰქონდა მიღებული და თავის სახელოსნოში ქრისტეფორე კოლუმბის ქანდაკებაზე მუშაობდა. მაკეტი უკვე მზად ჰქონდა... მერე ამერიკელებთან ეს შეთანხმება ჩაიშალა, რის გამოც კოლუმბის ძეგლს თავი მოაჭრეს და პეტრე პირველის თავი დაადგეს. ერთი სიტყვით, ზურაბ წერეთელი, რომელიც მაშინ ჩვენი ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ძალიან გახლდათ მოწადინებული, პრეზიდენტი ბუში და პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავის სახელოსნოში ერთმანეთისთვის შეეხვედრებინა. საქმე ისაა, რომ პრეზიდენტი ბუში, რომელიც 1991 წლის 31 ივლისს მოსკოვში ჩამოფრინდა, ზურაბ წერეთლის სახელოსნოში კოლუმბის ძეგლის მონახულებას აპირებდა. ბატონი ზვიადის მეთაურობით, თბილისიდან სპეცთვითმფრინავით გავემგზავრეთ და მოსკოვში ჩავფრინდით. საქართველოს პრეზიდენტის გარდა ვიყავით ჩვენ – დაცვის ბიჭები, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია, გიორგი, ცოტნე, იგორ ჩხეიძე, თამაზ ნინუა... ზურაბ წერეთელთან კარგად ვიყავი,

„პორშე“ ჰყავდა, მანქანის გასაღებს მაძლევდა და ცოტნესა და გიორგის მანქანის ტარებას ვასწავლიდი... რომ ჩავფრინდით, საქართველოს საელჩოში საგანგებოდ შევამოწმეთ ყველაფერი – მოსასმენ აპარატურას ვეძებდით, სადმე რამე ხომ არ იყო მიმაგრებული... საეჭვო რომ ვერაფერი ვიპოვეთ, დავწექით და დავიძინეთ. დილით ადრე ავდექით, რადგან 12:00 საათზე ზურაბ წერეთლის სახელოსნოში ამერიკის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უნდა მოსულიყო და ბატონი ზვიადისა და ბუშის არაოფიციალური, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა უნდა მომხდარიყო. მახსოვს, ძალიან კარგი ამინდი იდგა, მოსკოვში მზე ჩახჩახებდა. ჩვენ, ყველანი, საქართველოს საელჩოს წინ ვიდექით საგანგებოდ გამოწკეპილები და გახარებულები... მხოლოდ ბატონი ზვიად გამსახურდია და კიდევ რამდენიმე პიროვნება იყვნენ ჩვენ უკან, სიღრმეში. ჩვენთან ერთად იყო ზურაბ წერეთელიც, რომელსაც თავისი ებრაელი მეგობარი ახლდა.



აღმოსავლური ბრძოლების ოსტატი, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის წევრი
ნოდარ მაისურაძე

სად იყო და სად არა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ჩვენ წინ, დაახლოებით, 10-15 მეტრში, გაჩერდა რუხი ფერის „გაზ-31“. ვიღაცამ მანქანის მინა ჩაწია და „გაზ-31“-ის სალონში გარკვევით დავინახე ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც ზურაბ წერეთელს თითი დაუქნია და თავისთან იხმო. მე და ზურაბ წერეთელი „პორშესთან“ ვიდექით და ყველაფერს ცხადად ვხედავდი. როგორც კი თითი დაუქნია, ზურაბ წერეთელი შევარდნაძისკენ „ცუციკივით“ გაიქცა, მანქანაში ჩაჯდა, მანქანა ადგილიდან მოსწყდა და ყველანი სახტად დაგვტოვა. ასე დაიკარგა იმ დღეს ზურაბ წერეთე-

ლი, რომელმაც პრეზიდენტიც მიატოვა, ჩვენც მიგვატოვა და წავიდა და წავიდა... ცხადია, ის აღარც გამოჩენილა და, ცხადია, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის შეხვედრა, რომელიც სწორედ ზურაბ წერეთლის სახელოსნოში უნდა გამართულიყო, ჩაიშალა. ასე მოგვტაცა ედუარდ შევარდნაძემ მასპინძელი, რომელთანაც სახელოსნოში უნდა წავსულიყავით. ცხადია, ბატონ ზვიადს მეც და იქ მყოფებმაც ყველამ ვუთხარით მომხდარის შესახებ – ზურაბ წერეთელი, რომელსაც მართლა გულით უნდოდა თქვენი და ბუშის შეხვედრა, ედუარდ შევარდნაძემ გაიტაცა და გადამალა-მეთქი! ცხონებული ზვიადი კინაღამ გაგიჟდა, ეს რომ გაიგო. აი, სწორედ ამ დღის შემდეგ დაიწყო მან შევარდნაძისა და პრეზიდენტ ბუშის ლანძღვა, თორემ ამ ინციდენტამდე, სადაც კი ვყოფილვართ, შევარდნაძის შესახებ შეკითხვას რომ დაუსვამდნენ, ბატონი ზვიადი ყოველთვის კორექტული და მოზომილი იყო და ხაზგასმით აცხადებდა – ედუარდ შევარდნაძეს უდიდესი გავლენა და კავშირები აქვს თანამედროვე მსოფლიოში და მას საქართველოსთვის ძალიან ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლიაო! აი, ასე ავნო ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს და ასე ჩაშალა ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის დაგეგმილი შეხვედრა, რომელზეც საქართველოს პირველი პრეზიდენტი ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა!“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზურაბ წერეთელი მხოლოდ მხატვარი და სკულპტორი არ ყოფილა, ის ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც იყო. თუ არა ღალატი, ორპირობა და ქვეგამხედვაროба, როგორ იქცა შევარდნაძისა და მსოფლიო მასონური ძალების მიერ დამხობილი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ზურაბ წერეთელი ედუარდ შევარდნაძის ხელისბიჭად? წერეთელი რომ შევარდნაძის გუნდში იყო, ამის უტყუარი დასტურია ფოტოსურათი, რომელიც წლებია, ინტერნეტსივრცესა და სოციალურ ქსელებში ვრცელდება და რო-

მელზეც გამოსახულია მოსკოვიდან საქართველოში ახლად დაბრუნებული და გაღიმებული შევარდნაძე. ედუარდ ამბროსოვიჩს გვერდს უმშვენებენ არანაკლებ გაღიმებული ქართველები – გიორგი ჭანტურია, ნანული ცაგარეიშვილი, ზურაბ წერეთელი, ილია მეორე და ჯაბა იოსელიანი...

როგორც საქართველოს ეროვნული ხელისუფლების უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, ქართველ „ტრადიციონალისტთა“ ლიდერი აკაკი ასათიანი ჩვენთან საუბარში იგონებს, ზვიად გამსახურდიასა და საგარეო საქმეთა მინისტრ გოგი ხოშტარიას შორის ურთიერთობაში პირველი ბზარი სწორედ მაშინ გაჩნდა, როცა პრეზიდენტ ბუშთან ზვიად გამსახურდიას შეხვედრა ვერ მოხერხდა. კერძოდ, ამერიკაში ვიზიტის დროს გავლენიანი სენატორი ბობ დოული აკაკი ასათიანს დაჰპირდა, რომ ამერიკის სენატში ზვიად გამსახურდიას მიწვევას შეძლებდა, სადაც „შემთხვევით“ მისული იქნებოდა პრეზიდენტი ბუშიც, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს გაეცნობოდა და შემდეგ მასთან ერთად ყავას დალევდა. როცა ამერიკიდან საქართველოს დელეგაცია ჩამოვიდა და აკაკი ასათიანმა სენატორ დოულის დანაბარები ზვიად გამსახურდიას გადასცა, პრეზიდენტი აღფრთოვანდა. მაგრამ გიორგი ხოშტარიამ, რომელიც საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თედო ჰაატაშვილთან რაღაც სფეროებს ვერ იყოფდა, ზვიად გამსახურდიას განუცხადა – უარი თქვით სენატორ დოულის შემოთავაზებაზე და ზურაბ წერეთლის მეშვეობით შევეცდები, რომ უშუალოდ ბუშთან მოგიწყოთ შეხვედრაო! ასათიანი ამ აზრს არ ემხრობოდა და თავიდანვე აცხადებდა, რომ ეს ვერ მოხერხდებოდა, ამიტომ ჯობდა, ისევ სენატორ ბობ დოულის შემოთავაზებას დათანხმებოდნენ. ზვიად გამსახურდიამ გოგი ხოშტარიას დაუჯერა და სენატში გამოსვლაზე უარი თქვა.

აკაკი ასათიანის ინფორმაციით, ზურაბ წერეთლის სახელოსნოში გამართულ ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც პრეზიდენტ ბუშის მოსკოვში ვიზიტს წინ უსწრებდა, მიხეილ გორბაჩოვს ზუ-

რაბ წერეთელმა გოგი ხოშტარიას თანდასწრებით ჰკითხა – ხომ არ იქნებით წინააღმდეგი, რომ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტ ბუშს ჩემს სახელოსნოში შეხვდეს? გორბაჩოვი ამ შეხვედრის წინააღმდეგ არ წასულა, თუმცა, მრავალმნიშვნელოვნად თქვა – „დაე, ეს საკითხი შევარდნაძემ გადაწყვიტოს!“ ედუარდ შევარდნაძემ ეს საკითხი როგორც „გადაწყვიტა“ და როგორ ჩაშალა ზვიად გამსახურდიასა და ჯორჯ ბუშის დაგეგმილი შეხვედრა ზურაბ წერეთლის მოსკოვის სახელოსნოში, ჩვენ უკვე თვითმხილველისგან ვიცით!


აი, სწორედ ამ ინციდენტის შემდეგ გაფუჭდა ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასა და გოგი ხოშტარიას შორის. აკაკი ასათიანის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა ხოშტარიას პირდაპირ და სავსებით სამართლიანად უსაყვედურა – სენატში ვიზიტზე უარი მათქმევინეთ და ვერც ბუშს შემახვედრეთ, რასაც ასე მპირდებოდითო!

საბოლოო ჯამში, საქმე იქამდე მივიდა, რომ გოგი ხოშტარია ზვიად გამსახურდიას მოსაკლავად ხუნტის მიერ გაგზავნილ ქორმაძებრებს ლანძღავდა – ზვიადი ცოცხალი როგორ გაუშვითო! ამ ფაქტს შეესწრო ქალბატონი დოდონა კიზირია – ინდიანას უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორი, რომელიც წერს: „1992 წლის 7 თუ 8 იანვარია. ვარ ძველი ტელევიზიის შენობაში, ხელში ძველი დიქტოფონით. მალე უნდა დავბრუნდე ამერიკაში და ვჩქარობ, ვნახო რაც შეიძლება ბევრი, ჩავიწერო რაც შეიძლება მეტი, როგორც ინგლისურად ამბობენ, „მთავარი მოთამაშე“. უკვე მქონდა ინტერვიუ ჯაბა იოსელიანთან, თენგიზ კიტოვანთან, ნემო ბურჭულაძესთან, თენგიზ სიგუასთან და კარგა ბლომად სხვასთან. ჩაწერილი მყავს უნივერსიტეტის ეზოში სტუდენტები და ქუჩებში გამვლელ-გამომვლელიც. ყველაზე ძვირფასი და უნიკალური მაინც პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას ინტერვიუა, რომელიც პირველ იანვარს ჩავიწერე. ვიქტორ დომუხოვსკიმ (ცხონდეს მისი სული!) შემიყვანა მთავრობის სახლში მისი მანქანის იატაკზე განრთხმული, როცა ტყვიების ბათქაბუთქი იდგა. ეს იყო პრეზიდენტის უკანასკ-

ნელი ინტერვიუ საქართველოში. ამის შესახებ, მგონი, დავწერე, ანდა ვწერ უფრო დაწვრილებით. არასოდეს დამავიწყდება მისი ხმა და სახე. მთელი ის ატმოსფერო, თითქოს ქვეყნიერების დასასრულის წინ უკანასკნელი ბრძოლისთვის ემზადებოდა ყველა. მას შემდეგ კიდევ ბევრი რამ ვნახე და ბევრის მოწმე ვარ, მაგრამ... მაგრამ ახლა, ამ წუთში ვარ ტელევიზიის შენობის მესამე სართულის კიბეებზე და ვხედავ გოგი ხოშტარიას, ერთ დროს პრეზიდენტ გამსახურდიას ახლო თანამებრძოლს. ის რამდენიმე სხვა პირთან ერთად (მათგან აბსოლუტურად ყველამ უღალატა ბატონ ზვიადს) რამდენიმე თვის წინ საქართველოს მთავრობის სახელით ამერიკაში იყო ჩამოსული სხვადასხვა საკითხზე მოსალაპარაკებლად. მე რაღაც ტყუილებით გავეთავისუფლე ლექციებიდან, ჩავფრინდი ვაშინგტონში და მათ დავყვებოდი როგორც თარჯიმანი. ჰო, აი, ის ხოშტარია დავინახე ქვემო სართულზე და მისკენ დავიძარი. ამ დროს პირველი სართულიდან ზემოთ ამოდის კინორეჟისორი გიორგი შენგელაია, როგორც ყოველთვის, მოღუშული და დაბღვერილი. ის გოგა ხაინდრავასა და რამდენიმე სხვა, ავტომატებით აღჭურვილ მხედრიონელთან ერთად მანქანით გაეკიდა თბილისიდან უკვე წასულ პრეზიდენტს, მაგრამ ვერ მოასწრეს მისი სომხეთის საზღვრამდე დაკავება. იმის ჩაწერაც გავიფიქრე, მაგრამ მისი იშვიათად უჟმური ხასიათის გამო დიდი იმედი არ მქონდა, დათანხმდებოდა. ძველი ნაცნობი გოგი ხოშტარია კი... „რა ქენი, ბიჭო! ცოცხალი როგორ გაუშვი!“ – უყვირის გოგი ხოშტარია ზემოდან გიორგი შენგელაიას... უკან გავბრუნდი. ვიგრძენი, რომ სახეში ვერ შევხედავდი და ვერ დაველაპარაკებოდი. ახლა კი ვნანობ, რომ ეს სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ ყუმბარასავით ამიფეთქდა ყურში სიტყვები: „...ცოცხალი როგორ გაუშვი!“ ეტყობა, თანამებრძოლის ღალატი ოჯახური ტრადიციაა“. [90:13]

3.3. შევარდნაძე როგორც დასავლეთისა და კრემლის საერთო ფავორიტი!

როგორც „სუკის“ ცნობილი გენერალი, აწ განსვენებული თენგიზ ეპიტაშვილი წერს, 1992 წლის 7 მარტს თბილისის აეროპორტში ედუარდ შევარდნაძის ფიზიკური ლიკვიდაცია იგეგმებოდა. აი, რას იგონებს გენერალი: „1992 წლის 28 თებერვალს შინაგან საქმეთა სამინისტროში ვიყავი, საკუთარ კაბინეტში ვმუშაობდი, როცა მოსკოვიდან „ვეჩე“-თი ჩემმა მეგობრებმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის საგარეო დაზვერვის თანამშრომლებმა მაცნობეს: თენგიზ ვასილიჩ, ედუარდ ამბროსოვიჩი 7 მარტს მოფრინავს თბილისში. ჩვენთვის ცნობილია, რომ დედაქალაქის აეროპორტში იგეგმება ტერაქტი შევარდნაძისა და მისი გარემოცვის გასასადგურებლად. გთხოვთ, მიიღოთ ზომები! თბილისში შევარდნაძის თვითმფრი-



ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი


ნავს კბილებამდე შეიარაღებულ ადამიანთა ჯგუფი ელოდა. მათ ლაინერი აეროპორტში დაჯდომისთანავე უნდა აეფეთქებინათ, რაც გახდებოდა ნიშანი საქართველოში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის დაწყებისა, რასაც შედეგად ქვეყნის ორ ნაწილად გაყოფა და საბოლოოდ დაქუცმაცება მოჰყვებოდა“. [62:195]

გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი, როცა რუსმა „კაგებეშნიკებმა“ მოსკოვიდან დაურეკეს და შევარდნაძეზე მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ გააფრთხილეს, ხუნტის მიერ დანიშნული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ რომან გვენცაძის მოადგილე იყო. ამდენად, შევარდნაძის მოსკოვიდან თბილისში გამომგზავრება და საქართველოში მისი უსაფრთხოდ „მეორედ მოსვლა“ თავიდან ბოლომდე კონტროლდებოდა რუსეთის სპეცსამსახურების, კერძოდ, „კაგებეს“ საგარეო დაზვერვის უმაღლესი ჩინოსნების მიერ. მთელ ამ ამბავში საინტერესო ის გახლავთ, რომ გენერალმა ეპიტაშვილმა, რომელსაც დაგეგმილი თავდასხმის აღსაკვეთად ერთი კვირის ვადა ჰქონდა, მოსალოდნელი ტერაქტის ორგანიზატორთა იდენტიფიკაცია უმოკლეს დროში მოახდინა. გენერალმა ბევრ მათგანს, რომელთა შორის პროფესორები და ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ, თითი დაუქნია – ბატონ ედუარდს ერთი ღერი თმა არ უნდა ჩამოუვარდესო! როგორც ეპიტაშვილი იგონებს, იმ ჯგუფიდან ერთ-ერთმა „აჯახა – ბატონო თენგიზ, გავა დრო და თქვენ ამ გადადგმულ ნაბიჯს იცოდეთ, მწარედ ინანებთ!“ [62:195]

გენერალი თენგიზ ეპიტაშვილი ისე მოკვდა, შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტის ორგანიზატორებისა და მონაწილეების შესახებ კრინტი არსად დაუძრავს. მან ეს საიდუმლო სამარეში ჩაიტანა, თუმცა, თავის მემუარებში ერთი რამ გარკვევით აღნიშნა – დღეის გადასახედიდან რაოდენ მწარეა ჩემთვის „იმ ტერორისტის“ მოურიდებელი გაფრთხილების გამართლება... მე ედუარდ შევარდნაძეს არაფერს ვაყვედრი, მაგრამ მის გადარჩენას რომ დღესაც ვნანობ, ეს ნათელია“. [62:196]

ახლა კი, მივუბრუნდეთ შევარდნაძისა და გორბაჩოვის „ცერეუს“ აგენტობის თემას, რომლის განვრცობასაც ზემოთ დაგპირდით! 1993-2000 წლებში რუსეთის ფედერაციაში საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური წარმომადგენელი გახლდათ რუსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრის, გენერალ პავლე გრაჩოვის უახლოესი

მეგობარი და ვაჟიშვილის ნათლია ლეონარდო დევდარიანი, რომელმაც 1993 წლის შემოდგომაზე შევარდნაძის პირადი დავალებით საქართველოში ადმირალი ედუარდ ბალტინი და რუსის ჯარი შემოიყვანა. დევდარიანის განცხადებით, „რომ არა ბალტინის ჯარი, შევარდნაძე დამთავრებული იყო და საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აუცილებლად დაიბრუნებდა ხელისუფლებას!“ [91:6-7]



ლეონარდო დევდარიანი

ლეონარდო დევდარიანი, როგორც გენერალ პავლე გრაჩოვის უახლოესი მეგობარი და, დიდი ალბათობით, თავადაც რუსეთის „გრუ“-ს მაღალჩინოსანი, იგონებს: „დიახ, შევარდნაძე „კონსერვი“ იყო, რაც სპეცსამსახურების ენაზე მძინარე მდგომარეობაში მყოფ აგენტს ნიშნავს, რომელსაც თავისი პატრონები კარიერულ წინსვლაში ეხმარებიან, გზას უკვალავენ და საჭირო მომენტში საჭირო საქმეს აკეთებინებენ. დღემდე ვნანობ, რომ იმ კაცს, რომელიც ძალიან მაღალი თანამდებობის პირი იყო და რომელმაც შევარდნაძის „კონსერვობის“ დამადასტურებელი დოკუმენტები მანახა, ამ დოკუმენტების ქსეროასლები არ გავაკეთებინე! დასამალი არაფერი მაქვს, რუსეთის თავდაცვის ყოფილი მინისტრი, აწ განსვენებული პავლე გრაჩოვი ჩემი უახლოესი ძმა და მეგობარი იყო. მან თავისი ვაჟი მომანათვლინა. როცა ჩეჩნეთში ან სხვაგან, რთულ რეგიონში მიდიოდა ვითარების ადგილზე გასაცნობად, ჩემს ნათლულს, თავის შვილს, ჩემს სახლში ტოვებდა. აქედან გამომდინარე, რუსეთის გენერალიტეტთან დღემდე მაქვს ახლო ურთიერთობა და კარგი ნაცნობობა. ჩვენ ხშირად დავდიოდით სანადიროდ... იმ დღესაც

ნოვოსიბირსკში უნდა გავფრენილიყავით ჩკალოვსკის სამხედრო აეროდრომიდან. მივფრინავდით მე, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, რუსეთის „გრუ“-ს უფროსი და კიდევ რამდენიმე კაცი. „გრუ“-ს უფროსს სამსახურში, „გრუ“-ს შტაბში გავუარე, რათა აეროდრომამდე ერთად მივსულიყავით. იქნებოდა დილის 4-5 საათი, როცა „გრუ“-ს შეფმა საქაღალდე მომაწოდა და ღიმილით მითხრა – აი, ნახეთ, თქვენი, ქართველების პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძე სინამდვილეში ვინ არისო! „გრუ“-ს შეფმა კარგად იცოდა, რომ მე პავლე გრაჩოვის უახლოესი ძმაკაცი ვიყავი და თუ ვთხოვდი, უარს ვერ მეტყოდა და იმ დოკუმენტების, კერძოდ, უცხოეთში მოღვაწე საბჭოთა რეზიდენტეების და მზვერავების პატაკების ქსეროასლებს გამიკეთებდა და მომცემდა. სამწუხაროდ, ეს არ გავაკეთე. „გრუ“-ს შეფს სიცილით მხოლოდ ეს ვკითხე – ღამის ოთხს საათზე სამსახურში რა გინდათ მეთქი? იმანაც ღიმილით მიპასუხა – აქ რომ ღამეა, იქ დღეა და ჩვენ სწორედ ღამით ვმუშაობთ, ყოველ წუთში ვიღებთ ახალ-ახალ ინფორმაციებს ჩვენი ხალხისგანო! მივხვდი, ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებს გულისხმობდა...“ [91:6]

ლეონარდო დევდარიანმა რუსეთის „გრუ“-ს შტაბში ნახა დოკუმენტები, რომლებიც 1974 წლით იყო დათარიღებული. ეს გახლდათ ბრაზილიაში, არგენტინასა და ჩილეში მოღვაწე საბჭოთა აგენტების პატაკები, რომლებიც მათ ცენტრს, ანუ „გრუ“-ს შტაბს გამოუგზავნეს. მოგეხსენებათ, 1974 წელს შევარდნაძის მეთაურობით ბრაზილიასა და ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში საბჭოთა სამთავრობო დელეგაცია გაგზავნეს. როგორც ლეონარდო დევდარიანი ამტკიცებს, სწორედ იქ მოხდა ედუარდ შევარდნაძის „დავერბოვკება“ ამერიკული „ცერეუსა“ და ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ. ლათინურ ამერიკაში ვიზიტის დროს შევარდნაძეს შეხვდნენ „მი-5“-ისა და „მი-6“-ის წარმომადგენლებიც. როგორც ლეონარდო დევდარიანი ამტკიცებს, ამერიკაში მოღვაწე საბჭოთა რეზიდენტების მიერ გამოგზავნილ პატა-

კებში დეტალურად არის აღწერილი, თუ რომელი სპეცსამსახურის წარმომადგენელს სად და რომელ სასტუმროში შეხვდა შევარდნაძე, რამდენი საათი ილაპარაკეს, მერე როგორ წაიყვანეს შევარდნაძე ღამით ტყეში, ქალაქგარეთ, ერთ-ერთ რესტორანში, სადაც კიდევ სამი კაცი დახვდათ და ა.შ.

ბუნებრივად დაისმის კითხვა – თუ შევარდნაძე „კონსერვი“, ანუ ამერიკელების მიერ გადაბირებული და საბჭოთა ხელისუფლებაში ჩანერგილი აგენტი იყო და „გრუ“-მ ამ ყველაფრის შესახებ იცოდა, როგორ აღმოჩნდა „ცერეუს“ აგენტი შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის სავარძელში? ლეონარდო დევდარიანი პასუხს ამ შეკითხვაზეც გვაძლევს და აცხადებს: „ზუსტად ეს შეკითხვა დავუსვი კაბინეტში „გრუ“-ს შეფს და იცით, რა მიპასუხა? – ძვირფასო ლეონარდო, შევარდნაძის აგენტობის შესახებ ცხადია, ვიცოდით ჩვენც, იცოდა „კაგებემაც“, მაგრამ როცა ამის შესახებ გორბაჩოვს მოვახსენეთ და ვუთხარით, რომ შევარდნაძის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა არ შეიძლებოდა, გორბაჩოვმა ხელი აგვიქნია და არც მოგვისმინა, რადგან, შევარდნაძის მსგავსად, გორბაჩოვიც „კონსერვიაო!“ [91:6]

იმავე ლეონარდო დევდარიანის თანახმად, მიხეილ გორბაჩოვი ამერიკელებმა კანადაში ჯერ კიდევ მაშინ „დაავერბოვკეს“, როცა ის ძალიან მაღალი თანამდებობის პირი არ იყო და მხოლოდ რიგითი მდივანი გახლდათ. მაშინ კანადაში საბჭოთა კავშირის ელჩი იყო ალექსანდრე იაკოვლევი – შემდგომ საბჭოთა „ცეკას“ მდივანი იდეოლოგიის დარგში, რომელმაც გორბაჩოვი კანადაში დაპატიჟა.

ცნობილია, რომ იაკოვლევი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით ამერიკაში, კერძოდ, კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და „ცერეუს“ მიერ მისი „დავერბოვკებაც“ სწორედ მაშინ მოხდა. მოკლედ ამ სამმა „კონსერვმა“ – გორბაჩოვმა, შევარდნაძემ და იაკოვლევმა – აღასრულა თავიანთი პატრონის დავალება და დაშალა საბჭოთა კავშირი!

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მიხეილ სააკაშვილიც სწორედ კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა!

ლეონარდო დევდარიანმა ჩვენთან საუბრისას, ასევე, გაიხსენა გენერალი მატვეი პროკოფიევიჩ ბურლაკოვი, რომელიც საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დასავლეთის დაჯგუფების მთავარსარდალი იყო. ანუ ბურლაკოვი ხელმძღვანელობდა იმ ნახევარმილიონიან არმიას, რომელიც აღმოსავლეთ გერმანიაში გახლდათ დისლოცირებული. ბურლაკოვი დევდარიანმა პავლე გრაჩოვის აგარაკზე გაიცნო, რომელმაც მას ასეთი რამ უამბო: „გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა კანცლერ ჰელმუტ კოლს უფლება მისცა, გერმანიის გაერთიანებისა და გდრ-დან საბჭოთა ჯარების გაყვანის სანაცვლოდ მოსკოვისთვის 180 მილიარდი მარკა გადაეხადა. ეს იყო მათი მაქსიმალური ზღვარი. კოლი ჩამოვიდა მოსკოვში და გორბაჩოვსა და შევარდნაძესთან დაიწყო მოლაპარაკება. მან პირდაპირ ჰკითხა გორბაჩოვს – რამდენი უნდა გადავიხადოთ, რას ითხოვთ იმისათვის, რომ გერმანიიდან ჯარები გაიყვანოთო? გორბაჩოვმა უპასუხა – 12 მილიარდ გერმანულ მარკასო! ჰელმუტ კოლი გერმანიაში რომ დაბრუნებულა, უთქვამს – მოულოდნელობისა და სიხარულისგან სკამიდან კინაღამ გადმოვვარდი, რადგან გორბაჩოვმა გერმანიის გაერთიანების სანაცვლოდ ასეთი მიზერული თანხა მოითხოვაო!..

ვინც შევარდნაძეს იცნობდა, დამეთანხმება, რომ გორბაჩოვს სწორედ მაგან ათქმევინა – 12 მილიარდი მარკა გვინდაო! – და ამ დროს თვითონ გერმანელებთან წინასწარ იყო მოლაპარაკებული – „მე გორბაჩოვს დავიყოლიებ, უმცირეს თანხას მოვათხოვნინებ და ამ სამსახურისთვის ფული მე გადამიხადეთო! გენერალი ბურლაკოვი დაბეჯითებით მიმტკიცებდა – ჯარების გამოყვანასა და გერმანიის გაერთიანებაში შევარდნაძემ გერმანელებისგან მილიარდები აიღოო!“ [91:7]

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ, როგორც ლეონარდო დევდარიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, 90-იანი წლების მიწურულს

მეგობარმა გერმანელმა პროფესორმა, რომელმაც თავისთან მიიპატიჟა და მთელი გერმანია დაათვალიერებინა, აჩვენა ერთ-ერთი გერმანული გაზეთი, სადაც გამოქვეყნებული იყო მასალა იმის შესახებ, რომ ბავარიაში მდებარე ცისე-კოშკი, რომელიც თავის დროზე ჰიტლერის ერთ-ერთ ფავორიტსა და გერმანული მეტალურგიის მაგნატ ფრიც ტისენს ეკუთვნოდა, სწორედ ედუარდ შევარდნაძემ და მისმა ოჯახმა შეიძინეს!

3.4. ქართული ელიტური ინტელიგენცია შევარდნაძის სამსახურში

ედუარდ შევარდნაძის მონა-მორჩილი, ე.წ. ელიტური ქართული ინტელიგენცია რომ ნებისმიერ სიბინძურეზე წამსვლელი იყო, ამის დამადასტურებელი ფაქტი უამრავია. მაგრამ ყოვლად წარმოუდგენელია, გვერდი აუარო ბატონი ავთანდილ რცხილაძის




ჯანსუღ ჩარკვიანი, ჯანსუღ ღვინჯილია, რუსუდან ბერიძე და დანარჩენი „ინტელიგენტები“ უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეზე ზვიად გამსახურდიას „დიქტატურას“ აპროტესტებენ! 1991 წლის სექტემბერი.

ერთ ცნობას, რომელიც შევარდნაძის ცნობილი მეხოტბისა და „ჰიმნოგრაფის“, ცნობილი მაესტროს – ჯანსუღ კახიძის ყოვლად უკად-

რის და გაუგონარ საქციელს უკავშირდება! დიახ, ედუარდ შევარდნაძის მიერ მოღორებულმა კახიძემ 1991 წელს ედინბურგში, შოტლანდიაში გამართული პირველივე კონცერტის მსვლელობისას „საქართველოს სიმფონიური ორკესტრი მოულოდნელად გააჩერა და გაოცებულ დარბაზს შემდეგი სიტყვებით მიმართა: ქალბატონებო და ბატონებო, მოგმართავთ თხოვნით, იხსენით ჩემი სამშობლო – საქართველო პრეზიდენტ გამსახურდიას ფაშისტური რეჟიმისგან!“ [53:301]

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რასაც პროფესორი ნოდარ ლომოური გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე წერდა – რუსთაველზე ავტომატი კი მეჭირა, მაგრამ ჰაერში ვისროდიო!



პროფესორი
ნოდარ ლომოური

არ ვიცით, ნოდარ ლომოურის მსგავსად რუსთაველზე ავტომატს ისროდა თუ არა, მაგრამ ვინმე პროფესორმა უჩა ბლუაშვილმა, რომელიც თავის დროზე შევარდნაძის გუბერნატორის მრჩეველი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიის კათედრის დოცენტი გახლდათ, დაბეჭდა წიგნი, რომელიც ცილისწამების დიდოსტატს, თვით რაიხსმარშალ გებელსსაც კი შეშურდებოდა.

ბლუაშვილის „დასკვნით“, „ქვეყანაში გამეფებული ქაოსის და განუკითხაობის მთავარი შემოქმედი სწორედ ყოფილი პრეზი-დენტი იყო. ამ ქაოსს, განუკითხაობას, სეპარატისტული განწყობის გაძლიერე-ბას, ორხელისუფლებიანო-ბას და, საერთოდ, უხელისუფლებობას, სწორედ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ მისი ხელმძღვანელობით გაშლილი ბრძოლა განაპირობებდა. გასცლოდა საქართველოს, ამაღლებული-

ყო პირად ამბიციებზე, შურისძიების გრძნობაზე და ქვეყანაში სიმშვიდე დაისადგურებდა“... [3:158]



ჭაბუა ამირეჯიბი და მისი „ლოზუნგი“

ანუ, ბლუაშვილის ლოგიკით, თურმე ყველაფერი ზვიად გამსახურდიას ბრალი ყოფილა, ხოლო ედუარდ შევარდნაძე და მისი ხელისბიჭები, რომლებიც ნებისმიერ სიბინძურეზე აწერდნენ ხელს, ბუნებაში არც არსებობდნენ და რომ არა ზვიად გამსახურდია, საქართველო დღეს უბედნიერესი ქვეყანა იქნებოდა.

უფრო მეტიც, უჩა ბლუაშვილი ზვიად გამსახურდიას პიროვნული თვისებების „ექსპერტ-შემფასებლადაც“ გვევლინება და აცხადებს: „გამსახურდია პრეზიდენტის პოსტზეც დისიდენტად დარჩა. მას პოლიტიკოსის თვისებები არ აღმოაჩნდა. მან ვერ გაიგო, რომ არ შეიძლება, პოლიტიკოსმა თქვას ყველაფერი, რაც პირზე მოადგება; არ შეიძლება, პოლიტიკოსი მოქმედებდეს იმპულსურად, ემოციურად, პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით... ასეთი „პოლიტიკოსი“ მარცხისთვის არის განწირული. გამსახურდიას ამ ნაკლზე თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ყურადღებას ამახვილებდა ედუარდ შევარდნაძე: „გამსახურდიასთვის ჭკუის სწავლებას არ ვაპირებ, ერთ ანბანურ ჭეშმარიტებას კი ვიტყვი: ამ რანგის პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე დიდ რისკს ეწევა, როცა პირად სიმპათიებს და ანტიპათიებს ემონება, თავისდაუნებურად საკუთარი ვნებების სათამაშოდ აქცევს საქმეს!“ [3:143]

ბლუაშვილი რომ ვინმეს და, მით უმეტეს, ზვიად გამსახურდიას სიტყვა-პასუხსა და ქცევას „უწუნებს“, ეს გასაგებია და ახს-

ნადია, მაგრამ პატივცემულ ბლუაშვილს უამრავ ჭირთან ერთად ერთი უბედურებაც სჭირს... ყურადღება მიაქციეთ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს – უჩა ბლუაშვილის მონოგრაფია შევარდნაძის პოლიტიკური გასვენებიდან ცხრა წლის შემდეგ, 2012 წელს არის გამოშვებული, მაგრამ ამის მიუხედავად, სკკპ ისტორიის ყოფილი დოცენტი ისევ იმ ყბადაღებულ დეპოში თვლემს, რომელშიც აწ განსვენებულმა თამაზ წივწივაძემ ლეგენდარული „გრიშა ბიძია“ დააძინა. ახლა პროფესორ ნოდარ ლომოურის მოგონებათა წიგნიც გადავფურცლოთ, სადაც ის მაშინდელი „იმელის“ შენობაში ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ სიგუას შორის გამართულ ლაპარაკს იხსენებს და წერს: „ჯაბამ ასე მიმართა თენგიზ სიგუას – თენგიზ, შენ მეცნიერი ბრძანდები, მაგრამ ამ ქვეყნის მართვის გამოცდილება არ გაქვს. მე ვინ ვარ – ქურდი და ხელოვნებათმცოდნე, ქვეყნის მართვა არც მე გამეგება. ჩამოვიდეს შევარდნაძე, კაცი გამოცდილიცაა და დიდი ავტორიტეტიც აქვს მსოფლიოში. ჩამოვიდეს, გამოიყენოს თავისი გამოცდილება, ცოტა მოაწესრიგოს აქაურობა და მერე მოვიშოროთ! ბოლოს სიგუა და კიტოვანიც დათანხმდნენ, თუმცა, არცთუ ხალისით. ცხადია, ჯაბას საუბარი მე მიახლოებით დამამახსოვრდა“. [60:55] კიდევ უფრო შთამბეჭდავია ავტომატიანი პროფესორის, ნოდარ ლომოურის, ის მოგონება, რომელიც 1992 წლის აპრილის შუა რიცხვებში თბილისში გერმანიის ვიცე-კანცლერისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰანს დიტრიხ გენშერის სტუმრობას უკავშირდება.

გენშერი რომ ჩამოვიდა, კარგად მახსოვს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ავტომატებით შეიარაღებულმა ბანდიტებმა სასტიკად დაარბიეს მშვიდობიანი საპროტესტო მიტინგი. მაგრამ 1991 წლის 2 სექტემბრისგან განსხვავებით, ამ და სხვა ბევრად უფრო უარეს დარბევებს, რასაც 1992 წლის 3 იანვარს, 6 იანვარსა და 2 თებერვალს დიდი მსხვერპლი მოჰყვა, როგორც

რუსეთის ტელევიზიები, ისე დასავლეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი ტოტალური დუმილითა და სიყრუით შეხვდნენ. ახლა უკვე სხვა დრო დამდგარიყო, სხვა ქარი ქროდა და შევარდნაძის განუყრელი მეგობარი ჰანს დიტრიხ გენშერიც, რომელმაც ხუნტისტურ რეჟიმს მიტინგების დასარბევად საგანგებოდ გაწვრთნილი გერმანული ნაგაზები – ე.წ. გენშერები, ჩამოუყვანა, სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებდა.

აი, რას იხსენებს ნოდარ ლომოური, რომელიც შევარდნაძესთან შეხვედრას ესწრებოდა: „გენშერმა ამას ყოველივეს უსმინა, კარგა ხანს დუმდა და ბოლოს უთხრა შევარდნაძეს: „მე ბევრი რამ ვიცი, მაგრამ არა უშავს, მე მჯერა, რომ შენ შეძლებ ამ სიძნელეების გადალახვას...“ მერე საკმაოდ საზეიმოდ მოგვიბრუნდა და მოგვმართა: „ამ კაცს უნდა დაუჯეროთ! მან ბერლინის კედელი დაანგრია და მის ნაცვლად თქვენს ქვეყანას ააშენებს! ოღონდ თქვენ უნდა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინოთ!“ [60:61]

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რა იცოდა ჰანს დიტრიხ გენშერმა? იქნებ მან ყველაზე უკეთ იცოდა ის, რაც რუსეთის ყოფილ სახელმწიფო მდივან გენადი ბურბულისს არასოდეს დაუმალავს და ყოველთვის აცხადებდა: „1991-1992 წლების დეკემბერიანვრის ამბები მოსკოვში დაიგეგმა, სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ ქართველი ოპოზიციონერები. რუსეთის ხელისუფლება მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალებაში და მე თვითონ ვიღებ პასუხისმგებლობას „თბილისის ომზე!“ [77:350]

უფრო მეტიც, მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი კონკრეტულ თანხასაც კი ასახელებდა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დასამხობად მოსკოვმა გამოყო და არ მალავდა – „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოსკოვს 65 მილიონი დაუჯდაო!“ [77:351]

როგორც ჩანს, გენშერმა ამ და სხვა ამბების შესახებ ყველაფერი იცოდა და დიდი ალბათობით იმ სუფრასაც უჯდა, რომელსაც 1991 წლის ოქტომბერში გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ედუარდ

შევარდნაძე მასპინძლობდა. ეს ის შეკრება და ბანკეტია, სადაც გავლენიანმა სტუმრებმა ედუარდ შევარდნაძე უკვე მოიხსენიეს „საქართველოს პრეზიდენტად“. ანუ 1992 წლის 6 იანვრამდე სამი თვით ადრე, როცა ზვიად გამსახურდია საქართველოდან თოფითა და ზარბაზნით განდევნეს, მსოფლიოს მმართველ პოლიტიკურ და ბიზნესელიტას საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რას წარმოადგენდა ის „ინტელიგენცია“, რომელიც ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდა? ამ კითხვას წინამდებარე ნაშრომის დასაწყისში ერთხელ უკვე უპასუხა აწ განსვენებულმა პროფესორმა, ცნობილმა ლიტერატორმა გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელმაც განაცხადა: „ზვიადი იყო პოლიტიკოსი, უფრო ადრე დაბადებული, რომელმაც წინ გაუსწრო თავის ეპოქას და მისი უკლებლივ ყველა პოლიტიკური პროგნოზი სიტყვა სიტყვით აუხდა როგორც საქართველოს, ისე დანარჩენ მსოფლიოს... ზვიადის დროს საქართველოს ჰყავდა არა ოპოზიცია, არამედ კონტრელიტა, რომლის მიზანიც სახელმწიფოს დაშლა იყო. ელიტამ გაყიდა თავისი ერი და მხარში ამოუდგა საკუთარ ქვეყანაში დამპყრობი ერის ჯარის შემომყვან ხელისუფლებას და ამ ხელისუფლებამ, ანუ შევარდნაძემ, მადლობა გადაუხადა ქართულ ინტელიგენციას, რომელმაც იარაღი აიღო ხელში!“ [6:7]

1991 წლის 21 სექტემბრის ღამეს საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ათეულობით ათასმა მომხრემ რუსთაველის პროსპექტი ირაკლი წერეთლისა და მისი ამფსონების მიერ დაყრილი ქვა-ღორღისგან, რკინის მილებისა და არმატურებისგან გაწმინდა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ვერაფერი მოუხერხა და ვერ აღკვეთა აწ განსვენებულ პროფესორ გიორგი გაჩეჩილაძის მიერ ნახსენები იმ „კონტრელიტის“, ე.წ. ელიტური ინტელიგენციის, ამბოხი, რომელიც თავიდან ბოლომდე შევარდნაძეს მიეყიდა. უშიშროების გენერალს, აწ განსვენებულ ანზორ მაისურაძეს პირადად ჩემთვის არაერთგზის უთქვამს, რომ ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები

ტელევიზიის შენობასთან შეკრებილ შეიარაღებულ მეამბოხეებს სისხლისღვრისაკენ მოუწოდებდნენ და ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დასამხობად ახალგაზრდებს აგულიანებდნენ. იმავეს ადასტურებს ნოდარ ნათაძეც, რომელიც თავადაც აქტიურად მონაწილეობდა კანონიერი ეროვნული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობის სისხლიან ავანტიურაში.

3.5. შევარდნაძის მეტასტაზები ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში

ნოდარ ნათაძის ერთ-ერთი ინტერვიუ, რომელიც 2006 წლის ზაფხულში გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნდა, ფაქტობრივად, გასაღებია იმ დიდი დაპირისპირებისა და განხეთქილებისა, რომელმაც ეროვნულ მოძრაობაში იფეთქა და საქართველო შეიწირა. ნათაძე იხსენებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟს, როცა 1988 წლის 5 ნოემბერს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“ იპოდრომზე პირველი ლეგიტიმური მიტინგი გამართა:

„5 ათას მომიტინგეში 2 ასეული უშიშროების აგენტი მაინც ერია. ამას იმით ვხვდებოდი, რომ მიტინგისას დროდადრო, 25-30 წუთის ინტერვალით, ყველა მხარეს რაღაც თავისებური ჩუმი სტვენა იწყებოდა, რომელიც სისინს წააგავდა. ეტყობა, ამით ან საკუთარ ურთიერთკავშირს ამოწმებდნენ, ან მიტინგის მონაწილეებს აფრთხილებდნენ, რომ თავი კონტროლის გარეშე დარჩენილად არ ჩაეთვალათ. მიტინგი 4 საათს გაგრძელდა. მიტინგის ორგანიზატორი გურამ მამულია ძალზე ამაყობდა წარმატებით, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ იპოდრომზე 80-ათასიანი მიტინგი ჩაატარა სხვა ჯგუფმა. მიტინგის მთავარი ფიგურა ზვიად გამსახურდია იყო. ეს გურამ მამულიამ ვერ აიტანა და შურმა დააწერინა ღვარძლიანი წერილი „კომუნისტში“. ეს ან შურით უნდა გაეკეთებინა, ან „სუკ“-ის ბრძანებით. ამ

წერილის გამო გურამ მამულია, როგორც ხელისუფლების რუპორი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობიდან გაირიცხა. სხვათა შორის, ის არ მალავდა ეჭვს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სამსახურები „ფაქიზად“ მართავდნენ და გამსახურდიაც დაახლოებით ასეთივე ეჭვით პასუხობდა. დიდი ხნის შემდეგ ერთმა ხორციან-სულიანად რუსეთის სამსახურში მდგომმა კაცმა, შემდგომ პარლამენტის წევრმა, მითხრა – 1991-92 წლების გადატრიალების წინ გურამ მამულია ელდარ შენგელაიასთან ერთად რუსეთის პარლამენტარებს ევედრებოდა, საქართველოს „ყურადღება“ მიაქციეთ, ანუ გამსახურდიას დამხობაში მიიღეთ მონაწილეობა! იპოდრომის მიტინგზე ვნახე პირველად გია ჭანტურია, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილის საწინააღმდეგო პროკლამაციების გამო იყო დაპატიმრებული. გია ჭანტურია ზვიად გამსახურდიას წრეში ტრიალებდა – ცოცხალი, გონებასწრაფი ბიჭი იყო. იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც ყველაზე აქტიურნი იყვნენ ეროვნულ მოძრაობაში, ყველაზე პერსპექტიულად გია ჭანტურიას ვთვლიდი. ჩემი აზრით, კონკურენტად მხოლოდ ირაკლი ბათიაშვილი ჰყავდა... მოგვიანებით გია ჭანტურია მოსკოვს გაემგზავრა. იქიდან ჩამოსვლის შემდეგ ვეღარ ვიცანი. იერგამოცვლილი, დამძიმებული და დადინჯებული მეჩვენა. იმ წრეს, რომელთანაც უპირატესი კონტაქტი მქონდა და რომელიც მერაბ კოსტავას ბინასა და ეზოში იკრიბებოდა, არ ეკარებოდა. ხშირად მესმოდა მას და ზვიადს შორის განხეთქილების შესახებ!“ [92:6]

ვფიქრობთ, გია ჭანტურიას მოულოდნელი „დადინჯების“ მიზეზების შესახებ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ ვრცლად და არგუმენტირებულად ვისაუბრეთ, რაც შეეხება ზემომოყვანილ ამონარიდში ნახსენებ პროფესორ გურამ მამულიას, ის ნოდარ ლომოურის მსგავსად „წითელი ინტელიგენტი“ გახლდათ, რომელსაც ეკუთვნის შემდეგი სიტყვები: „ჩვენი ხელისუფლება სისხლით მოვიდა. ამ ბრძოლაში მე აქტიურად ვმონაწილეობ-

დი. ეს აბსოლუტურად მეამაყება. მიმაჩნია, რომ იმ ხელისუფლების მოშორება საქართველოს ხსნის ერთადერთი გზა იყო. გამსახურდიას ხელისუფლების მოშორებით ჩვენ საზოგადოებას ქირურგიული ოპერაცია გავუკეთეთ. ის მოურჩენელი სენი იყო". [93:9]

პროფესორ გურამ მამულიას პირადად ვიცნობდით... ის განსაკუთრებული აგრესიით ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქუჩაში დახვრეტილ გურამ შარაძეს და თავგამოდებით იცავდა საქართველოში ე.წ. თურქი მესხების ჩამოსახლების იდეას. ყველა უბედურებასთან ერთად, პროფესორ მამულიას ხელს ადებენ და მოსკოვიდან იმ ფულის ჩამოტანაშიც ამხელენ, რომელიც 1993 წლის შემოდგომაზე ადმირალ ედუარდ ბალტინს ედუარდ შევარდნაძემ თავისი ემისრების ხელით გადასცა. გამორიცხული არ არის, პროფესორი მამულია იმ ბინძური ფულის სკანდალშიც იყოს გახვეული, რომლის შესახებაც მოსკოვის ყოფილი მერი გავრილ პოპოვი ასე უტიფრად და უსინდისოდ საუბრობდა – „საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოსკოვს 65 მილიონი დაუჯდა!"

საქართველოს დამაქცევრებს რომ ფული არ აკლდათ, ამას ნოდარ ნათაძის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ინტერვიუც ადასტურებს, სადაც „სახალხო ფრონტის" ყოფილი ლიდერი ჯაბა იოსელიანისა და კომუნისტური მაფიის სამარცხვინო ალიანსს ამხელს: „ყველამ ვიცოდით, რომ ჯაბა იოსელიანის „მხედრიონი" საქართველოს კომუნისტური მთავრობის უმძლავრესი და უმდიდრესი ქვეგანყოფილების – „აგრომრეწვის" თავმჯდომარე გურამ მგელაძის მიერ ფინანსდებოდა. ის კი არა, ისიც კარგად არის ცნობილი, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში კომუნისტების დამარცხების შემდეგ, სანამ მოხდებოდა „მრგვალი მაგიდისთვის" ხელისუფლების გადაბარება, გურამ მგელაძემ და მისმა „აგრომრეწვმა" „მხედრიონს" თავისი დაწესებულებიდან უზარმაზარი თანხა – 14 მილიონი მანეთი გადაურიცხა! მანამდე

კი, გუმბარიძის კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავის უკანასკნელ სხდომაზე ეს „მაშველთა კორპუსი“, ანუ „მხედრიონი“, ოფიციალურად დაარეგისტრირა კიდეც. სხვათა შორის, ამ მგელაძეს და მის უწყებას ქვემო ქართლში მასობრივად ჰქონდათ მიყიდული მიწები ადგილობრივ თუ ჩამოსახლებულ არაქართველებზე, რითაც საქართველოს არანაკლებ ავნეს, ვიდრე ავადსახსენებელმა ყორღანაშვილებმა ამ 400 წლის წინათ...“ [94:18-19]

ძმები ელდარ და გიორგი შენგელაიები და სხვა ნომრიანი გადამტრიალებლები კუბოს კარამდე ხელებს ასავსავებენ და ამტკიცებენ, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არა რუსის ჯარმა და ედუარდ შევარდნაძემ, არამედ „სახალხო-დემოკრატიულმა რევოლუციამ“ წალეკა, მაგრამ ფაქტები სულ სხვას მეტყველებენ. ასე, მაგალითად, აწ განსვენებული ქართველი პედაგოგი ნელი კეტაშვილი სახელოვანი ფეხბურთელის, 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ გელა კეტაშვილის, მამიდა გახლდათ. 1991 წლის დეკემბერში, როცა შეიარაღებული მეამბოხენი ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას ცეცხლსა და სიკვდილს უშენდნენ, ავადსახსენებელი მერვე პოლკის ბაზაზე, რომელსაც მისი საცხოვრებელი კორპუსი მაღლიდან გადასცქეროდა, ქალბატონი ნელის ყურადღება რუსი გენერლის თუ პოლკოვნიკის ერთმა ბრძანებამ მიიპყრო. ნელი კეტაშვილი იგონებს: „იქნებოდა 1991 წლის 25 ან 26 დეკემბერი, ყოველ შემთხვევაში, ომი რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე დღის დაწყებული იყო, როცა რუსი სამხედროების ლაპარაკს შევესწარი და მაშინვე ცუდად გავხდი! მივხვდი, რომ საქართველოსა და ზვიადის საქმე შავად იყო... დაახლოებით, საღამოს 6 საათზე, როცა რუსი ოფიცრები შეიკრიბნენ, ჯარისკაცები პლატცზე მოაწყვეს და რომელიღაც გენერალმა თუ პოლკოვნიკმა შეკრებილებს ასეთი სიტყვით მიმართა: „ტოვარიშჩი ოფიცერი ი სტარშინი, სლუშაიტე ხოროშო! სეჩას პაიდიოტე ი პრიმიტე უჟინ, ა ვ 9 ჩასოვ ვსე ბუდიტე ნა მესტე, პატამუ ჩტო ოპოზიცია ნუჟდაეტსია ვ პომოშჩი ი მი დოლჟნი პომოჩ იმ!“ ეს რომ

გავიგონე, მაშინვე მივხვდი, თუ რა უბედურება ელოდა ქვეყანას და ნერვიულობისგან თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დამიარა. გაფაციცებული ვითვლიდი წუთებსა და წამებს, რადგან სიმკაცრითა და სადიზმით განთქმული მერვე პოლკი, რომელიც კაციჭამიებით იყო დაკომპლექტებული, კარგს არაფერს დაგვმართებდა. მართლაც, იმ საღამოს, დაახლოებით, ათის ნახევარზე, რუსთაველზე ისეთი საშინელი ძალით განახლდა ომი და სისხლისღვრა, ქალაქის ცენტრიდან რამდენიმე კილომეტრით მოშორებული ჩვენი საცხოვრებელი ბინაც კი ზანზარებდა. მაშინვე მივხვდი, რომ დაპირისპირებაში სწორედ რუსული მერვე პოლკი ჩაერია თავისი ოფიცრებითა და შეიარაღებით!“ [95:13]

ედუარდ შევარდნაძის გავლენა მხოლოდ გურამ მგელაძესა და ზურაბ წერეთელზე არ ვრცელდებოდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ 1988 წლის 22 ნოემბერს დაწყებული აქციები, რომელიც ზურაბ ჭავჭავაძემ, თამრიკო ჩხეიძემ, გიორგი ჭანტურიამ, ირაკლი წერეთელმა და „უნივერსიტეტის პრესკლუბის“ აქტივისტებმა ააგორეს, სწორედ ედუარდ შევარდნაძის მიერ იყო ორგანიზებული. დიახ, დრომ და მავანთა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ დაადასტურა, რომ ვინც 1988 წლის ნოემბრის აქციების ავანგარდში იდგა, თამრიკო ჩხეიძით დაწყებული, ფიქრია ჩიხრაძით დამთავრებული, სუყველანი ედუარდ შევარდნაძის ნომრიან აგენტურას წარმოადგენდნენ. ერთადერთი გამონაკლისი მთელ ამ ბაკქანალიაში ირაკლი წერეთელი იყო... ამ მართლაცდა აგენტებმა, რომლებმაც მერე შევარდნაძეს გადაფურთხებული ათასგზის აულოკეს, 1988 წლის ნოემბრის აქციებს ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა არ გააკარეს. მიუხედავად ამისა, თვითგამოცხადებულ მწერალ დავით მჭედლურის თქმით, რომელიც სამარეში ისე ჩავიდა, რომ ზვიად გამსახურდიას ლანძღვა-გინების გარეშე ერთი დღეც არ უცოცხლია, „საზოგადოების ფართო წრეები ოქტომბერ-ნოემბრის აქციების ორგანიზატორებს თითქმის არ იცნობდნენ და ყოველივე ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სახელს უკავ-

შირდებოდა. ისინი იყვნენ სახალხო ბელადები, მათ გარშემო ირაზმებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინით შეპყრობილი ათასობით ქართველი“. [96:49]

უფრო მეტიც, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვიფიქროთ, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გარიჟრაჟზე ზვიად გამსახურდიას გარდა, ფაქტობრივად, ყველა პოლიტიკური ლიდერის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, 1987 წლის 31 ოქტომბერს სწორედ ედუარდ შევარდნაძის ფარულმა მსტოვრებმა შექმნეს. ბუნებრივად დაისმის კითხვა – რა გვაძლევს მსგავსი განცხადების საფუძველს? საქმე ის არის, რომ ე.წ. პირველი ვიოლინოს ფუნქციას „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში“ ასრულებდნენ თამრიკო ჩხეიძე და ზურაბ ჭავჭავაძე, რომლებსაც ზვიად გამსახურდია „კრემლის აგენტებს“ უწოდებდა. საქვეყნოდ ცნობილია იმ ვიდეომასალის შინაარსი, რომელიც ეროვნული მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდი ქართველი მეცნიერის, ზვიად გამსახურდიას ნათლიის, აკაკი გაწერელიას, სახლში გამართული „არაფორმალების“ თათბირის პროცესში შეიქმნა. იმ ფირზე კარგად ჩანს, თუ რა წინააღმდეგობები არსებობდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერებს შორის და როგორ ემუქრებოდა გიორგი ჭანტურია ზურაბ ჭავჭავაძეს „შუბლის გახვრეტით“. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ამ თავყრილობაზე ზვიად გამსახურდიამ ზურაბ ჭავჭავაძეს აგინა და „სუკის აგენტი“ უწოდა... ახლა კი, თამრიკო ჩხეიძის შესახებ! ხმები იმის თაობაზე, რომ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ალამდარი თამრიკო ჩხეიძეც „სუკის აგენტი“ და შევარდნაძის მიერ დანიშნული თუ ნებადართული „დისიდენტი“ იყო, თბილისში ჯერ კიდევ 70-იანი წლების მიწურულს გავრცელდა. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ხმების გავრცელებას დიდი ბიძგი მისცა ერთმა ძალიან უხერხულმა და საეჭვო ფაქტმა.

1978 წლის 25 მაისს საბჭოთა „სუკმა“ დააპატიმრა ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილი. რო-

გორც თომას ბეკეტი შეეწირა რიჩარდ ლომგულის მრისხანე და ძლევამოსილი მამის – ჰენრი მეორე პლანტაგენეტის, პოლიტიკურ აღზევებას, მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილიც, ზვიად გამსახურდიაც და მერაბ კოსტავაც სწორედ ასე წააკლეს ილია მეორის ინტრონიზაციას, რომელიც 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის დიდ და ბრწყინვალე ტაძარში აღსრულდა. მართლაც, პატრიარქის აღსაყდრებამდე ცოტა ხნით ადრე, კერძოდ, 1977 წლის პირველ აპრილს, ზვიად გამსახურდია ჯერ მწერალთა კავშირიდან გარიცხეს და მერე ჩრდილოეთ კავკასიაში, დაბა კოჩუბეიში გადაასახლეს, ხოლო მერაბ კოსტავა მოუსავლეთში, კვიტოკში განაწესეს და შორეული ციმბირის გულაგში ათი წლით გამოამწყვდიეს. თუ რა უძღოდა წინ ამ დაპატიმრებას, ეს ვრცელი და ძალზე საინტერესო თემაა, რომელსაც ამჯერად შეგნებულად არ შევეხებით, მაგრამ ამ მართლაცდა „წყევლაკრულვიან“ ისტორიაში ძალიან საყურადღებოა ერთი ამბავი. კერძოდ, საქმე ის გახლავთ, რომ მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის სასამართლო პროცესზე, რომელიც ხელისუფლებამ დახურა და დარბაზში „სუკის“ თანხმობის გარეშე ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა, რატომღაც საშვი მისცეს და შეუშვეს ხელისუფლებისადმი განსაკუთრებული „ურჩობითა და შეუწყნარებლობით გამორჩეული“ სტუდენტი თამრიკო ჩხეიძე. აწ განსვენებულ მიტროპოლიტ გაიოზთან პირადად მისაუბრია ამ თემაზე და მას არასდროს დაუმალავს, რომ თამრიკო ჩხეიძე იმ სასამართლო პროცესზე დარბაზში მართლაც იჯდა. უფრო მეტიც, მეუფე გაიოზმა ისიც მითხრა, რომ სასამართლოზე დასასწრებად ან „რელიგიის საქმეთა რწმუნებულისგან“ უნდა აეღოთ შესაბამისი ნებართვა, ანდა მსგავსი საბუთი თავად მოსამართლე ალეკო ალადაშვილს უნდა გაეცა, რომელსაც საბჭოთა საქართველოს სასამართლო სისტემისა თუ ძალოვანი უწყებების მესვეურები „სიკვდილის მოსამართლეს“ უწოდებდნენ. ცნობისათვის მოგახსენებთ, რომ ხშირად დახვრეტის განაჩენი, რომელიც საბჭოთა საქართველოში „ცეკას“ სანქციის გარეშე არ გამოჰქონდათ, სწორედ „სიკვ-

დილის მოსამართლე“ ალეკო ალადაშვილს უნდა გამოეცხადებინა. 1976-1978 წლებში საქართველოს „რელიგიის საქმეთა რწმუნებული“ გახლდათ თენგიზ ონოფრიშვილი – ქართველი პოლიტიკოსისა და საქმოსნის, დავით ონოფრიშვილის, მამა. „რელიგიის საქმეთა რწმუნებულის“ ინსტიტუტი სტალინმა თავიდანვე საბჭოთა „კაგებეს“ დაუქვემდებარა. აქედან გამომდინარე, ყველამ კარგად იცოდა, რომ 1978 წელს, როცა მიტროპოლიტ გაიოზ კერატიშვილის დახურულ სასამართლო პროცესებზე თამრიკო ჩხეიძე საგანგებო საშვით ხელში იჯდა, მას ეს საშვი სწორედ „კაგებეშნიკმა“ თენგიზ ონოფრიშვილმა მისცა, რომელიც საბჭოთა საქართველოში უძლიერესი სპეცსამსახურის დანაყოფს – „რელიგიის საქმეთა რწმუნებულს“ – წარმოადგენდა და არა კეთილშობილ ქალთა სასწავლებლის დირექტორატს! ანუ „კაგებეს“ გარეშე თამრიკო ჩხეიძე მიტროპოლიტ გაიოზის პროცესზე ვერ მოხვდებოდა...

1979 წლის 27 მაისს №1 საგამომძიებლო იზოლატორის პატიმარმა, მიტროპოლიტმა გაიოზ კერატიშვილმა, საიდუმლოდ, თავისი ძმის ხელით წერილი გაუგზავნა გაზეთ „ივრის განთიადის“ მთავარ რედაქტორს, აწ განსვენებულ ალექსანდრე ელერდაშვილს, ხოლო იმავე წერილის ასლი – მაშინდელი გაზეთ „კომუნისტის“ მთავარ რედაქტორ გიორგი (ჟორა) ბედინეიშვილს. ცხადია, ბედინეიშვილმა მიტროპოლიტის წერილი გაზეთის ფურცლებს არ გააკარა, მაგრამ ამ ამბიდან 18 წლის შემდეგ, 1997 წელს, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 50-ე ნომერში, მერვე გვერდზე გამოქვეყნდა მეუფე გაიოზის წერილი, რომელიც რედაქციაში სწორედ ალექსანდრე ელერდაშვილმა მოიტანა. წერილში მიტროპოლიტი გაზეთ „კომუნისტის“ მთავარ რედაქტორ გიორგი ბედინეიშვილს ამხელს და ეკითხება – „რად იყო დახშული სასამართლოს დარბაზის კარი ჩემი ახლობლებისთვის? ვინ ურიგებდა საშვებს რეზო ჩხეიძის გოგოს, მის ამხანაგებს და შენგან ფლიდობით აუგად ხსენებულ დისიდენტებს? ვინ ისმენდა ჩემს სატელეფონო საუბრებს და ვის მიჰქონდა ამ საუბრების შინაარსი ონოფრიშვილთან? ვინ და

რა მიზნით ცდილობდა ჩემს ჩართვას სახელმწიფო დანაშაულებში ჯერ კიდევ 1974-1975 წლებიდან?“ [97:12]

ვფიქრობთ, ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თამრიკო ჩხეიძე „კაგებეში“ მიღებული პერსონა იყო! ეს კი გვაფიქრებინებს იმას, რომ 1987 წლის 31 ოქტომბერს თამრიკო ჩხეიძისა და ზურაბ ჭავჭავაძის მიერ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შექმნა „კაგებეს“ ლოცვა-კურთხევის გარეშე ვერ და არ მოხდებოდა!

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რაც ერთხელ უკვე ვთქვით – მერაბ კოსტავას დაღუპვის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ მიუნხენში რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელ თენგიზ გუდავას სატელეფონო საუბრისას უთხრა – თამარ ჩხეიძემ „შვიდჯერ მოუწყო მას (*მერაბ კოსტავას. – დ. ჩუბინიძე*) ავარია. ეს მერვეჯერ იყო, გესმის?! დიახ, მან ეს ყველაფერი განზრახ გააკეთა. ის იყო მიგზავნილი და ეს ნაძირალა ჭავჭავაძე, გესმის?! სანამ არ დაღუპეს, მანამდე არ შეეშვნენ!“ [66:2]

თამრიკო ჩხეიძეს მერაბ კოსტავას მკვლელობაში მხოლოდ ზვიად გამსახურდია არ ადანაშაულებდა. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ შევარდნაძის „იმედის“ პარლამენტში, ერთ-ერთი სხდომის ტრანსლაციის დროს, ქართველმა კლასიკოსმა ჭაბუა ამირეჯიბმა თამრიკო ჩხეიძეს სწორედ 1989 წლის 13 ოქტომბერს ბორითთან დატრიალებული ტრაგედია გაუხსენა და ტელევიზიის პირდაპირ ეთერში წამოაძახა – „შენ კაცი მოკალი!“

თამრიკო ჩხეიძის გარემოცვაში საქმე მთლად კარგად რომ არ იყო, ამას ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი ირაკლი კაკაბაძეც ადასტურებს, თუმცა, მაინც მიიჩნევს, რომ ჩხეიძე საბჭოთა სუკთან წილნაყარი არ გახლდათ. თავის პუბლიცისტურ წერილში „1988 – ჩვენი დანაწევრების დასაწყისი“ ირაკლი კაკაბაძე წერს: „1987 წლის ბოლოდან საქართველოში ფუნქციონირება დაიწყო, ძირითადად, საბჭოთა დისიდენტებისგან შემდგარმა არაფორმალურმა ჯგუფმა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ“. ამ ორგანიზაციაში მოიაზრებოდნენ თავიდანვე გულაგიდან ახლად განთავისუფლებული მე-

რაბ კოსტავა, თამარ ჩხეიძე, ჯუმბერ კოპალიანი, გია ჭანტურია, ნანა კაკაბაძე და ბოლოს უკვე ზვიად გამსახურდიაც. ამ არაფორმალური ჯგუფის ერთიანობა რამდენად დიდხანს გაგრძელდა, ეს ცალკე საუბრის თემაა, მაგრამ ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ძალიან არ მოეწონა ეს ფაქტი და სასწრაფოდ დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაეპირისპირებინა ამ ორგანიზაციისთვის გარკვეული „ლიბერალური ალტერნატივა“, რომელიც ძირითადში მხარს დაუჭერდა „პერესტროიკის“ მთავარ პუნქტებს, მაგრამ ეყოლებოდა რეფორმისტული ფრთის წარმომადგენლებიც, რომლებიც კომუნისტური პარტიის მიმართ კონსტრუქციულ კრიტიკასაც არ მოერიდებოდნენ. ამ დროს საქართველოში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო. შევარდნაძე უკვე კარგა ხნის წასული იყო მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრად. პატიაშვილის ერთ-ერთი საკვანძო ბიუროს წევრი კი, ნუგზარ ფოფხაძე გახლდათ. პატიაშვილმა და ფოფხაძემ გადაწყვიტეს, შეექმნათ „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ ალტერნატივა „რუსთაველის საზოგადოების“ სახით. 1988 წლის მარტში საგანგებოდ მოიწვიეს „რუსთაველის საზოგადოების“ ყრილობა, სადაც საზოგადოების საინტერესო ნარევი იყო: შედარებით ლიბერალური ნომენკლატურის, კომკავშირის „რეფორმისტული“ ფრთა და, ამავე დროს, ისეთი თავისუფალი ადამიანები, როგორიც იყვნენ ბატონები აკაკი ბაქრაძე, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი და სხვები. აქვე ახალგაზრდების ნაწილში მოიწვიეს ზურაბ ჟვანია, გიო მგელაძე, ლევან ვასაძე, გიორგი მარგველაშვილი, ელიზბარ მუჯირი, სტეფანე კალარჯიშვილი, დათო გამყრელიძე და სხვები. დათო ტურაშვილს, თედო ისაკაძეს, ფიქრია ჩიხრაძეს, ნიკო ნიკოლოზიშვილს და მათ მეგობრებს უკვე ჰქონდათ უნივერსიტეტში შექმნილი „პრესკლუბი“ და ამიტომაც ისინი არ მოვიდნენ დამფუძნებელ ყრილობაზე. საბოლოოდ, „რუსთაველის საზოგადოების“ თავმჯდომარედ აირჩიეს პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, მის მოადგილეებად კი, რეზო ამაშუკელი, სოსო

ცისკარიშვილი და კიდევ ერთი ქალბატონი. გამგეობის წევრები იყვნენ კოტე გაბაშვილი, აკაკი ბაქრაძე, გუჩა კვარაცხელია, ანდრია აფაქიძე და ბევრი ცნობილი ხელოვანი და მეცნიერი". [98]

ირაკლი კაკაბაძისადმი ჩვენი პიროვნული პატივისცემის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ ის მწარედ ცდება. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ და მტკიცედ გვწამს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი მსტოვრების „შემოქმედების" ნაყოფი მხოლოდ „რუსთაველის საზოგადოება" კი არა, არამედ უნივერსიტეტის „პრესკლუბი" და „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაც" იყო, რაც დრომ დაადასტურა!

3.6. საშემოდგომო გადატრიალების ჩაფუშვა, ზამთრის ომი და ეროვნული ხელისუფლების დამხობა



გადატრიალება... ომი თბილისში

1991 წლის 3 ოქტომბერს საპატრიარქოს შუამავლობითა და პარლამენტის ოპოზიციური დეპუტატების მონაწილეობით მიღწეული შეთანხმებით, თენგიზ კიტოვანის გვარდიამ დატოვა ტელერადიოდეპარტამენტის შენობა და თბილისის ზღვაზე პროფკავშირების შენობაში გადაინაცვლა. კიტოვანელთა რიგები საგრძნობლად შეთხელებულიყო – რკონში გაყვანილი 7 ათასი ჯარისკაცის ნაცვლად, თენგიზ კიტოვანს თბილისის ზღვაზე, დაახლოებით, 400-500 კაცილა შემორჩენოდა. ზვიად გამსახურდიას დაქვემდებარებაში მყოფმა ეროვნულმა გვარდიამ, რომელსაც ლოთი ქობალია მეთაურობდა, ასევე, მილიციისა და „ომონის" ძალებმა თენგიზ კიტოვანი ალყაში მოაქციეს, რასაც 4-5 ოქტომბერს

დაუყოვნებლივ მოჰყვა ოპოზიციის გააქტიურება და რუსთაველზე პროცესების დრამატულად განვითარება. მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც აჯანყებულმა კიტოვანელებმა თბილისის ზღვაზე მოკლეს სამაჩაბლოში ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ ბრძოლებში სახელმოხვეჭილი ვაჟკაცი ნუგზარ შანავა, რომელმაც იარაღი მაღლა ასწია, მერე მიწაზე დადო და კიტოვანელებს სიტყვით მიმართა – ძმებო, ქართველებო, ჩვენ ერთმანეთში გასაყოფი არაფერი გვაქვს და მე უიარაღოდ მოვდივარ თქვენკენ, რათა ჩაგეხუტოთ, ხელი ჩამოგართვათ და საქართველოში მშვიდობამ ერთხელ და სამუდამოდ დაისადგუროსო! როგორც კი ნუგზარ შანავამ სიტყვა დაასრულა, კიტოვანელთა მხრიდან სნაიპერის შაშხანამ დაიქუხა და შანავა მკერდგანგმირული, მოცელილი ბალასივით დაენარცხა მიწას. ნუგზარ შანავას მკვლელობას მოჰყვა უმისამართო სროლები, ხელისუფლებამ კიტოვანელთა თავზე გადააფრინა ვერტმფრენიც, რომელსაც აჯანყებულებმა მაშინვე ცეცხლი გაუხსნეს... ერთი სიტყვით, ვითარება კრიტიკული იყო და ყველაფერი იმაზე გახლდათ დამოკიდებული, რას იზამდა ზვიად გამსახურდია – გასცემდა თუ არა პრეზიდენტი აჯანყებულთა განადგურების ბრძანებას, რომლებმაც ერთი მამულიშვილი უკვე მოკლეს?!

ზვიად გამსახურდიამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მსგავსი ბრძანება არ გასცა და „ძმათა შორის სისხლისღვრას“ მოერიდა, რაც მის საბედისწერო შეცდომად მიგვაჩნია... საქართველოს პირველ პრეზიდენტს აუცილებლად უნდა გაენადგურებინა აჯანყებულები და საჭიროების შემთხვევაში არა თუ შეტევაზე უნდა გადასულიყო, არამედ არტილერიითაც კი დაებომბა კიტოვანელთა ბუნაგი! მაგრამ ეს არ მოხდა, რამაც დაღუპა არა მარტო ზვიად გამსახურდია, არამედ მისი თავისუფალი საქართველოც! იმას, რომ 1991 წლის 4-5 ოქტომბერს ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება არ შედგა და როგორც აჯანყებულებმა, ისე ხელისუფლებამ საბოლოო კონფრონტაციისგან თავი შეიკავა, პროფესორი დიმიტ-

რი შველიძე ასე ხსნის: „შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ მათ, დაახლოებით, თანაბარი სიძლიერის ძალები ჰყავდათ. უპირატესობა, რომელიც ხელისუფლებას ჰქონდა, არ იყო დიდი, ხოლო მეამბოხეებს ხელისუფლებაზე თავდასხმის რესურსი არ გააჩნდათ!“ [1:370] არ შეიძლება, პროფესორ შველიძეს ამ შეფასებაში არ დავეთანხმოთ, მაგრამ ვფიქრობთ, მხოლოდ – ნაწილობრივ. საქმე ის გახლავთ, რომ 4-5 ოქტომბერს რუსთაველის პროსპექტსა და თბილისის ზღვაზე განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რაც 1991 წლის 2 სექტემბრის ცნობილი პროვოკაციის ლოგიკური გაგრძელება იყო, კიტოვან-გრაჩოვის შეხვედრისა და გერმანიის ერთ პატარა ქალაქში გამართული თავყრილობის კონტექსტუალური გააზრების გარეშე მხოლოდ ჰაიჰარად თუ შეფასდება. მოგეხსენებათ, როგორც რუსი ისტორიკოსი და პუბლიცისტი სპარტაკ ჟიდკოვი ჟურნალისტ აკაკი მიქაძის ინფორმაციაზე დაყრდნობით შავით თეთრზე წერს, 1991 წლის ოქტომბერში მოსკოვში, ზურაბ წერეთლის სახელოსნოში ერთმანეთს შეხვდნენ გენერალი პავლე გრაჩოვი და თენგიზ კიტოვანი. ეს შეხვედრა აუცილებლად 4-5 ოქტომბრის დრამატული მოვლენების შემდეგ უნდა გამართულიყო, როცა კიტოვანი და მისი აჯანყებული ბანდა ფიზიკური ლიკვიდაციის აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ... ხოლო კიტოვან-გრაჩოვის შეხვედრის ლოგიკური ფინალი დიდი ალბათობით აუცილებლად უნდა ყოფილიყო გერმანიის ერთ პატარა ქალაქში შევარდნაძის მიერ გამართული ბანკეტი, სადაც, როგორც უკვე არაერთხელ ვთქვით, მსოფლიო პოლიტიკის მაშინდელი გრანდები ედუარდ ამბროსოვიჩს უკვე მოიხსენიებდნენ როგორც „საქართველოს პრეზიდენტს“!

უეჭველია, რომ კიტოვან-გრაჩოვის შეხვედრისა და მოლაპარაკების დეტალების შესახებ დაწვრილებით იცოდა ედუარდ შევარდნაძემ. უფრო მეტიც, დიდი ალბათობით შევარდნაძე ზურაბ წერეთელთან ერთად მასპინძლობდა კიდეც გენერალ პავლე გრაჩოვ-

სა და კიტოვანს, მაგრამ ამის შესახებ აკაკი მიქაძემ ინფორმაცია დამალა, როგორც ბანდიტების მსახურმა და მეხოტბემ!

პოლიტიკურ პროცესთა განვითარების უწყვეტი ლოგიკური ჯაჭვი გვკარნახობს, თითქმის ასპროცენტიანი სიზუსტით ვივარაუდოთ, რომ გენერალ გრაჩოვისა და „მხატვარ-კერამიკოს“ თენგიზ კიტოვანის წარმატებული შეხვედრისა და შეთანხმების შესახებ ბანკეტზე მოპატიჟებულ მსოფლიო გრანდებს ინფორმაცია სწორედ შევარდნაძემ მიაწოდა, რის შემდეგაც სტუმრებმა შევარდნაძეს ოფიციალურად უწოდეს „საქართველოს პრეზიდენტი!“

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც რაზე შეთანხმდნენ გრაჩოვი და კიტოვანი, რამაც შევარდნაძის მიერ ბანკეტზე მოწვეულ სტუმრებს ათქმევინა, რომ შევარდნაძე უკვე „საქართველოს პრეზიდენტი“ იყო? უეჭველია, ეს შეთანხმება იმ დიდ ცვლილებას ეხებოდა, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ძალადობრივი დამხობის გზით გახლდათ მოსალოდნელი და რომლითაც ზვიად გამსახურდიას თავად შევარდნაძე დაემუქრა, როცა მოსკოვიდან დაურეკა – „ბატონო ზვიად, სულ მალე შენ და შენს თავისუფალ საქართველოს სისხლში ჩაგახრჩობთო!“

ზვიად გამსახურდია ზედმიწევნით აცნობიერებდა იმ საფრთხეს, რასაც ქვეყანას მეამბოხეები უქადდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა 1991 წლის 8 ოქტომბერს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, სადაც საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა და შეიარაღებულ ოპოზიციას მიმართა. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ პრეზიდენტმა საქართველოს მოსახლეობას სისხლიანი გადატრიალების შემთხვევაში მოვლენათა განვითარების ავი და ტრაგიკული სცენარი პედანტური სიზუსტით დაუხატა. დრომ დაადასტურა, რომ ზვიად გამსახურდია არცერთ ამ შეფასებასა და პროგნოზში არ შემცდარა და მისი ეს გამოსვლა პოლიტიკური წინასწარმეტყველების იმ კლასიკურ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს, რომლისაც თვით ნოსტრადამუსსაც კი შეშურდებოდა. აი, ეს წინასწარმეტყველებაც: „მე მინდა ძალზე გულწრფელად საუ-

ბარი თქვენთან და ქართველ ერთან... ჩემი ეს გამოსვლა არ გეგონოთ ულტიმატუმი ან რაღაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის განცხადება. ეს არის რეალობა, რასაც მე თქვენ ახლა მოგახსენებთ... მე მივცემ პირუთვნელ შეფასებას შექმნილ სიტუაციას და იმ მოსალოდნელ შედეგებზე გესაუბრებით, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას, ვინაიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს ყველაფერზე, ვიდრე ყოველ თქვენგანს... სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით: ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში, სულ მცირე, რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით, ყველამ დაძაბეთ გონება და, განსაკუთრებით, გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ... ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და, კერძოდ, თბილისში. და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება თითო შეიარაღებული ხელისუფლება – შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეიარაღებული ბანდის ხელში... მათ შორის ბრძოლა ძალაუფლებისა და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზები, კომუნიკაციები... საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება ლიბანიზაცია... საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და, საერთოდ, საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას... ეს არ არის მუქარა... ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ,

თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინცდამაინც მე დავრჩე ამ პოსტზე, ჩემო ბატონებო. ეს არის რეალობა და მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი, ამ რეალობას!“ [99]

დღემდე არ წყდება მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, თუ რატომ გამოავლინა ზვიად გამსახურდიამ სისუსტე, უპრინციპობა და რატომ არ გაანადგურა თბილისის ზღვაზე თავშეყრილი კიტოვანი და მისი ბანდა მაშინ, როცა მას საამისოდ ძალებიც ჰქონდა და, სხვა თუ არაფერი, დახმარებას ჩეჩნეთის პრეზიდენტი, უახლოესი მეგობარი ჯოჰარ დუდაევიც სთავაზობდა?! ამ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ზვიად გამსახურდიას პირად მძღოლ გურამ ოქროცვარიძის მოგონებები, რომელიც 2002 წელს გამოქვეყნდა.

აი, რას იხსენებს გურამ ოქროცვარიძე: „ბატონმა ზვიადმა გვითხრა, რომ არ შეიძლებოდა მისი მხრიდან ასეთი მოქმედება, რამეთუ მათ წინააღმდეგ ასეთი ფორმით ბრძოლა უაზრობა იქნებოდა და აი, რატომ. როგორც მან აღნიშნა, კიტოვანი და მისი მოღალატე გვარდია იმართებოდნენ უფრო ზევიდან. აქ შეიძლება, კიტოვანი არ ყოფილიყო ხელმძღვანელი, მის მაგივრად აუცილებლად სხვა გამოჩნდებოდა – ეს ერთი. მეორეც – არის ასეთი საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰელსინკის კავშირი“, რომელიც იცავს ადამიანის უფლებებს და, იმდენად, რამდენადაც ბატონი ზვიადი „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ თავმჯდომარე იყო, მან კარგად იცოდა ყველა ის დებულება, რომლებიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციას გააჩნდა და თუკი ის ჩაიდენდა ამ დებულების საწინააღმდეგო მოქმედებას, მაშინ შესაძლოა, ამ ორგანიზაციას ჩაეთვალა, რომ ბატონი ზვიადი სათავეში მოსულა თანამდებობისთვის და არა თავისი ერის კეთილდღეობისთვის. ამდენად, გამართლებული არ იქნებოდა მისი მხრიდან ასეთი მოქმედება. და კიდევ შემდეგი: საქართველოში ხმები იყო გავრცელებული, რომ თითქოს ბატონი ზვიადი კიტოვანმა და იოსელიანმა უფრო ზევიდან მითითებით დაამხეს. ეს შეკითხვაც დავუსვით მას, როდესაც იგი ეზოში

ისვენებდა და მასთან ერთად სკამზე ვისხედით. მან ამ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაგვცა: „მე დევნილად არც კიტოვანს, არც იოსელიანსა და არც შევარდნაძეს გადავუქცევივარ! რომ არ ყოფილიყვნენ ეს პიროვნებები, გამოინახებოდა სხვა გვარები, სხვა პიროვნებები, რომლებიც მასონების ამ დავალებას ისევე შეასრულებდნენ, როგორც ეს გააკეთეს მათ. გურამ, შენ, ალბათ, არ იცი, ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა რატომ თქვა, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდისო! არ გეგონოს, ეს მდინარის დინება იყოს, ეს არის მასონური მოძრაობის დინება, რომელსაც მე შევეწინააღმდეგე ჩემი ეროვნული იდეებითა და მოქმედებით. რას ნიშნავს მასონები, რას სურთ მათ? აი, ეს არის, პირველ რიგში, თქვენთვის გასარკვევი! მე შევეცდები, ისეთი ენით აგიხსნათ, რომ თქვენთვის ყველაფერი იოლად გასაგები გახდეს. დღეს მსოფლიოში ყველა წამყვან დიდ სახელმწიფოს მართავენ მასონები. მან ჩამოგვითვალა ძალიან ბევრი სახელმწიფო, რომლებსაც მართავდნენ მასონები, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებშიც. მათ სურთ, რომ მთელი დედამიწის ზურგზე შეიქმნას ერთი სალაპარაკო ენა, ერთი რწმენა, ერთი ფულადი ერთეული და არ იყოს ეროვნებები. უნდა არსებობდეს ერთი ერი. აი, ეს არის მასონების ერთადერთი და ძირითადი დევიზი. ამიტომ კიდევ გიმეორებთ – რომ არ ყოფილიყვნენ კიტოვანი, იოსელიანი და შევარდნაძე, ისინი გამონახავდნენ პიროვნებებს, რომლებსაც დაეყრდნობოდნენ და ამ საქმეს მაინც გააკეთებინებდნენ. კიდევ ამბობენ, რომ თითქოს მე ვიჩქარე და ყველაფერი უცბად მოვინდომე, თითქოს ვლანძღავდი ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფოს მეთაურებს და რომ ეროვნული პოლიტიკა არ მიმყავდა ისე, როგორც საჭირო იყო. მე განვაცხადე, რომ ჩვენთვის არ იქნება არც ევროპა, არც ამერიკა, არც რუსეთი, ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ ჩვენს თავს, რა თქმა უნდა, მათთან უნდა გვქონოდა მჭიდრო ურთიერთკავშირები თანაბარ დონეზე, რომ კაცი უმეზობლოდ არ ვარგა. მე მინდა, ის ვთქვა, რომ არათუ ვიჩქარე, არამედ კიდევაც ბევრი ვერ მოვასწარი საქართველოს საკეთილ-

დღეოდ. მე ვგრძნობდი, რომ ეს ასე მოხდებოდა, ამიტომაც ვიჩქარე და გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, ჩავატარეთ რეფერენდუმი, ისტორიული სამაჩაბლო აღვადგინეთ... ეს ყველაფერი ისტორიის კუთვნილებად დარჩება. აი, ჩემი სიჩქარის მიზეზი!“ [100, 72-73]

4-5 ოქტომბრის ღამეს განვითარებული დრამატული მოვლენების შემდეგ 21 ოქტომბერს გიორგი ჭანტურიას „ედპ“-მ ტრადიციული ინფორმაციული მიტინგების გამართვა აღადგინა. ამ ფაქტს წინ უსწრებდა 20 ოქტომბერს ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას დაპატიმრება, რომელიც ტელერადიოდეპარტამენტში თვითნებურ და არაკანონიერ სტრუქტურას – კოლეგიას ხელმძღვანელობდა და ჟურნალისტებს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ აბუნტებდა, რადგან ედუარდ შევარდნაძისა და ნუგზარ ფოფხაძის ინსტრუქციებით მოქმედებდა. კვარაცხელია 23 ოქტომბერს გაათავისუფლეს, რაც ხელისუფლების მძიმე შეცდომა იყო. ვალერი კვარაცხელია, რომელიც ღიად და დაუფარავად იყო შემდგარი სახელმწიფო გადატრიალების გზაზე, ან არ უნდა დაეპატიმრებინათ, ანდა არ უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან ის პირდაპირ მიერთებული გახლდათ შევარდნაძესთან და შეიარაღებული გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი და სულისჩამდგმელი იყო. სწორედ ვალერი კვარაცხელია გვევლინება 12 სექტემბერს დაწყებული იმ სამარცხვინო გაფიცვის ერთ-ერთ „უსტაბაშად“, როცა ტელევიზიის თანამშრომლები ტელევიზიის კიბეებზე წამოგორდნენ და კიტოვანის გვარდიელებთან ერთად ტელერადიოდეპარტამენტის შენობა ლამის საროსკიპო სახლად აქციეს. სხვათა შორის, ტელევიზიის კიბეზე მაშინ კიტოვანის გვარდიელებთან ერთად წამოკოტრიალებული იყო „სუს“-ის აგენტ-პროვოკატორი და ყველა ხელისუფლებასთან დაახლოებული ელისო კილაძეც, რაც მან ჩვენთან წლების წინათ საგაზეთო ინტერვიუშიც აღიარა და არც ეს დამალა – „მაშინ ვერ ვაცნობიერებდი, თუ რუსეთის საქმეს ვაკეთებდიო!“

1991 წლის ნოემბრის დასაწყისში გიორგი ჭანტურიამ ციხიდან გამოგზავნა წერილი, რომელიც ღალატისა და სამშობლოს მტრობის კლასიკურ დეკლარაციად უნდა მივიჩნიოთ. „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ შეფი და ედუარდ შევარდნაძის მიერ მოსკოვში წარმატების გადაბირებული გიორგი ჭანტურია პარტიის მთავარ კომიტეტს სწერდა: „ჩემს უფლებამოსილებას ჩემს პატიმრობის პერიოდში გადავცემ ირინა სარიშვილს. ის, ვინც დღეს სტაბილიზაციისკენ გადადგამს ნაბიჯს, საკუთარ თავს დააყენებს პარტიის გარეთ!“ [1:384]

საქართველოს ჰყავდა ერთი სისხლიანი და გარეწარი მეფე, კახეთის ხელმწიფე გიორგი მეორე (1469-1513 წწ.), რომელმაც 1511 წელს საფურცლის ჭალაში მამა – მეფე ალექსანდრე პირველი – მოკლა, ხოლო ძმას – დიმიტრი ბატონიშვილს – თვალები დასთხარა და კახეთიდან გააძევა. ავგიორგის მეფობის ჟამს აღმოსავლეთ საქართველოში მშვიდობა ვერ დამყარდა, რადგან ეს მტარვალი შეკრებდა კახელების ლაშქარს და ქართლის სოფლებს გამუდმებით არბევდა და აწიოკებდა.

„ედპ“-ის ბოსი გიორგი ჭანტურია სწორედ თანამედროვეობის „ავგიორგი“ იყო, რომელსაც საქართველოში მშვიდობა არ სურდა და ამისთვის ციხეში გამომწყვდეულიც კი „ზრუნავდა“.

სწორედ „ავგიორგი“ ჭანტურიას და მისთანების საშინელ ღალატს აპროტესტებდა 35 წლის ზესტაფონელი კარდიოლოგი გია აბესაძე, რომელმაც 1991 წლის 12 სექტემბერს რუსთაველზე სწორედ „ედპ“-ის პარტიის წინ დაიწვა თავი. მან წერილი დაუტოვა თავის შვილს, რომელშიც ვკითხულობთ: „თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთმა ქნას – ბოლო. შვილო, მაპატიე, ვიცი, რომ გამიგებ!“ [45:49]

შეიარაღებული პუტჩისტები გონს ვერც გია აბესაძის გმირობამ მოიყვანა და ვერც 1991 წლის 21 დეკემბერს ხელისუფლების უკანასკნელმა მცდელობამ – სიტუაცია განმუხტულიყო. ყველაფე-

რი საშინელი კატასტროფისკენ მიექანებოდა, თითქოს განგებას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ საქართველო უნდა დაღუპულიყო. აი, როგორ იხსენებს ცნობილი ლიტერატორი და ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლი თემურ ქორიძე იმ ავბედით დღეს:

„1991 წლის 21 დეკემბერს პარლამენტის შენობასთან კვლავ საპროტესტო გამოსვლები გრძელდებოდა. მძიმე ავტობუსები და სატვირთო მანქანები ერთმანეთისგან მიჯნავდნენ ხელისუფლების მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს. აშკარად იკვეთებოდა ამ უკანასკნელთა დაჟინებული მცდელობა – რადაც უნდა დასჯდომოდათ, უთუოდ მოეხდინათ შეტაკების პროვოცირება. საღამო ხანს თენგიზ სიგუა ხმამაღლა აცხადებს, რომ სურს, პარლამენტის კიბიდან მიმართოს საქართველოს პრეზიდენტს და შეკრებილ საზოგადოებას. მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. დაპირისპირება პიკს აღწევდა. სასწრაფოდ შევხვდი ზვიად გამსახურდიას და დავითანხმე, რომ მე თავად გადავიდოდი მოწინააღმდეგეთა ბანაკში, შევხვდებოდი თენგიზ სიგუას და კონკრეტული წინადადებებით მივმართავდი მას. მართლაც, სულ მალე მიკროფონით მივმართე თენგიზ სიგუას და ჩემი გადაწყვეტილების თაობაზე ვაცნობე. თანაშემწესთან – ირაკლი დვალიშვილთან, ერთად იმ ადგილისკენ გავემართე, სადაც თენგიზ სიგუას მიკროავტობუსი იყო გაჩერებული. ხელისუფლების სახელით მას შემდეგი წინადადებით მივმართე: „ორ საათში გაიმართება უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელიც:

ა) დაითხოვს მინისტრთა კაბინეტს, რათა ოპოზიციასთან ერთად დაიწყოს კოალიციური მთავრობის ფორმირება;

ბ) დაინიშნება უზენაესი საბჭოს ვადამდელი არჩევნები;

გ) გამოცხადდება „პრეზიდენტის ნდობის რეფერენდუმი“.

თენგიზ სიგუასთვის ხელისუფლებიდან წამოსული ასეთი დათმობა მოულოდნელი აღმოჩნდა. „გამსახურდია რისი გამსახურდია იქნება, ამაზე რომ წამოვიდესო...“ სხვათა შორის, ამ შეხვედრაზე თენგიზ სიგუამ ისიც მითხრა – ორასი ათასი კაცი აპი-


რებს ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გამოსვლას, მაგრამ ამ ხალხს მე ვაჩერებო! – რატომ აჩერებთ-მეთქი, ვკითხე, დაე, გამოსულიყვნენ და თავიანთი პოზიცია ღიად გამოეხატათ, ვინ გაბედავდა ამდენი ხალხის წინააღმდეგ წასვლას?!

ეს თემა სწრაფად ამოიწურა. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ, მგონი, სიგუა დავარწმუნე, რომ პრეზიდენტი ნამდვილად მზად იყო კონსტრუქციული მოქმედებისთვის. საუბრის დასრულების შემდეგ მომიტინგეებს მივმართე და შერიგებისკენ მოვუწოდე. უკან, პარლამენტის შენობისკენ გამოვემართე, შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ძმა ძმაზე ხელს არ აღმართავდა და სისხლი არ დაიღვრებოდა. პარლამენტის კიბეებთან მიახლოებისას მოულოდნელად ვიღაცის გამყინავი ხმა წამომეწია: „ზვიად გამსახურდიავ! შენ ვერ ეღირსები ახალი წლის დადგომას!..“ ამას მოჰყვა ყურისწამღები ხმაური და ეგზალტირებული მასის აბობოქრება. სულ მალე სროლაც დაიწყო და საქართველოში ხანგრძლივმა წყვდიადმა დაისადგურა. დღეს უკვე სრულიად გასაგებია, თუ რატომ უგულებელყვეს 1991 წლის 21 დეკემბერს ჩემ მიერ წამოყენებული წინადადებები. ამით ხომ საქართველო მტანჯველ დაპირისპირებას გადაურჩებოდა... რაღა თქმა უნდა, საქართველო გადარჩებოდა, მაგრამ საქართველოს გადარჩენა მაშინ ზვიად გამსახურდიას გადარჩენას ნიშნავდა. მათ კი, მეორე გზა აირჩიეს – ზვიად გამსახურდიას ტყვია ესროლეს და ის ტყვია საქართველოსაც მოახვედრეს!“ [101:49-51]

ზვიად გამსახურდიას პირად მძღოლ გურამ ოქროცვარიძის მიხედვით, პირველი ტყვია თბილისში არა 1991 წლის 22 დეკემბრის 08:40 საათზე, არამედ 21 დეკემბრის, დაახლოებით, 23:00 საათზე გავარდა. როგორც ოქროცვარიძე იხსენებს, 1991 წლის 21 დეკემბერს, „ღამის თერთმეტი საათისთვის, ბატონი პრეზიდენტი „კოლხურ კოშკში“ აიყვანა, პირადი დაცვის ნაწილი სამორიგეოდ დარჩა მასთან, ნაწილი კი გაუშვა. ისიც მათთან ერთად „06“-ით გაეშურა სახლისკენ, მასთან ერთად წამოვიდნენ პირადი დაცვის ის წევრე-

ბი, რომლებიც მის მხარეს ცხოვრობდნენ. კეკელიძის ქუჩიდან გადაკვეთა ჭავჭავაძის ქუჩა და დაეშვა ვარაზის ხევით. ამ დროს მოესმათ სროლის ხმა და დაინახეს, როგორ გადაიფრინა გაწითლებულმა ტყვიამ მათი მანქანის თავზე. მან სწრაფად დაამუხრუჭა და შემოაბრუნა მანქანა. ამ დროს შენიშნა ვარაზის ხევისა და მელიქიშვილის ქუჩის კუთხეში ახალგაზრდა კაცი, რომელმაც იარაღი ისროლა და კედელზე ახტომასა და მიმალვას ცდილობდა. მისმა თანამგზავრებმა ის დააკავეს და თავის იარაღთან ერთად ვაკის პოლიციის განყოფილებას ჩააბარეს. მერე მათ გზა გააგრძელეს!“ [100: 3-4]

ფასდაუდებელია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, სოხუმიდან დევნილ პროფესორ როლანდ ნიჟარაძის მოგონება, რომელიც თბილისში 1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებულ სისხლისღვრასა და გაცხადებულ კრიმინალურ გადატრიალებას პედანტური სიზუსტით აღწერს. ნიჟარაძე ხაზგასმით აცხადებს, რომ თენგიზ სიგუა მთავრობის სასახლეზე შტურმის დაწყების მომენტში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდია რომც დანებებულიყო და ხუნტისტებს ჩაჰბარებოდა, მას მაინც არ დაინდობდნენ და ფიზიკურადაც გაუსწორდებოდნენ, რასაც შეიარაღებულ ბანდიტებთან საუბრისას თენგიზ სიგუა არც მალავდა.



პროფესორი
როლანდ ნიჟარაძე

აი, რას იხსენებს პროფესორი როლანდ ნიჟარაძე: „1991 წლის 22 დეკემბერს, გამთენიისას, დაახლოებით, 03:00 საათზე, მე და ერთი სოხუმელი კაცი, მილიციის თანამშრომელი, გვარად ჩარქსელიანი, სასტუმრო „თბილისში“, ჩვენს ნომერში, 317-ე ოთახში შევდიოდით. მაშინ სოხუმის უნივერსიტეტში ვმუშაობდი და სო-

ხუმიდან თბილისში ხშირად ჩამომყავდა პრეზიდენტის მშვიდობიანი, უიარაღო მხარდამჭერები... ცოტა ხანს მეძინა და ხმაურმა გამომაღვიძა... გავიხედე გარეთ და, რას ვხედავ, სასტუმრო „თბილისის“ წინ საარტილერიო დანადგარებს ამონტაჟებდნენ!.. ვიცანი თეთრ სამხედრო ქურქში გამოწყობილი გია ყარყარაშვილი... ამასობაში კარზე დაგვიბრახუნეს და ოთახში შემოვიდა ავტომატიანი სახეაშლილი ხალხი... იმ დღეს, რასაც მე დავაკვირდი, 25-30 კაცზე მეტი არ ეყოლებოდათ ამ ბანდიტებს, მეტი მეომარი სიგუას იქ არ ჰყავდა!.. გამოგვიყვანეს მე და ჩარქსელიანი, ჩაგვავლეს ხელი და სასტუმრო „თბილისის“ მესამე სართულზე, 313-ე ოთახში შეგვიყვანეს, სადაც თენგიზ სიგუა იჯდა... ოთახში ორი ფანჯარა იყო, რომლებიც რუსთაველის პროსპექტს გადაჰყურებდა. პირველ ფანჯარასთან იჯდა სიგუა, რომელსაც კაკო ბობოხიძე ეჯდა წინ!.. ბობოხიძე და სიგუა რაღაცას ჩურჩულებდნენ ერთმანეთში!.. სიგუა ბობოხიძესთან ჩურჩულს რომ მორჩა, შემომხედა და ჩემზე იკითხა – ეს ვინ არის? – ეს არის ნიჟარაძე! – უპასუხეს. – საიდან? – სოხუმიდან!.. – რა გინდა, ბიჭო, შენ აქ, რატომ ხარ? – მეკითხება სიგუა, რომელსაც სახე აშლილი აქვს, ხოლო პირიდან დორბლი მოსდის... – სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობ-მეთქი! – ვუთხარი. – ვინ არის შენი ხელმძღვანელი? – გრიგოლ მარგიანი!.. ტყუის! – წამოიძახა ვიღაცამ. – ახლავე გადავურეკოთ ავთო მარგიანს და ეგ დაგვიდგენს ყველაფერს! – ურჩევენ სიგუას. სიგუა სიტყვა სიტყვით აცხადებს – ავთო მარგიანისთვის ბევრად უფრო სერიოზული დავალება მაქვს მიცემული და ავთოს ამისთვის არ სცალია! ერთერთმა ავტომატიანმა პისტოლეტის დასამაგრებელი ტყავის თასმით დააპირა ჩემი დახრჩობა, მაგრამ სიგუამ თვალით ანიშნა – დაანებეთ თავიო!.. ამასობაში შემოიყვანეს მილიციის თანამშრომელი ჩარქსელიანი და ოთხი მილიციელი სამეგრელოდან, რომლებიც მივლინებით იმყოფებოდნენ დედაქალაქში მთავრობის სასახლის, პრეზიდენტისა და, საერთოდ, წესრიგის დასაცავად. დააყენეს ეს საწყალი მეგრელი მილიციელები კედლისკენ პირით და არტყმევი-

ნებდნენ თავებს კედელზე... თავები დაუხეთქეს საწყლებს... მილიციელ ჩარქსელიანსა და იმ დანარჩენ მილიციელებს, რომლებსაც უმოწყალოდ სცემდნენ, ყველას აართვეს იარაღები. ჩარქსელიანმა წინა ღამით თბილი მოკლე ქურქი იყიდა. სიგუამ, ამ გათახსირებულმა კაცმა, გააძრო ეს ქურქი, ანუ „დუბლიონკა“ ჩარქსელიანს და თავის გამოშტერებულ მეომარს ჩააცვა... ის საწყალი მილიციელები სამეგრელოდან, რომლებსაც თავებს არტყმევინებდნენ კედელზე, მგონი, საერთოდ დაინვალიდდნენ!..ამასობაში სროლა დაიწყო... სიგუას ეუბნებიან ავტომატიანი ბიჭები – ფანჯრიდან გამოიწიეთ, ფანჯარას მოშორდით, ტყვია არ მოგხვდეთო! მაგრამ სიგუა ისე იყო გაბრუებული და გათიშული, ფანჯარას არ მოშორებია, საერთოდ არ ჰქონდა რეაქცია... ამასობაში სიგუამ დაიწყო პრეზიდენტთან რეკვა... რეკავდა თვითონ... სიგუა ზვიადს აგინებდა უკანასკნელი სიტყვებით, უგინებდა ცოლს, აგინებდა ლელე არჩვაძეს... აგინებდა კონსტანტინე გამსახურდიას საფლავს... „კოწიას ბიჭო!“ – სულ ასე ეძახდა ზვიადს... 12 საათამდე ორმოცჯერ მაინც დაურეკა ამ ნაძირალა სიგუამ ზვიადს... დარეკავდა და ყურმილში ისტერიული ხმით დაიკივლებდა, – „კოწიას ბიჭო, ახლა გაძლევ 20 წუთს, გამოდი, ჩამბარდი!“ გავიდოდა 20 წუთი, ზვიადი არ დარეკავდა, სიგუა იხმობდა რომელიმე თავის ნაძირალა ავტომატიანს და ეტყოდა – ჩადი და გიას უთხარი, რომ დასცხოს!.. ჩავიდოდა სიგუას მეომარი და გია ყარყარაშვილიც მშვენივრად ასრულებდა დავალებას – ატყდებოდა ზარბაზნების გრიალი, ბომბებს უშენდნენ მთავრობის სასახლეს!.. ამოვიდოდა ის მეომარი და მოახსენებდა სიგუას – დავალება შესრულებულიაო!.. ამის შემდეგ ისევ ურეკავდა სიგუა ზვიადს – „ჩაისვარე?“ ამ სიტყვას ამავე მნიშვნელობის მქონე სხვა ბინძურ სიტყვასაც მოაყოლებდა... მილიციელები – საწყლები, ამდენი ცემისა და კედელზე თავის ხეთქების შემდეგ ოთახიდან გაიყვანეს, მაგრამ სად, არ ვიცი. ჩემდა გასაკვირად, მე არ შემხებიან... 4 საათამდე მაყურყუტეს იმ ოთახში და დღემდე არ ვიცი, რატომ... პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი ვარ და მე ასეთ ხალხს ვცნობ

– დარწმუნებული ვარ, თენგიზ სიგუა „კაიფში“ იყო... ჟურნალისტ მერაბ ბერაძის გარდა მე იქ ნორმალური კაცი არ შემხვედრია, ყველას შეშლილი სახე ჰქონდა და დორბლი სდიოდა. რომ არა მერაბ ბერაძე, ცოცხალი არ ვიქნებოდი... სწორედ მერაბმა მანიშნა თვალით – სიგუას ნუ ეკამათებიო!.. ყველაფერი იყო სიგუასგან მოსალოდნელი, კაცი გადასული იყო ჭკუიდან, პირიდან დორბლი ჩამოსდიოდა, უბინძურესი სიტყვებით იგინებოდა... ჩარქველიანი და მეგრელი მილიციელები რომ შემოიყვანეს, სიგუამ დაიღრიალა – ამ სვანებმა და მეგრელებმა აამყრალეს თბილისი, ერთს არ დაგტოვებთ აქ, ყველას გაგყრით აქედან, თქვენი დედაც მო...ო!.. – ამათ გაყრი, მაგრამ თბილისს არაქართველები არ აკლია, მგონი-მეთქი! – შევეპასუხე სიგუას... – ამას მომავალი მთავრობა გადაწყვეტსო! – შემომიღრინა სიგუამ და სწორედ ამ დროს მანიშნა მერაბ ბერაძემ თვალით – ნუ ეკამათებიო!.. ჩემს იქ ყოფნაში ზვიადმა რამდენიმეჯერ დაურეკა სიგუას. მე არ მესმოდა და არ ვიცი, რას ამბობდა პრეზიდენტი, მაგრამ სიგუა აქედან ბღაოდა – არა, არცერთი დღე, არცერთი საათი, გადადგები, გადადექი, მოლაპარაკების დრომ გაიარა!.. 12 საათის შემდეგ სიგუამ თავისი მოთხოვნა შეცვალა და ზვიადს ეუბნება – გამოხვალ შენი ბუდიანად, შენი ცოლ-შვილით, ჩაჯდები მანქანაში, ჩაგიჯდები მე, მე თვითონ მიგაცილებ ბათუმამდე!.. სიგუამ ეს რამდენიმეჯერ გაუმეორა პრეზიდენტს... ყოველ ოც წუთში სიგუა შუამავალს გზავნიდა ყარყარაშვილთან და ისიც უსიტყვოდ ასრულებდა სიგუას ბრძანებას – უშენდა და უშენდა ცეცხლს მთავრობის სასახლეს... ერთ-ერთმა გამოშტერებულმა ავტომატიანმა, რომელიც ნარკომანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სიგუას ჰკითხა – ბატონო თენგიზ, თქვენ მართლა ბათუმამდე ჩააცილებთ გამსახურდიას? სიგუამ აგდებულად გადახედა იმ ავტომატიანს და წაისისინა – ბათუმამდე ჩავაცილებ კი არადა, ნატახტართან ამოვეკუჟავ დედაბუდიანად! აი, ეს თქვა თენგიზ სიგუამ... მოკლედ, მთელი იმ ხნის განმავლობაში ოთახში ვყავდი დამწყვდეული თავისთან. დარწმუნებული ვარ, ვახსოვარ და იცის, რომ ყვე-

ლაფერი ჩემი ყურით მოვისმინე და ჩემი თვალით ვნახე!.. რაც მე იმათ გარემოცვაში ვიყავი, სიგუას 25-30 კაცი თუ ეყოლებოდა, მაგრამ ვერ ივარგა ჩვენმა მხარემ, ვერ შემოუტია და ვერ აიყვანა ეგენი იმ დღესვე!.. ვისაც უნდა სცოდნოდა, ზვიადის გარშემო ყველამ იცოდა, რომ 22 დეკემბერს ესენი მთავრობის სასახლეზე იერიშს ამზადებდნენ. მე მეგრულიც ვიცი და სასტუმრო „თბილისში“ მოვკარი ყური, თუ რას აპირებდნენ ეს არაკაცები 22 დეკემბერს... ამის შესახებ მაღალჩინოსნები გავაფრთხილე კიდეც... ისიც მახსოვს, რომ მაშინ სასტუმრო „თბილისის“ ადმინისტრატორი ჩარკვიანი იყო გვარად და სწორედ ამ ჩარკვიანის გარშემო ფუსფუსებდნენ ეს ბანდიტები – „ამ ღამეს, შუაღამისას ჩვენ უნდა შემოვიდეთ აქ!..“ სადაც საჭირო იყო, ამის შესახებ დაუყოვნებლივ განვაცხადე... პრეზიდენტთან ვერც შევედი და არც იყო საჭირო, მაგრამ ქალაქის მილიციის ხელმძღვანელობამ ეს იცოდა... დიახ, დილარ ხაბულიანმაც იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ხაბულიანი მაშინ ავად იყო, საავადმყოფოში იწვა... მე დამამშვიდეს... ხაბულიანმა გამოიძახა გერმანე თალაკვაძე – რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების უფროსი... ამის შესახებ ინფორმაცია მოვახსენე რაფავასაც... ერთი სიტყვით, 4 საათამდე იქ ვყავდით ოთახში... სიგუა სადღა არ რეკავდა, მახსოვს, გულუსაც ელაპარაკა. მერე ავტომატიანებს დაუძახა და ჩემზე უთხრა – თავის ოთახში შეიყვანეთო!.. ორმა ავტომატიანმა მიმაცილა ოთახამდე და დამიწყეს ყარაულობა. ამასობაში ერთი გაუპარსავი ბიჭი მოვიდა და მეკითხება – სადაური ხარ? – სოხუმელი! – ვუპასუხე... – სვანური იცი? – ვიცი!.. – ნუ გეშინია, მე შენ გიცნობ!.. ეს რომ გავიგონე, შვებით ამოვისუნთქე. ეს ბიჭი აღმოჩნდა სვანი, გვარად გოშთელიანი, რომელიც ამ პუტჩისტების მხარეს ომობდა, მაგრამ რადგან სვანი იყო, მაინც ყურადღება მომაქცია. როცა დაბინდდა და ოდნავ სიჩუმემ დაისადგურა, გოშთელიანმა გამომიყვანა, კიბეებამდე ჩამომაცილა და მითხრა – ახლა წადი, ხალხში გაერიე!.. მერე მოვიკითხე ეს გოშთელიანი და მითხრეს, რომ ამ ომში მომკვდარა, თურმე... კიბეზე რომ

ჩამოვდიოდი, ავტომატგადაკიდებული გელა ლანჩავა ვნახე იქ... ზვიადს ნამდვილად ჰყავდა ბევრი მოღალატე და უწიგნური გარშემო, მაგრამ როგორც ე.წ. პროფესორი, როგორც „რუსთაველის საზოგადოების“ ერთ-ერთი ლიდერი და ამოდენა მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორი თენგიზ სიგუა იქცეოდა და როგორი მყრალი სიტყვებითაც ის იგინებოდა, მსგავსი ბილწსიტყვაობა არ მსმენია... დღემდე გაოცებული ვარ... ჩემ გარშემო, ვისაც მე ვიცნობ, ბავშვს სახელად „თენგიზს“ არავინ არქმევს! როგორც „შადიმანსა“ და „ფარსადანს“ არ არქმევენ საქართველოში ბავშვებს, ასეთივე დატვირთვა შეიძინა „თენგიზმაც“... სწორედ ამ კაცის სახელით დაიწყო საქართველოს ნგრევა, რომელსაც წარმატებით აგრძელებენ შევარდნაძის დღევანდელი მემკვიდრეები!..“ [102:10-11]



1992 წლის 6 იანვარი.
პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია საქართველოს ტოვებს

თუ რა მოხდა ამის შემდეგ, რა ღალატი ჩაიდინა ბესო ქუთათელაძემ, რომელმაც პუტჩისტებს სატელევიზიო ანძა ჩააბარა, როგორ ესროდნენ სასტუმრო „ივერიის“ სახურავიდან მთავრობის სასახლეს „ნურსის“ ტიპის რაკეტებს, როგორ უტევდნენ უნივერმაღ „თბილისის“ მეოთხე სართულიდან კანონიერი ხელისუფლების დამცველებს ვაჟა ადამია და მისი ბანდა, რომლებმაც თავისუფლების მოედანზე უზენაესი საბჭოს დეპუტატი არკადი მარკოზია მოკლეს და 1992 წლის 6 იანვარს, გამთენიისას, როცა ზვიად გამსახურდია და მისი ხელისუფლება თბილისს ტოვებდნენ, როგორ ჩაცსრილეს „იკარუსის“ მარკის ავტობუსში უიარაღო ადამიანები, მათ შორის, სახელოვანი გოგი

გაბროშვილი სამაჩაბლოდან, რომლის თავიც ოს სეპარატისტებს 5 კილოგრამ ოქროდ ჰქონდათ შეფასებული, საქვეყნოდ ცნობილია.

სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების დღეებში რესპუბლიკის ყოფილ სამხედრო კომისარს, გენერალ ლევან შარაშენიძეს სისტემატური კავშირი ჰქონდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოვალეობის შემსრულებელ სუფიან ბეპაევთან, რომელიც ოპოზიციას იარაღს აწვდიდა. იმავე „გენერალ შარაშენიძის აღიარებით, 1991 წლის 31 დეკემბერს ზვიად გამსახურდიას მოუსპეს სატელეფონო კავშირის შესაძლებლობა. მანამდე პრეზიდენტი „ვეჩეთი“ უკავშირდებოდა მოსკოვს, გროზნოსა და სხვა საჭირო ობიექტებს. 31 დეკემბერს ალექსი ინაურის ყოფილმა მოადგილე ოთარ ხატიაშვილმა, რომელიც ეროვნული ხელისუფლების დროს სანმოკლე ხნით უშიშროების მინისტრიც იყო, მეამბოხეებს მიასწავლა ის ჭა, სადაც სატელეფონო კაბელი გადიოდა“. [103:191]

იმ ავბედითი დღეებიდან ოცდაათი წელი გავიდა და ჩადენილი დანაშაულებისთვის არც არავინ დაუპატიმრებიათ და პასუხიც არავის არაფერზე უგია... ხელში შეგვრჩა დანგრეული საქართველო, მიწასთან გასწორებული და გაპარტახებული ზნეობა, მოშლილი განათლება, გაღატაკებული მოსახლეობა, შეზანზარებული ეკლესია, რომელსაც მამათმავლები და დედათმავლები უტევენ და შევარდნაძის ერთ ცინიკური განცხადება – „ზვიად გამსახურდია აქედან თავისი ნებით წავიდა... და კიდევ კარგი, რომ არ ესროლეს!“ [104:3]

გადატრიალების შემდეგ შევარდნაძისა და მისი ხელისბიჭების მიერ შექმნილი ე.წ. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის პირველი შეფი ირაკლი ბათიაშვილიც კი ხაზგასმით შენიშნავდა, რომ „დეკემბერ-იანვრის გადატრიალების ერთ-ერთი მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო რუსეთის და, კერძოდ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობა, გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამსახური, ამიერკავკასიის ქვედანაყოფი, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური, ამიერკავკასიის ოლქის სამ-

ხედრო კონტრდაზვერვის ქვედანაყოფი და, რაც მთავარია, რუსეთის ხელისუფალნი და პოლიტიკოსები". [103:508]

ბუნებრივად დაისმის კითხვა – მაინც როგორ შეხვდა დემოკრატიის საჭეთმპყრობელი დასავლეთი საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობას? პასუხი ერთია – სამარცხვინო დუმილით და ქვეყნის გადამტრიალებლებისადმი გამოცხადებული ერთპიროვნული მხარდაჭერით! ჩეხეთის პრეზიდენტი ვაცლავ ჰაველი ზვიად გამსახურდიას დაემალა და მის სატელეფონო ზარს არ უპასუხა; ვერც გერმანიის პარლამენტში მოხერხდა ზვიად გამსახურდიას გამოსვლა და საქართველოს პრეზიდენტი რომელიღაც კომიტეტის თავმჯდომარეს თუ მის მეექვსე მოადგილეს შეახვედრეს, ხოლო ამერიკის მაშინდელმა ადმინისტრაციამ საერთოდ თავი მოჭრა. კერძოდ, 1992 წლის 26 მაისს თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, პარაშუტისტების მიერ მოწყობილი აეროშოუს შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბეიკერმა შევარდნაძესა და მთელ მის ხროვას ქება-დიდება შეასხა, რის სანაცვლოდაც იქვე თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი ჯაბა იოსელიანისგან „საპატიო მხედრიონელის" ტიტული დაიმსახურა. ანუ ჯეიმს ბეიკერი – „დიდი დემოკრატი" და „შევარდნაძის მეგობარი" ყველა სიკეთესთან ერთად „საპატიო მხედრიონელიც" გახლავთ!

აი, ასეთი იყო დემოკრატიული მსოფლიოსა და დასავლეთის პასუხი იმ უბედურებაზე, რაც საქართველოში მათივე წაქეზებითა და ხელდასხმით 1991-1992 წლის სექტემბერ-იანვარში მოხდა. რაოდენ გასაკვირადაც გინდა მოგვეჩვენოს, „პლანეტის დემოკრატიის შუქურას" – ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სახელმწიფო დეპარტამენტს – 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები დღემდე არ შეუფასებია! ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციოზი ეთანხმება იმას, რაც „ნაცმოძრაობის" მომავალმა ფიურერმა და საქართველოს ნაპრეზიდენტალმა მიხეილ სააკაშვილმა 1992 წელს პოლონურ გაზეთ „ვპროსტისადმი"

მიცემულ ინტერვიუში ზვიად გამსახურდიას მისამართით თქვა. კერძოდ, ჟურნალისტ მარია გრიჟაკთან საუბარში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა: „გამსახურდიამ დაიწყო, როგორც დისიდენტმა, და დაასრულა, როგორც ტირანმა. ის სადამ ჰუსეინს ჰგავს!“ [46:4]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, რომელიც 1992 წლის 13 მარტს გროზნოში დევნილობაში შეიკრიბა, 1991 წლის 22 დეკემბერს საქართველოში მომხდარი მოვლენების შესახებ საგანგებო დადგენილება მიიღო. უზენაესმა საბჭომ ხუთპუნქტიანი დოკუმენტით დაადგინა, რომ 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება და გადატრიალების ორგანიზატორები არიან სამშობლოს მოღალატენი! მათ მიერ მიღებული ნებისმიერი დოკუმენტი გამოცხადდა იურიდიული ძალის არმქონედ. დამხობილმა კანონიერმა ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა! [105:1]

ქვეყნის გადამტრიალებლებმა, ცხადია, მომხდარი „დემოკრატიულ რევოლუციად“ შერაცხეს, რასაც პროფესორმა დიმიტრი შველიძემ „სიყალბე და სპეკულაცია“ უწოდა და პირდაპირ განაცხადა, რომ „მოსახლეობის ფართო ფენები ამბოხებას მხარს არ უჭერდნენ!“ [1:482] ოცდაათი წლის წინათ საქართველოში დატრიალებული უბედურების შესახებ საერთაშორისო შეფასებები ისეთივე წინააღმდეგობრივია, როგორც, მაგალითად, უცხოელი მეცნიერებისა და ანალიტიკოსების დამოკიდებულება შევარდნაძის პერსონის მიმართ. ასე, მაგალითად, ამერიკელი მეცნიერებისა და „ცერეუს“ სტაჟიანი თანამშრომლების – კაროლინ მაკგიფე ეკედეილისა და მელვინ ა. გუდმენის – შეფასებით, „შევარდნაძემ გამოიყენა ძალაუფლების ხელმისაწვდომი ინსტრუმენტები თავისი კარიერის წარმატებისა და შემდგომ თავისი პოლიტიკური მისწრაფებებისათვის საქართველოში. იგი თრგუნავდა დისიდენტებს და იშორებდა რეალურ თუ პოტენციურ ოპონენტებს“ [106:14]

ამერიკელ პროფესორ სტივენ ჯონსისა და „ბი-ბი-სის“ რუსული სამსახურის თანამშრომელ რობერტ პარსონსის გახმაურებულ ნაშრომში „საქართველო და ქართველები“ ვკითხულობთ, რომ „ხელისუფლებაში გამსახურდიას ყოფნის პერიოდი ხასიათდებოდა ძალისმიერი პოლიტიკით, ეკონომიკის მოშლით, საზოგადოების პოლარიზებით, საერთაშორისო იზოლაციით და, საბოლოოდ, დასრულდა ომით. მაგრამ გამსახურდია, რომელიც იყო არაკომპეტენტური, გულუბრყვილო, ავტორიტარული და მიდრეკილი თვითგანდიდებისა და პარანოიისკენ, იყო მხოლოდ ნაწილი იმ ტრაგედიისა, რომელმაც 1991 წლის დეკემბერში საქართველო სამხედრო გადატრიალებამდე მიიყვანა“. [106:48]

სტივენ ჯონსისა და რობერტ პარსონსის ეს ნაშრომი, რომელიც 1998 წელს სიამოვნებით გადმოთარგმნა ედუარდ შევარდნაძის ფონდმა „დემოკრატია და აღორძინებამ“, ერთ სიტყვასა და მინიშნებასაც კი არ შეიცავს 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებში შევარდნაძის მონაწილეობის შესახებ. პირიქით, უცხოელი მეცნიერები თავიანთი „ნაშრომის“ დასასრულს სამარცხვინო დასკვნაზე აწერენ ხელს და მთელ ქართველ ერს თვალში ნაცარს აყრიან, როცა გვარწმუნებენ: „შევარდნაძემ უზრუნველყო საქართველოს სახელმწიფო ხომალდის გადარჩენა მაშინ, როდესაც ის განსაკუთრებით ახლოს იყო ჩაძირვასთან!“ [106:57] ანუ იმის ნაცვლად, რომ დაეწერათ და ეთქვათ – შევარდნაძემ საქართველოს სახელმწიფო ხომალდი ჩაძირა, როცა საერთაშორისო მასონურ შტაბს გაურიგდა და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მოაწყოო! – უკუღმა ჭრეს და კერეს – შევარდნაძემ ქვეყანა გადაარჩინაო!

მიუხედავად ამ უკუღმართი შეფასებებისა, ჯონსიც და პარსონსიც ერთხმად აღიარებენ, რომ ის, რაც საქართველოში შევარდნაძის „მეორედ მოსვლის“ წინ მოხდა, „სამხედრო გადატრიალება“ [106:48] იყო. მოკლედ, ისეთი უკუღმართებიც კი, როგორიც ჯონსი და პარსონსი არიან, იძულებული გახდნენ, ეთქვათ, რომ „საბჭოთა ჯარი ფარულად ამარაგებდა ოპოზიციას იარაღით“. [106:51]

გერმანიის ელჩის მოადგილე ფილ ვაგნერი ცნობილ ჟურნალისტ ირაკლი გოცირიძესთან საუბრისას აღიარებდა: „ზვიადისტები“ არიან პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეები, რომლებსაც სურთ საქართველოს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ქვეყნის ერთიანობა!“ [107:3]

გერმანელი პროფესორი უირგენ ბერგერი მიიჩნევს, რომ „ზვიად გამსახურდია თავის კონკურენტებს იმის ღირსადაც არ თვლიდა, დიალოგი ეწარმოებინა მათთან“. [106:69] ბერგერი, რომლის სამშობლოს გაერთიანებასაც ზვიად გამსახურდიას სამშობლოს დაშლა მოჰყვა, შეფასებებში ძალიან აგრესიულია. მისი აზრით, „რაც უფრო მეტი დრო გადიოდა გამსახურდიას სათავეში ყოფნიდან, მით უფრო იწამლებოდა საზოგადოებრივი კლიმატი. ის პერიოდი ხასიათდებოდა ახალი ტაბუებით, თავისუფალი აზროვნების აკრძალვით და შავ-თეთრ კატეგორიებად ხედვით. გამოთქმებმა, როგორიც იყო „ერის მტერი“, „მოღალატე“ და „მოსკოვის მონა“, მტკიცე ადგილი დაიმკვიდრა როგორც მთავრობის, ისე ოპოზიციის პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში“. [106:70]

საინტერესოა, თუ ცოცხალია, დღეს რას იტყვის იურგენ ბერგერი – ვისაც ზვიად გამსახურდიამ ხელი დაადო, მათ შორის რომელი არ აღმოჩნდა „მტერი“, „კრემლის აგენტი“ და „მოღალატე“?

პირდაპირ გასაოცარია, მაგრამ პატივცემული პროფესორი ბერგერი 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებში ოდენ თენგიზ კიტოვანის მიერ დაწყებულ აჯანყებას გულისხმობს, რომელთანაც ედურდ შევარდნაძისა და დასავლეთის სახელმწიფოთა კავშირს ვერ ხედავს.

იურგენ ბერგერისგან განსხვავებით, საქართველოში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების წინააღმდეგ უმწვავესი კრიტიკით გაილაშქრეს ცნობილმა გერმანელმა ჟურნალისტებმა: „იოჰან გინტერმა, ფელიქს შულცმა, ვანდალ ვანზიდლერმა, ანდრეას ერმერმა. საქართველოში მომხდარი პუტჩი დაგმეს საერთაშორისო საფინანსო წრეების სადაზვერვო სამსახურების ორგა-

ნოებმა: „საერთაშორისო სავალუტო მიმომხილველმა“ და „სოვიეტ ენელისტიმ“. [18:619]

უფრო მეტიც, მას შემდეგ, რაც მსოფლიომ გავლენიან კინოდოკუმენტალისტ კრის ვერნერის მიერ გადაღებული „ნომენკლატურის შურისძიება“ იხილა, გაზეთმა „თაიმსმა“ პირდაპირ დაწერა, რომ „საზღვარგარეთელი დემოკრატები უნდა ჩაუფიქრდნენ თავიანთ ზნეობრივ არჩევანს, რადგან უპირობო მხარდაჭერა იმ თანამოაზრეებისა, რომლებმაც მიმართეს ძალადობას, კარგს არაფერს უქადდა მათ იმიჯს და დემოკრატიის ბედს ყოფილ საბჭოთა კავშირში“. [18:619]

თბილისში გადატრიალება სულ ახალი მომხდარი იყო, როცა ბელარუსში სამიტი გაიმართა. ამ სამიტზე თენგიზ სიგუას ხელმძღვანელობით 1992 წლის 3 იანვარს ჩამოყალიბებულმა სამხედრო საბჭომ, ანუ იმავე ხუნტამ, რომელიც თბილისსა და დანარჩენ საქართველოში მშვიდობიან მიტინგებს ხვრეტდა, რესპუბლიკის ყოფილი სამხედრო კომისარი, გენერალი ლევან შარაშენიძე მიავლინა. მან ხუნტის სახელით განცხადება გააკეთა და სამიტს ასე მიმართა: „საქართველოში გაიმარჯვა რევოლუციამ და ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა!“ ერთადერთი კაცი, რომელმაც სამიტზე მყოფ ლიდერთაგან ხუნტის წარმომადგენელს, გენერალ ლევან შარაშენიძეს, ხელი არ ჩამოართვა, ბელარუსის მაშინდელი ლიდერი სტანისლავ შუშკევიჩი გახლდათ. უფრო მეტიც, შუშკევიჩმა ხუნტის მოციქულ შარაშენიძეს პირდაპირ მიახალა: „საქართველოში კანონიერი ხელისუფლება დაემხო, ე.წ. თავდაცვის მინისტრი, გენერალი შარაშენიძე ხუნტის წარმომადგენელია. ჩვენ ვერ ვაღიარებთ და ვერ მოვიწონებთ იმას, რაც საქართველოში მოხდა!“ [103:191]

მწერალ რევაზ აბაშიძისთვის ქვეყნის პირველი პრეზიდენტი და მისი თანამოაზრეები მკვლელთა, მძარცველთა და დაქირავებულთა ბანდა იყო [77:298], ხოლო გადატრიალების ერთ-ერთი იდეოლოგი ედუარდ გუდავა, რომელიც საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობას სიხარულით მიესალმა, გადატრია-

ლების შემდეგ საქართველოს მოსახლეობას მოუწოდებდა – „შებრძოლებოდნენ არა ზვიად გამსახურდიას, არამედ ზვიადიზმის არსს!“ [77:314] სხვათა შორის, ედუარდ გუდავას, მის ძმას – თენგიზ გუდავას, და მისთანებს უმძიმესი პოლიტიკური განაჩენი გამოუტანა ამერიკელმა მოაზროვნემ ისაია გოლდშტეინმა, რომელმაც განაცხადა: „ოპოზიცია და დასავლეთის პრესა უსამართლოდ ამახვილებდნენ ყურადღებას შეცდომებზე და სავსებით გვერდს უვლიდნენ წარმატებებს, რომლებიც უთუოდ შეცდომებზე მეტი იყო“. [107:3]

პროფესორ იგორ კვესელავას განცხადებით, „დეზინფორმაცია დასავლეთში დიდი მონდომებით ვრცელდებოდა ვალერი ჭალიძის, თენგიზ გუდავასა და რადიოსადგურ „თავისუფლების“ სხვა თანამშრომლების მიერ!“ [77:167] სხვათა შორის, ისაია გოლდშტეინმა ვალერი ჭალიძე რომელიც ზვიად გამსახურდიას ამერიკაში ლანძღავდა, კრემლთან კავშირში ამხილა. [84: 277-280]

ფაქტობრივად, ისაია გოლდშტეინის აზრს იმეორებდა სახელოვანი ამერიკელი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიფსიც, რომელიც 1991 წლის ივნისში წერდა: „კავკასიაში მდებარე საქართველო მძიმე დაწოლას განიცდის. დასავლეთში თვლიან, რომ საქართველოში ზღუდავენ ეროვნულ უმცირესობათა უფლებებს და ტოტალიტარიზმის აღდგენისაკენ მიისწრაფვიან. ეს ბრალდება აბსურდულია და მისი წყაროა საბჭოთა მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია, რომელიც გამიზნულია, უცხოეთის თვალში ჩირქი მოსცხონ ქართველთა დამოუკიდებლობას!“ [108:4]

შევარდნაძის ცნობილი მეხოტბე ლადო ალფენიძე 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას „დემოკრატიულ რევოლუციას“ უწოდებდა, ხოლო ედუარდ ამბროსოვიჩს – „მოვლენას ისტორიაში“, რომელიც მან საქართველოს ცამეტ ღვაწლმოსილ მეფეს შორის ნოე ჟორდანიასთან ერთად გააერთიანა. [77:198] სხვათა შორის, ლადო ალფენიძე ინიციატივით გამოვიდა,

შექმნილიყო მეცნიერების ახალი დარგი – „შევარდნაძემცოდნეობა“!

ბონის უნივერსიტეტის პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი, პუბლიცისტი აშოტ მანუჩარიანი, რომელიც კონსტანტინე ზვიადის ძე გამსახურდიას მიერ ევროპაში გამოცემული გახმაურებული წიგნის – „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მარტვილი“ – მწვავე კრიტიკოსად მოგვევლინა, აცხადებდა, რომ საქართველოში სამხედრო გადატრიალებასა და „სამხედრო საბჭოს“ მმართველობას ხალხთა პროტესტი არ მოჰყოლია! [109:395]

სამწუხაროა, რომ აშოტ მანუჩარიანს 1992 წლის 3 იანვარს, 6 იანვარს და 2 თებერვალს შევარდნაძის მანქურთების მიერ მრავალათასიან მშვიდობიან მიტინგებზე დახვრეტილი ხალხის შესახებ არაფერი სმენია. თუმცა, ვერც იმას გამოვრიცხავთ, რომ მანუჩარიანმა ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ, ამის მიუხედავად, „ჯორივით უცილობლობს“ და შევარდნაძის სისხლიანი სუნტისთვის ნამუსის მოწმენდას ცდილობს!



თბილისი, 1992 წლის 6 იანვარი.
დანგრეული და გადამწვარი მთავრობის სასახლე

აშკარაა, რომ, როგორც აშოტ მანუჩარიანი, ისე მისი გენეტიკური ძმა – ანდრანიკ მიგრანიანი, მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე ცნობილ ქართველთმოძულე პროფესორ ქეროპე პატკანოვის ბოსტნიდან საქართველოს ეროვნულ იდეასა და თავისუფლებას ისეთივე გაშმაგებით ებრძვიან, როგორც დღევანდელი სომეხი „დაშნაკები“ დიდი და ერთიანი საქართველოს კვალს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში!

დასკვნა

1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები უპირობოდ უნდა შეფასდეს სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებად, როგორც ეს პროცესი დევნილობაში მყოფმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1992 წლის 13 მარტის საგანგებო სესიაზე შეაფასა. მოვლენათა პოლიტიკური ანალიზი და ის დოკუმენტები თუ წყაროები, რომლებსაც მუშაობის პროცესში ვეყრდნობოდით, მყარ საფუძველს გვაძლევს, განვაცხადოთ და დავასკვნათ შემდეგი:

1. სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც საქართველოში მოხდა, მხოლოდ რკონის ტყეში გავარდნილი კიტოვანის, გინებაში გაწაფული თენგიზ სიგუასა და „რამკიანი ქურდის" – ჯაბა იოსელიანის, „შემოქმედების ნაყოფი" არ ყოფილა და მას 1991 წლის გაზაფხულ-ზაფხულიდან ამზადებდა საგანგებო შტაბი, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და რუსეთის ხელისუფლების დასტურით ხელმძღვანელობდა ედუარდ შევარდნაძე.

2. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენებად წოდებულ სახელმწიფო გადატრიალებას უშუალოდ კურირებდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი, რომელსაც ედუარდ შევარდნაძის, როგორც ამერიკის სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული აგენტის, მიმართ პიროვნული ვალდებულებები ჰქონდა „ცივი ომის" დასრულებასა და საბჭოთა კავშირის დაშლაში შეტანილი წვლილის გამო.

3. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი ეროვნული ხელისუფლება იმთავითვე განწირული იყვნენ. გამსახურდიას ე.წ. ოპოზიციისთვის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გორბაჩოვ-ელცინის ადმინისტრაციისთვის ბზის ტოტები რომც დაეფინა და ნებისმიერი მათი სურვილი მონური მორჩილებით შეესრულებინა, საქართველოს პირველ პრეზიდენტს

მაინც დაამხობდნენ, რადგან შევარდნაძის სახით მისი შემცვლელი გამონახული იყო. გამსახურდიას ბედი გადაწყდა მაშინ, როცა პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონთან პირისპირ საუბრის დროს კავკასიაში წინა პლანზე წამოსწია არა ამერიკისა და რუსეთის, არამედ საქართველოს ეროვნული ინტერესები.

4. როგორც გაირკვა, ის პარტიები, რომლებმაც საქართველოში 1988 წლის ნოემბერში საპროტესტო აქციები დაიწყეს, სინამდვილეში ილია ჭავჭავაძესა და ეროვნულ იდეასთან კი არა, ედუარდ შევარდნაძესთან იყვნენ დაკავშირებული. „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“, „მხედრიონი“ და „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ წარმოადგენდნენ ედუარდ შევარდნაძის ხელისბიჭების კანტორას, „ტროას ცხენებს“ საქართველოს ჭეშმარიტ ეროვნულ მოძრაობაში, რომლებსაც ედუარდ შევარდნაძის ხაზინადარი, ცნობილი პარტიული ფუნქციონერი და „აგრომრეწვის“ თავმჯდომარე გურამ მგელაძე აფინანსებდა. ეს ყველაფერი ისე იყო შელამაზებული და შეფუთული, ზოგიერთი ამ პარტიის გულმხურვალე აქტივისტიც კი მხოლოდ სისხლიანი თამაშის დასასრულს მიხვდა, სინამდვილეში ვის ნავში იჯდა და ვის დროშას ემსახურებოდა!

5. არავითარი სიკეთე 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებას ქვეყნისთვის არ მოუტანია. პირიქით, მოვლენებმა, რომელთაც თავად ქვეყნის გადამტრიალებლებმა „სახალხო-დემოკრატიული რევოლუცია“ უწოდეს, ქვეყანა დაშალა და ქართველი ერის ფიზიკური არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა!

6. სახელმწიფოს მიერ 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივ-პოლიტიკურად შეუფასებლობა და გადატრიალების ორგანიზატორების პასუხისგებაში არმიცემა ქმნის იმის საშიშ პრეცედენტს, რომ მსგავსი გადატრიალება შიდა თუ გარე გავლენიანი პოლიტიკური ძალების მიერ მომავალშიც წახალისებული იქნება, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობასა

და ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას სამუდამო წერტილს დაუსვამს!

7. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალებამ და მისმა უმძიმესმა შედეგებმა ცხადყო დიდი ჯორჯ გორდონ ბაირონის ცნობილი სიტყვების ჭეშმარიტება – „დემოკრატია თავზეხელაღებულთა არისტოკრატიაა!“ საქართველოს დამოუკიდებლობასა და მის პირველ პრეზიდენტს რუსულ-ამერიკული ტანდემის სახით მართლაც დაუპირისპირდა თავზეხელაღებულთა კასტა, რომელსაც დემოკრატიასთან საერთო ისევე ჰქონდა, როგორც მეკობრეთა ხომალდს – სათნოების სახლთან!

8. ვიდრე საქართველოში 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური შვილობილები ქვეყნის ხელისუფლებაში იქნებიან, საქართველო წინ ვერ წავა, რადგან შევარდნაძის უკლებლივ ყველა პოლიტიკური მემკვიდრე ანგარიშვალდებულია არა ქართველი ერის, არამედ იმ საერთაშორისო მაფიის წინაშე, რომელმაც საქართველოში მომხდარი სისხლიანი გადატრიალება გაამართლა და შევარდნაძე ხელისუფლებაში მოიყვანა.

9. ზვიად გამსახურდიას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ არცერთი მისი შეცდომა სისხლისღვრად და უბედურებად არ ღირდა. ზვიად გამსახურდიას ყველაზე დიდი შეცდომა ერთი იყო – საქართველოს პირველ პრეზიდენტს ეგონა, რომ ჩვენც ისევე გვიყვარდა საქართველო, როგორც მას!

10. 1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის სახელმწიფო გადატრიალება ზვიად გამსახურდიას მკვლელობით დასრულდა. ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია სახელმწიფო გადატრიალების ლოგიკური ფინალი იყო, რასაც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა მოჰყვა. აქედან გამომდინარე, ვინც საქართველოში ხელისუფლების ძალადობრივი გზით დასამხობად 65 მილიონი რუბლი გადაიხადა, ვინც ზვიად გამსახურდიას „მდინარის დინე-

ბის წინააღმდეგ მოცურავე“ უწოდა და ვინც შევარდნაძეს საქართველოში ჩამოსვლაზე მწვანე შუქი აუნთო, იმან ავტომატურად ხელი მოაწერა ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ეშაფოტზე აყვანას! აი, სწორედ ამიტომ არ იხსნება საქართველოს პირველი პრეზიდენტის მკვლელობა, რომელიც, ფაქტობრივად, გახსნილია და იმიტომაც არ იძიებენ აფხაზეთისა და ცხინვალის ომებში საქართველოს დამარცხების მიზეზებს!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დიმიტრი შველიძე, „პოლიტიკური დაპირისპირებები და ეროვნული ხელისუფლების დამხობა საქართველოში 1987-1992 წწ." გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2008 წელი.
2. „საქართველოს რესპუბლიკა", 1995 წლის 23 ნოემბერი.
3. უჩა ბლუაშვილი, „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წლებში". გამომცემლობა „გეორგიკა", თბილისი, 2021 წელი.
4. Coup d'État: A Practical Handbook - Edward N. Luttwak Harvard University Press | 1979
5. Курцио Малапарте: „Техника государственного переворота". Издательство: Аграф, 1998 г.
6. „ასავალ-დასავალი", 2007 წლის 19-25 თებერვალი.
7. https://zviadgamsakhurdia.wordpress.com/2014/07/27/
8. Георгий Иванов-Смоленский, Сохбет Мамедов. Сурет Гусейнов «Я раб своего народа» // Известия. 26.06.1993. № 118 (23973). С. 4.
9. Айдын Мехтиев. Повстанцы захватили пять районов республики. Гейдар Алиев продолжает переговоры с мятежниками // Независимая газета. 15.06.1993. № 109 (533). С. 1.
10. Виктория Кулакова. Кравчук и Эльчибей удовлетворены итогами визита, Газета «Коммерсантъ» (11 декабря 1992).
11. Chirot, Daniel. Modern Tyrants: the power and prevalence of evil in our age — Princeton University Press, 1996.
12. Поспелов Е. М. Румыния // Географические названия мира : Топонимический словарь : Ок. 5000 единиц / Отв. ред. Р. А. Агеева. 2-е изд., стереотип. М.: Русские словари, Астрель, АСТ, 2002.
13. სიმონ ჯანაშია, „შრომები", ტომი მეხუთე, გამომცემლობა „მეცნიერება", 1987 წელი.
14. ივ. ჯავახიშვილი, „თხზულებანი თორმეტ ტომად", ტომი მეორე, თბილისი, 1983 წელი.

15. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი მეშვიდე, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1974 წელი.
16. კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, თბილისი, 1951 წელი.
17. „საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, სპეციალური გამოშვება, 2011 წელი. გიორგი ოთხმეზური, „დავით აღმაშენებლის ეპოქის ეპიგრაფიკული ძეგლები“.
18. იგორ კვესელავა, „საქართველოს ისტორიის ქრონიკები, VI. საქართველო და მსოფლიო უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე. წიგნი პირველი“. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2018 წელი.
19. ანდერძი დავით აღმაშენებლისა, „ქართული სამართლის ძეგლები“, ტომი მეორე, თბილისი, 1965 წელი. ისიდორე დოლიძის გამოცემა.
20. ვარდან აღმოსავლელი, „მსოფლიო ისტორია“, ნოდარ შოშიაშვილისა და ეკა კვაჭანტირაძის გამოცემა, თბილისი, 2002 წელი.
21. „ქართლის ცხოვრება“, მეორე ტომი, თბილისი, 1959 წელი. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
22. დავით ქობაირელი, „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბილისი, 1966 წელი.
23. „ასავალ-დასავალი“, 2016 წლის 18-24 აპრილი, №16 (1119).
24. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, კ. კეკელიძის გამოცემა, 1941 წელი.
25. იასე ცინცაძე, „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.)“, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1956 წელი.
26. Белокуров Сергей Алексеевич:„Сношения России с Кавказом. Выпуск 1-й. 1578-1613 гг“. Издательство: Университетская тип.Москва.1889 Год.
27. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი მეოთხე, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967 წელი.

28. „ლიტერატურული გაზეთი“, 1963 წელი, 20 დეკემბერი. იასე ცინცაძე, „თეიმურაზ პირველი“.
29. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტომი მეოთხე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973 წელი.
30. დავით ბატონიშვილი, „ახალი ისტორია“, 1941 წელი.
31. ნიკოლოზ ბერძენიშვილი, „საქართველოს ისტორიის საკითხები“, წიგნი მეორე, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1965 წელი.
32. აბელ კიკვიძე, „საქართველოს ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე)“, თბილისი, 1954 წელი.
33. „ასავალ-დასავალი“, 2019 წლის 17-23 ივნისი, №24 (1281).
34. იგორ კვესელავა, „საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური პარადიგმები და დილემები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2014 წელი.
35. მიხაკო წერეთელი, „ერი და კაცობრიობა“. 12 იანვარი, 2011. http://archive.pktv.ge/index.php?page=articles&article=455&lang=geo
36. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ.; გამომც.: ლაშა ბერაია] – თბ., „ლოგოს პრესი“, 2004.
37. „ქართული ფილმი“, 1990 წლის 20 ივნისი.
38. „Известия“, 1991 г. 3 августа.
39. https://idfi.ge/ge/congressional_delegation_in_georgia_meeting_with_president_gamsakhurdia_opposition
40. „მეგაპოლის ექსპრესი“, 1990 წლის 30 აგვისტო.
41. ვახტანგ ძაბირაძე, „ეროვნული მოძრაობის შუქ-ჩრდილები“. თბილისი, 2007 წელი.
42. თამაზ დუმბაძე, „თქვენს გასაგონად, ბიჭებო!“ თბილისი, 1999 წელი.
43. ედუარდ შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე. მემუარები“. გამომცემლობა „პალიტრა L“. თბილისი, 2006 წელი.
44. „ასავალ-დასავალი“, 2007 წლის 9-15 აპრილი, №15.
45. ლეილა ცომაია, „პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა“. გამომცემლობა „ინტელექტი“. თბილისი, 2018.

46. „ასავალ-დასავალი“, 2020 წლის 28 დეკემბერი – 2021 წლის 10 იანვარი, №1.
47. ივანე თვალავაძე, „ეროვნული მოძრაობის კვალდაკვალ“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2019.
48. „ქრონიკა+“, 2016 წლის 10 დეკემბერი, გვ.12. თემურ ქორიძე, „ძალაუფლება ბოროტად გამოვიყენე და მამაჩემის მკვლელი გავათავისუფლებინე!“
49. „იბერია-სპექტრი“, 1999 წლის 9-15 ივნისი, №275.
50. ჯაბა იოსელიანი, „სამი განზომილება“, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2013 წელი.
51. „ასავალ-დასავალი“, 2020 წლის 24-30 აგვისტო, №35.
52. ნომადი ბართაია, „ეროვნული მოძრაობის დღიურებიდან (1988-1993)“. თბილისი, 2020 წელი, გამომცემლობა „ინტელექტი“.
53. ავთანდილ რცხილაძე, „მზე კავკასიისა“, თბილისი, 2018 წელი.
54. თომას გოლცი, „საქართველო. ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში“, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2014 წელი.
55. კ.ზ. გამსახურდია, „დინების საწინააღმდეგოდ“, თბილისი, 2006 წელი.
56. „რუსკაია პრავდა“, 1992 წლის 3 ოქტომბერი; ზვიად გამსახურდია, „ეროვნება არ აქვს ცხოველს!“
57. „ასავალ-დასავალი“, 2006 წელი, 11-17 სექტემბერი.
58. „ახალი ქუთაისი“, 1999 წლის 12 მაისი.
59. „სტუდენტური პაემანი“, 9 (14), 1996 წლის 5 დეკემბერი.
60. ნოდარ ლომოური, „საქართველო წარსული საუკუნის ბოლოს და ედუარდ შევარდნაძე“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2011 წელი.
61. „ასავალ-დასავალი“, 2014 წლის 13-19 ოქტომბერი, №41(1042) გვ.4-5, „თემურ ხაჩიშვილი: ვნანობ, ზვიადს, რომ დავუპირისპირდი!“
62. რამინ ყურაშვილი, „მე – გენერალი ეპიტაშვილი“.
63. „კომუნისტი“, 1990 წელი, 30 ოქტომბერი.
64. „7დღე“, 1991 წლის 4 იანვარი.

65. „თავისუფალი საქართველო“, 1991 წლის 1 მარტი. თამთა ცეცაძე: „რისთვის შეიკრიბნენ ყოფილ „იმელში“?
66. „ივერია“, 1990 წლის 29 სექტემბერი, თბილისი-მიუნხენი. ზ. გამსახურდიას სატელეფონო საინფორმაციო საუბარი თენგიზ გუდავასთან ბორითის ავტოავარიის შემდგომ დღეებში.
67. „ახალი შვიდი დღე“, 1998 წელი, 8-15 მაისი.
68. საქართველოს პრეზიდენტი ზ. გამსახურდია. მთავარი რედაქტორი მ. სალუაშვილი. თბილისი, 1995.
69. „იზვესტია“, 1991 წლის 3 აგვისტო.
70. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 10 აგვისტო.
71. „საქართველოს გვარდიელი“, 1991 წლის 25 აგვისტო. თ. კიტოვანი – „გვარდია რკონში“.
72. „საქართველო“, 1998 წლის 27-30 მარტი.
73. ელიზბარ ჯაველიძე, „დღეთა კარებთან ვდგავარ წუხილით“, თბილისი, 2009 წელი.
74. „ასავალ-დასავალი“, 2005 წლის 12 ოქტომბერი.
75. გაზ. „ნაროდნაია პრავდა“, 1992. ციტ. გაზ. „ერი და ცხოვრება“, 1998 წელი, 23 მარტი – 8 აპრილი.
76. ირაკლი კაკაბაძე, „1988 – ჩვენი განცალკევების წელი“ (https://www.aliq.ge/ge/1988-chveni-danatsevrebis-das/).
77. იგორ კვესელავა, „საქართველოს უახლესი ისტორიის ქრონიკები II. „ზვიად გამსახურდია – დისიდენტი, პრეზიდენტი, მოწამე“, თბილისი, 2008.
78. „ასავალ-დასავალი“, 2021 წლის 5-11 აპრილი.
79. ნოდარ ნათაძე, „რაც ვიცი“, თბილისი, 2002 წელი.
80. https://www.facebook.com/TVFormula/videos.
81. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 17 სექტემბერი.
82. „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წლის 18 ოქტომბერი.
83. https://iberiana2.wordpress.com/segm/mazzini/.
84. „საქართველოს უახლესი ისტორიის დოკუმენტური მასალები“, ტომი II, თბილისი, 2011 წელი, გამომცემლობა „მერიდიანი“. მასალები შეაგროვეს, დაალაგეს და გამოსცეს ე. გვენეტაძემ და ზ. კალანდიამ.
85. „მოსკოვსკიე ნოვოსტი“, 1992 წლის 15 დეკემბერი.
86. „კვირის პალიტრა“, 2012 წლის 2 იანვარი.

87. „რუსკი ვესტნიკ“, 1992 წლის 14-24 ივნისი.
88. Спартак Жидков: „Бросок малой империи“. 1996 г.Майкоп.
89. https://www.youtube.com/watch?
90. ჟურნალი „სარკე“, 2018 წლის 2 აპრილი, გვ.13.
91. „ასავალ-დასავალი“, 2017 წლის 21-27 აგვისტო.
92. „კვირის პალიტრა“, 2006 წლის 3 ივლისი.
93. „ასავალ-დასავალი“,1998 წლის 13-19 აპრილი.
94. „ასავალ-დასავალი“,1998 წლის 13-19 აპრილი.
95. „ასავალ-დასავალი“, 2019 წლის 16-22 დეკემბერი.
96. დავით მჭედლური, „თავისუფლების სახელით“, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1995 წელი.
97. „ასავალ-დასავალი“, 2018 წლის 21-27 მაისი.
98. https://www.aliq.ge/ge/1988-chveni-danatsevrebis-das/.
99. https://zviadgamsakhurdia.wordpress.com.
100. გურამ ოქროცვარიძე, „მძღოლის სარკიდან დანახული სიმართლე“ (საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას პირადი მძღოლის მოგონებები), თბილისი, 2002 წელი.
101. თემურ ქორიძე, „კაცი არყველა სწორია“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2016.
102. „ასავალ-დასავალი“, 2007 წლის 5-11 მარტი.
103. იგორ კვესელავა, „საქართველოს ისტორიის ქრონიკები. ტომი VII. დროისმეტყველება – ზვიად გამსახურდია“, თბილისი, 2021.
104. „ასავალ-დასავალი“, 2007 წლის №17, 23-29 აპრილი, გვ. 10-11.
105. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2007 წლის 6 იანვარი.
106. „ძნელი გზა დამოუკიდებლობისაკენ“, უცხოელი მეცნიერები 90-იანი წლების საქართველოს შესახებ, თბილისი, 1998.
107. „რესპუბლიკა“, 1991 წლის 17 ოქტომბერი.
108. რიჩარდ პაიფსი, „ვაშინგტონ პოსტი“, 1991 წლის 9 ივნისი.
109. იგორ კვესელავა, „საქართველოს ისტორიის ქრონიკები, ტომი VIII. სახისმეტყველება – ედუარდ-გიორგი შევარდნაძე“. თბილისი. 2021.

Domenti (Dito) Chubinidze

Zviad Gamsakhurdia in Georgian and international politics (The Overthrow. Book One)

1991-1992 September-January coup d'etat,which caused violent overthrow of national president and legitimate government elected by 87 percent of the people in Georgia, was conditioned by several factors:

1. the Kremlin's political interest;
2. the coincidence of interests of both West and Kremlin;
3. the inexperience of the national government;
4. the great betrayal and
5. neglect and carelessness of Georgian people.

The latter factor is often overlooked. However, in one of the high-profile videomade during the exile, the first president of Georgia Zviad Gamsakhurdia underlined the fact that he was left alone in the fight! President Gamsakhurdia regreted that the process in Georgia did not go as well as in Lithuania, where thousands of people „with bare hands" did not allowthe imperial forces to do what they could do in Tbilisi - to overthrow the government elected by the people with weapons!

The present scientific paper narrates the tragic fate of the Georgian national government based on relevant sources and specific facts. According to the international political situation and context,the end of the current events was defined and determined from the very beginning.

It did not matter whether Zviad Gamsakhurdia carried out the whims of the armed or unarmed opposition, the democratic international community or the Kremlin.No one would leave

ZviadGamsakhurdia in the government, as the political goals, objectives and aspirations of the first president of Georgia were in great contradiction with the plans of the „fathers of the world order" at that time.The President of the United States of America _ George W. Bush (senior) did not accidentally utter his famous and high-profile phrase: „Gamsakhurdia is floating against the current!" The West, which had a deal with Russia, had prepared various surprises for Zviad Gamsakhurdia's government. This was well demonstrated after the historic March 31, 1991 referendum.On this day, US President Richard Nixon arrived in Georgia and met face to face with Zviad Gamsakhurdia. Nobody knew exactly what they had talked about. The fact is that after this meeting, quite high-ranking members of the US special services, who contacted Zviad Gamsakhurdia through Reno Siradze, a Georgian living in Finland, parted „with Siradze in tears" and told him that they were no longer allowed to have contact with Georgians. The paper contains detailed facts unknown to the public. One of the facts is howEduard Shevardnadze disrupted the informal meeting between Zviad Gamsakhurdia and President Bush, which was to take placeat famous Georgian artist and sculptor Zurab Tsereteli's studio in Moscow. It is very interesting to knowfacts how the agents were recruited by the special services in the national movement, who were these agents and what was the organization „Mkhedrioni", whose main sponsor was Guram Mgeladze _ a well-known member of Eduard Shevardnadze's close circle and a former party functionary of the Soviet Central Committee. He was also former secretary of the Abasha district committee. Both Zviad Gamsakhurdia and the national authorities made every effort to break through the artificial international isolation as well as normalize Yeltsin's relations with Russia, but this was virtually impossible. As President Gamsakhurdia said: President Yeltsin, Gorbachev and Shevardnadze were key actors of the „plan writtenacross the ocean". The plan was

implemented „with the consent of President Bush and with the blessing of Secretary of State James Baker". As for Russia, it has been used as a „black" and dirty job performer. Moreover, in October 1991, in a small town in Germany, Eduard Shevardnadze organized a meeting to which he invited influential politicians and business people from around the world. There is a list of people attending this meeting.At the meeting the guests called Shevardnadze the „President of Georgia"! Perhaps the merit of these influential people was the fact, that none of Western democraciesobjected the overthrow of legitimate government of Georgia. On May 26, 1992, when the then US Secretary of State and Shevardnadze's friend James Baker was delivering a speech at Republic Square, a peaceful protest rally of Gamsakhurdia's supporters was taking place 200 meters awayfrom the square. Mkhedrioni, led by one of its leaders, Giga Arveladze, violently dispersed a peaceful protestwith weapons. Neither the US State Department, nor Baker, nor any European state has objected to what happened. Western Democracy, which supported Eduard Shevardnadze and his entourage, was shamefully silent.

The paper tells details about the unknown facts of the putsch and based on the documentary materials, we express a logical opinion about Eduard Shevardnadze. We think that influentialcircles have been preparing for a long time to bring Eduard Shevardnadze to Georgia.

We think that there is given a very important information, underlining details aboutclose and criminal alliance of Eduard Shevardnadze and Mikheil Gorbachev with Western special services. Based on the relevant sources and arguments, the paper clearly re veals the harshest political reality, which was deliberately createdby both domestic or foreign enemies of Georgiaand with their support and overthrow of the rule of law, the country was doomed to a long chaos and disintegration!